ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ოთხშაბათობით

სარკე

ფასი: 1 ლარი

№10

6-12.III 2013

„42 წლის ასაკში მეეჭვსედ ვიწყებ ნულიდან“

გვ.6

„ეს არის პირველი ეთერი, რომლისთვისაც ვიზუალურად არ ვემზადები“

როგორ უშველა ინგა გრიგოლიას ნოდარ ხადურმა

„ცნობილ ნაცნობი“

რამაზ საყვარელიძე: „თავის დროზე ჰიპნოზს ვაკეთებდი“

გვ.20

„ჩემი ცოლი ყოველთვის იმ ასაკისაა, რა ასაკშიც მომხიბლა“

გვ.34

სოფო გელოვანი და მისი ქმარი „ევროვიზიიდან“ დაბრუნების შემდეგ მეორე შვილს დაგეგმავენ

გვ.9

კახა კოჟორიძე: „ჩემი ლექსების უმეტესობა თინათინს ეძღვნება“

ბედის ხაზი გვ.45

ელდარ შენგელაია: „ვცდილობ, იმ ადგილებზე გავიარო, სადაც ჩვენი შვილია ნამყოფი...“

გვ.58

ჯაბა კილაძე 5 წლის წინანდელ სიყვარულს ვერ ივიწყებს

ISSN 1987-0369

ბულახდილი საუბრები „მე და ჩემი ვაჟი გამოცდას გავდივართ – რძალი შვილს სხვა ქალისგან ელოდება“ გვ.13

თავისუფლება მოძრაობაშია

ადამიანი ამა თუ იმ მოძრაობის შესრულებას, სხეულის წონასწორობის შენარჩუნებას და სივრცეში კოორდინაციას სახსრებისა და კუნთების საშუალებით ახერხებს.

ზოგჯერ თავისუფალ მოძრაობაში ხელს გვიშლის წელის, ხერხემლის, სახსრების, კუნთების ტკივილი.

მიზეზი შეიძლება დაკავშირებული იყოს ტრავმებთან, ოსტეოართროზთან, ანთებასთან...

ტკივილი სუბიექტურია და ყველა ადამიანი მას ინდივიდუალურად აღიქვამს და აღწერს.

სახსრების, წელის, კუნთების ტკივილის მოსახსნელად უმჯობესია გამოვიყენოთ ადგილობრივი მოქმედების ტკივილგამაყუჩებელი გელი.

ფენოგელის გელი მალამოებისგან განსხვავებით ღრმად აღწევს ქსოვილებსა და კუნთებში, ჩააქრობს ანთებას და სწრაფად გაგიყუჩებთ სახსრების და კუნთების ტკივილს.

რას სწერენ ნანუკა ქორქოლიანის შვილს ფეისბუქზე თანატოლები

ავთო ვარსიმაშვილმა რიგაში მსახიობები დაკარგა

ნომერში

ტელესახე

როგორ უშველა ინგა გრიგოლიას ნოდარ სადურმა 6

დაპირისპირება

იკანიშვილმა პრეზიდენტზე ხელები დაიბანა 8

პირადი

კახა კოჟორიძე: „ჩემი ლექსების უმეტესობა თინათინს ეძღვნება“ 10

ზარალი

სანძარი ჰოლიკუდური სცენარით? — რა აეჭვებს „საბას“ მფლობელს 11

გულახდილი საუბრები 12-13

პოლიტიკა

- პრეზიდენტმა 1 800 კაციანი დაცვა მოითხოვა 16
- გიგი წერეთელი: „ხელისუფლება ჩვენს შეცდომებს იმეორებს“ 17
- ეკა ბესელია: „არჩილ კბილაშვილს მიხმარება სჭირდება, პროკურატურა უნდა გაწმინდოს!“ 18

უცნობი ნაცნობი

რამაზ საყვარელიძე: „თავის დროზე ჰიპნოზს ვაკეთებდი და ამან ბევრი რამ მასწავლა“ 20

გზა ტაძრისაკენ

ეკლესიის მშენებლობაში მონაწილეობამ გლდანელი ბიჭი ღვთისმსახურად აქცია 22

საკითხავი. აი. ეს არის

რუსეთისკენ „ჩარეცხილთა“ ლაშქარი დაიძრა? 24

გახმაურებული საქმე

რისთვის იხდის სასჯელს ლიკა ყაზბეგის ქმარი 26

მოზარდები 28-29

დედები და ქალიშვილები

რა აღუთქვა ეკა კვალიაშვილმა 20 წლის წინ ახალდაბადებულ ქალიშვილს 30

სამზარეულო

დათო დარჩიას ცოლი „ტორტუკებს“ უცხობს 32

სახე ტოქ შოუდან

რას სწერენ ნანუკა ჟორჟოლიანის შვილს ფეისბუქზე თანატოლები 33

ცოლ-ქმრის კლუბი

სოფო გელოვანი და მისი ქმარი „ეკროვიზიიდან“ დაბრუნების შემდეგ მეორე შვილს დაგეგმავენ 34

სარკის წინ

„საიდუმლო იარაღი“ ცნობილი ქალებისგან 35

ბედის ხაზი

ელდარ შენგელაია: „ცდილობ, იმ ადგილებზე გავიარო, სადაც ჩვენი შვილია ნამყოფი...“ 45

ცხოვრება ჩემოდნებზე

ავთო ვარსიმაშვილმა რიგაში მსახიობები დაკარგა 53

მეგზური 55

ზალცბურგი — მოგზაურობა მოცარტის ქალაქში

შეშლილი. შეშლილი. შეშლილი მსოფლიო 56-57

ჩემი მშვენიერი ლედი

ჯაბა კილაძე 5 წლის წინანდელ სიყვარულს ვერ იყიწყებს 58

ადამიანის ინსტიტუტი

ცნობისმოყვარეობა სასარგებლო თვისებად ვაქციოთ 59

ქალური მოთხრობები

- თინათინ ბოსი — „ეიფორია“ (გაგრძელება, დასაწყისი №7-9) 64
- ლელა ცუცქირიძე — „არჩევანი“ 66

სახალისო 68

იყავით ჯანმრთელი 69

სიცილის გვერდი 71

მედიკო და კოტე — „მათ 20 წლიან ცხოვრებაში რომანტიკა 7 წელს გაგრძელდა“

■ კოტე და მედეა

მათ ერთმანეთი რუსთაველის თეატრში გაიცნეს. მედეა ჩახავა მაშინ 28 წლის იყო. თეატრში უკვე ფეხი ჰქონდა მოკიდებული და პოპულარულიც გახლდათ. პირველ ქმარს, ბიჭიკო ჩხეიძეს, გაშორებული იყო და პატარა თემურს ზრდიდა. 23 წლის კოტე მახარაძეს თეატრალური ინსტიტუტი ახალი დამთავრებული ჰქონდა და კარიერას იწყებდა. ლამაზი, ნიჭიერი, შარმიანი მედიკო მომხიბვლელობას ასხივებდა. კოტე კი ახალგაზრდა პრინცს ჰგავდა. ის სასიყვარულო ლექსებს უძღვნიდა საყვარელ ქალს. ღამით საათობით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს ტელეფონით. მედიკო თავზე საბანს იფარებდა, რომ შუაღამისას მისი ლაპარაკი არავის გაეგო.

ეს ლამაზი ურთიერთობა ქორწინებით და ორი საერთო შვილით დაგვირგვინდა... 20 წლის შემდეგ კი ვარსკვლავური ოჯახი დაინგრა, თუმცა კარგი მეგობრობა შეინარჩუნეს. შემდეგ კოტეს ცხოვრებაში სოფიკო გამოჩნდა, მისი უკანასკნელი სიყვარული. როდესაც „ერთი მსახიობის თეატრი“ დარეჯანის სასახლიდან ფიქრის გორაზე, ვერიკო ანჯაფარიძისა და მიხეილ ჭიაურელის სახლში გადაიტანეს, სოფიკომ დიდი სუფრა გაშალა. მედეაც იქ იყო. ის სოფიკოსთან მივიდა და მადლობა გადაუხადა: „ახლა კოტე ჩემი ქმარი რომ ყოფილიყო, ასეთი თეატრი არ ექნებოდა, იჯდებოდა ბახტრიონზე, მე-7 სართულზე, სიცივეში, გათბობის გარეშე...“.

გვ.14

წმინდანები

მორწმუნეს უჯერებს ღმერთი, ურწმუნოს კი არც აღიარებს 72

კითხვები მოძღვარს

„ღვთის სასჯელის გარეშე ჩვენი გამოსწორება არ მოხდება“ 73

ნათელი კვალი

ექვთიმე კერესელიძე — ოქროს მჭედელი და თვალმარგალიტის დამლაგებელი! 75

საბავშვო გვერდი 76

კულინარიული შედევრები 77

ხელსაქმე 78

№10(776) 6 — 12 მარტი, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 4.03.2013, 21.00 სთ-ზე.

ირაკლი ღარიბაშვილი

ირაკლი ღარიბაშვილი თანამშრომლებს ოჯახურ ცხოვრებაში ფინანსურად ეხმარება

ფინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება სამინისტროს თანამშრომლებისთვის სახელფასო დანამატებისა და ერთჯერადი დახმარების შესახებ ძალაში შევიდა. კანონის თანახმად, სამინისტროს მრავალშვილიან თანამშრომლებს ყოველთვიური დანამატი დაუწესდათ. კერძოდ, ოთხი შვილის მშობელი ყოველთვიურად 200 ლარს მიიღებს, ხუთი შვილის მშობელი — 300 ლარს, ექვსი შვილის მშობელი — 400 ლარს, შვიდი და მეტი შვილის მშობელი კი — 500 ლარს.

ამოქმედდა მინისტრის ბრძანებაც შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების შესახებ. 1000 ლარიან დახმარებას სამინისტროს თანამშრომელი ერთჯერადად მიიღებს დაქორწინების, შვილის შეძენისა და ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში. ყოველთვიურ დანამატსა და ერთჯერად დახმარებას შს სამინისტროს ყველა თანამშრომელი მიიღებს.

შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, თანამშრომლებისთვის სახელფასო დანამატებისა და ერთჯერადი დახმარების გაცემა მისი ინიციატივა იყო.

— ეს იყო ჩემი ინიციატივა. მე თანამშრომლებს სოციალური პირობების გაუმჯობესებას დავპირდი. ეს არის დასაწყისი, — აცხადებს ღარიბაშვილი.

დამსაქმებელ-დასაქმებულის ურთიერთობის კანონი იცვლება

მთავრობა შრომის ახალ კანონზე მუშაობს. იუსტიციის მინისტრის მოადგილის, სანდრო ბარამიძის განცხადებით, შრომის კანონპროექტში ცვლილებების შეტანის შემდეგ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობა დარეგულირდება. ახალი რეგულაციები ვადიან, წერილობით და ზეპირ შრომით ხელშეკრულებებთან მიმართებაშიც შემოდის.

— დამსაქმებელი ვეღარ შეძლებს, დასაქმებული დაუსაბუთებლად გაათავისუფლოს. კოდექსში ჩამოთვლილია ის ნორმები, რის საფუძველზეც დამსაქმებელს დასაქმებულის გათავისუფლება შეეძლება, — განაცხადა ბარამიძემ.

გაზი 5 თეთრით გაიაფდა

გაზის ტარიფი 10%-ით, ანუ 5 თეთრით შემცირდა და მოსახლეობა 1 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირში 50-ის ნაცვლად 45 თეთრს გადაიხდის. ამის შესახებ ჟურნალისტებს ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ განუცხადა.

მინისტრმა განმარტა, რომ ტარიფის შემცირება ნავთობისა და გაზის კორპორაციის ხარჯზე მოხდა. მისივე თქმით, კორპორაცია სადისტრიბუციო კომპანიებს გაზს 5 თეთრით შემცირებული ტარიფით მიაწვდის.

„პირველი არხის“ გენდირექტორი ხელქვეითის საჩივარს გადააყოლეს

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ არხის გენერალური დირექტორი გიორგი ბარათაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლა. სამეურვეო საბჭოს წევრი ემზარ გოგუაძე აცხადებს, რომ ბარათაშვილის ვადამდე ადრე გათავისუფლების მიზეზი მის მიმართ გამოცხადებული უნდობლობა გახდა.

გიორგი ბარათაშვილი

— საბჭოს 1/3-მა მოითხოვა ბარათაშვილის ვადამდე ადრე გათავისუფლება, რაც განპირობებულია უნდობლობით. ამ უნდობლობის გამოცხადების მიზეზი კი გახდა ბოლო პერიოდში არაჯანსაღი კლიმატის შექმნა მაუწყებელში, ასევე დაძაბული ურთიერთობები, — განაცხადა გოგუაძემ.

„პირველ არხზე“ ურთიერთობები კი მას შემდეგ დაიძაბა, რაც ბარათაშვილმა საზოგადოებრივ-პოლიტიკური დეპარტამენტის უფროსი ხათუნა ბერძენიშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლა. პასუხად, ბერძენიშვილმა პრეს-კონფერენცია გამართა, სადაც გენერალურ დირექტორს ადანაშაულებდა, რომ მისი გადაწყვეტილება პოლიტიკური ზეწოლის გამოვლინება იყო. ის თავის გათავისუფლებას 28 თებერვალს მაუწყებლის ეთერში იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის უმაღლესი განათლების შესახებ მომზადებულ სიუჟეტს უკავშირებს.

სამეურვეო საბჭომ ხათუნა ბერძენიშვილს მოუსმინა, გიორგი ბარათაშვილი გადააყენა, მაგრამ სამსახურში ბერძენიშვილის აღდგენა ბორდის კომპეტენციაში არ შედის.

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად გიორგი ბაქრაძე დაინიშნა.

სარკე ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი
მთავარი რედაქტორი
კომერც. დირექტორი

შპს „სარკე“
მედეა სანაია
ვაჟა შენგელია

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

მთავარი რედაქტორის მოადგილეები – ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა – მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი – ირინე მჭედლიძე, რუსუდან ადვაძე, ლანა კეკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა – აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფოტო – ქეთი ყირიმლიშვილი. მხატვარი – ქეთი ხარატიშვილი.

კომპიუტერული მომსახურება: დაკაბადონება – ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი – მარინა ჯღენტი, მია ფიფია. კორექტურა – ლანა გაბუნია, მია ფიფია. სარედაქციო სამსახური – მაჩუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru მდივანი – იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE

Cyan Magenta Yellow Black

აქვს თუ არა საფუძველი სააკაშვილის აზერბაიჯანულ ფანტაზიებს

რამდენიმე დღის წინ აზერბაიჯანიდან დაბრუნებულმა საქართველოს პრეზიდენტმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ რუსეთში შეიქმნა დიასპორა ვინმე გარდაბნელი სადიკოვის ხელმძღვანელობით, რომლის ერთ-ერთი მიზანი საქართველოში აზერბაიჯანული ავტონომიისთვის ბრძოლაა. კავკასიის საკითხების ექსპერტს მამუკა არეშიძეს ეს ინფორმაცია გადაჭარბებულად მიაჩნია.

მიხეილ სააკაშვილი

— სადიკოვი მართლაც არის გარდაბნელი და რუსეთში სამშენებლო ბიზნესითაა დაკავებული, მაგრამ რაც შეეხება მის დღევანდელ როლს, ის არაფერს ხელმძღვანელობს. არის ერთ-ერთი ორგანიზაციის წევრი, რომელსაც პირობითად მილიარდერთა კლუბი ჰქვია. ეს ორგანიზაცია ცნობილმა მილიარდერებმა აზერბაიჯანის სათვისტომოს ეგიდით შექმნეს და მათი მიზანი ნამდვილად არის დაპირისპირება აზერბაიჯანის დღევანდელ ხელისუფლებასთან. სადიკოვი კი ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ჩვეულებრივი წევრია და განსაკუთრებული ფუნქცია არ აქვს. სააკაშვილმა, როგორც სჩვევია, მისი ამპლუა გაზარდა.

რაც შეეხება ავტონომიის საფრთხის არსებობას, ხაზგასმით ვამბობ, რომ ასეთი საფრთხე ყოველთვის იყო და იქნება, როცა ამით მესამე ძალაა დაინტერესებული. მესამე ძალაში ქვეყანას არ ვგულისხმობ, ვგულისხმობ გარკვეულ ძალებს, რომლებიც საქართველოს აზერბაიჯანელების მეშვეობით ცდილობენ აზერბაიჯანში გავლენის მოპოვებას, — განაცხადა არეშიძემ. მან აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით ორი ქვეყნის შესაბამისი სტრუქტურები მუშაობენ.

პაატა ზაქარეიშვილი

სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილი ეთნიკური დაპირისპირების საფრთხეებზე პრეზიდენტის განცხადებას ფანტაზიად აფასებს.

— ეთნიკურად დასახლებულ რეგიონებში შეშფოთება, პირიქით, სააკაშვილის პროვოკაციული განცხადებების გამო გამოთქვეს. ისეთი მაღალი ნდობა, როგორიც ჯავახეთსა და ქვემო ქართლში „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო, არც ერთ ხელისუფლებას ჰქონია. ასე ჰარი-ჰარალოზე ლაპარაკი არ შეიძლება. სააკაშვილმა უსინდისოდ ილაპარაკა და მან ნება უნდა იბოძოს და განმარტოს, თუ რას გულისხმობდა, — განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

„მეცხრე არხი“ არ იყიდება!

ლუბა ელიაშვილი

ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ გარშემო პერიოდულად ვრცელდება ინფორმაცია, რომ ის გაიყიდა. ახლახან ინტერნეტსივრცეში ისევ გაჩნდა მსგავსი სახის კომენტარები. არხის გენერალური დირექტორი ლუბა ელიაშვილი ინფორმაციას არხის გაყიდვის შესახებ არ ადასტურებს.

— რაც ტელეკომპანიის დირექტორი ვარ, ეს ინფორმაცია 3 დღეში ერთხელ ვრცელდება. არ დაიღალეთ?! — განაცხადა ლუბა ელიაშვილმა.

ბაჩო ახალაიას ბრალი დაუმძიმდა

ბაჩო ახალაია

თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს, პატიმრობაში მყოფ ბაჩო ახალაიას, ბრალი დაუმძიმდა. ე.წ. ციხის ბუნტის საქმე გახსნილია და მის ორგანიზებაში ბრალი სწორედ მას ედება. შესაბამისად, ახალაიას გარემოცვის იმედი, რომ მას 50 ათასი ლარიანი გირაოს გადახდის სანაცვლოდ ციხიდან გაუშვებდნენ, არ გამართლდა.

ყოფილი მინისტრის ადვოკატი მალხაზ ველიჯანაშვილი აცხადებს, რომ ახალაიას ბრალი ადვოკატის დაუსწრებლად წაუყენეს და ამით პროკურატურამ ბრალდებულის უფლება დაარღვია.

საქმე ეხება 2006 წლის მარტში სასჯელაღსრულების მეხუთე და პირველ დაწესებულებასა და სამკურნალო დაწესებულებაში მომხდარ ბუნტს. გამოძიების ინფორმაციით, ბაჩო ახალაიამ შეიმუშავა სპეციალური გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოებაში გავრცელებული ხმების გაქარწყლებას მის მიერ პატიმრებზე ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით.

მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ხათუნა პაიჭაძემ გამოძიების შედეგები საზოგადოებას გააცნო და დეტალურად ისაუბრა 2006 წლის 26-27 მარტს სასჯელაღსრულების რამდენიმე დაწესებულებაში მოვლენების განვითარებაზე. 7 წლის წინ მომხდარი ბუნტის საქმეზე მთავარი პროკურატურა უკვე რამდენიმე თვეა მუშაობს. სავარაუდოდ, ბრალი დაუმძიმდება მეგის ქარდავასაც. არ გამორიცხავენ, რომ გამოძიების დასრულებამდე სხვა მაღალჩინოსნების პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს.

სარეკლამო აბრებზე ქართული წარწერები სავალდებულო ხდება!

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის ინიციატივით, საქართველოს კანონში „რეკლამის შესახებ“ ცვლილება შედის, რომლის მიხედვით, ქვეყნის მასშტაბით განთავსებულ სარეკლამო აბრებზე ნებისმიერი წარწერის ქართულ ენაზე შესრულება სავალდებულო ხდება.

აქამდე მოქმედი კანონმდებლობით კი, ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის სავალდებულო არ იყო აბრაზე წარწერისათვის სახელმწიფო ენის გამოყენება. შედეგად ქვეყანაში მომრავლდა უცხოენოვანი წარწერები, სადაც ქართული ენა იგნორირებული იყო.

„ხშირია შემთხვევები, როდესაც აბრა მხოლოდ უცხო ენაზეა შესრულებული, რაც სახელმწიფო ენის დაკნინებას იწვევს. კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო ენის დაცვა, რაც გულისხმობს ახალი ვალდებულების შემოღებას, რომლის თანახმად, აბრა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. აღნიშნული არ გამორიცხავს იმას, რომ აბრაზე დატანილი წარწერა ქართულ ენასთან ერთად უცხო ენაზეც შესრულდეს“, — ნათქვამია განმარტებით ბარათში.

„რეკლამის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის გარდა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც“ შედის ცვლილება. ვინც დადგენილ წესს დაარღვევს, დაჯარიმდება. პირველად დარღვევისთვის გათვალისწინებულია გაფრთხილება, ხოლო დარღვევის განმეორებით დაფიქსირების შემთხვევაში ფიზიკური პირი 200 ლარით დაჯარიმდება, იურიდიული პირი — 300 ლარით.

Cyan Magenta Yellow Black

როგორ უშველა ინგა გრიგოლიას ნოდარ ხადურმა

„42 წლის ასაკში მეექვსედ ვიწყებ ნულიდან“

■ ინგა გრიგოლია

ინგა გრიგოლია 27 წლის იყო, როცა საკუთარი გადაცემით პირდაპირ ეთერში პირველად გავიდა და მაყურებლისგან კრიტიკაც და სიყვარულიც ერთბაშად დაატყდა თავს. ტელესივრცეში ერთ-ერთ წარმატებულ ჟურნალისტად მალევე აღიარეს. წლების განმავლობაში სხვადასხვა არხზე გადიოდა მისი ტოქ შოუები. ბოლოს პოლიტიკაშიც აღმოჩნდა მცირე ხნით და მიხვდა, რომ ეს დიდი შეცდომა იყო, თუმცა გამოცდილება აქედანაც მიიღო. 42 წლის ასაკში ეთერს უკვე მეექვსედ, ახალი გადაცემით დაუბრუნდება. მისი ტოქ შოუ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გავა.

ტელეჟურნალისტი ამბობს, რომ წინ ძალიან ნერვიულობს, იმაზე მეტადაც კი, როცა პირველი გადაცემისთვის ემზადებოდა. ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი, ტოქ შოუს რა ერქმევა, მისი ერთ-ერთი სამუშაო სახელია „დებატები პირველ არხზე“. ის კი უკვე ცნობილია, რომ გადაცემა კვირაში ორჯერ იქნება, სავარაუდოდ, კვირას და ოთხშაბათს. მანამდე კი ინგა გრიგოლია „სარკის“ მკითხველებს ესაუბრება.

— ინგა, ეკრანს დიდი პაუზის და ასევე დიდი გარდატეხის შემდეგ უბრუნდებით. როგორი შეგრძნება გაქვთ?

— ძალიან ნერვიულობ. არ მახსენდება არც ერთი ჩემი გადაცემა, რომელზეც არ მინერვიულია, მაგრამ ახლა განსაკუთრებით განვიცდი. მართლაც ძალიან დიდი პაუზა მქონდა. იმ პერიოდმა, როცა პოლიტიკური საქმიანობით ვიყავი დაკავებული, ბევრი რამ მასწავლა. თუ ადრე რაღაც თემები იყო, რაზეც ძალიან ზედაპირული წარმოდგენა მქონდა, ორი წელი იმ ყველაფერთან პირდაპირი შეხება მომიხდა. ეს იყო ბიუჯეტის, ჯანდაცვის საკითხები და ასე შემდეგ. ახლა უფრო მომზადებული გავალ ეთერში, ვიდრე ოდესმე ვყოფილვარ.

— ეთერში მწყავე კითხვების დასმას არასდროს ერიდებოდით. ახლა, როგორც ყოფილ პოლიტიკოსს, შეიძლება რესპონდენტმაც გაგიხსენოთ თქვენი ახლო წარსულის საქმიანობა, როცა ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის და თბილისის საკრებულოს წევრი იყავით.

— თუკი ვინმეს რაიმე კითხვა გაუჩნდება პოლიტიკაში ჩემს ყოფნასთან დაკავშირებით, ყოველთვის მზად ვიქნები, პირდაპირი პასუხი გავცე. ვისაც ჩემი დასმული კითხვა არ მოეწონება და საკრებულოში ჩემს ორწლიან მუშაობაზე რაიმეს მკითხავს, ძალიან დამაჯერებელ პასუხებს მიიღებს. საკუთარ თავში ერთი პროცენტით მაინც რომ მეპარებოდეს ეჭვი, ეთერში არ გავიდოდი. სექტემბერში, როცა არჩევნებზე ჩემი კანდიდატურა მოვხსენი, თითქმის ნახევარი წელი სახლში ვიჯექი, რომ საარჩევნო პოლიტიკური ვნებათაღელვიდან სრულიად დავცლილიყავი. დღეს ეთერში გასასვლელად მზად ვარ. კიდევ ერთხელ ვამბობ, თუკი ვინმეს კითხვა გაუჩნდება, შემიძლია მისთვის ოპონენტი ვიყო, მაგრამ პირადად, მე, ვინმეს ოპონენტობას არ ვაპირებ. მე სრულიად ნეიტრალური ვიქნები და მინდა, გადაცემა ყველასთვის თანაბრად მისაღები იყოს.

ახლა ისეთ რაღაცას მოგიყვებით, რაც არსად მითქვამს. თბილისის ბიუჯეტი რომ უნდა დამტკიცებულიყო, მაშინ ფრაქციის თავმჯდომარე ვიყავი. ამ გამოსვლამდე ძალიან ვნერვიულობდი, რადგან იქ გიგი უგულავა და გამოცდილი ადამიანები უნდა მსხდარიყვნენ და ეს საკითხი მე უნდა გამეტანა. ამიტომ თანაპარტიელ ჯაბა სამუშიას ვთხოვე ჩემი სახელით გასვლა, მაგრამ უარი მითხრა. ერთ-ერთი, ვისთანაც ამ თემაზე კონსულტაცია გავიარე, ნოდარ ხადური იყო. მასთან ბევრი წელია კარგი ურთიერთობა მაქვს. ერთი სიტყვით, დახმარებისთვის მივმართე. ვთხოვე, აეხსნა ბიუჯეტის დეტალები. ნოდარი ჩემს კაბინეტში იჯდა და ბიუჯეტის თემაზე დეტალებს მიხსნიდა. თუ არ ვცდები, ორი გაკვეთილი ჩამიტარა. მეც მეორეკლასელი ბავშვივით ფურცელი, კალამი მეკავა და ვიწერდი. როცა ოპონენტებისგან არგუმენტები მოდიოდა, კონტრარგუმენტი ჩემი კი არა, ხადურის იყო. მან მასწავლა ბიუჯეტი. სხვათა შორის, მაგარი მასწავლებელი აღმოჩნდა. იმ დებატებზე ხადურისგან ისეთი მომზადებული შევედი, რომ ვერც ერთმა ოპონენტმა ჩემი დამარცხება ვერ მოახერხა. ის ბრწყინვალე მასწავლებელი არის და, ეტყობა, არც მე აღმოვჩნდი ცუდი მოსწავლე.

„ეს ახის პიჩველი ეთეჩი, ჩომლისთვისაც ვიზეაღეჩად ახ ვემზადები“.

ასე რომ, არაფრის მეშინია, პირიქით, ახლა უფრო მეტად ვარ საკუთარ თავში დარწმუნებული და წელგამართული გავალ ეთერში. რაც ყველაზე მთავარია, საქმეს, რომელიც მიყვარს, ხელახლა, ისევ ნულიდან ვიწყებ.

— როგორ რეაქციას ელოდებით მაყურებლისგან, თქვენი აზრით, როგორ მიგიღებთ?

— მგონია, რომ მაყურებელი ჩვეულებრივად მიმიღებს, რადგან მე არ ვარ პირველი, ვისაც ასეთი გზა გაუვლია. მაგალითად, გიორგი თარგამაძე პარტია „აღორძინებიდან“ წავიდა და ბრწყინვალე გადაცემა გააკეთა. ამით იმის თქმა მინდა, რომ მაყურებლისთვის მნიშვნელოვანია, ობიექტური გადაცემა გააკეთო და კითხვები დასვა. პოლიტიკა დამილოცნია მათთვის, ვისაც ამბიცია აქვს, რომ პოლიტიკოსი იყოს. ჩემს თავს და საქმეს ვუბრუნდები. მგონი, არ მჭირდება იმის მტკიცება, რომ ტელევიზია ჩემთვის სიცოცხლე იყო.

— ცნობილია, რომ სხვადასხვა არხთან გქონდათ მოლაპარაკებები. საბოლოოდ „პირველ არხზე“ რატომ შეჩერდით?

— შეგნებულად მივიღე გადაწყვეტილება, გადაცემა საზოგადოებრივ მაუწყებელზე დამეწყო. მიმაჩნია, რომ დღეს ეს არხი ნეიტრალურია. მეტნაკლებად ყველა ტელეკომპანიას თავისი პოლიტიკური მიმდინარეობა აქვს. „პირველი არხი“ კი ნეიტრალური ზონაა. სხვათა შორის, გია ჭანტურიას დროს მქონდა იქ პროექტი შეტანილი და მისგან უარი მივიღე, მაგრამ ეს პოლიტიკური უარი არ იყო. გიამ მითხრა, რომ ეს უარი ფინანსური კრიზისით იყო განპირობებული.

— ანუ ახლა საზოგადოებრივ არხს ფინანსური პრობლემა მოუგვარდა?

— ეს მე არ ვიცი. ერთ დღეს ზურა ფანქველაშვილმა, რომელიც მთელი ეს წლები ჩემი რეჟისორი იყო და ახლაც იქნება, დამირეკა და მითხრა, რომ გიორგი ბარათაშვილს (საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი გენერალური დირექტორი. ავტ.) ჩემთან სურდა შეხვედრა. სწორედ მისგან წამოვიდა წინადადება. ეს პროექტი მე არ შემიტანია, რადგან საზოგადოებრივ მაუწყებელზე სიტუაცია ახალი შეცვლილი იყო. გიორგისთან რამდენიმე კითხვა დავსვი. აღმოჩნდა, რომ ჩემი და მისი აზრები ერთმანეთს ემთხვეოდა.

„სულ მზახავდა 40 წელი. ვამბობდი, 40 წლის ჩომ გავხდები, ყველაფჩის პჩესტიჟეჩი ოპეჩაცია უნდა გავიჟეთო-მეთქი. 42 წლის ვხდები და საეჩთოდ ახაფჩის შეცვლა მინდა“.

Cyan Magenta Yellow Black

მათ წინადადებას სიამოვნებით დავთანხმდი. ეს არხი არის ზონა, სადაც ვერავინ შეგედავება, შენი კითხვის დასმის მიღმა რა შეიძლება იყოს. მედია დღემდე ორად არის გაყოფილი. საზოგადოებრივი მაუწყებელი ამ მხრივ ყველაზე საინტერესოა.

ჩემი კარიერა, როგორც წამყვანმა და არა, როგორც რეპორტიორმა, „პირველ არხზე" დავიწყე. მაგალითად, როცა მიხეილ საკაშვილი ოპოზიციაში გადავიდა, მას ჩემთან ყოფნისას პირდაპირ ეთერში ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ დაურეკა. მიმაჩნია, რომ ჩემი მხრიდან ამ არხზე არჩევანის შეჩერება სწორია. შეიძლება ეს შედარებით უფრო ნაკლები რეიტინგი, ნაკლები ხელფასი და ფინანსური რესურსებია, მაგრამ, ვფიქრობ, აქ ბევრად საინტერესო იქნება ჩემთვის.

„ვაპირებ, ჩემი დაბადების დღე მხოლოდ მეგობარ გოგონებთან ერთად აღვნიშნო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კაცები მძულს. გადავწყვიტეთ, გოგონები საგანგებოდ შეძენილი კაბებით და გაპრანჭულები შევხვდეთ ჩემს 42-ე წელს".

— გაგვიმხილეთ თქვენი ახალი ტოქ შოუს დეტალები.

— გადაცემა მარტის ბოლოდან, კვირაში ორი დღე გავა ეთერში და, სავარაუდოდ, ორსაათიანი იქნება. ერთი დღე კვირა შევარჩიე, რადგან პოლიტიკოსები სხვა დღეებში ქუთაისში არიან გადახვწილი და მხოლოდ ჩართვების ამარა ვერ ვიქნებოდი. მეორე დღე კი, სავარაუდოდ, ოთხშაბათი იქნება. ვფიქრობთ, რომ ოთხშაბათს ეთერში სტუდიური ფორმატით გავიდეთ და კვირას — დიდი დარბაზით. განსაკუთრებულს არაფერს ვგეგმავ. ამას წინათ ვიღაცას კომენტარი მივეცი და დაწერეს, ინგა უპრეცედენტო შოუს აკეთებსო. ძალიან გამიკვირდა, რადგან ეს სიტყვები მე არ მითქვამს. ისეთი ტიპის გადაცემა გაკეთდება, როგორიც 15 წლის განმავლობაში პირდაპირ ეთერში მიმყავდა. საზოგადოება, რეგიონები აქტიურად იქნებიან ჩართული.

სხვათა შორის, ქართულ პოლიტიკას ერთი ძალიან სერიოზული რამ ახასიათებდა, ეს იყო თბილისური პოლიტიკა. ცალკე განიხილებოდა გლდანი, მუხიანი, თემქა... ქართულ პოლიტიკაში ცალკე სეგმენტი იყო ვაკე, მუხიანი — სხვა, რეგიონები არასდროს დომინირებდნენ. მინდა, რომ ჩემს გადაცემაში რეგიონებიც იყოს ჩართული.

— რა ფორმატის იქნება გადაცემა?

— დებატები გვექნება. ძალიან აქტიური დარბაზი მეყოლება. პირველივე გადაცემიდან საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს შევთავაზებთ, რომ თავისი მოსაზრება გამოთქვას. ამისთვის ინტერნეტსივრცესაც გამოვიყენებთ.

— გადაცემას რა ერქმევა?

— სამი სახელწოდებაა შერჩეული და რამდენიმე დღეში გადაწყდება, რა ერქმევა. მე უფრო მეტად იმ სახელისკენ ვიხრები, რაზეც ჩემი პროდიუსერები არ მეთანხმებიან. მინდა, გადაცემას ერქვას „დებატები პირველ არხზე". ბევრი გადაცემა მაქვს წაყვანილი და ბევრის სახელწოდება მაქვს მოფიქრებული. ჩემი აზრით, რაც უფრო მარტივია სახელწოდება, მით უფრო კარგია.

— ტოქ შოუ მხოლოდ პოლიტიკური იქნება თუ მრავალმხრივი?

— არც ჩემი წინა გადაცემები ყოფილა მხოლოდ პოლიტიკაზე და არც ეს იქნება. ეს ტოქ შოუ შეეხება იმას, თუ როგორ აისახება გარკვეული პოლიტიკური გადაწყვეტილებები საზოგადოებაზე, მაგალითად, სპორტზე, კულტურაზე. ჩვენ ხომ ვიცით, რომ საქართველოში ყველაფერი პოლიტიკამდე დადის. თემები შეიძლება იყოს სექსუალურ უმცირესობებზე, რელიგიურ პრობლემებზე, ლიტერატურაზე და ასე შემდეგ.

— ახალ პოლიტიკურ რეალობაში, რაც დღეს გვაქვს საქართველოში, სამუშაოდ რამდენად კომფორტული გარემო გექნებათ?

— ჩემი პოტენციური რესპონდენტებისთვის შეტყობინება გაგზავნილი მაქვს, რომ ეთერს ვიწყებ. რამდენიმე პოლიტიკოსმა მითხრა, რომ ჩემს გადაცემას ელოდებიან. მთავარი ის არის, რომ ყველა მეუბნება, გადაცემაში მონაწილეობას მივიღებო. ყოველთვის ვამბობდი, რომ ჩემს რესპონდენტებთან კარგი ურთიერთობა მქონდა. თქვენთან კიდევ ერთხელ ვაღიარებ, მათთან წინასწარ რაღაცეებზე შევთანხმებულვარ, რომ ექსკლუზივი მე მქონოდა.

— პირველი გადაცემის თემაც და სტუმრებიც უკვე შერჩეული გყავთ?

— ამას ალბათ ორი დღით ადრე შევარჩევ. სხვათა შორის, ერთადერთი, ვინც პირადად არასდროს მინახავს, ბიძინა ივანიშვილია და ვიმედოვნებ, როცა ჩემს გადაცემაში სტუმრობას შევთავაზებ, უარს არ მეტყვის.

— ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ქართულ ტელესივრცეში პოლიტიკური გადაცემა და ტოქ შოუ ისევ მომრავლდა, ისინი უკვე ყველა არხზეა და დიდი კონკურენციაა. მოახერხებთ ასეთ პირობებში ექსკლუზივებზე მუშაობას?

— ეს უკვე ჟურნალისტური ხერხებით მოხდება. მქონია შემთხვევა, როცა რესპონდენტი ერთი კვირაც კი დამლოდებია, რომ გადაცემაში ჩემთან მოსულიყო და არა — სხვაგან. მე მომანდეთ, როგორ შეიძლება რომელიმე მთავარი სტუმარი სხვაგან კი არა, ჩემთან იყოს. არც ერთ რესპონდენტთან, კახა ბედუქიძესთანაც კი, არ მქონია ცუდი ურთიერთობა, მათ შორის არც გიგა ბოკერიასთან, რომელსაც ერთი-ორჯერ ეთერში ძალიან დავუჩაგრივარ.

„არც ეთერში ჰესპონდენტთან, კახა ბედუქიძესთანაც კი არ მქონია ცუდი ურთიერთობა, მათ შორის არც გიგა ბოკერიასთან, რომელსაც ერთი-ორჯერ ეთერში ძალიან დავუჩაგრივარ".

— მაყურებელი თქვენგან მიჩვეულია გარეგნული სტილის ხშირ ცვლას. როგორ ემზადებით ახალი ტოქ შოუსთვის, თქვენს გარეგნობაში რაიმე ცვლილებებს შეიტანთ?

— განსაკუთრებულად არ ვემზადები. ეს არის პირველი ეთერი, რომლისთვისაც ვიზუალურად არ ვემზადები.

— რატომ?

— არ ვიცი. ახლახან ჩემმა რეჟისორმა დამირეკა და მითხრა, რომ გადაცემის პრომო უნდა გავაკეთოთ. სტილისტს დავურეკე და ვკითხე, თმები როგორ შევიჭრა-მეთქი. ეთერში გრძელი თმით ვერ გავალ, რადგან ეკრანს ეს არ უხდება. ამაზე სწორედ იმ დღეს დავფიქრდი პირველად. ჩვენს ქვეყანაში იმდენი რამ ხდება, რომ ჩემს ვიზუალსა და კულულებზე არ უნდა ვიფიქრო. სხვათა შორის, არც განსაკუთრებული სტუდია კეთდება და არც განსაკუთრებული ფინანსური ხარჯი იქნება გაღებული „პირველი არხის" მხრიდან. ეს გადაცემა ერთ-ერთი რიგითი იქნება.

ერთი სიტყვით, არ ვიცი, რამდენად მომხიბვლელი ვიქნები. ჩემი აზრით, ქართულ რეალობაში მოცემულობა შეიცვალა. ტუჩი როგორი გაქვს და თმა როგორ გაქვს დავარცხნილი, ეს უკვე დიდიხანია მაყურებელს არ აინტერესებს, მთავარია, მათ რას აწვდი.

— სიმბოლურ დღეს ხართ დაბადებული, 8 მარტს — ქალთა დღესასწაულზე. რა განცდებით ხვდებით წელს ამ დღეს?

— 8 მარტს 42 წლის ვხდები. როცა გადაცემები დავიწყე, 27 წლის ვიყავი. 42-სა და 27-ს შორის დიდი სხვაობაა. ძალიან გავიზარდე. მეცინება, რომ 42 წლის ასაკში მეექვსედ ვიწყებ ნულიდან.

— როგორ ფიქრობთ, ეს ასაკი პირადი ცხოვრების თავიდან დასაწყებადაც კარგი დროა?

— ძალიან კარგი. დედაჩემი 30 წლის რომ გახდა, ასაკოვანი მეგონა. სულ მზარავდა 40 წელი. ვამბობდი, 40 წლის რომ გავხდები, ყველაფრის პლასტიკური ოპერაცია უნდა გავიკეთო-მეთქი. 42 წლის ვხდები და საერთოდ არაფრის შეცვლა მინდა. ჩემი ცხოვრება მომწონს და ბედნიერი ვარ.

ჰო, მართლა, ახალი გატაცება მაქვს, სახლში ძაღლი, ლაბრადორი მყავს და ვზრდი. ახალ ეტაპებს ველოდები. არ იფიქროთ, რომ ბებერი ქალივით ვამბობ, მაგრამ 40 წლის მერე ემოცია სრულიად სხვანაირია. ადრე რაზეც გავბრაზდებოდი და ყველაფერს დავანგრევდი, ახლა სხვანაირად ვიქცევი. ძალიან ჩვეულებრივად გამოსავალს ვეძებ ხოლმე.

— როგორ აპირებთ დაბადების დღის აღნიშვნას?

— ვაპირებ, მხოლოდ მეგობარ გოგონებთან ერთად აღვნიშნო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კაცები მძულს. გადავწყვიტეთ, რომ გოგონები საგანგებოდ შეძენილი კაბებით და გაპრანჭულები შევხვდეთ ჩემს 42-ე წელს. დაბადების დღიდან დაახლოებით ორ კვირაში ეთერშიც გავალ. მაშინ, როცა პირველად გავდიოდი ეთერში, სხვა ეიფორია მქონდა, ახლა მეტი პასუხისმგებლობა მაქვს. ამ ყველაფერს უფრო მეტი სერიოზულობით ვუყურებ.

✓ ეკა ლემონჯავა

Cyan Magenta Yellow Black

■ მიხეილ სააკაშვილი

ივანიშვილმა პრეზიდენტზე ხელები დაიბანა

შეხვედრამ, რომელსაც მთელი საქართველო ელოდა, „ჩემი შენ გითხარი“-ს რეჟიმში ჩაიარა

■ ბიძინა ივანიშვილი

4 მარტი. 2013 წელი. 15 საათი. შეხვედრის ადგილი: საქართველოს სახელმწიფო კანცელარია, საპრეზიდენტო ფლიგელი. პრემიერმინისტრისა და პრეზიდენტის რამდენიმე დღით ადრე დაანონსებული შეხვედრა დათქმულ დროს და დათქმულ ადგილას შედგა. პრეზიდენტი კანცელარიასთან საკუთარი ცისფერი ელექტრომობილით გამოცხადდა, რომლის საჭესთანაც, უკვე რამდენიმედღიანი ტრადიციისამებრ (თუ პროტესტისამებრ), თავად იჯდა.

ბიძინა ივანიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის პირისპირ საუბარი, რომელმაც დაახლოებით 1 საათი და 18 წუთი გასტანა, პრესისთვის დახურული იყო. როცა იქიდან გამოსულებმა ჟურნალისტებთან შეხვედრა ცალ-ცალკე ისურვეს, უკვე ნათელი გახდა, რომ შეთანხმება არ შედგა და, სავარაუდოდ, „ჯახიც“ მოხდა, რა თქმა უნდა, სიტყვიერი. სააკაშვილმა კანცელარიის პირველი სართული არჩია ბრიფინგისთვის, ივანიშვილმა კი — მე-11. პრესამ მაშინვე იყნოსა, რომ შეხვედრა კონსტრუქციული ვერ გამოდგა. ეჭვები ჯერ სააკაშვილის გაღიზიანებულმა ტონმა დაადასტურა — აღნიშნა კიდეც, ბუნებრივია, საუბარი ემოციური იყოო, მოგვიანებით კი ივანიშვილმა ღიად განაცხადა ამის შესახებ.

— მე პრემიერს კიდევ ერთხელ დავუდასტურე, როგორ ვხედავ თანამშრომლობის შესაძლებლობას საქართველოში. აქ არის რამდენიმე ასპექტი... რომ გითხრათ, ძალიან კომფორტულად ვგრძნობ ამ თანამდებობაზე თავს დღევანდელ ვითარებაში-მეთქი, სიცრუე იქნება და ამას ნამდვილად არ გაკადრებთ. ამიტომ ის ერთადერთი მიზეზი, რატომაც ვრჩები პრეზიდენტის თანამდებობაზე, ისაა, რომ ქვეყანაში დემოკრატიული სივრცე შევინარჩუნოთ და საკონსტიტუციო სტაბილურობის, ცივილური ურთიერთობის რაღაც შესაძლებლობა მაინც შევქმნათ. ამიტომ ყოველგვარი სპეკულაცია, რომ შეიძლება პრეზიდენტის უფლებამოსილება გამოვიყენო და მთავრობა ან პარლამენტი დავითხოვო, უბრალოდ არ შეესაბამება სიმართლეს. ეს მთავრობა ქართველმა ხალხმა აირჩია. ჯერ კიდევ მოკლე პერიოდია იმისთვის, რომ სრულფასოვნად და ადეკვატურად შევაფასო ან მე და ან ხალხმა, რომელმაც აირჩია. ამგვარად, ლაპარაკი, რომ ასეთი განზრახვა შეიძლება დაიბადოს, უნდა გამორიცხოს... მთავრობას შეუძლია წყნარად იყოს. არავინ არავის არ დაითხოვს. არავის ვხსნი. შეიძლება აქ ბევრი დარღვევა და ბევრი გაუგებრობაა, მაგრამ ნამდვილად არ მინდა, ვინმეს ვათქმევინო, რომ ახლა კარგი რამის გაკეთება უნდოდათ და ხელი შეუშალეს. ნეტავი, კარგი გააკეთონ. მხოლოდ მივესალმები, ორი ხელით ვარ ამის მომხრე, — დაახლოებით ასეთი იყო პრეზიდენტის ნაწყვეტ-ნაწყვეტი და ემოციური კომენტარი.

საბოლოოდ გამოიკვეთა, რომ მან სამი მოთხოვნა წაუყენა პრემიერს — თავისუფალი სასამართლო, თავისუფალი მედია და მასობრივი დევნის შეწყვეტა.

— იმის თქმას, ვიღაცას ვერ ვიჭერთ და ამიტომ ვერ ვმუშაობთო, მგონი, სერიოზულად არავინ იღებს. ჩვენ გვჭირდება მთავრობა, რომელიც ეფექტურია, არავინ უშლის ხელს და მთელი უფლებამოსილება გადავეცით. მეორე მხრივ, საქართველოს მოქალაქეებს სჭირდებათ დიქტატისგან თავისუფალი სასამართლო. ეს სასამართლო ბუნებრივად ვერ იქნება ჩემი დიქტატის ქვეშ და არ უნდა იყოს არავის დიქტატის ქვეშ, ეს არის ჩემი პირველი მთავარი მოთხოვნა... სხვადასხვა პროცესები ვითარდება და ხელის ფათურია საზოგადოებრივ არხზე. იყო მუქარები „რუსთავი 2“-ისა და სხვა არხების მიმართ. ახლა მე ნამდვილად არ მინდა ყველა ისტორიის განზოგადება, მაგრამ ფაქტია, რომ მედიაზე პოლიტიკური კონტროლის დამყარების გეგმაზომიერი კამპანია მიდის. ქვეყანაში უნდა იყოს ალტერნატიული აზრი და ოპოზიცია... და მესამე, მასობრივი დევნა და შევიწროება იმ ნიშნით, რომ ისინი პოლიტიკური პარტიის წევრები არიან, ეს ქვეყნისთვის ცუდია... რაც შეეხება კონსტიტუციას, ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას. იმედი მაქვს, ამ დაბრკოლებებს გადავლახავთ. ბევრად ფართოა ეს საკითხი, ვიდრე ერთი თითის დაჭერა პარლამენტში და გვინდა, ყველა ცვლილება მივიღოთ არა ვიღაცეების ხელის ამოგრეხვით და შანტაჟით, არამედ პოლიტიკური კონსენსუსით, არა ულტიმატუმით, არამედ იმით, რომ ჩვენ ყველა მართლაც დავიჯერებთ, რომ ეს არის ქვეყნისთვის სასარგებლო. ამიტომ ეს შეხვედრები უნდა გაგრძელდეს, — იმავე ტონში აგრძელებდა სააკაშვილი.

პრემიერი ამ ყველაფრით საკმაოდ გაოცებული ჩანდა. „ჩემი შენ გითხარიო, ეს იყო ეს შეხვედრა და კიდევ, შეხვედრა შეხვედრისთვის“, — ასეთი იყო მისი დასკვნა.

— სააკაშვილმა სამი საკითხი დააყენა: მედიის გათავისუფლება ზეწოლისგან, სასამართლოს გათავისუფლება ზეწოლისგან და მესამე — შეწყდეს მასობრივი ძალადობა ხალხზე. 25 000 დაასახელა, მე ვუთხარი, ეს რა ციფრი იყო. ვერ მიპასუხა... მე რამდენჯერმე შევახსენე, რომ შეხვედრა იყო მისი თხოვნით და კარგად უნდა ჩამოეყალიბებინა, რაც სურდა. მე შევახსენე საინტერესო საკითხები, შევახსენე ჩემი ბოლო წერილი, რაზეც პასუხი ვერ გასცა ამ დროის განმავლობაში. ამაზე მითხრა ძალიან საინტერესო რამ, ჩვეულებრივი საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. მერე დავუკონკრეტე: „როგორ ჩვეულებრივი, მთავრობა შეუძლია პარლამენტის თანხმობის გარეშე დანიშნოს ან მოხსნას?“. მან მიპასუხა, რომ რამდენიმე ქვეყნის მაგალითს მოიყვანდა, თუმცა ვერც ერთი გაიხსენა, სადაც პრეზიდენტს ასეთი უფლებები აქვს...

მე მოვუწოდე მას, ნუ რჩებიან ვირტუალურ სამყაროში. მან მიპასუხა, რომ ეს ჩემი აზრია და მას განსხვავებულად მიაჩნია. საუბარი იყო „ჩემი შენ გითხარი“, რასაც მოვუწოდებდი სააკაშვილს, იმავეს მომიწოდებდა მეც, რომ რეალობაში მოვიდე და რეალობაში დავრჩე, — აღნიშნა პრემიერმა პრესკონფერენციაზე.

და, მიუხედავად ყველაფრისა, ივანიშვილი მზად არის ხელმეორე შეხვედრისთვის:

— ჩემი სურვილია, რომ მათ (საუბარია ნაციონალურ პარტიაზე. ავტ.) მოახერხონ და დარჩნენ ღირსეული წევრები საზოგადოებისა. მხოლოდ ეს იყო მიზანი ჩემი შეხვედრის. თუ მომავალში საჭირო იქნება საუბარი, კიდევ მექნება, მაგრამ შეხვედრა შეხვედრისთვის არ უნდა იყოს, როგორც დღეს. საუბარი მექნება მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ნაციონალური მოძრაობის ნებისმიერი წევრი დარჩეს ღირსეულ წევრად, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ზოგიერთ მათგანს კანონი აქვს დარღვეული.

პრემიერმა კატეგორიულად გამორიცხა აპრილში ნაციონალების მიერ დაგეგმილ აქციაზე რაიმე სახის არეულობა.

Cyan Magenta Yellow Black

— ჩვენ გვქონდა სხვა ტიპის საუბრებიც. მე დავარწმუნე ის (სააკაშვილი. ავტ.), რომ არანაირი არეულობა არ მოხდება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთებს ამის სურვილი აქვთ. არ მოხდება და ვერ მოახერხებს ვერავინ ქუჩაში დაპირისპირების გადატანას და საქართველოში არეულობის მოწყობას, — აღნიშნა ივანიშვილმა.

და რაც ყველაზე მთავარია, პრემიერმა ვერ მოისმინა პრეზიდენტის პოზიცია საკონსტიტუციო ცვლილებებთან მიმართებაში, მაგრამ თავად ივანიშვილი თითქმის დარწმუნებულია, რომ ეს ცვლილებები გავა:

— ვფიქრობ, რომ დღეს ნაციონალურ მოძრაობაში ძალიან ბევრი ნორმალური ადამიანია, ვისაც ანალიზი და ქვეყნის პერსპექტივაზე ფიქრი შეუძლია. მე განცდა მაქვს, რომ ეს კანონპროექტი აუცილებლად გავა. თუ არ გავა, ამით საზოგადოება ნუ დაიძაბება, არაფერი მოხდება ამით, გარდა იმისა, რომ ნაციონალური მოძრაობის დიდი ნაწილი თავს შეირცხვენს... ვუთხარი, ვერაფერსაც ვერ იზამთ, ეს გავა თუ არა, მაგრამ როდესაც შენ იმაზე საუბრობ, რომ ამას გამოიყენებ, რომელი ილია ჭავჭავაძე შენ ხარ, რომ ამაზე საუბრობ-მეთქი. როგორ შეიძლება საერთო კანონზე ასე საუბარი, გამოიყენებს თუ არა?! კანონი უნდა იყოს ისეთი, რომ მისი გამოყენება ყველას შეეძლოს. ეს უნდა იყოს საზოგადოებისთვის მისაღები. კონსტიტუციაში უნდა ჩავწეროთ, რომ სააკაშვილს აქვს უფლება, მაგრამ ამას არ გამოიყენებს?! ესეც სასაცილო პოზიციაა.

პრესკონფერენციის ბოლოს კი ქვეყნის საგარეო კურსთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილის სპეციალური განცხადება გადმოგვეცა, სადაც აღნიშნულია, რომ მიხეილ სააკაშვილი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე პირადი პასუხისმგებლობით მოქმედებს. თუ ამ განცხადების ტექსტს გავაანალიზებთ, მივალთ დასკვნამდე, რომ ხელისუფლებამ პრეზიდენტზე ხელები დაიბანა და დაპირისპირება ახალ ფაზაში გადავიდა:

„საქართველოს პრეზიდენტის ბოლოდროინდელი უპასუხისმგებლო განცხადებები და მოქმედებები ეწინააღმდეგება საქართველოს მთავრობის კურსს აღნიშნული მიმართულებით, ლახავს ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟს და ახალ ხელისუფლებას პრობლემებს უქმნის. გულწრფელად ვწუხვარ, რომ ამის გამო უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მეგობარი სახელმწიფოების მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც, რისთვისაც საქართველოს მთავრობის სახელით მათ ბოდიშს ვუხდი... ვინაიდან არც მომავალში ვართ დაზღვეული მსგავსი ინციდენტებისგან, მინდა, განვაცხადო, რომ საქართველოს პრეზიდენტი 2013 წლის ოქტომბერში მისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე მოქმედებს პირადი პასუხისმგებლობით. მისი ვიზიტები არ არის კოორდინირებული საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, მისი განცხადებები არ გამოხატავს საქართველოს მთავრობის პოზიციებს, თუ ეს არ არის დადასტურებული ქვეყნის ახალი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ“.

✓ მანანა გეგია

კახა კოჟორიძე: „ჩემი ლექსების უმეტესობა თინათინს ეძღვნება“

ხისთვის დასაჯეს საია-ს თავმჯდომარის მოსამართლე მამა

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში ყოველ წელს ახალ თავმჯდომარეს ირჩევენ, რომელსაც დიდი შერჩევისა და კენჭისყრის შემდეგ ასახელებენ. პრინციპულობა, კვალიფიციურობა, სწორი ხედვა — ის თვისებებია, რომლებითაც ამ თანამდებობაზე მყოფი იურისტი უნდა გამოირჩეოდეს. წელს ამ ადგილზე 31 წლის კახა კოჟორიძე აირჩიეს. ის ხაშურშივ გაზრდილი. დედა გეოგრაფიის მასწავლებელი ჰყავს, მამა კი — ხაშურში ცნობილი მოსამართლე, კუკური კოჟორიძე, რომელიც ვარდების ხელისუფლებამ ჯერ გაასამართლა, მერე კი სამსახურიდან წასვლა აიძულა.

■ კახა კოჟორიძე

კახა კოჟორიძე არც ისე დიდიხნის წინ დაქორწინდა. ცოლად ასევე იურისტი თინათინ ჩანადირი მოიყვანა. სამი თვის ვაჟი, ალექსანდრე ჰყავთ. ახალბედა მამა, მას შემდეგ, რაც საია-ს თავმჯდომარე გახდა, შვილთან ყოფნას ველარ ახერხებს და ამის გამო წუხს. ცოლიც ეხვეწება, მომავალ წელს ამ პოსტზე უარი თქვას.

— კახა, შეგახსენოთ ჩვენს მკითხველს, რიგორ ხდება საია-ს თავმჯდომარის არჩევა, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ის.

— საია-ს გამგეობა 21 წევრისგან შედგება და ეს 21 ადამიანი ირჩევს თავმჯდომარეს. ზედიზედ ერთი და იმავე ადამიანის არჩევა სამჯერ შეიძლება. გამგეობის წევრს აქვს უფლება, საკუთარი თავი ან სხვა დაასახელოს კანდიდატად და ვინც ხმათა უმრავლესობას მიიღებს, ის ხდება თავმჯდომარე. მე სხვებმა დამასახელეს. საია-ს წესდებაში არ წერია, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს თავმჯდომარე, თუმცა ამ დროს ბევრ მომენტს ექცევა ყურადღება: პრინციპულობას, კვალიფიციურობას, სწორ ხედვას, თუ რას წარმოადგენს საია, რა მიზნები და ვალდებულებები აქვს ამ ორგანიზაციას.



■ კახა და თინათინი ქორწილის დღეს

„თინათინი ძალიან ლამაზია. შინაგანადაც ჯანჯი ადამიანია და ინტელექტუალური შესაძლებლობებიც შესანიშნავი აქვს. ყველაფერით მომხიბლა“.

საია-ში მუშაობა 2007 წლის 21 თებერვლიდან დავიწყე. თავიდან იურიდიული დახმარების ცენტრში სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის ადვოკატი ვიყავი, მერე — იურიდიული დახმარების ცენტრის დირექტორი, მერე — გამგეობის წევრი და ბოლოს გამგეობის თავმჯდომარე გავხდი.

— იურისტობა მოსამართლე მამის ფაქტორმა გადაგაწყვეტინათ?

— იურიდიულზე ჩაბარება ყოველთვის პრესტიჟად ითვლებოდა. ბიზნესის განხრითაც მიფიქრია, ბავშვობაში რეჟისორობა მინდოდა, მაგრამ საბოლოოდ იურისტობა ვარჩიე და ვფიქრობ, რომ ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. ახლა იურისტებს განსაკუთრებული როლი აქვთ დემოკრატიის განვითარების კუთხით. ჩემს გადაწყვეტილებაში ერთ-ერთი როლი მამაჩემმაც ითამაშა. ის ხაშურის რაიონში მოსამართლე იყო და საკმაოდ კარგი სახელით სარგებლობდა. დღემდე პატივს სცემს ადგილობრივი მოსახლეობა, როგორც კარგ მოსამართლეს და პიროვნებას. თვითონ მამას არ ურჩევია ჩემთვის, რომ იურისტი ვყოფილიყავი.

— ხაშურში გაატარეთ ბავშვობა?

— თბილისში დავიბადე. მერე სამი-ოთხი წელი კახეთში, ბებიასთან და პაპასთან ვიზრდებოდი. დედაჩემი იქაურია, სოფელ ველისციხიდან. სკოლაში ხაშურში შევედი და იქვე დავამთავრე. ჩემი მშობლები ახლაც იქ ცხოვრობენ. ჩემი გვარი წარმოშობით მესხეთ-ჯავახეთიდან არის. პაპაჩემი იქიდან გასული საუკუნის 60-იან წლებში წამოვიდა და ხაშურში დასახლდა. ტრადიციად გვაქვს, 28 აგვისტოს, მარიამობადღეს, ვარძიაში მივდივართ. იქ ამ დღესასწაულს განსაკუთრებით აღნიშნავენ და ვარძიობას ეძახიან. სამცხე-ჯავახეთი ჩემი საყვარელი კუთხეა.

ჩვეულებრივი ბავშვობა მქონდა. ერთ-ერთ კარგ მოსწავლედ ვითვლებოდი. ვერ ვიტყვი, რომ ყველა საგანს ერთნაირი მონდომებით ვსწავლობდი. ქიმია და მსგავსი საგნები ნაკლებად მაინტერესებდა. რამდენიმე თვე ფეხბურთზე ვიარე და მივხვდი, რომ ფეხბურთელი ვერ გამოვიდოდი და თავი დავანებე. ჭიდაობაზე ცოტა დიდხანს ვიარე. ყველაზე მეტად ჭადრაკზე სიარული მიყვარდა და პატარ-პატარა მიღწევებიც მქონდა რაიონულ დონეზე.

უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, „თიბისი ბანკს“ კონკურსი ჰქონდა გამოცხადებული პრობლემური სესხების განყოფილებაში, გავიმარჯვე და დავიწყე მუშაობა. სამი-ოთხი კვირა ვიმუშავე და ამის მერე ბანკის მენეჯმენტის განყოფილებაში მითხრეს, კონტრაქტს ვერ გაგიფორმებთ, რადგან სამუშაო გამოცდილება არ გაქვს და პროცესებზე ვერ გენდობითო. ბანკის გენერალურ დირექტორს, ვახტანგ ბუცხრიკიძეს შევხვდი და რადგან არაფერი გამოვიდა,

→10

Cyan Magenta Yellow Black

გადავწყვიტე, სასამართლოში შემეტანა სარჩელი.

ჩემი მთავარი მიზანი არ იყო ბანკში დაბრუნება. როცა მითხრეს, პროცესებზე ვერ გენდობითო, შევეცადე, დამემტკიცებინა, რომ ასე არ იყო საქმე. ამაში დარწმუნდნენ კიდეც. პირველი ინსტანციის მოსამართლემ უთხრა, ალბათ მიხვდით, თქვენ არ გაქვთ საფუძველი, იფიქროთ, რომ პროცესზე გამოსვლა არ შეუძლია, რადგან ხედავთ, როგორ გამოვიდა სასამართლოზე და იქნებ რაღაცაზე მორიგდეთო, მაგრამ ბანკმა მაინც უარი თქვა. ვერ გავიმარჯვე, მაგრამ დავარწმუნე, რომ ასე არ იყო. იურისტი ვარ და როცა არასწორად იქცევიან, სამართლებრივად უნდა დავანახო.

მერე ადვოკატურაში დავიწყე მუშაობა ადვოკატად.

— „სარკასთვის“ ცნობილი გახდა, რომ წინა ხელისუფლებამ მამათქვენი მოსამართლეობიდან გაათავისუფლა. გვიამბეთ, რა მოხდა.

— რაც საია-ს თავმჯდომარე გავხდი, ამ თემაზე აღარ ვსაუბრობ, რადგან ხშირად მიწევს სასამართლო ხელისუფლების კრიტიკა და ვცდილობ, ობიექტურობა შევინარჩუნო. არ მინდა, ჩემმა პირადმა თემამ მოახდინოს ამაზე გავლენა.

— თემცა ფაქტს, რაც მოხდა, ვერსად ვაუქცევთ და კარგი იქნება, თუ ვისაუბრეთ და არ დაუმალავთ.

— კი, მაგრამ არ მინდა, ვინმემ იფიქროს, სასამართლო სისტემის მიმართ იმიტომ არის კრიტიკული, რომ მისი ოჯახის წევრს ასე მოექცნენო. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ახლა რომ საუბრობს ზეწოლებზე, ადრე არათუ იცოდა ამის შესახებ, არამედ თავად ახორციელებდა. მამაჩემის ამბავი კარგად წარმოაჩენს მაშინდელი უმაღლესი თანამდებობის პირების ნებას, რომ ყველანაირად შეეშალათ ხელი დამოუკიდებელი სასამართლოს ჩამოყალიბებისათვის. ვგულისხმობ ადეიშვილს, კუბლაშვილს და სააკაშვილს. ეს სამი პირი მონაწილეობდა მამაჩემის მიმართ უკანონო ქმედებაში.

მამაჩემს ჰქონდა ერთი კონკრეტული საქმე. ერთმა პიროვნებამ 2006 წლის 18 აპრილს დანაშაული ჩაიდინა. მამაჩემმა განაჩენი გამოიტანა და ბრალდებულს პირობითი მსჯავრი შეუფარდა, მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურა არ იყო ამაზე თანახმა და დაპატიმრებას ითხოვდა. საქმეში კი არსებობდა შემამსუბუქებელი გარემოებები, რაც მოსამართლემ გაითვალისწინა და ციხეში არ გაუშვა პირველი კურსის სტუდენტი, რომელიც პირველად იყო ბრალდებული. ამის გამო გენერალურმა პროკურორმა ძიება დაიწყო მოსამართლის წინააღმდეგ, რადგან მათი მოსაზრებით, ეს გადაწყვეტილება უკანონო იყო. სამართლებრივად რომ სწორი იყო ის განაჩენი, რაც მამაჩემმა გამოიტანა, იურიდიული ფაკულტეტის პირველ-მეორე კურსის ნებისმიერი სტუდენტი დაგიდასტურებთ.

— რატომ უნდოდათ იმ პიროვნების ციხეში გაშვება?

— ეს ყველაფერი კონკრეტულ პიროვნებას არ უკავშირდებოდა, ეს იყო პოლიტიკა.

— ანუ პროკურატურის პოზიციის უგულებელყოფისთვის დასაჯეს მამათქვენი?

— ის ადამიანი აუცილებლად ციხეში უნდა წასულიყო და ვერ გადაიტანეს, რომ ეს ჩაუვარდათ. მამაჩემი ადრეც იყო „შემჩნეული“ მსგავს ქმედებებში, რადგან ცდილობდა, მოსამართლის როლი შეენარჩუნებინა. ხელისუფლების პოლიტიკის მიხედვით კი, სასამართლო ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გამტარებელი უნდა ყოფილიყო. მოსამართლე აღმოჩნდა ამ პოლიტიკასთან წინააღმდეგობაში, რაც არ აპატიეს.

სასამართლომ მამაჩემს 15 ათას ლარიანი გირაო შეუფარდა. დაყადაღეს ჩვენი სახლი და დაიწყო ძიება. სააპელაციო სასამართლომ იცოდა, რომ ამ ყველაფერში სამი უმაღლესი თანამდებობის პირი მონაწილეობდა. შესაბამისად, ამ ზეწოლას ვერ გაუძლეს, გააუქმეს მამაჩემის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და ის ადამიანი ციხეში შეაბრუნეს. მამაჩემს ეუბნებოდნენ, სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადება დაწერე და ძიებას შეწყვეტთო. ვთხოვდი, არ დათანხმებულიყო, მაგრამ მითხრა, რომ ხედავდა საფრთხეს — მის შვილებს შეიძლებოდა რამე შემთხვეოდათ და ვერ გარისკავდა. არადა ევროპის სასამართლოში 100%-ით წარმატებას მივაღწევდით. საბოლოოდ მამამ დაწერა წამოსვლის შესახებ განცხადება და ძიებაც შეწყვიტეს.

■ „ᲪᲝᲚ-ᲨᲕᲘᲚᲡ ᲘᲡᲔ ᲕᲔᲜᲐᲢᲠᲔᲑᲘ, ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲠᲜᲗᲐᲜ ᲘᲯᲕᲔᲑᲔᲜ ᲩᲔᲛᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲤᲝᲢᲝᲡᲔᲑᲡ“.

„ᲐᲘᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲡᲗᲐᲜ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲒᲐᲜᲢᲕᲘᲗᲘᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲛᲣᲐᲚᲔᲑᲐᲐ. ᲜᲔᲚ-ᲜᲔᲚᲐ ᲩᲐᲚᲐᲪᲔᲕᲔᲑᲡ ᲡᲜᲐᲕᲔᲑᲡ, ᲣᲙᲕᲔ ᲘᲪᲘᲜᲘᲡ“.

ახლა კი რა ხდება?! პროკურატურამ დაიბარა ფოთის მოსამართლე, უკანონო განაჩენი გამოიტანაო და ამაზე ბატონმა კუბლაშვილმა პრესკონფერენცია მოაწყო, როგორ შეიძლება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით პროკურატურამ კითხვა დაუსვასო. პროკურატურა იმ მოსამართლეს ედავება, რომ მას არ ჰქონდა უფლება, ის პირი ციხეში გაეშვა, რადგან იმ კონკრეტულ მუხლს ამნისტია ეხებოდა.

— მას მერე მამა უმუშეოდაა?

— ადვოკატად მუშაობს. სურვილი აქვს, რომ ისევ მოსამართლე იყოს და ვფიქრობ, იმსახურებს კიდეც. თუ ვინმეს უკანონობის გამოსწორება უნდა, ერთ-ერთი უკანონობის მაგალითი აგერ არის.

— საია-ში რა რეჟიმით მუშაობთ?

— დილიდან გვიანობამდე სამსახურში ვარ. საღამოს 10-11 საათზე მივდივარ სახლში და ღამის 2-3 საათამდე ისევ სამსახურის თემაზე ვმუშაობ. პირადი ცხოვრება თითქმის აღარ მაქვს. საია-ს ყველა თავმჯდომარე ასე იყო და ამას ვაცნობიერებდი.

— თქვენი მეუღლე გაგაცანით.

— ჩემი მეუღლე თინათინ ჩანადირია. საია-ში გავიცანი, ისიც იურისტია. ჩვენი თანაშემწე იყო იურიდიული დახმარების ცენტრში. გაცნობიდან ძალიან მალე შეგვიყვარდა ერთმანეთი. თინათინი ძალიან ლამაზია. შინაგანადაც კარგი ადამიანია და ინტელექტუალური შესაძლებლობებიც შესანიშნავი აქვს. ყველაფრით მომხიბლა და მოვლენები კარგად განვითარდა.

— რომანტიკულად?

— კი, საკმაოდ რომანტიკული ვარ. ლექსებსაც ვწერდი. ახლა დრო არ მაქვს, თორემ... პოეზია და მხატვრული ლიტერატურა ძალიან მიყვარს.

— ლექსებს სიყვარული გაწერინებთ?

— კი, ძირითადად სიყვარული მაწერინებს. პოეტობაზე თავს არ ვდებ, მაგრამ ამბობენ, რომ კარგად გამომდის. სულ რამდენიმე ლექსი მაქვს დაწერილი.

— ყველა თინათინს ეძღვნება?

— თინათინის გაცნობამდეც მაქვს ლექსები დაწერილი, რომელიც ხან ვის მივუძღვენი, ხან — ვის, მაგრამ მათი უმეტესობა თინათინს ეძღვნება.

— თინათინი ისევ საია-ში მუშაობს?

— არა, ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში მუშაობს. ახლა დეკრეტულ შვებულებაშია და პატარა ალექსანდრეს უვლის.

— მამის ამბლოაში ადგილად შეხვედით?

— როცა ალექსანდრე დაიბადა, კერძო იურიდიულ საქმიანობას ვეწეოდი. დრო საკმაოდ მქონდა და მასთან ვატარებდი. თავიდან მიჭირდა მისი ხელში დაჭერა, მეშინოდა, რამე არ სტკენოდა, თავი არ გადავარდნოდა. ალექსანდრესთან თამაში განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა. ნელ-ნელა რაღაცეებს სწავლობს, უკვე იცინის. რაც საია-ს თავმჯდომარედ ამირჩიეს, ვეღარ ვახერხებ მასთან ყოფნას. ვცდილობ, თინათინს მის მოვლაში დავეხმარო, მაგრამ დროის გამო ნაკლებად გამომდის. მეუღლემ ძალიან მთხოვა, ერთი წლის მერე საია-ს თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობა აღარ მივიღო და სხვა სამსახური ვეძებო.

— დაუჯერებთ?

— ჯერ არ ვიცი. როცა ამირჩიეს, ჩავთვალე, რომ ასე სჭირდებოდა კონკრეტულ სიტუაციას და მომავალშიც ასე იქნება. თუ საჭიროებას დავინახავ...

— მარტო ცხოვრობთ თქვენ, ცოლი და ბავშვი?

— არა, მეუღლის მშობლებთან ვცხოვრობ, რომლებიც ძალიან მეხმარებიან. მათთან თავს კარგად ვგრძნობ.

— თბილისში თქვენი სახლი თუ გაქვთ?

— თბილისში ჩემ მიერ შეძენილი ორი სახლი მაქვს. ხელფასით და საადვოკატო საქმიანობით შევძელი ეს. ერთ სახლზე კრედიტი ავიღე და ისევ ვიხდი. ასე რომ, თინათინის მშობლებთან ერთად ცხოვრება უბინაობას არ უკავშირდება. ალექსანდრე ცოტა რომ მოიზრდება, ალბათ ჩემს სახლში გადავალთ და ძიძას ავიყვანთ. მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი სიდედრი ერთ-ერთი საუკეთესო კულინარია, უგემრიელეს კერძებს აკეთებს.

— თავის დროზე საია-ს თავმჯდომარე იყო დავით უსუფაშვილიც, რომელიც ახლა პარლამენტის თავმჯდომარეა. თქვენ მაქსიმუმი რისი ამბიცია გაქვთ?

— არაფერს ვგეგმავ. არც საია-ს თავმჯდომარეობა მქონდა დაგეგმილი. ვიცოდი, რა დღეშიც იყვნენ წინა თავმჯდომარეები. საშინელი გადარბენა-გადმორბენა ჰქონდათ და არ მინდოდა, ასეთი დატვირთული თანამდებობა მქონოდა. სიტუაციამ ასე მოითხოვა და მეც მივიღე გადაწყვეტილება. ახლა ვცდილობ, კონკრეტული საქმე ვაკეთო. მომავალში რა მოხდება, ამას მომავალი მიჩვენებს.

— რისი გაკეთება გსურდათ ყველაზე მეტად?

— მხატვრული ლიტერატურის მშვიდად კითხვა, როცა იცი, რომ საქმე არაფერი გაქვს. ძალიან მიყვარს ნადირობა, ჩემი ჰობია, ახლა ვერც ამას ვახერხებ. ცურვაც მიყვარს, მაგრამ ვერც აუზზე დავდივარ.

✓ რეუდან ადეიძე

Cyan Magenta Yellow Black

ზარალი

ხანძარი ჰოლივუდური სცენარით? — რა აეჭვებს „საბას“ მფლობელს

დანახშირებული 5 მილიონი

26 თებერვალს, საღამოს 9-ის ნახევარზე, თბილისში აბრიალებულმა ხანძარმა დიდი ზარალი მოიტანა. ცეცხლი სავაჭრო ცენტრ „საბას“ გაუჩნდა, რომლის 100-მდე მაღაზია ავეჯით იყო დატვირთული. განადგურდა 6 500 კვადრატული მეტრი, ხოლო 1 700 კვადრატული მეტრი ხანძრის ჩასაქრობად გაშვებულმა წყლის ჭავლმა დატბორა და ის ავეჯიც დააზიანა, რაც ცეცხლს გადაურჩა. შემთხვევის ადგილზე საგანგებო სიტუაციების სამსახურის 35 სახანძრო ბრიგადა მუშაობდა. ხანძრის ლოკალიზებას თითქმის სამი საათი ცდილობდნენ. ცეცხლის კერების ჩაქრობას მეხანძრეები მეორე დღესაც აგრძელებდნენ.

პირველადი მონაცემებით, ზარალი 5 მილიონ ლარს აჭარბებს. ექსპერტ-კრიმინალისტებმა ადგილზე მუშაობა უკვე დასრულეს. სამართალდამცავები ხანძრის გამომწვევ მიზეზებს იკვლევენ. ელექტროენერგიის მოკლე ჩართვა თავიდანვე გამოირიცხა, რადგან, როგორც სავაჭრო ცენტრის მფლობელი და დირექტორი პაატა კაჭარავა ამბობს, ელექტროენერგია და გაზი 7 საათზე მთელ შენობაში ითიშება.

შემთხვევიდან რამდენიმე დღეში სამართალდამცავებს „საბას“ დირექტორმა შენობის გარეთ დამონტაჟებული ვიდეოკამერის მიერ გაკეთებული ჩანაწერი წარუდგინა, რადგან მისი დათვალიერებისას საეჭვო რაღაც შენიშნა. ბატონი პაატა ამის შესახებ „სარკესაც“ უამბობს.

პაატა კაჭარავა, სავაჭრო ცენტრ „საბას“ დირექტორი:

— შენობის გარე პერიმეტრზე ვიდეოკამერები გვაქვს დამონტაჟებული, რომლის ჩანაწერებიც სამართალდამცავებს გადავეცი. პირველადი დათვალიერებით, ხანძარი ხელოვნურად გაჩენილს უფრო ჰგავს. ვიდეოჩანაწერიდან ჩანს, რომ მაღაზიებში, სადაც ჯერ ხანძარი არ იყო, რაღაც უცნაური განათებაა, რაც გვაეჭვებს. შეიძლება ხანძარი ამ განათებამ გამოიწვია. მაღაზიების კარები შუშისაა და ჩანს, რომ ის ნათებები რაღაც ინტერვალებით ჩნდება სხვადასხვა ადგილზე, ანუ ეს იმისთვის გაკეთდა, რომ ცეცხლის კერები სხვადასხვა ადგილას ყოფილიყო. საბედნიეროდ, ვიდეოჩანაწერი გადარჩა, რადგან კამერა ცალკე შენობაში იყო დამონტაჟებული. როცა მეხანძრეებმა მუშაობა დაიწყეს, გარე განათება გავთიშეთ. ჩანაწერიც მანამდეა გაკეთებული, თუმცა, რაც ჩაწერილია, ისიც საკმარისია.

— თაყვანდეთ რატომ გამორიცხეთ ხანძრის გამომწვევად მიზეზად ელექტროენერგია?

— დაწესებულება 7-ის ნახევარზე იკეტება. 7 საათზე სავაჭრო ადგილებში ელექტროენერგია და გაზი მთლიანად ითიშება და შენობას არ მიეწოდება. როცა ობიექტს შუქი არ მიეწოდება, მოკლე ჩართვით ხანძარი როგორ უნდა გაჩნდეს?! რაც შეეხება გარე განათებას, ის გარეთ, ბეტონის კედელზეა გაკეთებული, ხესთან ან სახურავთან კავშირი არ აქვს. სიგარეტის ნამწვავიც რომ დარჩენოდა შიგნით ვიღაცას, ხანძარს ვერ გამოიწვევდა.

საინტერესოა, რომ ცეცხლის შემდეგი კერა

„ხანძარი ხელოვნურად გაჩენილს უფრო ჰგავს. ვიდეოჩანაწერიდან ჩანს, რომ მაღაზიებში, სადაც ჯერ ხანძარი არ იყო, რაღაც უცნაური განათებაა, რაც გვაეჭვებს“.

პირველისგან მოშორებით, დაახლოებით 80 მეტრში იყო, თან ჩანაწერშიც იქ რაღაც განათებები ჩანს. რატომ უნდა ყოფილიყო განათება, როცა შენობაში ელექტროენერგია გამორთული იყო? ყველაფერს ექსპერტიზა უტარდება. ხანძარს, რომელმაც ასე უცებ 6 500 კვადრატული მეტრი გაანადგურა და 120-130 მეტრის სიგრძეზე გავრცელდა, ალბათ მხოლოდ ზღაპარში ან ფანტასტიკურ ფილმებში თუ ნახავთ.

— შემთხვევის დროს თქვენ სად იყავით?

— 7-ის 5 ან 6 წუთი იქნებოდა, როცა ტერიტორიიდან გავედი. დაახლოებით 9-ის ნახევარზე სახლში ახლობელმა დამირეკა და მითხრა, რომ დაცვამ ხანძრის შესახებ შეატყობინა. მაშინვე აქ მოვედი.

— საღამოს, ცენტრის დაკეტვის შემდეგ, მის ტერიტორიაზე უცხო ადამიანს რამდენად ადვილად შეეძლო შესვლა?

— რომ დაიკეტა, მერე არ შეეძლო, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, მანამდე დაეტოვებინა ვინმეს

პაატა კაჭარავა

„ცეცხლის შემდეგი ჯერა ჰიპვეილისგან მოშორებით, დაახლოებით 80 მეტრში იყო, თან ჩანაწერშიც იქ საღაც განათებები ჩანს. იატომ უნდა ყოფილიყო განათება, ოოცა შენობაში ელექტროენერგია გამოთთული იყო?“.

ის რაღაც და თავისი განზრახვა სისრულეში ასე მოეყვანა?!

— რა ინტერესი უნდა ჰქონოდა, ამ შემთხვევას რას უკავშირებთ?

— ვერაფერს გეტყვით. აქ 1998 წლიდან ვმუშაობ. ტერიტორიის ნაწილზე საწარმოები იყო, ნაწილი კი — გამოუყენებელი ფართი და 2005 წელს ეს ბაზრობა გაიხსნა. დირექტორიც და მეპატრონეც მე ვარ. მსგავსი ფაქტი არასოდეს მომხდარა, უსაფრთხოების ზომებიც დაცულია. ჩვენი უსაფრთხოების სამსახური, ჩვენი მეხანძრეები გვყავს. ყველაფერი გაწერილია, საგანგებო სიტუაციების შემთხვევში ვინ როგორ მოიქცეს, ხალხის ევაკუაცია როგორ მოხდეს.

— ხანძარი პარველმა ვის შენიშნა?

— გვერდითი ობიექტის თანამშრომელი შემოვლას აკეთებდა, ცეცხლი დაინახა და ჩვენს დაცვას შეატყობინა. ხანძარი მეორე სართულის მეორე მაღაზიას გაუჩნდა. რაც შეეხება ზარალს, ის რამდენიმე მილიონს აღწევს. მთლიანად არის დამწვარი პირველი დარბაზი, ანუ 6 500 კვადრატული მეტრი. რაც კი ავეჯი იყო ამ ფართობზე განთავსებული, მთლიანად განადგურდა. ზარალს სპეციალური კომისია და საინიციატივო ჯგუფი სწავლობს. დამატებით მოწვეული სპეციალისტებიც გვყავს. ყველა დაზარალებულის ნივთის აღწერის შემდეგ დადგინდება ზუსტი ზარალი.

— მთლიანობაში რამდენი ადამიანი დაზარალდა?

— დაახლოებით 100 მაღაზიაა დამწვარი. ქვემოთა სართულები წყალმა დააზიანა. როგორც მოგეხსენებათ, ავეჯი ხისაა და წყლის ზემოქმედებას ვერ უძლებს. სანამ ტერიტორიაზე აღდგენითი სამუშაოები ჩატარდება, დაზარალებულებს თავისუფალი ფართები უფასოდ შევთავაზეთ.

— შენობა ან მაღაზიები დაზღვეული იყო?

— სამწუხაროდ, არა. მაღაზიების ცალ-ცალკე დაზღვევა უნდა მომხდარიყო და ამის შემდეგ შეიძლებოდა მთლიანი შენობის დაზღვევა. ეს ვერ მოხერხდა, რადგან იქ მომუშავეებმა დაზღვევაზე უარი განაცხადეს.

— რა დახმარება შეიძლება შესთავაზონ დაზარალებულებს?

— პირველ რიგში, ვცდილობთ, ზარალი დავადგინოთ. ბევრს ბანკებიდან სესხი ჰქონდა აღებული და ასე მუშაობდნენ. ბანკებს შესაბამისი დოკუმენტებით მივმართავთ, მათ სესხების გადახდა შეუჩერონ. თავისუფალი ფართი რაც მქონდა, ყველა დაზარალებულს უფასოდ მივეცი.

„სარკე“ იმ მოვაჭრეებსაც ესაუბრა, ვისაც ხანძრის შედეგად მაღაზია და ავეჯი გაუნადგურდა. მათი ზარალი მართლაც დიდია, ამას ისიც ემატება, რომ ბანკებში ქონება აქვთ დაგირავებული, ხოლო იმედი, რომ ხელისუფლება დაეხმარებათ, ძალიან სუსტია, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მერი მათთან მისული იყო და დაპირებებიც დაარიგა.

— აქ არავინ ვყოფილვართ, რადგან მაღაზიები 7 საათზე იკეტება. ხანძარი კი დაახლოებით 9-ის ნახევარზე გაჩნდა. ზოგმა ტელევიზიით გავიგეთ, ზოგსაც დაურეკეს. მე პირადად, სულ მცირე, 30 ათასი ლარის ზიანი მომადგა. მთლიანად ჩამწვარ-ჩანახშირებულია ჩემი მაღაზია, საერთოდ ვერაფერი გადავარჩინე. თბილისის მერი დახმარებას კი შეგვპირდა, მაგრამ არ ვიცი, რა იქნება.

— როგორ შეიძლებოდა, სადენებს გასჩენოდა ცეცხლი, როცა შუქი 7 საათზე ითიშება?! ექსპერტები მუშაობენ და გაირკვევა, რა მოხდა. თუ ვინმემ ეს გააკეთა, ჩამოსახრჩობია. ზემოთ ხომ ყველაფერი დაიწვა, მაგრამ ცეცხლის ჩაქრობისას ქვემოთ ჩასულმა წყალმა ავეჯი მთლიანად დააზიანა. გინდ, დამწვარა და გინდ, წყალს გაუფუჭებია, რა მნიშვნელობა აქვს?!

— ჩემ უკან ოჯახი დგას, მარტო მე ხომ არ ვარ? თუ ეს ვინმემ შეგნებულად გააკეთა, ჩემი ხელით მოვკლავ. რაღა შიმშილით მოვმკვდარვარ და რაღა ციხეში! ამ ვინც ვართ, თითქმის 99 პროცენტს ბანკებიდან სესხები გვაქვს გამოტანილი. სახლები ჩავდეთ. რა უნდა გავაკეთოთ?! მინიმუმი, 20 000 ლარის ზარალი მომადგა...

✓ ეკა ლემონჯავა

Cyan Magenta Yellow Black

„მამამთილმა ბორშჩი თავზე გადამასხა“

ჩემს ოჯახში ჩხუბი ძალიან იშვიათი იყო, სანამ ქმარმა ბინა არ გაყიდა და მამამთილთან არ გადავედით საცხოვრებლად. სწორედ აქედან დაიწყო ყველაფერი. მამამთილი ჩემს ქმარს არწმუნებდა, რომ ვღალატობდი, ოჯახის ქალი არ ვიყავი და უნდა გამშორებოდა. ქმარმა ეს დაიჯერა და ამის მერე ყველაფერზე მეჩხუბებოდა, რამდენჯერმე ხელითაც შემეხო. მეუბნებოდა, რომ ყველანაირად გამოუსადეგარი ვიყავი.

ერთხელ სადილად ბორჩში გავაკეთე და სუფრა გავშალე. მე რომ გავსინჯე, საკმაოდ გემრიელი მეჩვენა და მამამთილიც მოვიპატიჟე სუფრასთან. მან კი, იმის მაგივრად, რომ ჩემი შრომა დაეფასებინა, სადილი თავზე გადამასხა და დამამცირა. ამის მერე სახლიდან წამოვედი. ახლა კი ქმარი მეხვეწება, დავბრუნდე, მეუბნება, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდება, მაგრამ მისი არ მჯერა. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია, რომ მართალს მეუბნებოდეს?

თქვენი ერთგული მკითხველი

„ცნობისმოყვარეობა მკლავს, ვინ არიან ჩემი ბიოლოგიური მშობლები“

გამარჯობა! თქვენი ჟურნალის ერთგული მკითხველი ვარ. გაშვილებული ბავშვების ისტორიები „სარკეში“ ხშირად წამიკითხავს და ყოველთვის მიჩნდება კითხვა, რატომ უბრალოდ ბიან გამზრდელ მშობლებს, რატომ ვარდებიან პანიკაში. ყველამ მათ ადგილას წარმოიდგინოს თავი და მიხვდებიან, რამდენად ძნელი სათქმელია: „შენ ჩემი ბიოლოგიური შვილი არ ხარ“.

რამდენიმე წლის წინ მეც გავიგე, რომ ჩემმა ბიოლოგიურმა დედამ სამშობიაროში დამტოვა. დიდი სტრესი გადავიტანე, მაგრამ დავძლიე. გავაანალიზე, ისიც რა მდგომარეობაში იქნებოდა. წარმოვიდგინე, რა რთული იქნებოდა, როცა ვიღაცისგან შეცდენილს ოჯახი ზურგს გაქცევს. სტუდენტმა გოგომ კი არ იცი, ბავშვი სად წაიყვანო.

ჩემი ბიოლოგიური დედის ისტორია ვიცი. ჩემმა ე.წ. მამამ, რომელიც დედაჩემის ლექტორი იყო, საქმე საქმეზე რომ მიდგა, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა არ აიღო და მიატოვა... ჩვენ ერთ ქალაქში ვცხოვრობთ. ვინ იცის, რამდენჯერ ჩაუვლია ჩემ გვერდით, მაგრამ ერთმანეთი ვერ გვიცვნია.

გამზრდელი მშობლები მიყვარს და მათ დიდ პატივს ვცემ, მაგრამ გაურკვევლობით ვიტანჯები, ცნობისმოყვარეობა მკლავს. ვერ ვხვდები, ბიოლოგიური მშობლები მოვძებნო თუ ამ საქმეს შევეშვა. არადა მაინტერესებს, ვისი სისხლი მაქვს და, რომ იტყვიან, ვისი გორისა ვარ.

ერთგული მკითხველი

„ღმერთო, მაპატიე, მაგრამ ზოგჯერ ვფიქრობ, ორი შვილი რად მინდოდა“

თქვენს ჟურნალს ხშირად ვკითხულობ და ვიცი, რამდენი ადამიანია ჩემნაირ რთულ მდგომარეობაში. მინდა, ჩემი გასაჭირიც მოგიყვეთ.

სიყვარულით გავთხოვდი. როგორც ყველა შეყვარებული, მეც ვარდისფერი სათვალით ვუყურებდი ცხოვრებას. მეგონა, ყველაფერი ისე იქნებოდა, როგორც მინდოდა, რომ ყოფილიყო. ვფიქრობდი, რომ ბედნიერი ვიქნებოდი და მის გვერდით ყველაფერს ავიტანდი, მაგრამ...

ორი ანგელოზივით შვილი მყავს. ყველაფრის მიუხედავად, ქმარიც მიყვარს, მაგრამ მაინც უბედური ვარ და წარსულს მივტირი. ხან დანაშაულის გრძნობაც კი მიჩნდება. ღმერთო, მაპატიე, მაგრამ ზოგჯერ ვფიქრობ ხოლმე, ამ გაჭირვებულ დროში ორი შვილი რად მინდოდა-მეთქი. ყველაფერი კი იმის გამო ხდება, რომ ჩემი ქმარი აზარტული მოთამაშეა. ბევრჯერ ჩემთვის ბავშვის პამპერსის ფულიც კი გამოურთმევია და წაუგია. მუშაობაც ეზარება, გართობაზეა გადასული. ნეტავ, იცოდეთ, რა ძნელია, როცა ახალგაზრდა ქალს რაღაც გჭირდება და არ გაქვს. თან ვერც ითხოვ, რადგან ხედავ, რომ ამის საშუალება არ არის. მუდამ ფუჭი დაპირებების მოსმენა მომბეზრდა. ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი უარესობისკენ მიდის.

მინდა, ყველა გასათხოვარ გოგოს ვითხრა, კარგად აწონ-დაწონეთ ყველაფერი და ისე გადაწყვიტეთ, თორემ ჩემსავით დაიტანჯებით. თურმე ბედნიერებისთვის მხოლოდ სიყვარული არ კმარა. გაჭირვება ყველაზე ძნელი ყოფილა. ტირილით გულს ვერ ვიოხებ. აკვიატებულ ფიქრებს სიგიჟემდე მივყავარ...

„სარკის“ მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან ია ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:

1. **ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაგეჭდეთ თქვენი ისტორია.**
2. **გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 1779 მაგთიდან და ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია 50 თეთრი.**
3. **ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru**

ანონიმურობა დაცულია

„ქმარმა ვალენტინობა ცემით „მომილოცა“

სანამ ადამიანთან ერთად ერთ ჭერქვეშ არ იცხოვრებთ, არ თქვათ, რომ მას იცნობთ. მეგონა, რომ ჩემს მომავალ ქმარს კარგად ვიცნობდი, მაგრამ აბსოლუტურად სხვა ადამიანი აღმოჩნდა. ახლა ხშირად ვფიქრობ, როგორ ვერ ვხვდებოდი, სინამდვილეში როგორი იყო. როგორია? უგულო და ეგოისტი!

ჩემი ქმარი სხვების დასანახად ცხოვრობს. გამუდმებით იმას ცდილობს, საზოგადოებას მოაწონოს თავი. ის გადასარევი

შვილია, მეგობარიც არაჩვეულებრივი, ნათესავების თვალი და მათი გაჭირვების ტალკვესია. ყველასთან თამაშობს, რომ კარგი ადამიანია, რადგან სიამოვნებს, როცა აქებენ, როცა ფეხქვეშ ეგებიან. სახლში, ჩემთან კი ნიღაბს იცლის და შიშვლდება — ერთბაშად აჩენს თავის ცუდ ხასიათსა და სისასტიკეს. მათ მეგობრებს რომ ვუთხრა, სახლში ერთ კარგ სიტყვას არ ამბობს, არც კი იღიმის-მეთქი, არ დამიჯერებენ, რადგან გარეთ გულღია, მხიარული, კეთილი კაცის სახელი აქვს. სხვისთვის პერანგს გაიხდის, მე რომ რამე მჭირდება, არ აინტერესებს.

დედაჩემისთვის წამალს ვერ ვყიდულობდი. ვთხოვე, ფული მომეცი-მეთქი. სიცილად ამიგდო. ძმა გყავს და იმან უყიდოსო. ჩემი ძმა არ მუშაობს, თანაც მეც ხომ შვილი ვარ, რატომ არ უნდა ვუყიდო დედას წამალი?! სხვას რომ ეთხოვა ან თუნდაც ჩემი ძმა მისულიყო თავდახრილი მოწყალების სათხოვნელად, დიდი სიხარულით მისცემდა. ამ დროს გრძნობს თავს კაცად, როცა მის წინაშე თავს ხრიან. მეუბნება, შენ ვერ მოგარჯულეო. მიზნის მისაღწევად კი არაფერზე იხევს უკან.

ვალენტინობაზე გაიღვიძა თუ არა, ჩხუბი დამიწყო. ლაპარაკში შევყევით ერთმანეთს და ხელითაც შემეხო. ცოტა ხანში ძმაკაცმა დაურეკა, სიყვარულის დღე ცოლებთან ერთად აღვნიშნოთ რესტორანშიო. ესეც მაშინვე დაეთანხმა. გამომიცხადა, საღამოს მოვალ, მზად დამხვდი, ვალენტინობას აღვნიშნავთო. ვუთხარი, სიყვარულის დღე უკვე „მომილოცე“, იქ რაღატომ წამოვიდე-მეთქი. გამწარდა, ბევრს ნუ მალაპარაკებ, გამზადებული დამხვდიო.

საღამოს რომ მოვიდა, წინსაფრით დავხვდი. გადაირია. ისევ ხელით შემეხო, ახლავე ჩაიცვი და წამოდიო. არაფრით გავყვებოდი, მაგრამ ჩემი უმცროსი გოგონა შემეცოდა. შემეხვეწა, დედა, ნუ აჩხუბებ, გაყევიო. ტირილით ჩავიცვი, ტირილით დასიებული თვალები შევიღებე და გავყევი. რომ იცოდეთ, სიყვარულის სადღეგრძელოს რამხელა სასმისით სვამდა და რა სიტყვებით ლაპარაკობდა! მე კი გული მიტიროდა, სხეული მიკანკალებდა. იქიდან რომ დავბრუნდით, ისევ მეჩხუბა, ცხვირ-პირი ჩამოგტიროდაო... მასთან ერთად ცხოვრება გაუსაძლისია!

„სარკის“ მკითხველი

Cyan Magenta Yellow Black

„მე და ჩემი ვაჟი გამოცდას გავდივართ – რძალი შვილს სხვა კაცისგან ელოდება“

ედამ ბედნიერება წამართვა. დიახ, წამართვა, რადგან უფლება არ მომცა, იმას გავყოლოდი ცოლად, ვინც ამქვეყანაზე ყველაზე მეტად მიყვარდა. ბავშვობის სიყვარულს დამაშორა. ვერ გეტყვით, რომ სიყვარულისთვის არ ვიბრძოლე, გავიპარეთ კიდეც, მაგრამ დედამ გვიპოვა, სახლში დამაბრუნა და სასწრაფოდ საქმროც მომიძებნა. ახალგაზრდებს ეს ისტორია ნუ გაგაკვირვებთ, რადგან იმ დროს ქალი ასეთი დამოუკიდებელი არ იყო, როგორიც დღესაა. ჩემგან ისიც დიდი გმირობა იყო, რომ გავიპარე, მაგრამ საბოლოოდ მაინც ისე გავაკეთე ყველაფერი, როგორც დედას უნდოდა.

ჩემი პირველი და უკანასკნელი სიყვარული ახლაც მენატრება. ყველაზე ცუდად როცა ვარ, მას ველაპარაკები. ის სულ ჩემს გულშია. პრობლემებს მასთან „დიალოგში“ ვწყვეტ ხოლმე. უხილავად დამყვება. ეს შეგრძნება მაძლებინებს, თორემ ქმართან იმდენი რამ გადავიტანე, აქამდე ცოცხალი აღარ უნდა ვიყო. მან და მისმა ოჯახის წევრებმა სიცოცხლე გამიმწარეს. საბოლოოდ მათთან ცხოვრებას მარტოხელა დედობა ვამჯობინე და ქმრის სახლიდან წამოვედი. შვილთან ერთად ცხოვრება ავაწყვე. ბედს არ ვუჩივი, ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო.

ჩემი ვაჟის გრძნობებს, ყოველთვის პატივს ვცემდი. ჩემგან დიდი სიყვარულის უნარი გამოჰყვა. მასაც თავდავიწყებით შეუყვარდა ერთი გოგონა, მაგრამ ბევრი დაბრკოლება შეხვდა. სიყვარული ორმხრივი იყო, მერე კი მათ შორის რაღაც მოხდა, ერთმანეთს დაშორდნენ და ძალიან მალე ის გოგო სხვისი ცოლი გახდა. ჩემი შვილი ამ ამბავმა ლამის ჭკუიდან შეშალა. ისე იქცეოდა, ველარ ვცნობდი. არაფერს ვეუბნებოდი, რადგან ვიცი, ამ დროს ყველაზე კარგი მკურნალი მარტოობა, საკუთარ თავში ჩაღრმავებაა. თუ თავად არ იპოვე ძალა, რომ ეს ტკივილი დაძლიო, ვერაფერი გიშველის. შორიდან ვადევნებდი თვალს, ზედმეტ კითხვებს არ ვუსვამდი, არც ზედმეტი ყურადღებით ვაწუხებდი.

რამდენიმე თვე გავიდა და ჩემს შვილს სახე დაუმშვიდა, თუმცა ვატყობდი, რომ რაღაცის თქმა სურდა ჩემთვის, მაგრამ თან ვერც მიმხელდა. ისევ ვაცალე, როდის დადგებოდა გულახდილად საუბრის ხასიათზე. ერთ დღესაც გამიმხილა, რომ მისი საყვარელი გოგო ქმარს გაშორდა და ერთმანეთი ისევ უყვარდათ. მითხრა, რომ ამის გამო ძალიან ბედნიერი იყო. მოვეფერე, თუ თვლი, რომ სიყვარულისთვის უნდა იბრძოლო, ასეც მოიქეცი-მეთქი. გაოცებულმა მკითხა, შენთვის პრობლემა არ იქნება, განათხოვარი ქალი რომ ცოლად მოვიყვანოო. ვუპასუხე, ჩემთვის პრობლემა ის იყო, განადგურებულს რომ გხედავდი, შენს ბედნიერებას გულსაც გავუღებ და სახლის კარსაც-მეთქი. გადამეხვია, კოცნა დამიწყო და ცრემლები წამოუვიდა. მითხრა, შენ ერთი რამ არ იცი, თორემ ამას არ მეტყოდი, ის ყოფილი ქმრისგან ორსულად არისო. გავშეშდი, ამას აღარ მოველოდი, მაგრამ ძალა მოვიკრიბე და ვუთხარი, ეს ყველაფერი შენი გადასაწყვეტია-მეთქი.

ჩემმა შვილმა გადაწყვიტა, რომ ის ცოლად უნდა მოეყვანა და ასეც მოიქცა. თბილი გულით დავხვდი, თავს დიდხანს ვამზადებდი მასთან შესახვედრად. ახლაც სულ საკუთარ თავს ვებრძვი, რომ ის დარდი, რაც გულში მაქვს, გარეგნულად არ დამეტყოს. ჩემი რძალი ძალიან ლამაზი, საყვარელი გოგოა. მისი შვილი მუცელში ყოველდღე იზრდება, მე კი გული მიკვდება, რადგან ის ჩემი სისხლი და ხორცი არ არის. ჩემი შვილის სახეზეც ხშირად შემიმჩნევია ტკივილი. მას კარგად ვიცნობ, მისი მიმიკა არ შემეშლება, ამიტომ ვცდილობ, გავამხნევო. პატარასთვის ოთახი მოვაწყობინე, ვეუბნები, რომ კარგი მამა უნდა იყოს. ბოლოს და ბოლოს მეორე შვილს ხომ მისგან გააჩენს!

ერთი სიტყვით, მეც და ჩემი შვილიც გამოცდას გავდივართ. ღმერთს ვეხვეწები, რომ ეს პერიოდი ღირსეულად გადამატანინოს. არ მინდა, უცოდველ ბავშვს და მის დედიკოს თუნდაც ოდნავი ტკივილი მივაყენო. ალბათ ეს წერილიც დამეხმარება, ჩემს ყოფას გვერდიდან შევხედო და ემოციებზე მაღლა დავდგე. მადლობა ამისთვის!

თქვენი ერთგული მკითხველი

„ავადმყოფი შვილიშვილისთვის წამალს ვერ ვყიდულობ“

ინდა, ჩემი შვილიშვილის, პირველი ჯგუფის ინვალიდის, 12 წლის გიორგი მელაძის ტკივილიანი ისტორია მოგიყვეთ. ის ცერებრალური დამბლით არის ავად. ის საკუთარმა მამამ მიატოვა.

სამი შვილი გავზარდე, თავს ბედნიერ ქალად ვგრძნობდი. ერთ დღეს კი ჩემი ცხოვრება მთლიანად შეიცვალა. ჩემი ულამაზესი, უდანაშაულო ვაჟი დაჭრეს. ის 8 დღის შემდეგ გარდაიცვალა, ველარაფერი ვუშველეთ. ჩემი დათოს შემდეგ არავინ და არაფერი არსებობდა. ამ უბედურებას კიდევ ერთი გასაჭირი დაერთო თან, ჩემს გოგონას დღენაკლული შვილი ეყოლა. ექიმებმა ცერებრალური დამბლის ძალიან მძიმე ფორმა დაუდგინეს. საშინელი თავის ტკივილი სტანჯავს, ვერ ლაპარაკობს, თავს გამუდმებით იატაკს ურტყამს, ამიტომ სულ სისხლი სდის. 12 წლის ბიჭს ფიზიკურად უკვე ველარ ვერევით, ვერც ეზოში ჩაგვყავს. როცა ფანჯრიდან თავის თანატოლებს უყურებს, მეორე სართულიდან გადახტომას ცდილობს.

გიორგის ძლიერ ფსიქოტროპულ წამალს ვასმევთ — ნეულეპტინს. საქართველოში არ იშოვება, რუსეთიდან შემოაქვთ და გაჭირვებით თუ იშოვი, თანაც 200 ლარი ღირს. ჩემი შვილი თავს არ ზოგავს, მუშაობს, რომ შვილს რამე გაუკეთოს, მაგრამ მისი მწირი შემოსავალი არ გვყოფნის.

■ გიორგი მელაძე

წინა მთავრობას უამრავჯერ მივმართე თხოვნით, რომ დაგვხმარებოდნენ. პირველ ლედის, სანდრა რულოვსს წერილი გავუგზავნე, რომ წამლით და პამპერსებით დაგვხმარებოდნენ. იქიდან პასუხი მივიღე, სპონსორს გიშოვით და დაგეხმარებითო. მას შემდეგ წლები გავიდა და რითი არ გამოჩნდა სპონსორი? პარლამენტის მაშინდელ ვიცესპიკერს, მიხეილ მაჭავარიანს მივწერე, თქვენც ხომ გყავთ შვილები, იქნებ ჩემს გიორგის დაეხმაროთ-მეთქი. ოთარ თოიძესაც მივწერე პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტში, მაგრამ...

გიორგი ხელით დაგვყავს. სიმძიმის აწევით ხერხემალი სერიოზულად დამიზიანდა, ოთხჯერ გავიკეთე ოპერაცია. პენსია დამინიშნეს, მას გიორგის პენსიასაც ვუმატებდი და პამპერსებს და წამლებს ვყიდულობდი, მერე ეს პენსია მომიხსნეს. დიდი გაჭირვებით, ვალებით ვიყიდეთ მანქანა, ისიც ბავშვისთვის გვჭირდება. მაშინვე სოცაგენტი დაგვადგა თავზე და სოციალური დახმარება მოგვიხსნეს, ბავშვსაც და ოჯახსაც სამედიცინო დაზღვევის პოლისები გაგვიუქმეს.

ამას წინათ გიორგი სტომატოლოგთან გვყავდა. ექიმმა გვითხრა, ჩემი ძმისშვილიც ასეთ მდგომარეობაში იყო. მერე პეტერბურგში სარეაბილიტაციო კურსი ჩავუტარეთ და ახლა კარგად არისო. ჩვენ ამაზე მხოლოდ ოცნება შეგვიძლია... ჩვენი მთავრობის იმედი მაქვს, რომ გიორგის მოხედავენ.

თამარ მელაძე, გორი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

Cyan Magenta Yellow Black

მედიკო და კოტე — „მათ 20 წლიან ცხოვრებაში რომანტიკა 7 წელს გაგრძელდა“

მათ ერთმანეთი რუსთაველის თეატრში გაიცნეს. მედეა ჩახავა მაშინ 28 წლის იყო. თეატრში უკვე ფეხი ჰქონდა მოკიდებული და პოპულარულიც გახლდათ. პირველ ქმარს, ბიჭიკო ჩხეიძეს, გაშორებული იყო და პატარა თემურს ზრდიდა. 23 წლის კოტე მახარაძეს თეატრალური ინსტიტუტი ახალი დამთავრებული ჰქონდა და კარიერას იწყებდა. ლამაზი, ნიჭიერი, შარმიანი მედიკო მომხიბვლელობას ასხივებდა. კოტე კი ახალგაზრდა პრინცს ჰგავდა. ის სასიყვარულო ლექსებს უძღვნიდა საყვარელ ქალს. ღამით საათობით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს ტელეფონით. მედიკო თავზე საბანს იფარებდა, რომ შუაღამისას მისი ლაპარაკი არავის გაეგო.

ეს ლამაზი ურთიერთობა ქორწინებით და ორი საერთო შვილით დაგვირგვინდა... 20 წლის შემდეგ კი ვარსკვლავური ოჯახი დაინგრა, თუმცა კარგი მეგობრობა შეინარჩუნეს. შემდეგ კოტეს ცხოვრებაში სოფიკო გამოჩნდა, მისი უკანასკნელი სიყვარული. როდესაც „ერთი მსახიობის თეატრი“ დარეჯანის სასახლიდან ფიქრის გორაზე, ვერიკო ანჯაფარიძისა და მიხეილ ჭიაურელის სახლში გადაიტანეს, სოფიკომ დიდი სუფრა გაშალა. მედეაც იქ იყო. ის სოფიკოსთან მივიდა და მადლობა გადაუხადა: „ახლა კოტე ჩემი ქმარი რომ ყოფილიყო, ასეთი თეატრი არ ექნებოდა, იჯდებოდა ბახტრიონზე, მე-7 სართულზე, სიცივეში, გათბობის გარეშე...“.

■ კოტე და მედეა

ქართული სცენის ამ ორი ლეგენდის ისტორიაზე მათი შვილები, მაკა და ივიკო მახარაძეები ყვებიან.

მაკა – ძალით გაჩენილი შვილი

მაკა მახარაძე:

— დედა და მამა პირველად რუსთაველის თეატრში შეხვდნენ ერთმანეთს. ერთმანეთი ძალიან შეუყვარდათ. დედას პირველი ქორწინებიდან თემური ჰყავდა. ჩემი მშობლების თანაცხოვრებიდან ბევრი რამ არ მახსოვს, რადგან მაშინ პატარა ვიყავი. კოტესა და დედაჩემის ერთად ყოფნა ჩემთვის შორეული წარსულია, სოფიკოსთან მამაჩემის ურთიერთობა კი უფრო დამამახსოვრდა, რადგან მაშინ უკვე დიდი გოგო ვიყავი...

■ მაკა მახარაძე

ვიცი, რომ ჩემს მშობლებს საკმაოდ რომანტიკული ურთიერთობა ჰქონდათ. მათი მეგობრები საოცარ ამბებს ჰყვებოდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ისტორიები ჩემს მეხსიერებას არ შემორჩა. ერთხელ რეჟისორი ნანა მჭედლიძე იღებდა ფილმს „დანაშაული მოხდა“, სადაც მე და ლევან უჩანეიშვილი მთავარ როლებს ვასრულებდით. ქალბატონი ნანა დედას ჯგუფელი იყო. გადაღებაზე მითხრა, შენი მშობლები ერმანეთთან ტელეფონზე საათობით საუბრობდნენო. თურმე დედა საბნის ქვეშიდან ელაპარაკებოდა კოტეს, რომ ეს არავის გაეგო. ნანა მჭედლიძემ ეს ამბავი იმიტომ გაიხსენა, რომ ფილმში ჩემსა და ლევანის გმირს ფარული ურთიერთობა აქვთ, თანაც ჩემი გმირი ლევანის პერსონაჟზე ასაკით უფროსია, ზუსტად ისე, როგორც დედა იყო მამაზე უფროსი.

თურმე კოტე ჩემი გაჩენის წინააღმდეგი იყო. არ უნდოდა, რომ მას და მედიკოს საერთო შვილი ჰყოლოდათ. უთქვამს, ჩვენ თემური გვყავს და მეტი შვილი არ მჭირდებაო. მართლაც, კოტეს გერი ძალიან უყვარდა. თემური 5 წლის იყო, როდესაც

„თემური 5 ნლის იყო, ოოდესაც დედაჩემი მეოოედ გათხოვდა. მამამ ის საკუთარი შვილივით შეიყვარა. მედიკოსთვის თავისი სიყვარულის დასამტკიცებლად საერთო შვილის ყოლაზე უარს ამბობდა. მიუხედავად ამისა, მე მაინც გავჩნდი. მამას თემურისთვის სითბო და სიყვარული არ მოუკლია. მე და ივიკოს კოტე იმდენად არ „გვრგებია“, როგორც თემურს. ამას ცუდი გაგებით კი არ ვამბობ, ჩვენ შვილები ვიყავით და მის გულში თავისთავად ჩვენი ადგილი გვქონდა, მაგრამ თემურს განსაკუთრებულად ექცეოდა. თემური სულ იმას ამბობს, რომ კოტე მისთვის მამის ტოლფასი იყო. მისი, როგორც პიროვნების და საოცარი ინტელიგენტის ჩამოყალიბებაში, მამაჩემს დიდი წვლილი მიუძღვის.

მე რომ დავიბადე, მამა ქუთაისში, გასტროლებზე ყოფილა. კოტეს ღამით შეატყობინეს, გოგო გეყოლაო. თავის როლზე სასწრაფოდ სხვა მსახიობი ჩაანაცვლა და თბილისში გამოეგზავრა. მაშინდელ საკომისიო მაღაზიაში მედიკოსთვის თურმე სპილოს ძვლის მარაო იყიდა. დედაჩემის მამა, პროფესორი ვასო ჩახავა, მეან-გინეკოლოგი იყო და სამშობიაროში განყოფილების გამგე გახლდათ. დედა მის კაბინეტში იწვა. კოტე ზევით აიყვანეს და კაბინეტში შეიყვანეს. თურმე ამ დროს ისე ელავდა, რომ მარაოს ხელებში ფშვნეტდა და ბოლოს დაემსხვრა. მედიკოს ქმრისთვის უთქვამს, ჩვენი შვილი ისეთი ლამაზია, ისეთი თეთრი, რომ ყველასგან გამოირჩევა, სხვა ბავშვებივით წითელი არ არისო. კოტე იხსენებდა, ამ სიტყვებზე გული ამიფანცქალდა, ერთი სული მქონდა, ბავშვი დამენახა, მაგრამ რომ შემოიყვანეს, ღიმილი სახეზე ჩამომახმა, რადგან ბავშვი სულ წითელი იყო და ოთხ კილო ხორცის ნაჭერს ჰგავდაო. ამას სულ ღიმილით იხსენებდა.

ასე რომ, ჩემი და მამას პირველი შეხვედრა „მძიმე“ იყო. მერე კი მისგან განებივრებული გოგო ვიყავი. ხომ იცით, მამებს გოგონები განსაკუთრებულად უყვართ.

ლამაზი ივიკო

— თემური ჩემზე 6 წლით უფროსია და მეც 6 წლით უფროსი ვარ ივიკოზე. კარგად მახსოვს, 1956 წლის 9 მარტს სისხლიანი მოვლენები რომ მოხდა, დედამ ამაზე ძალიან ინერვიულა და სამშობიაროში ნაადრევად წაიყვანეს. ივიკო 11 მარტს გაჩნდა. ძმის დაბადებამ ჩემში დიდი პროტესტი გამოიწვია.

არაჩვეულებრივი ბებია მყავდა, ბარბარე ვეკუა. წლების განმავლობაში პირველი სკოლის ბიბლიოთეკის გამგე იყო. დღეს ეს ბიბლიოთეკა მის სახელს ატარებს. წიგნების უკან ერთი სამალავი ჰქონდა. გაკვეთილების დროს დერეფანში დადიოდა და თუკი შატალოზე გამოპარულ ან კლასიდან გამოგდებულ მოსწავლეს დაინახავდა, თავისთან მიჰყავდა. სამალავში მალავდა და თან წიგნებს აძლევდა წასაკითხად. ასე აყვარებდა ბავშვებს წიგნების კითხვას. ბავშვობიდან ერთი ასეთი ფრაგმენტი მახსენდება: ბებიას ივიკო ბალიშზე ეწვინა. ამ ბალიშით ოთახიდან ოთახში დაჰყავდა და თან ამბობდა: „ღმერთი! ნამდვილი ღმერთი! შეხედეთ, რა ლამაზია!“. ეს მომენტი ძალიან მწარედ მახსოვს, რადგან ვფიქრობდი, რომ ივიკომ ჩემი ადგილი დაიკავა. ჩემი უმცროსი ძმა ძალიან ლამაზი ბავშვი იყო.

როცა მშობლები მსახიობები გყავს

— მშობლებს გასტროლებზე სულ თან დავყავდით. ვთვლი, რომ თეატრალი ბავშვისთვის ამაზე მეტი ბედნიერება არ არსებობს. ზოგჯერ, თუ სერიოზულ გასტროლებზე მიდიოდნენ, თემური მიჰყავდათ, რადგან ის ჩვენთან შედარებით დიდი იყო და ინტერესებიც განსაზღვრული ჰქონდა. ერთხელ კოტე და მედიკო მოსკოვში გაემგზავრნენ და თემურიც თან წაიყვანეს. მე და ივიკო კი ახლობლების სახლში, წყნეთში დაგვტოვეს, რაც ორივემ ძალიან განვიცადეთ. იქ წასვლა ჩვენც ძალიან გვინდოდა. სულ მიკვირს იმ ბავშვების, რომლებსაც მშობლები მსახიობები ჰყავთ და თვითონ ამ პროფესიას ვერ იტანენ. როდესაც ამ გარემოში იზრდები, წარმოუდგენელია, რომ თეატრი არ შეგიყვარდეს. თუმცა ზოგს პირიქით ემართება, რადგან ფიქრობენ, რომ თეატრი მათ დედას ან მამას ართმევს. სხვათა შორის, სოფიკო ხშირად ამბობდა ხოლმე, პატარა რომ ვიყავი, მეგონა, მსახიობი არასდროს გავხდებოდი, რადგან დედაჩემს ყოველდღე სცენაზე ან კლავდნენ, ან კვდებოდა და ამას ყოველთვის თავიდან განვიცდიდიო.

ერთხელ ჩემს მშობლებს სოხუმში გასტროლი ჰქონდათ. დილის სპექტაკლი იყო. მსახიობების შვილები კი ეზოში თამაშობდნენ. მათ ადგილობრივი ბავშვებიც შემოუერთდნენ. პატარების ამბავი ხომ იცით, თურმე ერთმანეთს ეკითხებოდნენ, მამაშენი ვინ არისო. ივიკომ უპასუხა, ჩემი მამიკო მსახიობიაო. მათ არ დაუჯერეს და დასცინეს. რამდენჯერმე გაუმეორა, რომ მსახიობია და ახლა სპექტაკლში თამაშობსო. კიდევ რომ არ დაუჯე-

„ეს ამბავი ძალიან მძიმედ გადავიტანეთ. მაშინ ნატოზე ვიყავი ფეხმძიმედ და მთელი ცხრა თვე ტიროლში გავატარე. მეგონა, ჩამეს შევცვლილი, მშობლები შეიგებოდნენ, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა“.

Cyan Magenta Yellow Black



■ თემური და მედეა

■ მედეა შვილებთან ერთად

რეს, მოჰკიდა ამ ბავშვებს ხელი და შუა სცენაზე შეიყვანა, ხელი კოტესკენ გაიშვირა და უთხრა, აი, ეს არის ჩემი მამიკოო.

დედა და მამა ბევრ ადამიანს დახმარებიან, მაგრამ შვილებისთვის მსგავსი რამ არ გაუკეთებიათ, ჩვენთვის საქმის ჩაწყობა და პროტექცია არ არსებობდა. მათ უნდოდათ, რომ ხელი თავად გაგვეწიჭრია, ზედმეტად არ გვანებივრებდნენ. დედა მამასთან შედარებით ცოტათი მკაცრი იყო. როცა ამას ვიტყოდი, მედიკოს სწყინდა, მკაცრი როდის ვიყავიო. ალერსისა და სითბოს მეტი მშობლებისგან არაფერი მახსოვს, თუმცა ჩვენთვის წერტილი არსებობდა, რომლის იქითაც დედა არ გაგვიშვებდა.

ერთხელ ძალიან მწარედ დამსაჯეს, ამ ამბავს რა დამავიწყებს. მაშინ დაახლოებით 11-12 წლის ვიქნებოდი. რაღაც სადღესასწაულო კონცერტი იყო, რომელიც პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა. კოტე და მედიკო კონცერტის წამყვანები იყვნენ. ადრე მაუწყებლობა საღამოს 6 საათზე იწყებოდა და რამდენიმე საათს გრძელდებოდა, თანაც მხოლოდ პირდაპირი ეთერი იყო. დედამ და მამამ მითხრეს, კონცერტიდან რომ დაბრუნ-

„მშობლების ჯინაღლობა ან ჩხუბი ჩვენ ახასხოს გვინახავს... დედიკოს ჰომ ვეტყოდი, ეზოში გავალ-მეთქი, თუ მეტყოდა, მამამშენს ჰკითხეო, ვხვდებოდი, ჰომ ისინი ჰაღაცაზე ნაჯინაღავებული იყვნენ. ჰადგან სხვა დროს ასე მეუბნებოდა — მამიკოს ჰკითხეო".

დებით, გაკვეთილები მომზადებული დაგვახვედრეო. ვიფიქრე, ვუყურებ ამ კონცერტს, გაკვეთილებს კი მერე მოვამზადებ, დედა და მამა მაინც გვიან დაბრუნდებიან-მეთქი. ჩვენს ეზოში ტელევიზორი მხოლოდ სესილია თაყაიშვილს ჰქონდა და მთელი ეზოს ბავშვებს შეკლული გვყავდა, სულ მასთან ვიყავით. ის პირველ სართულზე ცხოვრობდა, ჩვენ კი — მესამეზე. მოკლედ, იმ საღამოს სესილიასთან ჩავედი, კონცერტს ვუყურე და გაკვეთილები ვერ მოვამზადე. დედა და მამა მალევე დაბრუნდნენ და ნამეცადინები რომ არ დავხვდი, ამაზე ძალიან გაბრაზდნენ. მათ სერიოზული სპექტაკლი გაითამაშეს და დამსაჯეს. დედიკომ მითხრა, შენი ბარგი აკრიფე და გადი სახლიდან, ჩვენ ასეთი შვილი არ გვჭირდებაო. გარეთ გამიშვეს. ჩვენს სართულზე, დერეფანში, გრძელი ხის სკამი იდგა და იქ დამსვეს. გარეთ, ქუჩაში, არ გაგიშვებთ, აქ იყავიო, მითხრეს. კარგახანს ვიჯექი იმ სკამზე და ძალიან ბევრი ვიტირე.

გვიან ღამით დედამ და მამამ, ასე ვთქვათ, კიდევ ერთი სპექტაკლი გაითამაშეს. დედა გამოვიდა და მითხრა, ჩუმად შეგიყვან, რომ მამამ არ დაგინახოსო. თავისი ხალათის კალთა მომაფარა და სახლში ისე შემიყვანა. თავის გვერდით დამაწვინა. ჯერ მამა იწვა, მერე დედა, მერე მე და ვითომ მამა ვერ მხედავდა. მოკლედ, ასეთი სასჯელი დამადეს, მაგრამ ამან ბევრი არაფერი შეცვალა და გაკვეთილების მომზადების მიმართ ისევ ისეთი ცუდი დამოკიდებულება მქონდა. ეს დასჯა კი მთელი ცხოვრება მწარედ დამამახსოვრდა.

დაშორება

— მშობლების კინკლაობა ან ჩხუბი ჩვენ არასდროს გვინახავს. არ ვიცი, ალბათ კინკლაობდნენ კიდეც, თუმცა ამას ჩუმად აკეთებდნენ, რომ ჩვენთვის ზიანი არ მოეყენებინათ. დედიკოს რომ ვეტყოდი, ეზოში გავალ-მეთქი, თუ მეტყოდა, მამაშენს ჰკითხეო, ვხვდებოდი, რომ ისინი რაღაცაზე წაკინკლავებული იყვნენ. რადგან სხვა დროს ასე მეუბნებოდა — მამიკოს ჰკითხეო.

როდესაც ისინი დაშორდნენ, დედასგან გავიგეთ. ერთ დღეს მედიკომ შვილები დაგვსვა და გვითხრა, მე და მამათქვენი უნდა გავცილდეთო. ეს ამბავი ძალიან მძიმედ გადავიტანეთ. მაშინ ნატოზე ვიყავი ფეხმძიმედ და მთელი ცხრა თვე ტირილში გავატარე. მეგონა, რამეს შევცვლიდი, მშობლები შერიგდებოდნენ, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა.

დედამ და მამამ ერთად 20 წელი იცხოვრეს. კოტე მედიკოს რომანტიკულ ლექსებს უძღვნიდა, მგზნებარე სიყვარული ჰქონდათ. თუმცა, როგორც დედა იხსენებდა, მათი საოცარი რომანტიკულობის და დიდი სიყვარულის ამბავი მხოლოდ 7 წელს გაგრძელდა, მერე კი ეს სიყვარული ძველებური აღარ იყოო. მათი დაშორება ჩვენთვის, შვილებისთვის, ძალიან მტკივნეული იყო. არავინ იცის, რატომ დაშორდნენ. ცოლ-ქმრისას ვინ რას გაიგებს. რაც მანამდე იყო, ყველაფერი უცებ დამთავრდა. ჯერ ერთი ბზარი გაჩნდა, მერე — მეორე და ასე მიჰყვა. ბოლოს კი ერთი დიდი ბზარი გაჩნდა და სულ დაინგრა...



■ მამა-შვილი — კოტე და მაკა

ერთმანეთისკენ გადებული ხიდი

— დაშორების შემდეგ დედასა და მამას ერთმანეთთან შეხვედრა უნევდათ და ჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდათ. თავიდან რაღაც პერიოდი, რა თქმა უნდა, არ ურთიერთობდნენ. ერთხელ ივიკო ავად გახდა, კოტე მოვიდა და მაშინ დაელაპარაკნენ ერთმანეთს. დაშორების მერე ჩემს მშობლებს კარგი ურთიერთობა რომ არ ჰქონოდათ, სოფიკოსთან ასე კარგად ვერ ვიქნებოდი. მასთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მქონდა, რაც მამას ძალიან ეამაყებოდა. სულ ამბობდა, თქვენ მსოფლიო ხალხური ზღაპრების ტრადიციები დაარღვიეთ და კარგი დედინაცვალ-გერობა გაქვთო.

მედიკოცა და სოფიკოც ერთმანეთში კარგად იყვნენ, რიდიც ჰქონდათ და პატივისცემაც. მამა რომ გარდაიცვალა, დედა ჭირისუფლებში იჯდა, მაგრამ კუთხეში. სოფიკო რომ გარდაიცვალა, დედა ვერ წამოვიდა. სოფიკოს პანაშვიდზე როგორ დავჯდეო, თქვა.

დედა 88 წლის ასაკში გარდაიცვალა, მაგრამ მოხუცი არ ყოფილა. ისეთი სულისკვეთება ჰქონდა, ასაკი არ ეტყობოდა. დროსთან ერთად მიდიოდა და წარსულში არასდროს რჩებოდა.

ნაბოლარა

ივიკო მახარაძე:

— მშობლებზე ბევრი მოგონება მაქვს, თუმცა საჯაროდ ამ ყველაფრის გახსენება არ მიყვარს. ვთვლი, რომ ეს მოგონებები ჩემია და ჩემთან უნდა იყოს.

ჩვენი ბავშვობა მშობლების პოპულარულობის ხანას დაემთხვა. ისინი იმდენად დაკავებული იყვნენ, სულ გვენატრებოდნენ, მათთან ყოფნა გვინდოდა. როგორც თემური იხსენებს, როდესაც პატარა ვიყავი, დედაზე ერთი ასეთი ფრაზა მითქვამს: „რა ქალია ეს ქალი, ზის, წევს, დგას, მიდის". მართალია, მშობლებთან ყოფნის დეფიციტი გვქონდა, მაგრამ ბედნიერები ვიყავით, რადგან ყოველ ზაფხულს

„მედიკოცა და სოფიკოც ერთმანეთში ჯაჰგად იყვნენ, ჰიდიც ჰქონდათ და ჰატივისცემაც. მამა ჰომ გაჰდაიცვალა, დედა ჭიჰისუფლებში იჯდა, მაგჰამ ჯუთხეში".

გასტროლებზე მივყვებოდით. თითქმის მთელი ბავშვობა რუსთაველის თეატრის დასთან ერთად გასტროლებზე გავატარეთ. საქართველო შემოვიარეთ და საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ქალაქშიც კი ვიყავით. გავიზარდე სახლში და ამავდროულად — თეატრში.

მშობლები ჩვენზე გადაყოლილი იყვნენ, მაგრამ თავიანთი საქმეც ბევრი ჰქონდათ. მკაცრები არ იყვნენ, არასდროს გავულახივართ, მაგრამ თუ რამეს დავაშავებდით, დასჯა იცოდნენ. ეს ჩემზე კარგად მოქმედებდა. თუკი ერთხელ რაღაცის გამო დამსჯიდნენ, მეორედ იმავეს აღარ ვაკეთებდი. ზოგჯერ იყო, რომ სადღაც წასვლა ძალიან მინდოდა და, როცა მშობლებს გაშვებას ვთხოვდი, მეტყოდნენ, აი, მაშინ ის რომ დაშავე, მაგის გამო არ გაგიშვებთო. მეც გამახსენდებოდა ჩემი დანაშაული და ვეღარაფერს ვეუბნებოდი, ისინი ხომ მართლები იყვნენ.

მედიკო და კოტე ჩემთვის იდეალური წყვილი იყო. 12 წლის ვიყავი, როდესაც ისინი გაშორდნენ. მაშინდელი განცდები ბუნდოვნად შემომრჩა. მიუხედავად დაშორებისა, მედიკო დედაჩემი იყო, კოტე — მამაჩემი, რა მნიშვნელობა იყო, სად ცხოვრობდნენ? რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, რომ სულ ერთად ყოფილიყვნენ, მაგრამ ცხოვრება ასეთია და ყველაფერი ხდება. რაც მთავარია, მედიკოს კოტეზე ცუდი არასდროს უთქვამს, ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია.

✓ თეონა ჯინჭარაშვილი

Cyan Magenta Yellow Black

პრეზიდენტმა 1 800 კაციანი დაცვა მოითხოვა

ირაკლი სესიაშვილი: «სააკაშვილს დაჰყვებოდა 14 ესკორტი, 120 მანქანა და 4 კვების ექიმი»

■ ირაკლი სესიაშვილი

სააკაშვილი რომ ექსტრაორდინარული ადამიანია, ყველასთვის ცნობილია, მაგრამ მაინც ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ქვეყნის პრეზიდენტი ადგებოდა, დიდ სპორტულ ჩანთას ზურგზე მოიგდებდა, ცოლს ავტომობილში ჩაისვამდა და აეროპორტში ისე გაიპარებოდა, პირად დაცვას არაფერს ეტყოდა. გზად 100 ლარიან ჯარიმასაც „აიკიდებდა“ და იქიდან დაბრუნებული იტყოდა: „5 კვირაა ასე დავდივარ. როგორც კი ნათელი გახდა, რომ დაცვის სამსახურს აქვს სერიოზული პრობლემები, დაცვის გარეშე დავდივარ. ვერავინ დამიშლის გადაადგილებას, ვერ შემიშლის ადამიანებთან შეხვედრას და ჩვენი ფუნქციების შესრულებას. ზედმეტი დრამატიზაცია ამ სიტუაციის და სპეკულაცია ამ თემაზე არ არის საჭირო“.

დრამატიზაცია — არა, მაგრამ კანონს რომ დაცვა უნდა და კანონი რომ ყოველგვარ წყენაზე მაღლა დგას, ეს კარგად უნდა იცოდეს მოქმედმა პრეზიდენტმა. წყენის მიზეზი კი დაცვის სამსახურის და ბიუჯეტის შემცირება გახდა.

„ამ სამსახურის ოპტიმიზაცია მოვახდინეთ, ჰომ მისი დაცვა მაქსიმალურად ყოფილიყო უზრუნველყოფილი. ამაში შედის ცოლ-შვილის და დედის უსაფრთხოებაც. დედას არ ეკუთვნის, მაგრამ მისი თხოვნა გავითვალისწინეთ. ასევე 7 მილიონი გამოვუყავით 7 თვისთვის, ანუ 1 მილიონი 1 თვეზე“.

როგორი ვითარებაა რეალურად საქართველოს პრეზიდენტის დაცვასთან დაკავშირებით, რა საფრთხეებს და დარღვევებს ქმნის მისი ექსცენტრიკული ქმედებები, დეტალებზე „სარკეს“ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილს ესაუბრა.

— ბატონო ირაკლი, რატომ დადგა დღის წესრიგში პრეზიდენტის დაცვის ხარჯების შემცირება?

— წლების განმავლობაში პრეზიდენტს უპრეცედენტო რაოდენობის დაცვა ჰყავდა. როცა ხარჯები დავითვალეთ, აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო დაცვის სამსახურზე 44 მილიონი ლარი იხარჯებოდა და ამის 80 პროცენტი პრეზიდენტის დაცვაზე მოდიოდა. ეს თანხა რომ ყოველდღიურ დანახარჯზე გადავიანგარიშოთ, დღეში სადღაც 10.000 ლარი გამოდის. საკმაოდ დიდი თანხაა და ამან ჩვენი ყურადღება, ბუნებრივია, მიიქცია. კანონის მიხედვით, პრემიერს აკისრია პასუხისმგებლობა მთავრობის და მათ შორის სახელმწიფო თუ მთავრობის ობიექტების დაცვაზედაც, მაგრამ მან დაუშვა, რომ თვითონ პრეზიდენტს დაექვემდებაროს უშუალოდ მისი დაცვის სამსახური. ამის შემდეგ დაცვის სპეციალური სამსახურის გადანაწილების პროცესი დაიწყო. ამაში იგულისხმება იმის განსაზღვრა, რამდენი კაცი უნდა ჰყავდეს პრეზიდენტს დაცვაში.

დავიწყეთ ფიქრი, რამდენი კაცით უნდა დაგვეკომპლექტებინა პრეზიდენტის დაცვა, გადავხედეთ სხვა ქვეყნების გამოცდილებას და არსებულ ვითარებას. აღმოჩნდა, რომ ესტონეთში პრეზიდენტს იცავს 157 ადამიანი, დანიასა და შვედეთში — 150 ადამიანი, ამაზე მეტი ევროპაში პრეზიდენტს დაცვა არ ჰყავს. ყველაზე დიდი რაოდენობა არის თურქეთში — 350 კაცი და ჩვენც შესაბამისად შევჯერდით 350 კაცზე.

— მანამდე რამდენი ჰყავდა ჩვენს პრეზიდენტს?

— 14 ესკორტი დაჰყვებოდა, ანუ დაახლოებით 120 მანქანა ჰყავდა, 4 კვების ექიმი, კიდევ ისეთი სამსახურები დაჰყვებოდნენ, რომ... ჩვენ ამ სამსახურის მაქსიმალური ოპტიმიზაცია მოვახდინეთ, თან ისე, რომ მისი დაცვა მაქსიმალურად ყოფილიყო უზრუნველყოფილი. ამაში შედის ცოლ-შვილის და დედის უსაფრთხოებაც. დედას არ ეკუთვნის, მაგრამ მისი თხოვნა გავითვალისწინეთ. ასევე 7 მილიონი გამოვუყავით 7 თვისთვის, ანუ 1 მილიონი 1 თვეზე. ეს არც ისე ცოტა თანხაა, მაგრამ პრეზიდენტი პოლიტიკურად კეკლუცობს და უნდა, ისე წარმოაჩინოს სიტუაცია, თითქოს პრემიერმა მას დაცვა მოუხსნა. არანაირი დაცვა არ მოუხსნია.

„ოცდა მისი დაცვის უფროსთან კონტინგენტის გამოყოფის საკითხებზე ვსაუბრობდით, ის იჩქმუნებოდა, ხალხი პრეზიდენტის მიმართ აგრესიულია და 350 კაცი არ ეყოფა. ახლა კი პრეზიდენტი გამოდის და ამბობს, რომ დაცვა არ სჭირდება. ამაში რომ პიარის ელემენტებია, კარგად ჩანს. ამით სააკაშვილს სურს, ხალხს დაანახოს, რომ ახალი ხელისუფლება, პრემიერი უარს აცხადებს მის დაცვაზე, რაც, რა თქმა უნდა, არასერიოზულია. სხვათა შორის, როცა პრეზიდენტი გაიპარა აეროპორტში, მიუხედავად იმისა, რომ შეტყობინება არ იყო შემოსული, დაცვის ახალმა ხელმძღვანელობამ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყო მისი გადაადგილება. რამდენიმე საათით ადრე შესაბამისმა სამსახურებმა ჩაატარეს შესაბამისი ღონისძიებები. ასე რომ, სახელმწიფო დაცვის სამსახურმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა მასზე დაკისრებული ვალდებულებები შეესრულებინა.

— თუკი ბატონ პრეზიდენტი რამდენკაციან დაცვას ითხოვდა?

— ბოლოს — 1800-ს. ასეთი რაოდენობის დაცვა ზოგიერთ დიქტატორსაც კი არ ჰყავს. ბიუჯეტსაც თუ გავითვალისწინებთ, ქვეყანას არ აქვს იმის საშუალება, რომ მთელი ბიუჯეტი პრეზიდენტის კომფორტს თუ შიშებს მოახმაროს. ჩემი აზრით, რასაც სახელმწიფო აკეთებს, სრულიად ადეკვატურია პრეზიდენტის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. თუ ამაში ხელს შეგვიშლის, ეს იქნება საბოტაჟი, ვინაიდან ამით პრეზიდენტი ხელს შეუშლის სახელმწიფო ორგანოების მუშაობას. ასეთი იაფფასიანი პიარსვლები ქვეყანას არ წაადგება.

— რა არგუმენტებით ასაბუთებდა 1800 კაციანი დაცვის საჭიროებას?

— როცა მისი დაცვის უფროსთან კონტინგენტის გამოყოფის საკითხებზე ვსაუბრობდით, ის ირწმუნებოდა, ხალხი პრეზიდენტის მიმართ აგრესიულია და 350 კაცი არ ეყოფაო, ანუ დაცვის სამსახურის წინა ხელმძღვანელი პირდაპირ აცხადებდა, რომ არსებობდა გარკვეული რისკები. ახლა კი პრეზიდენტი გამოდის და ამბობს, რომ დაცვა არ სჭირდება. ამაში რომ პიარის ელემენტებია, კარგად ჩანს. ამით სააკაშვილს სურს, ხალხს დაანახოს, რომ ახალი ხელისუფლება, პრემიერი უარს აცხადებს მის დაცვაზე, რაც, რა თქმა უნდა, არასერიოზულია. სხვათა შორის, როცა პრეზიდენტი გაიპარა აეროპორტში, მიუხედავად იმისა, რომ შეტყობინება არ იყო შემოსული, დაცვის ახალმა ხელმძღვანელობამ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყო მისი გადაადგილება. რამდენიმე საათით ადრე შესაბამისმა სამსახურებმა ჩაატარეს შესაბამისი ღონისძიებები. ასე რომ, სახელმწიფო დაცვის სამსახურმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა მასზე დაკისრებული ვალდებულებები შეესრულებინა.

„ოცდა, ბოლოს ოთხმოცდა ათასი ადამიანი მანქანით დადის? სამი-ოთხი. ახანაირი გზების გადაკეტვა ახ ხდება და უშუალოდ ბოლოს ბოლოს ოთხმოცდა ათასი ადამიანი ოთხოვნით ხდება საგზაო წესების დაცვაც. ჯანგი იქნება, თუ პრეზიდენტი ბოლოს ბოლოს ბიბაძავს“.

მეტსაც გეტყვით, პრეზიდენტის დაცვა, მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა არის არა მისი უფლება ან სურვილი, ეს არის სახელმწიფოს ვალდებულება. პრეზიდენტი არ წარმოადგენს კერძო პირს, ის არის სახელმწიფოს მეთაური, მისი უსაფრთხოება არის ქვეყნის უსაფრთხოებასთან კავშირში. ამიტომ მისი დაცვა არის შესაბამისი სახელმწიფო სამსახურის პრეროგატივა და იმპერატიული ვალდებულება. მაგალითად, უსუფაშვილმა რომ მოითხოვოს, დაცვა არ მინდა, ჩემით უნდა ვიარო პარლამენტშიო, ასე არ მოხდება. ამან შეიძლება გარკვეული რისკები წარმოქმნას, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოს უსაფრთხოებას უკავშირდება.

ის, რაც პრეზიდენტმა ჩაიდინა და გადაადგილდა ისე, რომ დაცვის სამსახურის ხელმძღვანელობას არაფერი შეატყობინა, არის შიდა ნორმატიული წესების დარღვევა, რაც გარკვეულ პასუხისმგებლობას გულისხმობს. სპეციალური სამსახურის ახალმა ხელმძღვანელობამ გენინსპექციას დაავალა საქმის მოკვლევა, ვინაიდან შეიძლება ადგილი ჰქონდეს შიდა განაწესის აქტების დარღვევას.

Cyan Magenta Yellow Black

— აზერბაიჯანში ვინ იცავდა მისეულ სააკაშვილს?

— ვერ გეტყვით, მაგრამ ასეთი ვიზიტების დროს უსაფრთხოების დაცვა ადგილზე ხდება იმ ქვეყნის დაცვის სამსახურების მიერ. არის შემთხვევები, როცა კერძო დაცვის კომპანიებს ქირაობენ და დაცვას ისინი უზრუნველყოფენ.

— სააკაშვილს ისიც არ მოეწონა, რომ სახელმწიფო დაცვის ხელმძღვანელი ივანიშვილის კადრით შეიცვალა.

— როცა ეს სამსახური ფაქტობრივად გავყავით, პრეზიდენტის დაცვის სამსახურის ხელმძღვანელის დანიშვნა პრეზიდენტის პროგატივა გახდა. თუ 1000 კაცი დასჭირდება, მიიღებს, ოღონდ ამის საჭიროება უნდა იყოს. იცით, პრემიერი რამდენი მანქანით დადის? სამი-ოთხით. არანაირი გზების გადაკეტვა არ ხდება და უშუალოდ პრემიერის მკაცრი მოთხოვნით ხდება საგზაო წესების დაცვაც. ასე რომ, კარგი იქნება, თუ პრეზიდენტი პრემიერმინისტრს მიბაძავს და არ დაიწყებს წუწუნს იმ გადამეტებულ უსაფრთხოებასა და კომფორტზე, რაც ჰქონდა.

— ალბათ სახეთ, რომ ქალაქში გადაადგილების დროს პრეზიდენტმა დაარღვია მოძრაობის წესები — ორმაგი ღირებულება ხაზი გადაკვეთა, რაც 100 ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს.

— ამიტომაც ვსაუბრობ, რომ ეს არის იაფფასიანი პიარსვლა, რაც არ შეეფერება პრეზიდენტს, რომელიც დემოკრატიაზე ხშირად გველაპარაკება. მით უმეტეს, როცა თვითონ არის საჭესთან და მოძრაობის წესებს არღვევს, ხომ შეიძლება ავტოავარიაც მოხდეს? მეტსაც გეტყვით, აეროპორტში რომ მანქანით შევიდა, მან აეროპორტის უსაფრთხოების ნორმებიც დაარღვია. მიუხედავად იმისა, რომ ის არის გაშლილი ტერიტორია, იქ ტრანსპორტმა დახახულ ადგილას უნდა იმოძრაოს. შეიძლებოდა იქაც გარკვეული რისკები წარმოქმნილიყო. ამიტომაც მისი მოქმედება იყო აბსოლუტურად უპასუხისმგებლო!

— ამ შემთხვევას გენინსპექცია სწავლობს.

— კონკრეტულ შემთხვევაში გენინსპექცია იკვლევს, რა იყო და როგორ. შესაძლებელია ეს პრეზიდენტის თვითნებობის ბრალი იყო, შესაძლებელია — დაცვის ხელმძღვანელის.

— პასუხისმგებლობა დაეკისრება ვინმეს?

— ამაზე ვისაუბროთ მას შემდეგ, რაც შესაბამისი სამსახურები დასკვნას დადებენ.

— თუ პრეზიდენტის თვითნებობა იყო?

— შედეგებს დაველოდთ და მერე ვისაუბრით.

— წელან საბოტაჟი ახსენეთ. ექსპერტებმაც მოუხშირეს პროვოკაციაზე საუბარს, როგორც პრეზიდენტის, ისე ნაცმოძრაობის მხრიდან.

— ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ნაციონალური მოძრაობის და მასთან დაახლოებული სხვადასხვა შტოს მხრიდან ადგილი აქვს წინასწარ განზრახულ საბოტაჟს. ამის კონკრეტული მაგალითები გვაქვს, შესაბამის ორგანოებს შესაბამისი რეაქციაც ჰქონდა და ეს გეგმა უკვე გაშიფრულია. მეტსაც გეტყვით, აკაკი ბობოხიძეს თუ უსმინეთ, მან განაცხადა, რომ პრეზიდენტს არანაირი რესურსი და შესაძლებლობა არ გააჩნია, ანტიკონსტიტუციური გეგმის განსახორციელებლად. ვფიქრობ, ეს იმის შედეგია, რომ ნაცმოძრაობა და მისი ლიდერი მიხვდნენ, გეგმა, რომელიც საბოტაჟს გულისხმობდა, გავშიფრეთ და იმ მომენტშივე აღვკვეთეთ.

იმავეს აპირებდნენ განათლების უწყებაში, სოფლის მეურნეობასთან მიმართებაში, ჯანდაცვაში, საგარეო უწყებებში. ყველგან საბოტაჟთან გვქონდა საქმე. ფაქტებს დაგიასახელებთ, რაც ჩვენი ყურით მოვისმინეთ: საბანკო სექტორთან მიმართებაში პრეზიდენტის განცხადება, რითაც ზიანი მიაყენა კერძო კომპანიებს და მთლიანად საბანკო სისტემას (გულისხმობს სააკაშვილის მიერ ტელეინტერვიუთი გავრცელებულ ინფორმაციას, რომ „თიბისი ბანკსა“ და „ლიბერთი ბანკს“ რუსეთის ბანკები ყიდულობენ. ავტ.); ევროკავშირთან მიმართებაში რეზოლუციის ჩავარდნაზე, ამ

„ესტონეთში პრეზიდენტს იცავს 157 ადამიანი, დანიასა და შვედეთში — 150 ადამიანი, ამაზე მეტი ევროპაში პრეზიდენტს დაცვა არ ჰყავს. ყველაზე დიდი ხოდენობა არის თურქეთში — 350 კაცი და ჩვენც შესაბამისად შევეჯიდით 350 კაცზე".

ზე კი საუბარი იყო ნაციონალების მხრიდან რაღაცეების ჩაწერის მცდელობაზე. ეს ყველაფერი ნათელი მაგალითია იმისა, რომ მას გეგმა ჰქონდა შემუშავებული, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

— გეგმა გაიშიფრა, ანუ ანალიტიკური ჯგუფები მუშაობენ მსგავსი კრიზისების მართვისთვის?

— ეს ის საკითხებია, რაზედაც ჩვენი მხრიდან ხმამაღლა საუბარი არ შეიძლება. უბრალოდ გეტყვით, რომ ის ანალიტიკური ჯგუფები, რომლებიც ადრე მუშაობდნენ და ხარისხით მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნიდნენ, პირველივე ეტაპზე კვალიფიციური კადრებითა და ექსპერტებით შევავსეთ. თქვენ იცით, რომ ძალოვანი უწყებები მუდმივად კოორდინაციაში არიან, თავდაცვის მინისტრი ალასანია და შინაგან საქმეთა მინისტრი ღარიბაშვილი ამ დღეებშიც შეხვდნენ ერთმანეთს და საუბარი იყო არამარტო რისკების ანალიზსა და მათ კონტროლზე, არამედ იმაზეც, შევძლოთ უსაფრთხოების სექტორის ისე ჩამოყალიბება, რომ ჰარმონიულად იმუშაონ. ასე რომ, არამარტო რისკების ანალიზი ხდება, პრაქტიკული კუთხითაც იდგმება ნაბიჯები.

— დაანონსებულ 19 აპრილის მიტინგსაც საბოტაჟის კონტექსტში განიხილავთ?

— მერაბიშვილი დარწმუნებულია, მათ არავინ დაარბევს და ჩვენც ვამბობთ, რომ ხელს შევუწყობთ, აქცია მშვიდობიანად ჩატარდეს, მათ უსაფრთხოებას მაქსიმალურად უზრუნველვყოფთ. ეს ქვეყანა დემოკრატიისკენ მიდის და აზრის გამოხატვის თავისუფლება გარანტირებულია. პოლიტიკურად კი, ვერ გეტყვით, რამდენად მომგებიანია ეს მათთვის, ხალხმა განსაჯოს და გადაწყვიტოს.

— ბაქოდან დაბრუნებულმა სააკაშვილმა სუპერატაშის თემა ისევ წამოწია, პუტინთან დაახლოებული გარდაბნელი მილიარდერისგან წამოსული საფრთხეზე ისაუბრა, ექსტრემისტი ჩახალიანის გათავისუფლებაც წამოაძახა ხელისუფლებას.

— რა ვთქვა იმ ხელისუფლებაზე, რომელსაც ერთი კაცის ეშინია. ფიქრობს, რომ ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამოწვევა შეუძლია ადამიანს, რომელიც ხულიგნობისა და იარაღის უკანონო შეძენისთვის ჰყავდა დაკავებული. თუ მას ქვეყნის გადატრიალება შეუძლია, მაშინ კარგად ყოფილა წინა ხელისუფლების საქმე! ჩვენ კი სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ სიტუაცია კონტროლქვეშაა და ნებისმიერი ადამიანი, ვინც შეეცდება, არეულობის პროვოცირება მოაწყოს, დროულად იქნება აყვანილი. სახელმწიფო იმოქმედებს კანონის ფარგლებში და თავის ფუნქცია-მოვალეობებს შეასრულებს.

გიგი წერეთელი: „ხელისუფლება ჩვენს შეცდომებს იმეორებს“

„ჯი, ბატონო, გავიგეთ, ჰომ ვაჯეთებდით, მაგრამ ამ ხელისუფლებამ ჰაღა ისევ ის უნდა აჯეთოს?!"

პრემიერისა და პრეზიდენტის ჩაშლილი შეთანხმებისა და პრემიერის მიერ ფეისბუქით გაგზავნილი ულტიმატუმის შემდეგ შეხვედრის აუცილებლობაზე პრეზიდენტი პირველი ალაპარაკდა. სააკაშვილის თქმით, ამისკენ მას ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ უბიძგა. „არ შეიძლება, არ მანაღვლებდეს ის, რომ რასაც 9 წელი პირადად რუდუნებით ვაშენებდი, შეიძლება დაინგრეს. ამიტომ, როგორც არავინ, ვარ დაინტერესებული იმაში, რომ არ გართულდეს სიტუაცია და ქვეყანამ წაიწიოს წინ. ეს არის დღეს ჩემი ამოცანა და ყველაფერი დანარჩენი პიროვნული საერთოდ არაფერს ნიშნავს“, — ირწმუნება სააკაშვილი. რამდენად დარჩება საკუთარი სიტყვების ერთგული, ამას დრო გამოაჩენს, მანამდე კი მხოლოდ შესაძლო შედეგებზე შეიძლება საუბარი. მოლოდინებზე, გეგმებზე და სხვა აქტუალურ საკითხებზე „სარკე“ ნაციონალ დეპუტატს, გიგი წერეთელს ესაუბრა.

— ბატონო გიგი, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ირწმუნებიან, რომ კოჰაბიტაციისთვის მზად არიან, მაგრამ რეალობა გვიჩვენებს, რომ ამ ორ შტოს შორის ურთიერთობა ბოლო პერიოდში უკიდურესად გაიწყვიტა. ბოლოს და ბოლოს რისი მიღწევა სურს ოპოზიციას?

— ჩვენი რეალობა გვაჩვენებს, რომ საქართველოს არ აქვს იმის ფუფუნება, ხელისუფლების შტოებს — პრეზიდენტსა და პრემიერს — შორის დაპირისპირება იყოს. ეს ქვეყანას უკან სწევს როგორც საშინაო, ისე საგარეო თვალსაზრისით. არასტაბილურობა და არაპროგნოზირებადი ვითარება უარყოფით გავლენას ახდენს საინვესტიციო პოლიტიკაზე, ბიზნესგანვითარებაზე, ზოგადად ეკონომიკურ პარამეტრებზე.

ჩვენს გვაქვს პრიორიტეტები, რისკენაც მივდიოდით ბოლო 9 წელიწადი. ამ 9 წელს ახლა სხვადასხვა კონტექსტში ახსენებენ, მაგრამ ყველას უნდა ესმოდეს, რომ საქართველოს მონაპოვარი, როგორც სახელმწიფოსი, სწორედ ამ წლებს უკავშირდება. ის უსიამოვნო გარემო, რაც ქვეყანაშია, კარგად არ მოქმედებს ქვეყნის იმიჯზე. ნახეთ არაერთი კრიტიკული შეფასება. ქვეყნის პრიორიტეტებზეც დაისვა კითხვები, ეს გვაშორებს ევროპას, მერე გაგვიჭირდება იმის მტკიცება, რომ მზად ვართ ინტეგრირებისთვის ევროპულ ოჯახში. რა თქმა უნდა, მაშინ არის მეორე ალტერნატივა, თუ არ უახლოვდები დასავლეთს, მაშინ უახლოვდები რუსეთს. ამ ვითარებაში პოლიტიკურ ლიდერებს შორის შეთანხმებას დიდი მნიშვნელობა აქვს. თუმცა მინდა, ხაზი გავუსვა იმას, რომ ულტიმატუმის ენით და რაღაც ვადების მიცემით საუბარი არასწორია.

→18

ნათელმხილველი
ელენა
მკითხაობს ტაროს
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58

Cyan Magenta Yellow Black

■ გიგი წერეთელი

ჩვენი მხრიდან ღიად გაცხადდა, რომ მხარს დავუჭერდით ამ ინიციატივას, მაგრამ გვქონდა შემხვედრი წინადადებებიც, პოლიტიკაში ეს ჩვეულებრივი ამბავია.

— ამნისტიას თუ გულისხმობთ, ამაზე უარი გარკვეულ ვითხრეს და განმარტეს კიდეც, რატომაც.

— სხვათა შორის, ამნისტია არ მიგულისხმია, ამ საკითხების აღრევა ხდება. ცნობილია, უმრავლესობას რაც სურს — შეეკვეცოს პრეზიდენტს უფლებები და ჩვენ დავეთანხმებით ამას, მაგრამ გვაქვს პოზიცია და მოთხოვნები. გვინდა, რომ დაფიქსირდეს საგარეო კურსი კონსტიტუციაში; დადგინდეს მაღალი კვორუმი, რადგან ვხედავთ, რომ დეპუტატებზე ხდება ზეწოლა და ბევრმა ვერ გაუძლო ამას; პრეზიდენტი არჩეული იყოს პირდაპირი წესით და პარლამენტის ქუთაისში ადგილმდებარეობის საკითხი. ამ საკითხებზე პრაქტიკულად ყველაფერი გარკვეულია და ისმის კითხვა — თუ აქ ყველაფერი გარკვეულია, რა მოხდა, რატომ ვერ შედგა შეთანხმება? მერე ამოტივტივდა ის თემა, რასაც თქვენ შეეხეთ — ამნისტია. თუმცა მე ამას ამნისტიას ვერ დავარქმევ. არაფრით შეიძლება, ყველას უწოდო დამნაშავე მხოლოდ იმიტომ, რომ ნაციონალი იყო. სხვათა შორის, ხელისუფლების ყველაზე დიდი შეცდომა ის არის, რომ ასეთი აგრესიული შეტევა დაიწყეს ყველაზე. ცდილობენ, აზრის კულტივირება მოახდინონ, რომ ამ 9 წელიწადში არაფერი გაკეთებულა. ეს კი იმისთვის ხდება, რომ თავიანთ დაპირებას ვერ ასრულებენ. დღეს ხალხის ყურადღება ყოველდღიურ დაკავება-დაჭერაზეა კონცენტრირებული.

— ვერ გეტყვით, რომ ამ დაჭერებით ხელისუფლებამ ბევრი რამ მოიგო — პირიქით, პასუხისგებაში მიცემული ჩინოსნების გაშვება სასამართლოს დარბაზიდან მეტ კითხვებს ბადებს.

— გეთანხმებით. ჩემი აზრით, საჭიროა შეთანხმება, რომ ოპოზიციის მიმართ პოლიტიკური დევნა შეწყდეს. ჩვენ ყველა გახმაურებული საქმის გამოძიებას მხარს ვუჭერთ, ხელს არ შევუშლით. ხედავთ, რომ უმცირესობის ლიდერები დაკითხვებზე დადიან.

— მაგრამ არა — ყველა.

— მაგალითად, ვინ?

— თუნდაც გიორგი ღვინიაშვილი, გიგი უგულავაც სასამართლო გადაწყვეტილებით ძლივს მიიყვანეს პროცესზე.

— ეს არ ნიშნავს, რომ უარი განაცხადა დაკითხვაზე, უბრალოდ ღვინიაშვილმა თქვა, მე ვარ დეპუტატი და მობრძანდით პარლამენტშიო. კანონი არ ავალდებულებს, პროკურატურაში მივიდეს. შეთანხმება რომ არ მოხდა, ამის მიზეზად ამნისტიის თემა დასახელდა. ახლა პრეზიდენტის დაცვის თემაც შემოვიდა, კიდევ სხვები, ამიტომაც მგონია, რომ ვიღაცას ხელს არ აძლევს შეთანხმების მიღწევა. ალბათ საჭიროა, რომ დრო გაიწელოს, რათა მეტი ხმა მოგროვდეს ამ თუ იმ მეთოდით და ეს შეთანხმება საჭირო არ გახდეს.

— ზეაღ ძიძიგურმა თქვა, რომ უმრავლესობას ამ ცვლილებებისთვის საკონსტიტუციო ხმები გარანტირებული აქვს.

— თეორიულად ყველაფერი შეიძლება და თუ აქვთ, მიიღებენ გადაწყვეტილებას ისე, რომ არ ჩაწერენ იმას, რასაც ჩვენ ვითხოვთ. არადა ეს შეთანხმება შეიძლება ყველანაირი შეთანხმების საფუძველი გახდეს. საწყენია, როცა ერთი ხელით კალამს მაწოდებ, რომ დაგეთანხმო და მეორე ხელით მიბარებ პროკურატურაში, ბორკილს მადებ, ებრძვი ჩემს მეგობარ ბიზნესმენებს, ზოგის შვილები დაიჭირე... ამაზე ქვეყნის გარეთაც ითქვა. მოსახლეობას ამ ტიპის სამართლიანობის აღდგენისთვის არ მიუცია ხმა. 90 პროცენტს აინტერესებს სხვა თემებიც, მაგალითად, მათი ცხოვრება როდის გაუმჯობესდება. არადა ცხადდება, რომ თითქოს მთავარი თემა მოსახლეობისთვის ამ რამდენიმე ადამიანის დაპატიმრებაა. ძალიან ბევრი ბრალდება, რომელიც პროკურატურამ წარადგინა სასამართლოში, კრიტიკას ვერ უძლებს. სწორედ ამის გამო სასამართლო ვერ იღებს გადაწყვეტილებებს, რომ ადამიანები ციხეში ჩაყაროს. დღეს სასამართლო პროკურატურისგან თავისუფალია და ეს მოსაწონია. ეს ის საკითხია, სადაც თავის დროზე ჩვენი მხრიდან ხარვეზი თუ შეცდომა იყო დაშვებული და მოსახლეობას ეს მაღალი პოლიტიკური ფასით გადაგვახდევინა — არჩევნებში წავაგეთ.

„ბანკებთან დაკავშირებით ამის გამოცხადება არ იყო სწორი. შეიძლება ზოგიერთი პასაჟი ამ გამოსვლაში მეც არ მომწონებოდა".

ახლა დაიწყო შეტევა სასამართლოზე, კუბლაშვილის იმპიჩმენტზეა საუბარი, ცალკეულ მოსამართლეებსაც ასახელებენ, ვიღაცის კვალიფიკაციაზე ალაპარაკდნენ... სასამართლოზე ასეთი შეტევები კარგს არაფერს მოგვიტანს.

— მაგრამ სასამართლოს რომ ახალაიას გარდა არავინ დაუკავებია, ამას რა ჰქვია? უმრავლესობამ ამას საბოტაჟი უკვე უწოდა.

— საბოტაჟი იმას ჰქვია, რომ ვიღაცას ვერ აპატიმრებს პროკურატურა? მოდით, ასე ვთქვათ, სასამართლო ათავისუფლებს უმრავლეს შემთხვევაში გირაოთი, რადგან თვლის, რომ არსად გაიქცევა. გირაო არ არის გამართლება, აღმკვეთი ფორმაა, შეიძლება საბოლოოდ გამამტყუნებელი განაჩენიც კი მიიღოს.

— დავიჯეროთ, რომ პროკურატურის ყველა მოთხოვნა სუსტი იყო და არც ერთი პროკურორი აღმოჩნდა კვალიფიციური?

— მე ადრე არასოდეს დავსწრებივარ სასამართლოებს, ამ ბოლო დროს ვიყავი და შევწუხდი იმის გამო, რომ პროკურატურაზე გაცილებით უკეთესი შეხედულება მქონდა. როცა ადამიანს აპატიმრებ და დაზარალებული არ არსებობს, რა უნდა თქვა? აგერ კალანდაძეს საერთოდ მოეხსნა ბრალდებები. გვეუბნებიან, თქვენც იმავეს აკეთებდითო. კი, ბატონო, გავიგეთ, რომ ვაკეთებდით, მაგრამ ამ ხელისუფლებამ რაღა ისეთ ის უნდა აკეთოს?!

არჩეული ხარ, ტაში დაგიკრეს, მაღალი ლეგიტიმაცია გაქვს და გამოიყენე, რა მოგებას ხედავ, რომ შენი ოპონენტი გააშავე? ხელისუფლებამ რიტორიკა უნდა შეცვალოს. იმის თქმა უმცირესობისთვის, თუ კრიტიკას არ შეეშვები, პროკურატურის წინ რიგები გაიზრდება და მომავალი არ გექნებაო, სწორი არ არის. ხელისუფლება მუდმივი არ არის, შეიძლება იმაზე სწრაფად დამთავრდეს, ვიდრე შენ გგონია.

— კარგი იყო, ეს თქვენც გხსომებოდათ.

— კი, იყვნენ ვიღაცეები, ვინც ამაზე არ ფიქრობდნენ, მაგრამ ისწავლე სხვის მაგალითზე. რალაცაზე ალბათ მეც პასუხისმგებელი ვარ, ზოგან — ნაკლებად, ზოგან — მეტად, მაგრამ ჯობია, მომავალზე ვიყოთ ორიენტირებული. გამოკითხვები რომ გავაკეთოთ, დარწმუნებული ვარ, უმრავლესობა გეტყვით, რომ მათთვის მთავარია თანხმობა. შიდა კინკლაობა დასავლეთს გვაშორებს და მოდერნიზებულ საბჭოთა კავშირთან გვაახლოვებს. ვიკინკლაოთ რაღაცეებზე, მაგრამ ფუნდამენტურ საკითხებზე უნდა შევთანხმდეთ.

— ამის მიღწევა გაჭირდება იმ ფონზე, როცა სააკაშვილის ყოფილი გამოსვლა ახალ-ახალი პროვოკაციაა, თუნდაც ბანკებზე კომენტარი გაიხსენეთ.

— ბანკებთან დაკავშირებით ამის გამოცხადება არ იყო სწორი. შეიძლება ზოგიერთი პასაჟი ამ გამოსვლაში მეც არ მომწონებოდა, მაგრამ იყო დადებითი რაღაცეეებიც. მგონია, რომ პრეზიდენტის დონეზე ამის გაჟღერება არ უნდა მომხდარიყო. არ გამოვრიცხავ, რომ რუსულ კომპანიებთან იყოს მოლაპარაკებები, უბრალოდ, როცა ამას პრეზიდენტი ამბობს, მაინც სხვანაირად ჟღერს. ვნახოთ, შეიძლება მისი ნათქვამი გამართლდეს კიდეც.

— პრეზიდენტის განცხადებები სახელმწიფო დაცვის სამსახურთან დაკავშირებით თუ მოგეწონათ?

— საქართველოს პრეზიდენტს, რომელსაც 9-ჯერ დაემუქრა რუსეთის პრეზიდენტი და ბევრს აქაც არ მოსდის მაინცდამაინც თვალში, დაცვა სჭირდება.

— უთანხმოების თემა არა — დაცვა, არამედ დაცვის სამსახურის წევრთა რაოდენობა და ბიუჯეტი გახდა.

— ჩვენ დავეთანხმეთ, რომ ეს საკითხი მთავრობის კომპეტენციაში გადასულიყო. სამსახურები გაიყო, მაგრამ შემდეგ უკვე ტექნიკური აღსრულება ვერ მოხდა და დაიწყო სპეკულაცია, რომ პრეზიდენტი ითხოვს ამდენს და ა.შ. მას უთხრეს, რომ იქნებოდა 300 კაცი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა მას იცავს, იქ არის ობიექტები და ა.შ. ყველა ერთად პრეზიდენტს კი არ დასდევს. მერე ეს ხალხი ერთ შენობაში უნდა შეეშვათ, სადაც არ ეტეოდნენ... ეტყობა, პრეზიდენტი მორალურად მივიდა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ თქვა, საერთოდ არ მინდაო. ეს შეიძლება ემოციური ჟესტიც იყო.

— მაგრამ ზურგჩანთა რომ გადაიგდო და აეროპორტში გაიპარა, რა ლოგიკაში ჯდება?

— ხელისუფლებამ პრეზიდენტი იმ დონემდე არ უნდა მიიყვანოს, რომ ასე მოიქცეს. მისი დაცვა არის სახელმწიფოს მოვალეობა და უნდა დაიცვას, მაგრამ არა ისე, როგორც 8 თებერვალს მოხდა.

— იქ ყველაფერი ვიგი უგულავას დაბრალდა, უმრავლესობა ირწმუნება, ხალხი მან გამოიწვიაო. უგულავას ბრალსაც ალბათ პოლიტიკურად მოტივირებულად აფასებთ, არა?

— როცა ქალაქის მერს უყენებენ ბრალდებას, თან მაშინ, როცა მასობრივად არის პოლიტიკური დაპატიმრებები, რა თქმა უნდა, ექნება პოლიტიკური სარჩული და ეს არავის უნდა გაუკვირდეს. მე ვარ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ვიცეპრეზიდენტი, ეს საკმაოდ მაღალი პოსტია, ამაზე კვოტებით არ ვარ წარდგენილი, ევროპის სახალხო პარტიამ წარმადგინა შარშან. ახლახან ეუთო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის ხელმძღვანელს შევხვდით და ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ — სასამართლო პროცესებს ეუთო დააკვირდება, მონიტორინგს ის ჩაატარებს. სანდო ინსტიტუტია და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი იქნება მისი შეფასება.

— 19 აპრილით რის მიღწევას ცდილობთ?

— ყველა პარტია, „ოცნებაც" და სხვებიც აცხადებდნენ თარიღებს, ამ დღეს შევიკრიბებითო, ეს არის ჩვეულებრივი ამბავი.

— რატომ მაინცდამაინც აპრილი — პარლამენტის არჩევიდან ზუსტად მე-10 თვე, ვაჭრობას ისევ აპირებთ?

— არა, არის თემები, რომლებზეც აპრილში უკეთესია საუბარი,მერე შეიძლება ასეთი აქტუალური არ იყოს. დიდი იმედი მაქვს, არ განმეორდება ის, რაც 8 თებერვალს მოხდა.

— გაქვთ იმედი, რომ ხალხი მოვა?

— ბევრი რამ ხდება სპონტანურად. თუ თემატიკა იქნება საინტერესო, დარწმუნებული ვარ, ბევრი მოვა... ყველა პოლიტჯგუფი თავისებურად აფასებს ერთ ოთახში შეკრებილ საზოგადოებას — ზოგისთვის 500-ია და ზოგისთვის — 10.

— ამაში გამოცდილებით ნაციონალებს ვერაყინ შეგედრებათ, ბატონო გიგი.

— ალბათ ჩვენც გადაგვიმეტებია ან დაგვიკლია რაღაც. კარგია, რომ ვხუმრობთ და მივესალმები, თუ აპრილშიც გვექნება ასეთი ხასიათი.

Cyan Magenta Yellow Black

ეკა ბესელია: „არჩილ კბილაშვილს მიხმარება სჭირდება, პროკურატურა უნდა გაიწმინდოს!“

■ ეკა ბესელია

„პროკურატურა იჭერს, სასამართლო უშვებს“... — ეს პრეტენზია სასამართლოს მიმართ არამხოლოდ იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს აქვს. პროკურატურისა და სასამართლოს შეუთავსებლობაზე საუბარი პარლამენტშიც დაიწყო და შესაძლებელია ეს საუბრები მალე კოტე კუბლაშვილის იმპიჩმენტით დასრულდეს. ამ პერსპექტივას პარლამენტში ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია მკაფიოდ ხედავს.

— ქალბატონო ეკა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილმა ფოთის პროკურორის მიერ მოსამართლის დაბარება დაკითხვაზე კონსტიტუციის დარღვევად შეაფასა. საქმე კი, რომლის გამოც მოსამართლე დაიბარეს, თქვენ გაახმაურეთ. იქნებ კონკრეტულად გვიამბოთ ამ შემთხვევაზე, რა მოხდა.

— არ არის მართალი, რასაც კუბლაშვილი ამბობს, რომ მოსამართლის დაკითხვაზე დაბარება კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. ამის დასტურად მე მისივე თავმჯდომარეობის პერიოდში გასამართლებული ფოთის მოქმედი მოსამართლე ბესარიონ გვაჯავა მომყავს, რომელიც უზენაესმა სასამართლომ უკანონოდ გამოტანილი გადაწყვეტილების გამო გაასამართლა. მას დარღვევად ჩაუთვალეს, რომ კონკრეტული პატიმრის მიმართ პირობითი მსჯავრი ჰქონდა გამოყენებული. ედავებოდნენ, რომ მას ამის გამოყენების უფლება არ ჰქონდა და კანონი დაარღვია. მერე ამ მოსამართლეს პატიმრობა შეუცვალეს ჯარიმით, რადგან აღმოჩნდა, რომ უზენაეს სასამართლოსაც სწორედ ის პირობითი მსჯავრი ჰქონდა გამოყენებული, რისთვისაც ეს მოსამართლე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. ეს საქმე რომ არ გახმაურებულიყო, ჯარიმით დასჯეს, ანუ გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანეს. ეს კონკრეტული მაგალითი იმისთვის მოვიტანე, რომ კუბლაშვილი ამტკიცებს, მოქმედი მოსამართლის დაბარება გამომძიებელთან ანტიკონსტიტუციურია. ახლახან კი მომაწოდეს ინფორმაცია, რომ საია-ს თავმჯდომარის, ბატონი კოჟორიძის მამაც იყო მოსამართლე და ისიც გახლდათ მოქმედი მოსამართლე, როცა პასუხისგებაში იქნა მიცემული და გასამართლებული. ასეთი მაგალითი მრავლად იქნება. ასე რომ, კუბლაშვილი არასწორ განცხადებას აკეთებს.

კუბლაშვილის გაღიზიანება გამოიწვია იმან, რომ მოქმედი მოსამართლეების მიმართ გამოძიებას პროკურორი გოგუაძე აწარმოებს. ერთ-ერთი არის ფოთის სასამართლოს თავმჯდომარე. კუბლაშვილმა ფაქტობრივად აღიარა, რომ ამ მოსამართლეებმა იმ პირების მიმართ, ვისაც ამნისტია ეხებოდა, ეს ნორმა არ გაავრცელეს და პირი დააპატიმრეს. კუბლაშვილმა თქვა, კი მოხდა, მაგრამ მერე ზემდგომმა მოსამართლემ გამოასწორა, ანუ სააპელაციო სასამართლომ ეს გადაწყვეტილება შეცვალაო, მაგრამ ფაქტი დაიმალა. როცა ეს შემთხვევა მოხდა, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე ვალდებული იყო, ამის შესახებ პროკურატურისთვის შეეტყობინებინა და გამოძიება დაწყებულიყო. ეს იყო დამალული საქმე, რომელიც მე გამოვამზეურე და გამოძიება მიმდინარეობს. პროკურორი მოსამართლეებს იბარებს გამოძიებაზე, ამის გამო კი სააკაშვილი მას ყოველ მეორე დღეს ლანძღავს.

და კიდევ, კუბლაშვილი ამტკიცებს, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პასუხისმგებლობა არასოდეს დადგება. ეს არ არის სწორი. ხელშეუხებლობის გარანტიით არავინ არის აღჭურვილი, მათ შორის არც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. თუ დადასტურდა, რომ იმ ორი მოსამართლის დანიშვნით კონსტიტუცია დაარღვია, მისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს.

— სააკაშვილმა მთავარ პროკურორს ჭორიკანა უწოდა, დადის და ჭორაობს ტელევიზორში, ვინ უნდა დაიკითხოსო. რამდენად მართებული კრიტიკა იყო პრეზიდენტისგან?

— სააკაშვილის გამონათქვამები მისი თანამდებობისთვის შეუფერებელია. არ შეიძლება ქვეყნის პირველი პირი საუბრობდეს, რომ მთავარი პროკურორი ჭორიკანაა, ოლქის პროკურორი კი ბირჟაზე იდგა და კორუმპირებულია. ისიც თქვა, კორუფციისთვის გავაგდეთო... ტყუილია! ის 10 წელი იყო მოსამართლე. ვადა ამოეწურა და სასამართლოდან ამის შემდეგ წამოვიდა, არავის გაუთავისუფლებია. ლაშა ნაცვლიშვილზე თქვა, კორუფციაში იყო ჩაბმულიო, ალეკო ტაბატაძე ნარკობარონად მოიხსენია, ირაკლი ღარიბაშვილს ლანძღავდა უშვერი სიტყვებით. ეს პრეზიდენტისთვის უღირსი საქციელია და ამით საკუთარ იმიჯს უფრო აზარალებს და შეურაცხყოფს.

„ხელშეუხებლობის გარანტიით არავინ არის აღჭურვილი, მათ შორის არც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე“.

— მაგრამ მთავარი პროკურორის მიმართ არამარტო სააკაშვილს აქვს პრეტენზია, ფაქტია, რომ პროკურატურამ ვერ უზრუნველყო იმის გაკეთება, რისი მოლოდინიც ხალხს ჰქონდა.

— საზოგადოების მოთხოვნა ძალიან მაღალია და მოლოდინი დიდია, ამიტომ პროკურატურას მართებს ადამიანთა მაქსიმალური რესურსი გამოიყენოს, რომ ეს საქმეები სწრაფად გამოიძიონ. პროკურორრები კონკრეტული საქმეებით უნდა დაკავდნენ, მაგრამ რაიონებში ისეთი კადრებია დანიშნული, რომლებიც სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებენ. პროკურატურის შიგნით საკადრო პოლიტიკა კიდევ გადასახედია. ამ სისტემას მიხმარება სჭირდება, ამის გაკეთებას მარტო არჩილ კბილაშვილი ვერ შეძლებს, თუ პროკურატურის მთავარი ბირთვი, რესურსი არ იქნება ჩართული. მას ჰყავს კვალიფიციური მოადგილეები, იურისტები, მაგრამ ქვედა რგოლებზე ჯერ კიდევ მუშაობენ ისეთი პროკურორები, ვინც უკანონო საპროცესო შეთანხმებებს აფორმებდნენ და დანაშაულს ჩადიოდნენ. ეს სისტემა ასეთი ადამიანებისგან უნდა გაიწმინდოს.

„ადეიშვილის და ზოდელავას დროს საქმეებს 2-3 თვეში გახსნილად აცხადებდნენ. სააკაშვილს თუ 2 დღეში უნდოდა, 2 დღეში გამოცხადდებოდა საქმე გახსნილად. ჩვენ ასეთ მიდგომებზე უარი ვთქვით. არ შეიძლება სამართლიანობა დაკვეთით ხორციელდებოდეს.“

— და მაინც, პროკურატურას ბაჩო ახალაია-ასთვის ბრალის წაყენება ასე რატომ გაუჭირდა?

— ადეიშვილის და ზოდელავას დროს საქმეებს 2-3 თვეში გახსნილად აცხადებდნენ. სააკაშვილს თუ 2 დღეში უნდოდა, 2 დღეში გამოცხადდებოდა საქმე გახსნილად. ჩვენ ასეთ მიდგომებზე უარი ვთქვით. არ შეიძლება სამართლიანობა დაკვეთით ხორციელდებოდეს. შეიძლება ეს პრობლემები იყოს, რადგან საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა გვერგო და შეუძლებელია სისტემა 3-4 თვეში ააწყო, ამას დრო სჭირდება.

„ადეიშვილის და ზოდელავას დროს საქმეებს 2-3 თვეში გახსნილად აცხადებდნენ. სააკაშვილს თუ 2 დღეში უნდოდა, 2 დღეში გამოცხადდებოდა საქმე გახსნილად. ჩვენ ასეთ მიდგომებზე უარი ვთქვით. არ შეიძლება სამართლიანობა დაკვეთით ხორციელდებოდეს.“

— გაუგებარია, როცა მოსამართლე არ აკმაყოფილებს გიგი უგულავას ბრალთან მიმართებაშიც პროკურატურის არც ერთ მოთხოვნას. მერე ითქვა, პროკურატურას ძალიან სუსტი პოზიცია ჰქონდათ.

— აქ საფრთხე არსებობს სასამართლოში, რომელიც ისე მოქმედებს, რომ მე ამას განვიხილავ, როგორც საბოტაჟს. მოსამართლეების ქმედებებში აშკარად შეინიშნება ტენდენცია, რომ სახელმწიფო მოხელეები არ დააპატიმრონ, რაც საზოგადოების პროტესტს აძლიერებს. მგონია, რომ ეს შემთხვევით არ ხდება. ამიტომ დროა, ვიფიქროთ, რომ სასამართლო ხელისუფლება ჩავაყენოთ სამართლიანობის სამსახურში. თუ ასე გაგრძელდა, საკმაოდ ბევრი ფაქტი არსებობს და მე ვიტყოდი, რომ კუბლაშვილის მიმართ კონსტიტუციით გათვალისწინებული იმპიჩმენტის პროცედურა უნდა განხორციელდეს. ეს ჩემი მოსაზრებაა და მე არ გამოვხატავ უმრავლესობის აზრს, ანუ ჩემი პოლიტიკური გუნდისას, თუმცა შეიძლება ამ აზრს სხვებიც იზიარებდნენ. არ შეიძლება სასამართლო ხელისუფლება ემსახურებოდეს რომელიმე ძალას, ის მხოლოდ სამართლიანობის სამსახურში უნდა იყოს.

— იუსტიციის მინისტრი ამტკიცებდა, რომ მის მიერ ინიცირებული სასამართლო რეფორმა ამ პრობლემას უმტკივნეულოდ მოაგვარებდა, მაგრამ მისი მიღება მაინც გადაიდო ვენეციის კომისიის დასკვნამდე.

— ინიციატივის განხილვა მოხდა და შემდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ დაველოდოთ ვენეციის კომისიის დასკვნას. შესაძლებელია, დასკვნის გამოქვეყნებამდე რაღაც სამუშაოები ჩატარდეს. ეს რეფორმა ბოლომდეა მისაყვანი და მაქვს განცდა, რომ ბევრი დრო არ გვაქვს, პროცესი უნდა დაიწყოს. რასაკვირველია, უნდა გავითვალისწინოთ ვენეციის კომისიის დასკვნა, მაგრამ გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს.

— პროკურატურა იჭერს, სასამართლო უშვებს, ვენეციის კომისია დასკვნას აგვიანებს, იმპიჩმენტიც სადაოა, დრო კი მიდის.

— მე მაქვს გარკვეული მოსაზრებები, მექანიზმები და გუნდის შიგნით ამაზე კონსულტაციები მიმდინარეობს. ალბათ შევეჯერდებით და ამაზე საჯაროდ მხოლოდ ამის შემდეგ ვისაუბრებთ. როგორც გითხარით, რომ მე კუბლაშვილის იმპიჩმენტს ვემხრობი, მისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს და მეორე, უნდა განხორციელდეს სასამართლო რეფორმა, უნდა მივიღოთ კანონი სასამართლოს რეალური დამოუკიდებლობისთვის — ეს იქნება ნაბიჯი, რომელიც სამართლიანობაზე გაიკლის. ჩვენ პატივს ვცემთ სასამართლოს, როგორც ხელისუფლების დამოუკიდებელ შტოს, მაგრამ, ბუნებრივია, ვერ ვიქნებით გულგრილი, როცა ვუყურებთ, რომ ის არ დგას სამართლიანობის გზაზე.

— პრეზიდენტის მხრიდან დაცვაზე უარის თქმაც საბოტაჟია?

— კი და ვფიქრობ, რომ საბოტაჟი არის სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც კანონით ისჯება. ვფიქრობ, შინაგან საქმეთა სამინისტრო საბოტაჟის თემით უნდა დაინტერესდეს. სააკაშვილმა საკმაოდ დიდი რესურსი მოითხოვა, რაზეც უარი მიიღო. მერე მას საკუთარ განმგებლობაში დავუტოვეთ დაცვის სამსახური, მაგრამ იქ მუშაობაზე ბევრმა თანამშრომელმა თავად თქვა უარი და სამთავრობო დაცვაში გადავიდნენ, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა. ისე, ჯობდა, სხვა თემებზე უფრო მეტი ეფიქრა, ვიდრე იმაზე, სამი მანქანით ივლის თუ ხუთით.

✓ **პოლიტიკის რუბრიკა მოამზადა მანანა გეგიამ**

Cyan Magenta Yellow Black

რამაზ საყვარელიძე:

„თავის დროზე ჰიპნოზს ვაკეთებდი და ამან ბევრი რამ მასწავლა“



■ რამაზი ახალგაზრდობაში

„ჩემი ცოლი ეოველთვის იმ ასაკისაა, რა ასაკშიც მომხიბლა“

ბანათლებით ფსიქოლოგი, პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე, არტისტულ ოჯახშია დაბადებული. მისი მამა ძველი თაობის ცნობილი მსახიობი იყო, ტარიელ საყვარელიძე. უფროსი ასაკის მაყურებლებს ის გამორჩეული, მდიდარი გამომსახველობის ხმის ტემბრით ახსოვთ, რომელიც ერთ მსახიობად ღირდა. დედამ, მარიამ ცაბორიძემ, ოჯახის გამო მსახიობობას თავი მალე დაანება და პედაგოგიკის ხაზით გააგრძელა საქმიანობა. ვაჟიშვილი ფაქტობრივად კულისებში გაზარდეს. მამას ხშირად დაჰყავდა რამაზი რეპეტიციებზე, სპექტაკლებზე. „მე მხოლოდ მამა კი არა, თეატრიც მზრდიდა“, — გვითხრა ცნობილმა პოლიტოლოგმა. ახალგაზრდობაში რეჟისურა ხიბლავდა, მაგრამ მამა წინააღმდეგი აღმოჩნდა, შვილიც ხელოვნების გზაზე დამდგარიყო. ამიტომაც მეორე გატაცებაზე — მხატვრობაზეც უარის თქმა მოუწია. ლექსებსაც წერდა, საბოლოოდ თავი აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ამოყო, ოღონდ — იქაც დროებით. ძალიან მალე საბუთები ფსიქოლოგიურზე გადაიტანა. აქ კი საკუთარ ადგილს ნამდვილად მიაგნო.

პოეზიამ თავის პირველ, თითქმის ბავშვობის სიყვარულსა და ცხოვრების ქალს შეახვედრა — რუსუდან მშვიდობაძეს. ლექსების უმრავლესობა სწორედ მას მიუძღვნა და უკვე 40 წელია საყვარელიძე-მშვიდობაძეების ოჯახში სიყვარული, მშვიდობა და ურთიერთგაგებაა. როგორც პოლიტოლოგი ნახევრად ხუმბრობით ამბობს, ამაში ფსიქოლოგიაზე მეტად იმერულ-გურული გენები ეხმარებათ.

— ბატონო რამაზ, როგორ ზრდიდნენ ერთადერთ ვაჟს მსახიობ ტარიელ საყვარელიძის ოჯახში?

— რაც მახსოვს, მამაჩემის მეორე ნახევარი თეატრი იყო. ოჯახს გარეთ მისი ცხოვრების დინამიკა ძალიან მაღალი იყო. დედა უფრო ჩრდილში მოქცეული ადამიანი გახლდათ, მაგრამ მანაც მსახიობობით დაიწყო. მათ ერთმანეთი მარჯანიშვილის თეატრში გაიცნეს. დედა წარმოშობით დუშეთიდან გახლდათ, ანუ მთიული და იმერელი შეხვდნენ ერთმანეთს. მარჯანიშვილის თეატრში ამ ორმა დამწყებმა მსახიობმა ოჯახის დაწყებაც გადაწყვიტა. მოგვიანებით დედამ ჩემ გამო თეატრალურ კარიერაზე უარი თქვა. პედაგოგიური ინსტიტუტიც ჰქონდა დამთავრებული და დიდი ხნის განმავლობაში სკოლაში ასწავლიდა, შემდეგ პედაგოგიკის კვლევის ინსტიტუტის თანამშრომელი გახლდათ, მერე — მაშინდელ პუშკინის ინსტიტუტში კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი იყო და სადოქტოროც დაიცვა.

დედისერთა ვარ. ეს ბიჭებისთვის მძიმე ხვედრია, რადგან დედისერთობას ზემზრუნველობა ახლავს თან. ზედმეტ მზრუნველობაზე ბიჭი უფრო რეაქტიულია, დამოუკიდებლობის იდეები აწუხებს, გოგო კი ამას უფრო იხდენს. მამაჩემისთვის მეორე ნახევარი თეატრი კი იყო, მაგრამ როცა გავიზარდე და რაღაცეების გაცნობიერება დავიწყე, მეც თეატრში ვიყავი და არამხოლოდ მე, არამედ ლაშა თაბუკაშვილი, ტრიპოლსკის ორივე ვაჟი — ირაკლი და სოსო და ასე შემდეგ, მთელი საბავშვო ბაღი კულისებში ვიყავით გამწესებული და ფაქტობრივად იმ პერიოდის სპექტაკლების დიდი ნაწილი კულისებიდან მაქვს ნანახი.

— მამათქვენის მიერ შესრულებული როლებიდან ყველაზე მკვეთრად რომელი ჩაგრჩათ მეხსიერებაში?

— მიუხედავად იმისა, რომ ის პატარა როლია, მამასთვისაც და ჩემთვისაც საყვარელია. ეს არის ამბაკოს როლი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“, რომელიც მამაჩემის ხასიათში ძალიან კარგად ჯდებოდა. ერთ-ერთი სცენა მატარებლის კუპეში მიმდინარეობს, სადაც სუფრა იშლება. კიტრი, პომიდორი, მწვანილი, პური, ყველი — მათი ვახშამია. თეატრი ამ სპექტაკლით მოსკოვში გასტროლზე აღმოჩნდა. როცა კულისებში გამზადებული ჩემოდანი მამას სცენაზე შეუტანეს და გახსნა, შიგნით თურმე ისეთი თოთო ნიახური იდო, თბილისშიც რომ გაგიჭირდებოდათ ნახვა. მოკლედ, მამამ სცენარის მიხედვით, ჩანთიდან ყველაფერი ამოალაგა და მწვანილი პირში რომ ჩაიდო, დარბაზიდან შეძახილი მოესმა: „ო, კაროვა!“. თურმე ამაზე მამასაც სიცილი წასკდა.

მამასთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო სპექტაკლ „მედეაში“ კრეონის როლი. ამ როლების დამსახურებაა, რომ მას გარდასახვის დიდოსტატი უწოდეს. ნოდარ დუმბაძის სპექტაკლში „მე ვხედავ მზეს“ სამხედროს მასწავლებლის როლს ასრულებდა. სიმართლე გითხრათ, მკაფიოდ არ მახსოვს და ისიც არ ვიცი, მახსოვს თუ მიყვებოდნენ, რომ მამასთვის „ერეკლე მეორე“ საყვარელი როლი იყო.

მოზრდილ ასაკში მამას იმ როლმა დამაინტერესა, რომელიც მან სცენაზე გვიან ითამაშა, ეს იყო ოთარ ბეგის როლი სპექტაკლში „ღალატი“. ძალიან დიდი ხანი, პრემიერის შემდეგაც კი, მამა ამ როლზე



■ მამა-შვილი — რამაზი და ტარიელი



■ ტარიელ საყვარელიძე

„მამაჩემისთვის მეორე ნახევარი თეატრი იყო, მეც თეატრში ვიყავი და ახამხოლოდ მე, ახამედ ლაშა თაბუკაშვილი, ტრიპოლსკის ორივე ვაჟი — ირაკლი და სოსო... მთელი საბავშვო ბაღი კულისებში ვიყავით გამწესებული. სპექტაკლების დიდი ნაწილი კულისებიდან მაქვს ნანახი“.

„მამას გაჯავრება კი უყვარდა, მაგრამ საკმაოდ ხბილი ადამიანი გახლდათ, მაგრამ ჩემთან ამ სიტყვის გამოვლენაში თავშეკავებული იყო. მისი სენტიმენტები და მოფერება იშვიათად მახსოვს“.

Cyan Magenta Yellow Black

მუშაობას აგრძელებდა. ძალიან საინტერესო იყო იმის ნახვა, რა ხდებოდა სახლში და მერე რა გადიოდა სცენაზე. მამა გრიმს თავად იკეთებდა, რადგან კარგად ხატავდა. თავისი გმირების პორტრეტებსაც აკეთებდა და იმავე პორტრეტს გრიმში თვითონ ამუშავებდა. ოთარ ბეგის სახე მამამ არსებითად შეცვალა, პირველი სახე სულ სხვა ჰქონდა, შემდეგში — სულ სხვა. სულ მის ძიებაში იყო.

■ ქორწინების დღე

— თქვენთან როგორი იყო, ალბათ რბილი.

— მე მხოლოდ მამა კი არა, თეატრიც მზრდიდა. იქ სიარულმა, იმ ხალხთან ურთიერთობამ, ვისზეც შეიძლება ცალკე ნაწარმოები დაიწეროს, ჩემზე გავლენა იქონია. მამას რაც შეეხება, გაჯავრება კი უყვარდა, მაგრამ მკაცრი არ იყო, საკმაოდ რბილი ადამიანი გახლდათ. ჩემთან ამ სითბოს გამოვლენაში თავშეკავებული იყო. მისი სენტიმენტები და მოფერება იშვიათად მახსოვს.

„ჰესედანს ცვალებადი ხასიათი აქვს. ამაში, ქალეჰობის გარდა, გუჰელობაც ხელს უწყობს, ამიტომ მასთან უთანეჰობა ყოველთვის საინტეჰესოა, ის ყოველთვის აქტიუჰია. მაგალითად, პოლიტიკაში ჩემზე მეტადაა ჩართული. მე ჰომ დავბოჰიალობ, ამბებს ის მახვედჰებს, ეს მოხდა და ის მოხდაო".

დედა დრამატული მსახიობისა და პედაგოგის ნარევი გახლდათ, მაგრამ, მიუხედავად

■ რამაზი და რუსუდანი

„ცხოვრებაში ახის ხალაც მოვლენები, ხაც მხოლოდ ეთხელ ხდება და, თუ განმეორდება, ემოცია აკლდება. ასეთი მოვლენაა სიყვარული. ბედნიერი ვარ, ჰომ მყავს მეუღლე, ჰომელსაც პირველი სიყვარული ჰქვია, ამიტომ ის ემოცია სულ მოდის და მოდის".

— ამ კითხვას ლოგიკა ნამდვილად აქვს. სკოლა რომ დავამთავრე, ოჯახში საკითხი დაისვა, თუ სად ჩავაბარებდი. როცა აზრი მკითხეს, მე რეჟისორობის სურვილი გამოვთქვი. მამამ მითხრა: „დაფიქრდი, ხელოვნება დაკვეთაზე მუშაობს. თუ თეატრის მთავარმა რეჟისორმა არ მოინდომა და სპექტაკლი არ მოგცა, შეიძლება უსპექტაკლო რეჟისორი იყო, ასეთი კი ბევრია. თუ მაყურებელს ვერ გაუგე, შეიძლება დამარცხდე, ანუ ბევრი რამ შენზე არ იქნება დამოკიდებული". იმ პერიოდში ლექსებსაც ვწერდი. შესაძლებელი იყო, რომელიმეს გავყოლოდი. მსახიობობა არ მომნდომებია, რეჟისორობა უფრო მაინტერესებდა, ადამიანისგან რაღაცის გამოძერწვა.

მოკლედ, მოხდა ისე, რომ აღმოსავლეთმცოდნეობაზე ჩავაბარე. სკოლა მედალზე მქონდა დამთავრებული, მაგრამ ორიანებიც მიმიღია. როცა გადავწყვიტე, რომ უნდა ჩამებარებინა, მერე დავიწყე მედლისთვის ბრძოლა. მესამე კურსზე დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგია რომ გადავშალე, მივხვდი, ეს იყო ის სფერო, რომელიც მაინტერესებდა. როცა დედაჩემს და მამაჩემს ვუთხარი, ფაკულტეტის შეცვლა მინდა-მეთქი, არ მოეწონათ, „გასტროლებს" დაიწყებ ფაკულტეტიდან ფაკულტეტზეო, მაგრამ ფსიქოლოგიურზე მაინც გადავედი.

— რამდენადაც ვიცით, თქვენი მომავალი მეუღლე ლექსებით მოხიბლეთ. გახსოვთ მასთან პირველი შეხვედრა?

— ჩემი მეუღლე რუსუდან მშვიდობაძეა, ოღონდ ის გვარით არ შემირჩევია. რუსიკო მაშინდელ პიონერთა სასახლეში, ლიტერატურის წრეზე გავიცანი, იქ მსმენელად დადიოდა. თვითონ არ წერდა, მაგრამ სხვების ნაწერები უყვარდა. არ ვიცი, რამდენად ჰქვია ამას მოხიბვლა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩემი პოეზიით დაინტერესდა. ჩემი ლექსების დიდი ნაწილი სწორედ მას ეძღვნებოდა. ლექსები მისთვის ურთიერთობის ბიოგრაფიის ფურცლები იყო. როცა ბიოგრაფია გალექსილია, უფრო კარგად იკითხება.

— სიყვარული ლექსებით აუხსენით?

— რაღაც არ მახსოვს, ეს პროცედურა

■ ბებია და შვილიშვილი

ამისა, მთლად გათამამებული შვილის როლი ღმერთმა არ მარგუნა, რადგან ჩემს მშობლებს განებივრება არ უყვარდათ. შეიძლება მეტყობოდა კიდეც დედისერთობა, მაგრამ ამას სხვებს უფრო ვამჩნევ ხოლმე.

— მშობლებთან მსგავსებას ასაკის მატებასთან ერთად უფრო ვატყობთ საკუთარ თავს. თქვენ დედ-მამის რა თვისებებს აჩნევთ საკუთარ თავში?

— რითიც ახლა ვარ დაკავებული, უფრო დედის ხასიათის დამსახურებაა, ანალიტიკური აზროვნება ჰქონდა. მამის მემკვიდრეობად ალბათ ის ჩაითვლება, რომ ეკრანი არ მაშინებს. მისი საქმიანობის გავლენა უფრო ადრეულ ასაკში მქონდა. კარგად ვხატავდი და თან ისე, რომ სამხატვრო აკადემიაშიც კი ვაპირებდი ჩაბარებას.

— სწორედ ეს მინდოდა, მეკითხა. ხელოვნათა წრეში გაიზარდეთ, მაგრამ აბსოლუტურად სხვა პროფესიაზე გააკეთეთ არჩევანი. ეს როგორ მოხდა?

დამჭირვებოდა. თავიდანვე ცხადი იყო, რატომ ვუძღვნიდი მას ლექსებს.

— რა ასაკში დაოჯახდით?

— დაახლოებით მე-9 კლასიდან ერთად მოვდიოდით. ხან ვშორდებოდით, ხან ხელახლა ვეძებდით ერთმანეთს. სტუდენტობის დასრულებისას ოჯახის შექმნაც გადავწყვიტეთ.

— რა პროფესიისაა ქალბატონი რუსუდანი?

— ლინგვისტი იყო, მაგრამ, ბედის ირონიით, მანაც შეიცვალა პროფესია და ფსიქოლოგიაში ჩემზე ადრე აღმოჩნდა. ამჟამად „თიბისი ბანკში" სოციალური ტრენინგებითაა დაკავებული.

როცა ჩემი მეუღლე პროფესიას ირჩევდა, ძალიან უნდოდა დიპლომატობა, მაგრამ ბიძამისს, ბადრი კობახიძეს უთქვამს, გინდა, რომ „პრამაკაშკა" იყოო და ამის შემდეგ იქ ჩაბარება გადაიფიქრა, მაგრამ „პრამაკაშკად" ყოფნის იმპულსი შვილში ამოტივტივდა და სოფო დიპლომატი გამოვიდა. ის ახლა ავსტრიაში მუშაობს საელჩოში.

— თქვენც დედისერთა ხართ, შვილიც ერთი გყავთ. ძალიან ანებივრებთ მას?

— განებივრებას ვერც ქალიშვილს ვამჩნევ. მას მოწაფეობის დროს გაცვლითი პროგრამებით საზღვარგარეთ წასვლა და

მარტო ცხოვრება მოუწია, ამიტომ საკუთარი თავის მიხედვა არ უჭირს, ამას მიჩვეულია. როცა თბილისშია, ყველაფერი მიყრილი აქვს და ჩვენგან მზრუნველობას დიდი სიამოვნებით იღებს. სოფო 37 წლის არის, მაგრამ ჯერ არ გათხოვილა, ახალგაზრდად მამყოფებს.

— საერთოდ, დედისერთებს მამები ძნელად ელევიან.

→22

Cyan Magenta Yellow Black

— განსაკუთრებით — ქალიშვილს.

— ჰოდა, მითხარით, როგორი სასიძო მოგწონებათ?

— არ ვიცი, ვერ გეტყვით. ამაზე ფიქრი არც ღირს. როცა ადამიანი რაღაცაზე ხშირად ფიქრობ და ამბობ, ეს მინდა და სხვა რამე არ მინდაო, საკუთარ ნაფიქრს ეჯაჭვები და სხვა აღარაფერი მოგწონს, ამიტომ სასიძოზე წინასწარ არ ვფიქრობ. ჯობია, ბევრ რამეში მიზანი საერთოდ არ არსებობდეს, მათ შორის — ამ საკითხშიც.

„მესამე ჯუხსზე დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგია ჰომ გადავშალე, მივხვდი, ეს იყო ის სფეჰო, ჰომელიც მაინტეჰესებდა".

გათამამებაზე ახლა გამახსენდა: ერთხელ სოფო ავად იყო. თავის ოთახში იწვა და უცებ ჩემს ტელეფონზე დარეკა, შემოდითო. ჩვენც მაშინვე შევცვივდით. ერთი-ორჯერ დავიძახე, ყელი მტკიოდა და მეტჯერ ვეღარ დაგიძახეთ, ამიტომ დაგირეკეთ, გამაგებინეთ, ავად ხომ ვარ, ჩემ გარშემო უნდა იროთო, გამოგვიცხადა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ალბათ ვანებივრებთ.

— დამეთანხმებით, რომ ცხოვრებისეულ სირთულეებს ყველა აწყდება. თქვენ რისი გადალახვა მოგიწიათ და გიწევთ?

— ცხოვრება სირთულეების აგურებითაა აწყობილი. ასეთი აგური ჩვენს შემთხვევაშიც ბევრი იყო, მაგრამ მე და რუსუდანი ერთმანეთს ხელს ვუწყობთ.

— მე ოჯახური თანაცხოვრების სირთულეები ვიგულისხმე.

— რუსუდანი გურულია, მე იმერელი, მთიულის გენებით. ტემპერამენტი აშკარად სხვადასხვანაირი გვაქვს. ის სულ ჩქარობს, მე სიდინჯეს ვამჯობინებ, მაგრამ ამის გამო კონფლიქტი არ მოგვსვლია. არც მახსენდება, ჩვენს ხასიათში კონფლიქტური რა არის.

— ჩვენთან, ინტერვიუში, ნათქვამი გაქვთ, ქალი არაპროგნოზირებადი ხასიათის არისო. ისიც, რომ ქალში მისი ბავშვურობაც მოგწონთ. ეს თვისებები თქვენს ცოლში აღმოაჩინეთ?

— ჩემთვის მეუღლე იმდენი წლის მეგობარი და თანამდევია, იმდენი კარგი წუთის მომცემია, რომ, მას როცა უნდა შევხედო, ყოველთვის იმ ასაკისაა, რა ასაკშიც მომხიბლა. რუსუდანს ცვალებადი ხასიათი აქვს. ამაში, ქალურობის გარდა, გურულობაც ხელს უწყობს, ამიტომ მასთან ურთიერთობა ყოველთვის საინტერესოა, ის ყოველთვის აქტიურია. მაგალითად, პოლიტიკაში ჩემზე მეტადაა ჩართული. მე რომ დავბორიალობ, ამბებს ის მახვედრებს, ეს მოხდა და ის მოხდაო. გურულ გენებს პოლიტიკით კვებავს და არა — ჩხუბით.

— როგორ ახერხებთ, რომ ამდენი წლის შემდეგაც ურთიერთობა არ გახუნდეს და ისევ საინტერესო იყოს?

— პირველ რიგში, ამაში ადამიანის ხასიათი გეხმარება. თან ცხოვრებაში არის რაღაც მოვლენები, რაც მხოლოდ ერთხელ ხდება და, თუ განმეორდება, ემოცია აკლდება. ასეთი მოვლენაა სიყვარული. ამიტომაც ჰქვია რაღაცას პირველი სიყვარული, რაც შემდეგ არასდროს განმეორდება. ბედმა მარგუნა ის ბედნიერება, რომ მყავს მეუღლე, რომელსაც პირველი სიყვარული ჰქვია, ამიტომ ის ემოცია სულ მოდის და მოდის.

— ოჯახში ორი ფსიქოლოგი ხართ. თქვენი პროფესია ყოფით ცხოვრებაში დაგხმარებიათ?

— დამხმარებია, როგორ არა. თავის დროზე ჰიპნოზს ვაკეთებდი და ამან ბევრი რამ მასწავლა. სადღაც, მეოთხე კურსზე ვიყავი, როცა ჰიპნოზის კეთებით დავინტერესდი. ეს ნამდვილად დიდი შეცდომა იყო. ბედმა გამიღიმა, რომ რამე უბედურებას არ გადავეყარე, ამის რისკი კი არსებობდა.

ბორჯომში დედასთან ერთად ვისვენებდი. ერთ დღეს მას კენჭის გავლა დაეწყო. სასწრაფო დახმარების გამოძახება შეიძლებოდა, მაგრამ მეშინოდა, ისეთი ექიმი აღმოჩნდებოდა თუ არა ღამის 3 საათზე ბორჯომის სასწრაფოში, რომელიც შეცდომას არ დაუშვებდა. ვფიქრობდი, იქნებ დილამდე გაძლოს, რომ მერე ან თბილისში წავიყვანო, ან ბორჯომში კარგი ექიმი მოვძებნო-მეთქი. დედა ტკივილისგან კედლებზე გადიოდა. ამ დროს ჰიპნოზით მისი ტრანსში შეყვანა ვცადე, რომ ტკივილი მიყუჩებულიყო. მიყუჩდა კიდეც. სადღაც შორს გრძნობდა, მაგრამ აუტანლად აღარ სტკიოდა. ფსიქოლოგიაში ჰიპნოზი ხშირად გამოიყენება. რომ ჩამოგვიაროთ, შეამჩნევთ, რომ გამარჯვების დროშის მოფრიალეები ფსიქოლოგები არ არიან... ფსიქოლოგია შეიძლება ბრწყინვალედ იცოდე, მაგრამ ის ურთიერთობაში ვერ გამოიყენო, რადგან ურთიერთობა შენი ჩვევების მიხედვით გაქვს.

— ოჯახის წევრებისთვის რთულია თქვენი გაგება?

— ამის პრობლემა მე და რუსუდანს არ გვაქვს, რადგან ჩვენი ქცევები გაუგებარი არ არის. ჩემს ცოლს მხოლოდ ის არ ესმის ხოლმე, რატომ არ ვჩქარობ. მე კიდევ არ მესმის, ის რატომ ჩქარობს. ჩვენს გენებს რომ გავიხსენებთ, მერე უკვე ორივეს შეგვიძლია ამის გაგება. ასე რომ, პრობლემის გადაჭრაში ფსიქოლოგიაზე მეტად გენეტიკა გვეხმარება.

✓ ეკა ლემონჯავა

ეკლესიის მუშაობლობაში მონაწილეობამ გლდანელი ბიჭი ღვთისმსახურად აქცია

მამა გიორგი:

„ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზი წლები პატრიარქის გვერდით გავატარე"

ერთ მშვენიერ დღეს გლდანის ერთ-ერთ სკოლაში, შუა გაკვეთილზე საკლასო ოთახის კარი მღვდელმა შეაღო. ბავშვებს მიმართა, რომ ტაძრის ასაშენებლად დამხმარეები სჭირდებოდათ. რამდენიმე ბავშვი წამოდგა და მოძღვარს გაჰყვა. მაშინდელ მე-8 კლასელ ბიჭუნებს შორის იყო მომავალი ღვთისმსახური, წლების შემდეგ ის დეკანოზი გახდა — მამა გიორგი (სახვაძე).

მანამდე ეკლესიასთან შეხება არ ჰქონია, იმ დღიდან კი, როდესაც აგურების გადაზიდვა-გადმოზიდვა დაიწყო, სასულიერო ცხოვრების მიმართ ინტერესი გაუღვივდა. სტიქაროსნობით დაიწყო, გლდანში, ღომისის ტაძარში დადიოდა. იქ ჩააბარა პირველი აღსარება, მიიღო ზიარება. შემდეგ კი ახალგაზრდა სტიქაროსნის ცხოვრებაში ყველაზე საინტერესო წლები დაიწყო. ის სიონის ტაძარში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გვერდით მოხვდა, მისი მთავარი სტიქაროსანი გახდა და მასთან 13-14 წელი იმსახურა. მამა გიორგის დიაკვნად და მღვდლად კურთხევაც სწორედ უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ხელდასხმით მოხდა. დღეს მამა გიორგი ვაშლიჯვრის ჯვართამაღლების ტაძრის წინამძღვარია. „სარკესთან" ის თავის გზას იხსენებს:

— საეკლესიო ცხოვრება 1993 წლიდან დავიწყე. დაახლოებით 13-14 წელი უწმინდესის გვერდით ვიყავი. გახსნის დღიდან სამების საკათედრო ტაძარში ვიმსახურე. პარალელურად სასულიერო სემინარიაში ვსწავლობდი. ამის მერე საერო სასწავლებელიც დავამთავრე — დიპლომატიური აკადემია. სტიქაროსნობის შემდეგ ჯერ ჩემი დიაკვნად ხელდასხმა მოხდა, მერე კი — მღვდლად. ვარ დეკანოზი გამშვენებული ჯვრით.

— იმ პერიოდზე გვიამბეთ, როცა კათოლიკოს-

Cyan Magenta Yellow Black

■ მამა გიორგი

პატრიარქის მთავარი სტიქაროსანი იყავით.

— ჩემი საუკეთესო წლები უწმინდესთან თანამსახურება იყო. მასთან პირველი შეხვედრა ძალიან ემოციური გახლდათ. შეუძლებელია, ერთხელ შეხვდე პატრიარქს და მერე რა დროც უნდა გავიდეს და რამდენჯერაც უნდა ნახო, პირველი შეხვედრა ოდესმე დაგავიწყდეს. ის თავისებური პიროვნებაა და თითოეულ ადამიანს იმ კუთხით უდგება, რასაც მასში ხედავს. არც კი ვიცი, რა უმაღლესი სასწავლებელი უნდა დამემთავრებინა, ის ცხოვრებისეული ცოდნა რომ შემეძინა, რაც უწმინდესთან თანამსახურების დროს მივიღე. ფაქტობრივად მის ხელში ჩამოვყალიბდი. ჩემი ცხოვრების ყველა ნაბიჯი მასთან შეთანხმებული იყო. გარდა იმისა, რომ მსახურებაში ვეხმარებოდი, ჩვენი ურთიერთობა ამის მერეც გრძელდებოდა. ხშირად ერთად ვსადილობდით. სუფრასთან პატრიარქი თავად მიმიპატიჟებდა ხოლმე. დავყვებოდი რეგიონებში, სხვადასხვა ეკლესია-მონასტერში, ვესწრებოდი უამრავ ისეთ შეხვედრას, რომელზეც ქვეყნის ბედი წყდებოდა.

— რა ხდებოდა თქვენს ცხოვრებაში 1993 წლამდე სანამ თქვენში სულიერი გარდატეხა მოხდებოდა?

— ჩვეულებრივი მოსწავლე ვიყავი. მერე ერთი უცნაური შემთხვევა მოხდა: იმ პერიოდში ოჯახთან ერთად გლდანში ვცხოვრობდი. იქ ლომისის ტაძარი შენდებოდა და სკოლიდან მოსწავლეების დახმარება სჭირდებოდათ. სასულიერო პირები მოდიოდნენ და ის ბავშვები მიჰყავდათ, ვისაც მშენებლობაზე მიხმარების სურვილი ჰქონდათ. მაშინ მე-8 კლასის მოსწავლე ვიყავი. ერთ დღესაც კარი გაიღო და მღვდელი შემოვიდა, რომელმაც იკითხა, ვის გინდათ, რომ ეკლესიის მშენებლობაში მონაწილეობა მიიღოთო. რამდენიმე კლასელთან ერთად მეც წამოვდექი ფეხზე და მოძღვარს გავყევი. ჩვენს თაობას ეკლესიური ცხოვრების საფუძველი მანამდე არ გვქონია, მაშინ ტაძრის მშენებლობაში თანამონაწილეობამ კი ჩვენში ბევრი რამ განაპირობა. სხვათა შორის, კლასელებმა ეკლესიური ცხოვრება ჩემთან ერთად დაიწყეს, უბრალოდ შემდეგ მე სასულიერო გზას გავყევი, ისინი კი საერო გზას დაადგნენ, მაგრამ ეკლესიის წიაღში მაინც დარჩნენ. როდესაც ლომისის ტაძარი აშენდა, მისი მრევლი გავხდი. პირველი ზიარება იქ მივიღე და აღსარებაც იქ ჩავაბარე.

— სიონის ტაძარში სტიქაროსნად როგორ მოხვდით?

— ეს საოცარი ამბავი იყო. ერთხელ ჩვენი ოჯახის ახლობელს, მამა იოანეს (გივიშვილი) შევხდი. ის და მამაჩემი ერთმანეთთან ახლოს იყვნენ. მამამ მისი შვილი, გივი (შემდგომში მამა გივი), მონათლა. სუფრასთან მამა იოანეს გვერდით აღმოვჩნდი. მარხვას ვიცავდი, რადგან მეორე დღეს ზიარება უნდა მიმეღო. სუფრასთან მამა იოანემ რაღაც საჭმელი მომაწოდა, მე კი ვუთხარი, რომ მარხვაზე ვიყავი. გაუკვირდა, მარხვაზე რანაირად ხარ, დღეს არც ოთხშაბათია და არც პარასკევიო. მერე

„პატრიარქს ეთქი ადამიანი თავის გასაჭირზე უყვებოდა და თან ხშირად იმეორებდა, ეს დიდი პრობლემაა. უწმინდესმა ეს ასეთი სიტყვები უთხრა, ღოდს რომ დახედავ, ის ძალიან დიდი გეჩვენება, მაგრამ როდესაც ჯოსმოსიდან გადმოხედავ, ეს ღოდი არც კი ჩანს, რაც უფრო სიმაღლეზე ადიხარ, ის პრობლემა უფრო და უფრო პატარავდებაო".

ავუხსენი და ძალიან გაუხარდა. ჩამეძია, ყველაფერი გამომკითხა, რომელ ტაძარში დავდიოდი და სხვა რაღაცეები. იმ პერიოდში მამა იოანე სიონის ეკლესიაში მსახურებდა და თავისთან წამიყვანა, სტიქაროსნად განმაწესა. სწორედ აქედან დაიწყო ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზი წლები, რომლებიც უწმინდესისა და უნეტარესის გვერდით გავატარე.

— თქვენს ოჯახში ეკლესიურად ცხოვრობდნენ თუ თქვენ იყავით პირველი, ვინც საღვთო საიდუმლოებებს ეზიარა?

— მიუხედავად იმისა, რომ მამა იოანე ასეთი ახლობელი იყო ჩვენთვის, მშობლები ეკლესიაში მაინც არ დადიოდნენ. პირველად სახლში სტიქარი რომ მივიტანე, ჩემს ოჯახში დიდი განცვიფრება გამოიწვია. ეს ამბავი გაუკვირდათ, რადგან თვითონ ეკლესიასთან ასე ახლოს არ იყვნენ. შემდეგ უკვე ჩემი ოჯახისგან დიდი ხელშეწყობა მქონდა. როდესაც გავანდე, რომ სასულიერო სემინარიაში მინდოდა ჩაბარება, მათგან წინააღმდეგობა არ ყოფილა. მაშინ ხალხი რელიგიურად გაუცნობიერებელი იყო. სახლში სტიქარს რომ მიიტანდა ახალგაზრდა, დედამამას ეგონათ, რომ მათი შვილი ბერობას აპირებდა.

საერთოდ მაშინ რთული წლები იყო და ჩემს ცხოვრებაში ერთადერთი ნათელი სვეტი გამოჩნდა, რომელმაც ძალიან დიდი როლი ითამაშა ჩემს ჩამოყალიბებაში. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ამ რთული პერიოდის მიუხედავად, ყველანი მაინც დიდი ოპტიმიზმით ვიყავით განწყობილი.

— როგორც ვიცი, ორი პატარა შვილის მამა ხართ. ბავშვებს უკვე აზიარებთ ეკლესიურ ცხოვრებას?

— მყავს მეუღლე და ორი ვაჟი, უფროსი 6 წლის არის, უმცროსი — 2-ის. ისინიც ეკლესიურად ცხოვრობენ. ბავშვები ჯერ პატარები არიან, მაგრამ ყოველ კვირადღეს ვაზიარებთ. შეძლებისდაგვარად ვცდილობ, ჩემი შვილები არამარტო ეკლესიურად, ქართული ტრადიციებითაც გავზარდო. ამ ფაქტორს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. დღეს ჩვენ წინაშე გლობალიზაციის დიდი პრობლემა დგას, ბევრი ტექნოლოგიური სიახლეა და მათში ახალგაზრდობისთვის ბევრი საფრთხე იმალება. ამიტომაც ასეთ პიროებებში ტრადიციებისა და ეროვნულობის შენარჩუნებას დიდ ყურადღებას ვაქცევ.

— რას გაისსენებდით ჩვენი უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის საუბრებიდან, მისი რა სიტყვები ჩაგრჩათ გულსა და გონებაში გამოსარჩევლად?

— უწმინდესთან ერთად გატარებული ყოველი წუთი მთელი ცხოვრება დამღასავით მიგყვება, ოღონდ ეს „დამღა" ყოველთვის ტკბილი მოსაგონარია. მისგან მუდამ ვგრძნობდი მამობრივ მზრუნველობას. აჰყვე მისი ცხოვრების

„ტაძრის მშენებლობამ თანამონაწილეობამ ჩვენში ბევრი რამ განაპირობა. ეკლესიებმა ეკლესიური ცხოვრება ჩემთან ერთად დაიწყეს, უბრალოდ შემდეგ მე სასულიერო გზას გავყევი, ისინი კი საერო გზას დაადგნენ, მაგრამ ეკლესიის წიაღში მაინც დარჩნენ".

რიტმს, ეს ძალიან რთულია, რადგან კათოლიკოს-პატრიარქს დაუშრეტელი ენერგია აქვს. ერთხელ უწმინდესთან ერთად ვიყავი. ერთი ადამიანი თავისი გასაჭირის შესახებ უყვებოდა და თან ხშირად იმეორებდა, ეს დიდი პრობლემაა. პატრიარქმა კი ასეთი სიტყვები უთხრა, მოზრდილ ღოდს რომ დახედავ, ძალიან დიდი გეჩვენება, მაგრამ როდესაც კოსმოსიდან გადმოხედავ, ეს ღოდი არც კი ჩანს, რაც უფრო სიმაღლეზე ადიხარ, ის პრობლემა უფრო და უფრო პატარავდებაო.

ჩვენი პატრიარქი საოცარი ადამიანია და მას მარტო მართლმადიდებელი ქრისტიანები კი არ სცემენ პატივს, არამედ სხვა აღმსარებლობის ხალხიც. მე მყავს უცხოელი ნაცნობები, რომლებიც არ არიან ქრისტიანები, მაგრამ მათ ოჯახებში უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ქადაგებებს გულისყურით უსმენენ.

— დღეს ეკლესიის მრევლის დიდ ნაწილს ახალგაზრდობა შეადგენს. როგორც ვხედავ, თქვენს ეკლესიაშიც მსგავსი სიტუაციაა.

— კი და ეს სასიხარულოა. წლების წინ ამდენი ახალგაზრდა არ იყო ეკლესიაში, არც ამდენი სტიქაროსანი გვყავდა და არც ამდენი მგალობელი. მერე და მერე კი სიტუაცია შეიცვალა. ზოგჯერ ამბობენ, ტაძარში ახალგაზრდები ერთმანეთის მიბაძვით დადიანო. თუნდაც ასე იყოს, ეს საქმე შედეგს მაინც გამოიღებს. ერთი მეგობარი მყავს, რომლის ბებია ბერძენი იყო. ის ქალი სულ მარხულობდა, მისი შვილი და შვილიშვილები კი ეკლესიურად არ ცხოვრობდნენ. მოხდა ისე, რომ იმ ქალის გარდაცვალების შემდეგ მისი ოჯახის წევრებმა ტაძარში დაიწყეს სიარული. აღმოჩნდა, რომ რაღაც მარცვალი მათშიც იყო. ასაკოვანმა ბებიამ შვილსა და შვილიშვილებს მაგალითი მისცა. საერთოდ ასეა, როცა რაღაც სიწმინდესთან ახლოს ვართ, ვერ ვამჩნევთ და როცა ვშორდებით, მერე ვხედავთ.

— ტაძარი, რომელშიც მსახურებთ, ახალაშენებულია. მისი ისტორია ვკითხეთ.

— ვაშლიჯვრის ჯვართამღლების ტაძარი 2011 წლის 27 სექტემბერს გაიხსნა. 2 წელზე მეტ ხანს ვაშენებდით. მოსახლეობას ამის დიდი სურვილი ჰქონდა, რადგან ამ უბანში ეკლესია არ იყო. გასულ წელს ამავე ტაძრის ეზოში ხარების სახელობის პატარა ეკვდერიც დაიდგა.

✓ თეონა კენჭოშვილი

„ლიგა" სამკურნალო გაერთიანება

სექსოპათოლოგია

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა

თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 19ა. ☎ 232 21 21, 8 790 32 21 21. www.league.ge

Cyan Magenta Yellow Black

რუსეთისკენ „ჩარეცხილთა“ ლაშქარი დაიძრა?

რატომ მიუწევთ გული ჩრდილოეთისკენ ქართველ ხელოვანებს

ქართველები რომ ხშირად რუსებზე უკეთ ასრულებდნენ რუსულ რომანსებს, ამას ნანი ბრეგვაძის მაგალითზე თავად რუსებიც აღიარებდნენ. ქართულ სიმღერებსა და საგალობლებზე კი ტირილს ვერ იკავებდნენ, ცეცხლოვან-რაინდული ქართული ცეკვები აგიჟებდათ... 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ეს კულტურული ძაფები გაწყდა. საქართველოდან რუსეთში საგასტროლოდ კანტიკუნტად თუ ჩავიდოდა ვინმე და ამას მაინცდამაინც არც უკეთებდა რეკლამას. ასეთი გასვლები, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოფიციალურად წართმევის მერე, ჩვენს ქვეყანაში ვერანაირად იქნებოდა მოწონებული.

ზოგ ხელოვანს თავად არ სურდა ოკუპანტ ქვეყანაში ცეკვა და სიმღერა, ზოგს კი ხელისუფლება არაოფიციალურად უკრძალავდა — აგრძნობინებდა, თუ რუსეთში წახვალ, საქართველოში სახელს დაკარგავო. მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამ მუსიკოსები და მომღერლები ორ ბანაკად გაყო პრინციპით, თუ ჩემთან არ ხარ, ჩემი მტერი ხარ. პოლიტიკურად განსხვავებულად მოაზროვნე შოუბიზნესის ნაწილს ისღა დარჩენოდა, თავის სარჩენად ან საერთოდ გადასახლებულიყო რუსეთში ან სხვა ქვეყანაში, ან საქართველოში დარჩენილიყო და საკუთარი კარიერა დაესამარებინა.

ერთადერთი ძაფი, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის იყო გაბმული, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს ეპყრა ხელთ. „ომი არც რუსეთს და არც საქართველოს დაუწყია. ომის დაწყება ცალკეული პოლიტიკოსების ნებამ განაპირობა. აგვისტოს ომი უდიდესი ტრაგედიაა როგორც ქართველებისა და ოსების, ისე ქართველებისა და რუსების ურთიერთობაში. ამ ტრაგედიამ უფრო უნდა დაგვაახლოვოს ერთმანეთს, რათა მისი მსგავსი მოვლენა მომავალში გამოირიცხოს“, — ამბობდა პატრიარქი. გასული წლის ოქტომბერში საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას „სიცოცხლის“ ნიშნები დაეტყო. ახალმა ხელისუფლებამ გამოთქვა მზადყოფნა, რომ რუსეთთან კულტურული და ეკონომიკური სახის ურთიერთობები აღადგინოს. ტერიტორიების დაბრუნებაზე ილუზია არავის აქვს, რადგან რუსეთმა 5 წლის წინ მკაფიოდ და აგრესიულად აჩვენა თავისი სახე, მაგრამ თუ არსებობს საშუალება, ამ ქვეყნის მატერიალური შესაძლებლობები შენი ქვეყნის სასარგებლოდ გამოიყენო, აღბათ ღირს, შანსი ხელიდან არ გაუშვა.

ჯემალ ჭკუასელი: „ამ ხნის ჯაცი ვარ, გამოცდილებაც მაქვს და ვერავინ მასწავლის, რუსეთი ვინ არის. ის რომ თავისი ბუნებით დამპყრობელია, ამას ლაპარაკი უნდა?! მაგრამ გავეჯიბროთ და ვინ აჯობებსო, ვიძახოთ?!“.

რუსეთში გასტროლებისთვის ქართველ ხელოვანთა მზაობას საქართველოში სოციალურ ქსელებში დიდი გამოხმაურება და უმეტესად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. „ამათ არც სამშობლო გააჩნიათ და არც სარწმუნოება, არც — ნამუსი!“, „მართლაც რომ ჩარეცხილები!“ — წერენ ფეისბუქში...

ანსამბლი „ერისიონი“ რუსეთში გასტროლებზე მიდის. ეს უკვე გადაწყვეტილია. ამ ქვეყნის 4 ქალაქში უნდა გამართოს კონცერტი და მათ შორის — მოსკოვში, კრემლის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში. „ერისიონის“ ხელმძღვანელი ჯემალ ჭკუასელი ამბობს, რომ რუსეთიდან მოწვევები მუდმივად მოსდიოდა, მაგრამ ომის შემდეგ მისკენ გახედვა აღარ უნდოდა. ახლა კი აზრი შეიცვალა.

— ბატონო ჯემალ, ქართველები რუსეთში კონცერტებს ადარ მართავდნენ. ახლა კი ყველა იქით მიისწრაფვის, თითქოს ჩაკეტილი სამოთხის კარი გაუღეს. თქვენი ანსამბლი ერთ-ერთი პირველი „ჩარეცხალია“, ვინც მოსკოვში, კრემლში გამართავს კონცერტს. რამ შეგაცვლევინათ აზრი?

— რუსეთში, გასაგები მიზეზების გამო, 2008 წლის მერე არ ვყოფილვართ. ახლა კი მიგვიწვიეს და მივდივართ. ჩვეულებრივი გასტროლებია. მოსკოვის გარდა სამ ქალაქში უნდა ჩავიდეთ. ჩვენ 2008 წელს მაისში მოსკოვის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში გვქონდა კონცერტები. მერე კი აგვისტოს ომი იყო და... ოდესღაც ხომ უნდა წავიდეთ ისევ?! არ შეიძლება ასეთი გაბუტვა. ჩვენ რუსეთის ხელისუფლებასთან კი არა, ხალხთან ჩავდივართ. იქ ჩვენი მაყურებელი გვყავს. ის, ვინც განგვიკითხავს, ურაპატრიოტია. ჩვენი იქ ჩასვლა იმის წინაპირობაა, რომ ეს ორი ერი მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდეს. სულ ასე ხომ არ ვიქნებით?! მაშინ გერმანიაშიც არასოდეს უნდა წავსულიყავით.

პატივს ვცემ ადამიანების პატრიოტულ განზრახვას, მაგრამ ეს მთლად პატრიოტული არ არის. კარგი გამოთქმაა — არასოდეს თქვა არასოდესო. ბოლოს და ბოლოს ყინული უნდა გალღვეს. რომ მოგასმენინათ რუსეთში მცხოვრები ქართველების ზარების შინაარსი, რაც ჩვენთან შემოდის... საოცარი აჟიოტაჟი აქვთ ატეხილი — ბედნიერები ვიქნებით, თუ ჩამოხვალთო. ის ადამიანები რუსეთში ხომ ჩვენმა ხელისუფლებამ, უფულობამ გააქცია, თორემ იქ რა უნდათ?! გარდა ამისა, რუსეთში უზარმაზარი, ყველაფრით უზრუნველყოფილი ბაზარია. თანაც, ამ ხნის განმავლობაში იქ ჩადიოდნენ ვიღაცეები, რომლებიც ცნობილი ანსამბლების სახელებს ირქმევდნენ და ისე გამოდიოდნენ. ახლა რუსეთიდან გვეკითხებიან, ხომ ნამდვილად თქვენ ჩამოდიხართო. სწორედ პატრიოტიზმი გვიბიძგებს, რომ იქ ჩავიდეთ და ჩვენი ხელოვნება ვაჩვენოთ. იქ მცხოვრებ ქართველებს ენატრებათ ნამდვილი ქართული სიმღერა და ცეკვა. ჩავალთ როსტოვში, სტავროპოლში, კრასნოდარსა და მოსკოვში.

იირმა სოხაძე: „ხესი პოლიტიკოსები უნდა ვაიძულოთ, მიხვდნენ, ჰოგორი ნაჰმოუდგენელია 21-ე საუკუნეში მეზობელი ქვეყანა ოკუპირებული გქონდეს“.

არავის ველაქუცებით. ყველა მტრად არ უნდა აღვიქვათ, თორემ ეს საქართველოს უფრო ცუდ დღეში ჩაგდებს. ყოველთვის აღფრთოვანებული, ემოციებით გვხვდებოდნენ. ზოგს მუსიკა უყვარს, ზოგს — სხვა ხელოვნება. ნაკლებად უნდა ვიფიქროთ იმაზე, რა იყო გუშინ. რა იქნება ხვალ, ეს უფრო უნდა გვაინტერესებდეს.

— რომ არა ხელისუფლების ცვლილება, რუსეთში ალბათ კიდეკ არ წასვიდოდით.

— დიახ, რადგან წინა ხელისუფლებას არ მოსწონდა, ვინმე რუსეთში თუ მიდიოდა. წასვლა რომ მოგვენდომებინა, ხელს შეგვიშლიდნენ, მაგრამ ეს მაშინ არც ჩვენ გვსურდა. ამ ხნის კაცი ვარ, გამოცდილებაც მაქვს და ვერავინ მასწავლის, რუსეთი ვინ არის. ის რომ თავისი ბუნებით დამპყრობელია, ამას ლაპარაკი უნდა?! მაგრამ გავეჯიბროთ და ვინ აჯობებსო, ვიძახოთ?!

— ანსამბლისთვის ფინანსურად რამდენად მომგებიანია რუსეთში გასტროლები?

— რა თქმა უნდა, მომგებიანია. ამხელა ტერიტორია აქვს, ამხელა სახელმწიფოა. მუდმივად გვეპატიჟებიან და რატომ არ უნდა წავიდეთ?! წელიწადში ორჯერ მაინც გვიწვევდნენ. კრემლის სახელმწიფო დარბაზს მსოფლიოში ძალიან დიდი ავტორიტეტი აქვს. საკმარისია, რუსებმა თქვან, ამათ არ ენდოთ, არასანდო ხალხიაო, ძალიან ცუდ დღეში აღმოვჩნდებით. სამი სახელმწიფო ანსამბლი ვართ და ამ ხნის განმავლობაში არც ერთი ჩასულა რუსეთში. ახლა კი, როგორც ვიცი, „რუსთავიც“ აპირებს წასვლას.

■

მომღერალმა ირმა სოხაძემ იანვარში რუსეთში კონცერტი ჩაატარა. ამბობს, რომ ისევ დიდი სიამოვნებით წავა. რატომღაც გულწრფელად სჯერა, რომ შეძლებს, რუსი ხალხი და მისი ხელისუფლება დაარწმუნოს, რომ ჩვენ არ ვართ ის ერი, რომლის ტერიტორიები 21-ე საუკუნეში ოკუპირებული უნდა იყოს.

ირმა სოხაძე:

— იანვარში ვიყავი მოსკოვში, ჩაიკოვსკის დარბაზში მქონდა კონცერტი. 5 წელი არ მივდიოდი, რადგან წარმოუდგენლად მიმაჩნდა. ვფიქრობდი, რუსეთში როგორ უნდა ჩავიდე და ვიმღერო-მეთქი. მართალია, ბევრი არაფერი შეცვლილა და სასიმღეროდ არ გვაქვს საქმე, მაგრამ ვფიქრობ, რადგან სახელმწიფო დონეზე დაიძრა მოლაპარაკებები და გვინდა, კულტურული კავშირები აღვადგინოთ, იქ უნდა ჩავიდეთ. თუ ჩვენი კულტურის წარმომადგენლები იქ ხშირად ჩავლენ და თავიანთ კავშირებს განაახლებენ, ეს ჩვენს ქვეყანას წაადგება სასიკეთოდ,

Cyan Magenta Yellow Black

თორემ ამ წლების განმავლობაში რუსები უჩვენოდ ნორმალურად იყვნენ და არც ჩვენ ვიხოცებოდით მათ გარეშე. ჩვენ ისეთი პრობლემა გვაქვს, რომელიც მოლაპარაკებისა და კულტურული ურთიერთობის გარეშე არაფრით მოგვარდება. ზღაპარია, რომ ერთმანეთის მტრები ვიყოთ და ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა ერთ მშვენიერ დღეს თავისით მოგვარდეს. ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, დიდი მეცადინეობით უნდა მივაღწიოთ რაღაცას. ყველამ ჩვენი საქმე უნდა გავაკეთოთ.

2008 წელს, ომამდე, მქონდა კონცერტი ჩაიკოვსკის დარბაზში და ოქტომბერში კიდევ უნდა ჩავსულიყავი ამ ქვეყანაში, მაგრამ არ წავედი, ჩავშალე. რუსეთისკენ გახედვაც კი არ მინდოდა. სულ მირეკავდნენ, ჩამოდიო. სატელევიზიო შოუებიდანაც მეპატიჟებოდნენ. დეკემბერში მალახოვის ტოქ შოუში „სეგოდნია ვეჩერომ“ მივიღე მონაწილეობა. როგორც კი იქ დამინახეს, მაშინვე დამირეკეს, იანვარში ხომ ჩამოხვალო. წავედი და ძალიან კარგიც ვქენი.

ნუგზარ კვაშალი: „ამათ უნდათ, ამერიკაში წავიდე გასტროლებზე?! ამერიკაში ვის რად უნდა ჩვენი სიმღერა?! რუსები ხელისგულზე გვატარებდნენ. ბოლო წლებშიც სულ დავდიოდი, რადგან მეცა მყავს ოჯახი და საჭმლისა და ტანსაცმლის ფული გვინდოდა".

ბოლოს „თბილისო“ ვიმღერე და, იცით, რა მოხდა? აფეთქდა ყველაფერი. მაყურებელი კულისებში შემოვიდა. მეც და საქართველოსაც ბოდიშს გვიხდიდნენ, ამბობდნენ, არ ვართ მართლები და იქნებ ურთიერთობა დავალაგოთო. როცა ასეთი სურვილია უბრალო ადამიანებში, ეს რუს პოლიტიკოსებშიც აუცილებლად რაღაც რეაქციას გამოიწვევს.

ჩვენ თუ არ ავმოძრავდით, ხეირს ვერ ვნახავთ. არასოდეს მეშინოდა, რომ ვიღაც ჯაშუშს დამიძახებდა. უბრალოდ რუსეთში წასვლის სურვილი არ მქონდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ვიბლოკებოდით, არც კონცერტებზე გამოვდიოდით და ტაშიც გვენატრებოდა, მოსკოვში არ გავქცეულვარ. მათი ჯარისკაცები ჩვენს მიწაზე იდგნენ, ამიტომ მიუღებლად მიმაჩნდა იქ ჩასვლა.

— ახლა რა შეიცვალა? მათი ჯარისკაცები დღესაც დგანან თბილისთან ახლოს.

— დიახ და იმისთვის, რომ ისინი წავიდნენ, საუბარი უკვე დაიწყო, ურთიერთობა გაყინული წერტილიდან დაიძრა. ამაში კულტურამაც უნდა შეიტანოს თავისი წვლილი. ვალდებულნი ვართ, იქაურ ხალხს დავანახოთ, რომ არ ვართ ღირსი, ასე მოგვექცნენ. დღეს ახალგაზრდები თვლიან, რომ რუსულის ცოდნა სირცხვილია, ცუდი ტონია. აბსურდამდე მივდივართ.

ისე კი არ უნდა მოვიქცეთ, რომ ჩავიდეთ რუსეთში და, ვითომ არაფერი ხდება, ჩავატაროთ კონცერტი, რუსები გავართოთ, საქმე უნდა ვაკეთოთ. იქ იმისთვის წავალთ, რომ რუს მაყურებელში გამოვიწვიოთ ემოცია, თქვან, ღმერთო ჩემო, ეს ხალხი რა ნიჭიერიაო. თითოეულს ღრმა და მნიშვნელოვანი მისია გვაქვს დაკისრებული. რუსი პოლიტიკოსები უნდა ვაიძულოთ, მიხვდნენ, როგორი წარმოუდგენელია 21-ე საუკუნეში მეზობელი ქვეყანა ოკუპირებული გქონდეს. ჩვენ უნდა დავეხმაროთ მათ ამის დანახვაში, რომ მდგომარეობა გამოასწოროს. ვინც რაც უნდა, ის თქვას, ვისაც როგორ უნდა, ისე იქილიკოს, მე ასე ვფიქრობ.

■

ანსამბლ „ივერიის“ წევრი, მომღერალი ნუგზარ კვაშალი, მათ რიცხვშია, ვისაც რუსეთთან ურთიერთობა აგვისტოს ომის შემდეგაც არ გაუწყვეტია. ამ ქვეყანაში ჩადიოდა და კონცერტებს მართავდა, რადგან საქართველოში ლუკმაპურის შოვნის საშუალებას არ აძლევდნენ, მას კი ოჯახი ჰყავდა სარჩენი. ამის გამო ნუგზარ კვაშალზე სოციალური ქსელებში ღია წერილები ვრცელდებოდა — ერის მოღალატეობასა და რესეთუმეობაში სდებდნენ ბრალს.

ნუგზარ კვაშალი:

— პუტინით არ იწყება რუსეთი და სააკაშვილით არ მთავრდება საქართველო. პოლიტიკოსები წავლენ და კულტურა საუკუნეები დარჩება. ისინი დაავიწყდება ხალხს, ხელოვნება კი იქნება და იქნება. ვის აქვს უფლება აკრძალოს რომელიმე უცხო ენა ან რომელიმე ენაზე შესრულებული სიმღერები?! აღმოსავლეთი მთელი ცხოვრება საქართველოს ეომებოდა, მიწები მოგვტაცეს, ჩვენი ხალხი გაანადგურეს, ასიათასობით ბერი ჩახოცეს, ფაშისტებმა ჩვენი წინაპრები დახოცეს და... ამათ უნდათ, რომ ორი ქვეყნის მეგობრობა, სიკეთე და სიყვარული პოლიტიკას გადააყოლონ. 2008 წლამდე ბევრად უარესი მოხდა. ქართველებმა აფხაზეთი და ოსეთი ჩააბარეს რუსეთს. მერე კი ყველაფერი პუტინს დაბრალდა. პუტინთან ჩვენ საქმე არ გვაქვს. მოსკოვში ჩემი მეგობრების უმრავლესობა ცხოვრობს. იქ 500 ათასზე მეტი ჩვენი თანამემამულეა, რომლებსაც ჩვენ და ჩვენი ხელოვნება სჭირდებათ. ვერ ჩამოდიან, რადგან ვინც ჩამოვიდა, ან დაიჭირეს, ან ბიზნესი წაართვეს, ან რაღაცაში ჩაადებინეს ფული და გადააგდეს. ამიტომ მე ჩავდივარ მათთან, ჩამყავს სხვადასხვა კოლექტივი და ვატარებთ კონცერტებს.

ერთი სიმღერა 15 ტანკის ტოლფასია! გზა გაიხსნა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმაც დაიწყეს რუსეთში ჩასვლა. აქამდე ვერ მიდიოდნენ. მაგალითად, ანსამბლ „რუსთავს“ ეუბნებოდნენ, წახვალ და ყველაფერს დაკარგავო. როგორ შეიძლება პოლიტიკა ასე ჩაერიოს ხელოვნებაში?! შეიძლება ხელოვნება დიდი პოლიტიკაა და პირიქით, პოლიტიკა — დიდი ხელოვნება, მაგრამ ასე ჩარევა არ შეიძლება! 2010 წელს რომ წავედი მოსკოვში, არ ესიამოვნათ. რომ ჩამოვედი, რამდენიმე კონცერტი გამიუქმეს. სადაც უნდა გამოვსულიყავი, აღარ დამიშვეს. პოლიტიკოსები, რომლებიც თავად მშვენივრად დადიოდნენ რუსეთში, გვეუბნებოდნენ, ჩვენს მტრებთან არ ჩახვიდეთო. ვინ მტრებთან, კაცო! მე ჩავდიოდი ჩვენს თანამემამულეებთან, ვისაც ქართული კულტურა უყვართ. მალე პუტინის და სააკაშვილის ბუნდღა აღარ იქნება, კულტურა და ჩვენი სიმღერები კი დიდხანს დარჩება.

საღომე ქათამაძე: „თუ ჩემი ქვეყნის მოქალაქეები იფიქრებენ, რომ ამით სამშობლოს ვღალატობ, ჩასეთში ახალი ნავალ!".

ბოლო 9 წლის განმავლობაში „ივერიას“, „ორერას“ და საერთოდ ძველ თაობას რუსეთში უფრო დიდი პატივს გვცემდნენ, ვიდრე საქართველოში. აქ თავიანთი კარის მომღერლები ჰყავდათ, რომლებსაც ასიათასობით და მეტ თანხასაც ტენიდნენ და სხვა, უკეთესი მომღერლები კი 20 თეთრად მუშაობდნენ. ასეთ ვითარებაში სხვა გზისკენ გაიხედები, აბა, რას იზამ?! 2008 წელს რაც მოხდა, ისტორია მალე იტყვის და ყველა მიხვდება, ვინ რა ჩაიდინა, მაგრამ ამხელა მეზობელ ქვეყანას ვინმე ჩამოგვაშორებს?!

ჩვენ რომ ჩავდიოდით რუსეთში, ჩვენზე იყო სწორება. ნანი ბრეგვაძე ხომ რუსული რომანსის დედოფალია! რუსულ სიმღერებს ქართველები უფრო კარგად მღეროდნენ და ამას რუსები აფასებდნენ. რუსულ არხებზე ყოველდღე გადის ქართული ფილმები. იქ ყველაზე მაგარი ექიმები ქართველები არიან. ყველაზე მაგარი გენერლებიც ქართველები არიან და ამათ უნდათ, ამერიკაში წავიდე გასტროლებზე?! ამერიკაში ვის რად უნდა ჩვენი სიმღერა?! რუსები ხელისგულზე გვატარებდნენ. ბოლო წლებშიც სულ დავდიოდი, რადგან მეც მყავს ოჯახი და საჭმლისა და ტანსაცმლის ფული გვინდოდა. „ივერია“ არასოდეს ყოფილა რომელიმე ხელისუფლების კარის საკუთრება. ქართველების საკუთრება ვიყავით და ეს ბოლომდე შევინარჩუნეთ.

— ბატონო ნუგზარ, თქვენი მასამართით სოციალურ ქსელებში ღია წერილები ქვეყნდება სადაც წერენ, რომ რუსეთში საარული იქნერი ქალების ვამი მოგწონდათ, რომ გასართობად დადიოდით და არა — ჩვენი ქვეყნის სახელის გასატანად და ა.შ.

— არ ვკითხულობ ეგეთ რაღაცეებს და არც ვაქცევ ყურადღებას. რაც უნდათ, ის წერონ! იმდენი რამ მაქვს საქართველოსთვის გაკეთებული, მთელი ფეისბუქი რომ გაავსონ ეგეთი სისულელეებით, მაინც ვერ გადაწონიან. თუნდაც იმ კარგი გოგონების გულისთვის ჩავდიოდით, რატომაც არა?! რომ გამოდიხარ და პოპულარული ხდები, იქ გოგონებიც არიან, ფულიც არის და სხვა ყველაფერი. აქ რას ვუყურო, გადაკეთებულ „ქეთო და კოტეს“ და სხვა სისულელეებს?! ხელოვნება გახლიჩეს — იყვნენ კარის მუსიკოსები და სხვები, რომლებსაც არც ტელევიზიას და არც საკონცერტო დარბაზებს არ აკარებდნენ. რომ არ მუშაობ, გაიქცევი, აბა, რას იზამ?! თავის დროზე როკჯგუფი მყავდა და შემეჯიბროს ვინმე პროამერიკულობაში, მაგრამ ახლა სხვა რამ ხდება. ახლო მეზობელს პატივი უნდა სცე და ყველაფერი გააკეთო, რომ შევრიგდეთ. ამბობენ, ჩვენ რუსების მონები ვიყავითო. მილიონჯერ ვარ რუსეთში ნამყოფი. მონები ჩვენ კი არ ვიყავით, ისინი იყვნენ ჩემი მონები!

■

ახალგაზრდა მომღერლების თაობა სხვაგვარად ფიქრობს. მათ ინგლისურენოვან კულტურასთან ურჩევნიათ კონტაქტების დამყარება. სალომე ქათამაძეს უკომპრომისო პოზიცია აქვს — თუკი რუსეთში გამოსვლას თანამემულეები ღალატად ჩაუთვლიან, ამ ნაბიჯს არასოდეს გადადგამს.

სალომე ქათამაძე:

— არ ვიცი რუსეთში წავალ თუ არა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ხელოვნებას პოლიტიკასთან ახლო კავშირი არ უნდა ჰქონდეს. მომღერლისთვის, რა თქმა უნდა, უკეთესია, რაც მეტ ქვეყანაში ჩავა და ბევრი ადამიანი გაიცნობს, მაგრამ თუ ვინმე ჩათვლის, რომ რომელიმე ქვეყანაში კონცერტის გამართვა მომღერლისთვის ქვეყნის ღალატად ითვლება, არ უნდა წავიდეს. თუ ჩემი ქვეყნის მოქალაქეები იფიქრებენ, რომ ამით სამშობლოს ვღალატობ, არაფრით წავალ!

✓ **რუსეთიდან ადვილ**

ყველა ქალის საყურადღებოდ!

ქალური დაავადებების, მასტიტეების, მასტოპატიების, ფიბრომატოზული კვანძების, კლიმაქსური პერიოდის, ონკო დაავადებების უზუსტესი დიაგნოსტიკა ბიოიმპულსებით და ჩინური წერტილებით.

მკურნალობა ოპერაციის გარეშე სეანსებით, ათდღიანი კურსით, ჩინური წერტილებით და დანიშნულებით.

მის.: აღმაშენებლის №115, კაბინეტი №10, კლინიკა „ფანასკერტელი“.

ნინო სისაური

☎ 599-78-21-24, 261-61-18

Cyan Magenta Yellow Black

რისთვის იხდის სასჯელს ლიკა ყაზბეგის ქმარი

ამა წლის თებერვლის თვეში სამოდელო სააგენტოს ხელმძღვანელმა ლიკა ყაზბეგმა რუსთავის მე-16 დაწესებულებაში პატიმარ გიორგი ჯელაძეზე იქორწინა. ახალდაქორწინებულთა ერთ-ერთი მეჯვარე სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე ლალი მოროშკინა გახლდათ. ეს ამბავი, რომლის მსგავსიც არცთუ ხშირად ხდება ჩვენს რეალობაში, ტელევიზიით და პრესით გაშუქდა, ჟურნალ-გაზეთების პირველ გვერდებზე მოხვდა. სიძის ბრალეულობაზე არაფერი თქმულა, თავად მექორწინეებმა არ ისურვეს ამის შესახებ საუბარი. მოგვიანებით ამ ორიგინალური ხელისმოწერის შესახებ „სარკემაც“ გააკეთა მცირე სიუჟეტი და გამოხმაურებამაც არ დააყოვნა სწორედ „სარკეში“. ჟურნალის გამოსვლის დღეს რედაქციაში ზარი გაისმა. რეკავდა ქალბატონი მაყვალა გაგნიძე ონიდან. აღმოჩნდა, რომ ის იყო დედა ახალგაზრდა კაცის, 30 წლის ნიკო გაგნიძის, რომლის მკვლელობის ბრალდებითაც გიორგი ჯელაძე ციხეში სასჯელს იხდის.

„ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ ტკივილი განმიახლდა... ჯელაძის მეუღლე ამ ამბავს მალავს, მე კი გეტყვით, რის გამო იხდის ის სასჯელს“, — გვითხრა ქალბატონმა მაყვალამ. თავი მოვალედ ჩავთვალეთ, ჟურნალის ფურცლები გულმოკლული დედისთვის დაგვეთმო, რომელიც აღაშფოთა ლიკა ყაზბეგის სიტყვებმა, რომ სიმართლეს მალე გაარკვევენ და მისი ქმარი საპყრობილეს დატოვებს.

მაყვალა გაგნიძე:

— 26 წლის რომ იყო ჯელაძე, უკვე ორჯერ გახლდათ ნაციხარი. ერთხელ რუსთაველის თეატრის წინ ვიღაცას წაეჩხუბა, თურმე ის ბიჭი ვიღაცას მიამსგავსა, მივიდა და დანით დაჭრა. დაზარალებულმა ჩვენება რომ მისცა, გაბრაზდა, რამდენიმე დღის შემდეგ ღამით მესამე სართულზე აიპარა და ის ბიჭი შუშის ბოთლით დაჩეხა. რა თქმა უნდა, ჯელაძე დაიჭირეს და, თუ არ ვცდები, 8 წელი მიუსაჯეს. რეციდივისტად იყო შერაცხული. რუსთაველის თეატრში ბომბიც შეაგდო, მაგრამ, ბედად, არ აფეთქდა. ამაზეც ბრალდება წაუყენეს და იმ პერიოდისთვის ყველაზე მაღალი სასჯელი მიუსაჯეს. ვიღაცეების დახმარებით, ჯელაძე ედუარდ შევარდნაძის შეწყალების სიაში მოხვდა და ციხიდან 4 წლის შემდეგ, მარტში გამოვიდა.

მაყვალა გაგნიძე: „ასეთ მკვლელს ხას უღოცავენ, ჰეციდივისტმა ჰომ იქოჰნინა, იმას?! ეწეჰა, მაღე ოჯახს დაუბჰუნდებაო. 10 წელი აქვს დაჰჩენილი და მაღე ჰოგოჰ გამოვა?!.. მსოფლიოში ჰსად მინახავს, ასეთი მკვლელი, ჰეციდივისტი გაზეთებში, ტელევიზოჰში იყოს გამოქიმული და მთელი ამბებით ანახებდნენ მის ქოჰნილს“.

2004 წლის ივლისში ჯელაძე ონში იყო ჩამოსული. თურმე მაღაზიაში დანა იყიდა. საჩხუბარი რომ ვერავინ ნახა, დანით მუხლები დაისერა. ამის შემდეგ ქუჩაში რაღაც ჩხუბი მოხდა. ამ დროს ჩემი შვილი სამძიმარზე მიდიოდა. დაინახა, რომ მის მეგობარ ბიჭს წიხლებით სცემდნენ. მისაშველებლად მივიდა და უთხრა, ეს რა გიქნიათ, მოგიკლავთო. ჯელაძე მივიდა და ჩემს შვილს დანა საფეთქელთან დაარტყა. ნიკო საავადმყოფოში თავისი ფეხით მივიდა, მაგრამ ნახევარ საათში კომაში ჩავარდა და რამდენიმე დღეში დაიღუპა. ერთი კვირა სუნთქვის მართვის აპარატზე იყო შეერთებული, მაგრამ ვერაფერი უშველეს, 2004 წლის 27 ივლისს გარდაიცვალა. პოლიციამ ჯელაძე მაშინვე დაიკავა. 18 წელი მიუსაჯეს და 10 წელი კიდევ მოსახდელი აქვს. ექიმები მოხსნეს და პასუხისგებაში მისცეს, რადგან მათ ჩემი შვილის საფეთქელზე დანით მიყენებული კვალი გააქრეს.

— „სარკეში“ გამოქვეყნებულ წერილში რა იყო თქვენთვის მიუღებელი, რამაც აიგაშფოთათ და რედაქციაში დარეკვა გადაგაწყვეტინათ?

— ასეთ მკვლელს რას ულოცავენ, რეციდივისტმა რომ იქორწინა, იმას?! ეწერა, მალე გამოვა და ოჯახს დაუბრუნდებაო. 10 წელი აქვს დარჩენილი და მალე როგორ გამოვა?! ეს მთავრობა იმისთვის მოვიდა, რომ მკვლელები გაათავისუფლოს?! ჩემი შვილი მიწაში წევს და ამ საზიზღარს კიდევ ციხეში ქორწილი აქვს! მსოფლიოში არსად მინახავს, ასეთი მკვლელი, რეციდივისტი გაზეთებში, ტელევიზორში იყოს გამოჭიმული და მთელი ამბებით ანახებდნენ მის ქორწილს.

— მიუხედავად ყველაფრისა, მას აქვს უფლება, დაქორწინდეს თუნდაც ციხეში, თუკი ამის საშუალებას კანონი იძლევა.

ნინო ბერუჩაშვილი, გარდაცვლილის ოჯახის წევრი:

— მისი უფლება კი არის, რაც უნდა, ის ქნას, მაგრამ ის თუ შეიძლება, რომ ამ დონის დამნაშავე და მკვლელი ამდენ ჟურნალში ბედნიერი სახით იყოს დაბეჭდილი? ალბათ იმ ყაზბეგმაც არ იცის, რომ ის ასეთი მკვლელი და დამნაშავეა, მაგრამ ჩვენ ხომ გაგაგებინეთ! არ შეიძლება მკვლელის ასე პომპეზურად ჟურნალში დაბეჭდვა. როგორც ჩანს, თქვენს ჟურნალისტსაც აინტერესებდა, ეს ბიჭი რაზე იყო დაჭერილი და სასჯელს რისთვის იხდიდა, მაგრამ ყაზბეგმა არ უთხრა. აი, ჩვენ გავამხილეთ! ის საშიში ადამიანია და გამოვა თუ არა, ისევ დანაშაულს ჩაიდენს. ის ადამიანი პომპეზურად, მეჯვარეების თანხლებითაა სურათზე. ერთი მეჯვარე ციხის უფროსია და მეორე — მოადგილე... ძალიან გთხოვთ, იმ გოგოს ჰკითხოთ, თუ იცის, ჯელაძის ცხოვრებაში რა ხდებოდა და რა წარსული აქვს მას.

■ გიორგი და ლიკა

ლიკა ყაზბეგი: „გიჰდაცვლილის დედასთან შეხვედჰა მინდა, დასამაღი ჰაფეჩი მაქვს“.

ქალბატონ მაყვალასთან საუბრის შემდეგ სიტუაციაში უკეთ გასარკვევად „სარკე“ გარდაცვლილი ნიკო გაგნიძის ოჯახის ადვოკატ ალექსანდრე გაგნიძეს დაუკავშირდა, რომელმაც გვითხრა, რომ დაზარალებული ოჯახი ჯელაძისთვის სამუდამო პატიმრობას ითხოვდა, თუმცა ონის რაიონულმა სასამართლომ მას 18 წელი მიუსაჯა.

— ბატონო ალექსანდრე, პატიმრის ცოლი ამბობს, რომ საქმე სტრასბურგშია გაგზავნილი. არის თუ არა შანსი, რომ გიორგი ჯელაძე გაამართლონ?

— ვერ გეტყვით, რამდენად შეძლებს მისი დამცველი სტრასბურგის სასამართლოში საქმის გატანას. არა მგონია, სტრასბურგის სასამართლომ ის გაათავისუფლოს. მართალია, საქმეში მტკიცებულებები ცოტა იყო, მაგრამ რაც არსებობდა, ჯელაძის დანაშაულზე მიუთითებდა.

■

გიორგი ჯელაძის ახალშერთულმა მეუღლემ, ლიკა ყაზბეგმა, „სარკესთან“ განაცხადა, რომ კარგად იცნობს ქმრის წარსულს. იმ საქმესაც გაეცნო, რის გამოც ის არის დაპატიმრებული და სჯერა, რომ გიორგი უდანაშაულოა, რადგან გამოძიებაში ბევრი ღაფსუსია დაშვებული.

— ლიკა, ის ფაქტი თუ გაასაჯაროეთ, რომ პატიმარზე დაქორწინდით, რატომ მალავდით, რისთვის იხდიდა სასჯელს?

— არაფერს ვმალავდი. ამას ისედაც ვიტყოდი, ოღონდ არა — იმ დღეს. ამაზე ინტერვიუს მიცემას ხელმოწერის შემდეგ ვაპირებდი. ამ თემაზე ძალიან ბევრი მეკითხებოდა. დასამალი არაფერი მაქვს, უბრალოდ ვითხოვე, რომ ხელისმოწერა ეცლიათ. გიორგის საქმეში ბევრი ღაფსუსია. ჩვენს სიმართლეში იმდენად ვართ დარწმუნებული, რომ ვითხოვთ, საქმე ხელახლა გამოიძიონ. ეს ძველი მთავრობის დროს გაკეთებული საქმეა და უზუსტობებით არის სავსე, ბევრი რამეა შეუსაბამო. თანამდებობიდან რომ არ გადაეყენებინათ, ონის რაიონის

Cyan Magenta Yellow Black

პოლიციის უფროსმა, თავისი ჭკუით, საქმე გახსნილად გამოაცხადა.

— თქვენს ქმარს 30 წლის მამაკაცის მკვლელობა დაუმტკიცდა. თქვენ ფიქრობთ, რომ ეს დანაშაული არ ჩაუდენია?

— ეს ისტორია ვიცი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ცოლად არც გავყვებოდი. ეს იყო რაღაც გაუგებრობა. 20 ადამიანი ურტყამდა ერთმანეთს და შემდეგ ერთ-ერთი ჰემატომით გარდაიცვალა. თან იმ წუთას კი არა, რამდენიმე დღის შემდეგ. ეს ისტორია თავიდანაა გამოსაძიებელი ექიმების დასკვნიანად. ბევრმა ექიმმა პირადად ისიც მითხრა, ჰემატომა ისეთი რაღაცაა, შეიძლება იმ ადამიანს მანამდეც ჰქონოდაო. ეს პირველი შემთხვევა არაა, ძალიან ბევრი უკანონოდ დაპატიმრებული ვიცით, რომელიც იმ მკვლელობის გამო გასამართლებულა, რომელიც არ ჩაუდენია. გიორგი ბრალს არ აღიარებს, რადგან ვერავინ გაღიარებინებს იმას, რაც არ ჩაგიდენია.

— ანუ მას ნიკო გაგნიძე არ მოუკლავს?

— ეს ექიმების დაუდევრობის ბრალია. თბილისში რომ მსგავსი რამ მომხდარიყო, საქმე სხვანაირად იქნებოდა. რაიონში რადგან მოხდა, ყველაფერი რაიონის დონეზე გაკეთდა. აქვე მინდა გითხრათ, რომ სიტუაციის დარეგულირება მსურს და არა — გამწვავება. გარდაცვლილის დედასთან შეხვედრაც მინდა, დასამალი არაფერი მაქვს.

ლიკა ყაზბეგი: „ჩვენს სიმართლეში იმდენად ვართ დარწმუნებული, რომ ვითხოვთ, საქმე ხელახლა გამოიძიონ. ეს ძველი მთავრობის დროს გაკეთებული საქმეა და უზუსტობებით არის სავსე, ბევრი ჩამეა შეუსაბამო".

„სარკე" პატიმარ გიორგი ჯელაძის ადვოკატსაც დავუკავშირდით, რათა გაგვერკვია, რეალურად არსებობდა თუ არა პატიმრობიდან მისი გათავისუფლების შესაძლებლობა.

დიტო ხაჩიძე, გიორგი ჯელაძის ადვოკატი:

— გიორგი ჯელაძეს საქართველოს სისხლის სამართლის 109-ე მუხლით 18 წელი აქვს მისჯილი. ის სასჯელს 2004 წლის ზაფხულიდან იხდის. ბრალს არ აღიარებს და თავს დამნაშავედ არ ცნობს.

— აპირებთ მისი სასჯელის გასაჩივრებას და რეალურად არსებობს თუ არა რაიმე შანსი?

— მოგეხსენებათ, წინა ხელისუფლების დროს ამის არც თეორიული მექანიზმი არსებობდა და არც პრაქტიკული. ახლა არის მართლმსაჯულების ხარვეზის დამდგენი კომისიის შექმნის კანონპროექტი, რომლის განხილვაც პარლამენტში ძალიან მალე დაიწყება. როცა ეს კომისია შეიქმნება, აუცილებლად მივმართავთ, საკმაოდ ვრცელი საჩივარი გვაქვს.

— რა ფაქტები არსებობს საქმეში, რითიც მის გამართლებას შეძლებათ?

— შემთხვევის ადგილზე ჩხუბი მოხდა. როგორც ვიცი, ახალგაზრდებთან, სადაც ერთ-ერთი გიორგი ჯელაძე იყო, ვიღაც მთვრალი ადამიანი აღმოჩნდა. სხვათა შორის, მას გიორგისთან არ მოსვლია ჩხუბი, არამედ სხვასთან. ჩხუბში ვიღაცეები ჩაერივნენ, გაშველებისას კი ერთ-ერთი გარდაიცვალა. მისი მკვლელობა ჯელაძეს დაბრალდა. რაც შეეხება არგუმენტებს, ჩვენ შეგვიძლია იმის დამტკიცება, რომ მას ეს დანაშაული არ ჩაუდენია და გარდაცვლილისთვის არანაირი დაზიანება არ მიუყენებია. საქმეში, მოწმეთა ჩვენებებში პირდაპირ ეწერა, რომ, მაგალითად, გამომძიებელი ექიმს ჩვენების მიცემას აიძულებდა. ექიმმა ეს 2006-2007 წლებში სასამართლოზეც განაცხადა. გარდაცვლილს ჭრილობა მჭრელი საგნით ან დანით არ ჰქონდა მიყენებული. ეს იყო დაცემის შედეგად მიღებული დაზიანება. მოწმეებზე ზემოქმედებით კი ჩაითვალა, რომ ეს მჭრელი საგნით იყო მიყენებული. გამოძიების მხრიდან მოწმეებზე ზემოქმედების პირდაპირი მტკიცებულებები გვაქვს. ჩვენი პოზიცია კვლავ უცვლელია, გიორგის დანაშაული არ ჩაუდენია, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ის ამისთვის სასჯელს იხდის. როცა შესაბამისი კომისია შეიქმნება, მას აუცილებლად მივმართავთ.

— მეორე მხარე საპირისპიროს ამტკიცებს.

— გაგნიძე სრულიად სხვა ვითარებაში და სხვა რაღაცით მიღებული დაზიანებით გარდაიცვალა. რადგანაც ჯელაძე იქ იყო, ესე იგი, დამნაშავე ეგ არისო. ეს გაუგებარია! მოგეხსენებათ, წინა ხელისუფლების დროს სასამართლო რა მდგომარეობაშიც იყო. ამ საქმის საბოლოო განხილვა 2007 წელს მოხდა. იმ სასამართლო სისტემის გულგრილი დამოკიდებულების ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი ჩვენ ვიყავით.

აქვე მინდა ვთქვა, სამწუხაროა, რომ ადამიანი გარდაიცვალა. გვესმის, რომ მის ოჯახს ტკივილი განუახლდა, მაგრამ 8 წელია, იმის დადგენას ვითხოვთ, ჩვენ რა შუაში ვართ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ და ეს განაჩენიც სამართლიანი იყოს, ადრე თუ გვიან ჯელაძე ციხიდან გამოვა. ამიტომაც იმაზე აპელირება, ჯელაძე ციხიდან რატომ გამოდისო, არასწორია. მით უმეტეს, არავინ ამბობს, რომ ის ხვალ გამოვა ან ამნისტიის კანონი შეეხება. ჩხუბი ჯელაძესთან არ მოსვლიათ. გარდაცვლილი სხვა პირებს აშველებდა. იქ საკმაოდ ბევრი ადამიანი იყო.

— საქმე სტრასბურგის სასამართლოში იგზავნება?

— ჩვენ სტრასბურგის სასამართლოში 2007 წელს სხვა რამ გავასაჩივრეთ. 2012 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით, საქართველოს სახელმწიფოს ჯელაძის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 5 000 ევროს გადახდა დაეკისრა და კიდევ მატერიალური ხარჯების ანაზღაურება. სტრასბურგის სასამართლომ ჯელაძის საქმეში ევროკონვენციის მესამე მუხლის დარღვევა დაადგინა, რომელიც საპყრობილეში არაადამიანურ მოპყრობას, წამებას გულისხმობს.

— გაგნიძის დედა ამბობს, რომ ჯელაძე ორჯერ იყო სასამართლევი. მან ჯიდაც დაჭრა და რუსთაველის თეატრში ბომბიც კი შეაგდო. ეს სიმართლეა?

— არა, რა ბომბი?! ნასამართლევი იყო, მაგრამ თეატრში ბომბი არ შეუგდია. ეს სწორი ინფორმაცია არ არის.

— მაშინ რისთვის იხდიდა სასჯელს?

— არ მახსოვს, ადრე რისთვის და როგორ იხდიდა სასჯელს, მაგრამ ნასამართლევი რომ იყო, ვიცი.

✓ ეკა ლემონჯავა

ნანიკო ხაზარაძის და გიორგი კეკელიძის სპონტანური რომანი სპონტანურადვე დასრულდა

■ გიორგი და ნანიკო

„დაგვჩრა დიდი ურთიერთპატივისცემა და მეგობრობის სურვილიც"

ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ რამდენიმე ხნის წინ „სარკეს" გაუმხილა, რომ მასა და ტელეწამყვან ნანიკო ხაზარაძეს შორის რომანი იყო, რომელიც, მისივე სიტყვებით, სპონტანურად დაიწყო. ნანიკო ხაზარაძეც ჩვენთან ინტერვიუში ამ თემას მოკლედ, მაგრამ გასაგებად შეეხო და განაცხადა, რომ ეს ურთიერთობა სტაბილური იყო. სულ ცოტა ხნის წინ კი, როგორც შევიტყვე, მათი სპონტანურად დაწყებული რომანი ასევე სპონტანურად დასრულდა. ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი — როგორც მას ფეისბუქზე უწოდებენ, „ქალთა გულთამპყრობელი" გიორგი კეკელიძე და ნანიკო ხაზარაძე ერთად აღარ არიან. ამ ამბის შესახებ მცირე კომენტარი გიორგი კეკელიძემ გააკეთა.

გიორგი კეკელიძე:

— ჩვენი რომანი ხანმოკლე აღმოჩნდა... ურთიერთობა არ იყო ღრმა. დაგვრჩა დიდი ურთიერთპატივისცემა და, შეიძლება ითქვას, მეგობრობის სურვილიც. ნანიკო შესანიშნავი ადამიანია.

— რა გახდა უცაბედი დაშორების მიზეზი?

— თავიდანვე არ იყო ძალიან ღრმა ურთიერთობა. შეიძლება ამის გამოც ამოიწურა. ცხადია, ყოველგვარი დრამისა და ასეთების გარეშე დავშორდით. ეს ხომ ემოციური საქმეა და რამე სახის გათვლებს ძნელად ექვემდებარება. ეს გადაწყვეტილებაც ისევე მივიღეთ, როგორც წინა.

— თქვენი რომანი თითქმის სამი თვე გრძელდებოდა, როგორ გახსენდებათ ეს პერიოდი?

— ცუდად არ მახსენდება. როგორც ყველა ურთიერთობა, გარკვეულ წინააღმდეგობებს მოიცავდა, მაგრამ საბოლოოდ, შემიძლია ვთქვა, რომ ცუდი არაფერი მომხდარა. მით უფრო, რომ საინტერესო მეგობარი შევიძინე.

— როგორ ფიქრობთ, გამოგივათ მეგობრობა?

— დრო გვაჩვენებს. ამ ეტაპზე ამის ყველა წინაპირობაა.

— ამჟამად პირად ცხოვრებაში შესვენებას აპირებთ თუ ელოდებით რაიმე ახალს?

— ვერ გეტყვით. სრულიად შესაძლებელია ძალიან მალე დაიწყოს რაღაც ახალი ან დავიწყებული ძველი.

✓ მანანა ნოდია

Cyan Magenta Yellow Black

„დედიკოს ბიჭს იმიზომ მეძახიან, რომ პიანინოზე დავდივარ“

ღღევანდელ მოზარდებში ბევრი ისეთი სტერეოტიპი ბატონობს, რომ მათ გახსენებაზეც კი ვლიზიანდები. ბიჭები კი განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში ვართ. ჩემს თანატოლებს რაღაცეების მიმართ არასერიოზული დამოკიდებულება აქვთ. ხშირად ისეთი რაღაცის გაკეთება „უტყდებათ“, რაც ნამდვილად საამაყოა. თუ საქმის გარჩევა და ტრაბახი შეგიძლია, მხოლოდ მაშინ ხარ „სასტავის“ სრულუფლებიანი წევრი. მათი ძირითადი საქმე სხვების დაცინვაა.

მე მუსიკა ძალიან მიყვარს. ყველანაირ ინსტრუმენტზე ვცადე ბედი, მაგრამ პიანინოზე დაკვრა ყველაზე კარგად გამომდის, ამიტომ ძირითად დროს ამას ვუთმობ. მშობლებმა რომ ჩემი გატაცება შენიშნეს, მაშინვე კარგ მასწავლებელთან მიმიყვანეს მოსამზადებლად. ამის შემდეგ ამ საქმეს ნამდვილად მთელი სერიოზულობით მოვეკიდე. ყველაზე დიდ სიამოვნებას ეს მგვრის და სხვა დანარჩენი ნაკლებად მაინტერესებს.

ამ საკითხისადმი თინეიჯერი ბიჭების დამოკიდებულება კარგად ვიცი. მათთვის მიუღებელია, ბიჭი პიანინოზე უკრავდეს. რატომღაც ჰგონიათ, რომ ბიჭისთვის ყველაზე მისაღები გიტარა, დასარტყამი ან ჩასაბერი ინსტრუმენტია. პიანინოს კი გოგოების ინსტრუმენტად თვლიან. ამიტომაც ვმალავდი ჩემს გატაცებას, მაგრამ ეს ადვილი არ აღმოჩნდა.

ერთხელ მეგობარმა დამირეკა და მითხრა, კინოში წამოდი, კარგი ფილმი გადისო. მე დაუფიქრებლად ვუპასუხე, ვერ წამოვალ, მუსიკის გაკვეთილზე მივდივარ-მეთქი. ამის გაგონებაზე გაიცინა და მითხრა, რომელ ინსტრუმენტზე უკრავო. დამალვას აზრი აღარ ჰქონდა და ვუთხარი. მეგონა, ის მაინც გაიგებდა, მაგრამ მაშინვე დაცინვა დამიწყო და ირონიული ფრაზებით დამემშვიდობა. ახალი ამბავი მაშინვე ყველას უთხრა.

მეორე დღეს მეგობრებმა დამინახეს თუ არა, წინასწარ მოფიქრებული ხუმრობები დამაყარეს. თავიდან მეც მივიღე და პანიკა არ ამიტეხავს, მაგრამ აღარ გაჩერდნენ და ზედმეტიც მოუვიდათ. ვუთხარი, რომ მათი დაცინვის მოსმენა არ მსიამოვნებდა და თავისმართლებას მოვყევი. ვეცადე, ამეხსნა, რომ ეს საქმე მაინტერესებდა, მაგრამ ამან უარესი შედეგი გამოიღო. უკვე ყოველდღიური თემა მიეცათ სიცილისთვის. ერთმაც კი არ დაიჭირა ჩემი მხარე და არც გამკვირვებია. დედიკოს ბიჭსაც მეძახიან.

მეგონა, გოგოები სხვანაირად მიუდგებოდნენ ამ საკითხს, მაგრამ მათაც იგივე გააკეთეს. თითქოს მეგობრულად მითხრეს, რა იყო, ქალაჩუნა ხომ არ ხარ, რამ გაგაგიჟაო. ამ ყველაფერზე სახლში ხმას არ ვიღებ, რადგან ვიცი, დედაჩემი ერთ ამბავს ატეხავს. ბოლო დროს პიანინოს დანახვა არ მინდა. ვფიქრობ, მუსიკაზე აღარ ვიარო. ამდენი დაცინვის ატანა აღარ შემიძლია.

თქვენი მკითხველი, 14 წლის

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.
თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:
1. **ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.**
2. **გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 1779 მაგთიდან და ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია 50 თეთრი.**
3. **ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru**

ანონიმურობა დაცულია

„ჩემი დეიდაშვილი თავის მასწავლებელს გაჰყვა ცოლად“

15 წლის გოგო ვარ. უკვე კარგად ვაცნობიერებ, ჩემ ირგვლივ რაც ხდება და ყველაფერი გულთან ახლოს მიმაქვს. ჩემი ახლობლების და მეგობრების პრობლემას ისევე განვიცდი, როგორ საკუთარს. ეს წელი მშვენივრად დაიწყო, ჩემს ცხოვრებაში რამდენიმე სასიამოვნო ფაქტი მოხდა, მაგრამ დაახლოებით ერთი კვირის წინ აუტანელ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ჩვენს ოჯახში მოულოდნელად დატრიალებულმა ამბავმა ყველა გაგვაკვირვა და შეგვაშფოთა. ახლა ყველა ჩვენი ნაცნობი ამაზე ლაპარაკობს.

ჩვენს ოჯახში 5 წევრია: მშობლები, მე, ჩემი პატარა ძმა და დეიდაშვილი. დეიდაჩემი 3 წლის წინ საზღვარგარეთ წავიდა და რადგან სხვა გზა არ ჰქონდა, თავისი შვილი დედაჩემს დაუტოვა. დედას და დეიდას ძალიან უყვართ ერთმანეთი. მათი ურთიერთობა ბევრისთვის მისაბაძი შეიძლება იყოს. დეიდა ჩვენთან ყოველ წელიწადს ჩამოდის ხოლმე, მაგრამ დღე არ გაივლის, რომ არ დარეკოს და ყველა არ მოგვიკითხოს.

დეიდაშვილი ჩემზე სამი წლით უფროსია. მას ყველა დიდ ყურადღებას უთმობდა და ჩვენ მიმართ ისიც მუდამ სიყვარულს ავლენდა. ჩემს საუკეთესო მეგობრად მიმაჩნია. ერთმანეთს ყველაფერს ვუყვებოდით, მაგრამ რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, არ გამიზიარა.

მე და ჩემი ძმა სკოლაში სანიმუშო მოსწავლეებად ვითვლებით. დეიდაშვილი კი სწავლის ინტერესს არასოდეს იჩენდა. მას მხოლოდ გართობა და თავისი სასიყვარულო ურთიერთობები აღელვებდა. ერთი თვის წინ სახლიდან გასვლას მოუხშირა. გვეუბნებოდა, რომ მეგობრები ურეკავდნენ. თანდათან ეს „მეგობრის ზარები“ უფრო ხშირი ხდებოდა. მეგონა, ახალი შეყვარებული გამოუჩნდა, რომელსაც მალე დაშორდებოდა.

დედა განიცდიდა, ამბობდა, რომ დის წინაშე პასუხისმგებლობას თავი ვერ გაართვა. დისშვილთან ბევრჯერ სცადა სერიოზულად დალაპარაკება და საქმის გარკვევა, მაგრამ ჩემი დეიდაშვილი ხმას არ იღებდა. დედამისსაც შევატყობინეთ ყველაფერი. ისიც იქიდან ეჩიჩინა, მაგრამ ვერაფერი გააწყო.

ერთხელ ჩემმა მშობლებმა მეგობრულად დაუწყეს ლაპარაკი. ის უცებ წამოხტა და იყვირა, თავი დამანებეთ, პატარა ნუ გგონივართო და კარი გაიჯახუნა. ამაზე დედაჩემი ძალიან გაუბრაზდა და სახლიდან გასვლა აუკრძალა. გამოუცხადა, ამის შემდეგ მარტო სკოლაში ივლიო. რამდენიმე დღის განმავლობაში თითქოს მორჩილად იქცეოდა. ერთ დღესაც სკოლიდან აღარ დაბრუნდა.

ძალიან გავნერვიულდით, ყველგან დავრეკეთ, სადაც კი შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა. დედაჩემს წამლებით ვაბრუნებდით. ღამით კი მანაც დარეკა და თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ისე მშვიდად გვითხრა, გავთხოვდიო. მაშინვე ის ვკითხეთ, სად ხარ, მოვალთო, მაგრამ პასუხი არ გაგვცა. დაგვპირდა, ხვალ დილით თვითონ გესტუმრებითო.

მოუთმენლად ველოდებოდით გათენებას. მეორე დღეს მარტო მოვიდა და ყველაფერი გაირკვა. თავისი მათემატიკის მასწავლებელს გაჰყვა ცოლად, რომელიც მასზე 24 წლით უფროსია. ეს ნამდვილად მეხის გავარდნას ჰგავდა ჩვენთვის, რადგან მსგავს რამეს ვერ წარმოვიდგენდით. დედამ ტირილი დაიწყო, მე გაოგნებული ხმას ვერ ვიღებდი, მამაჩემი კი სახლიდან გავარდა. საცოდავ დეიდაჩემს კი იქ პატრონი არ ჰყავს, ამბობს, თავი მაქვს მოსაკლავიო.

ავადმყოფობა მოვიმიზეზე და სკოლაში არ ვყოფილვარ. ბავშვების მრცხვენია. მათთან ლაპარაკი არ შემიძლია. მირეკავენ, ფეისბუქით რაღაცეებს მეკითხებიან, მაგრამ არავის ვპასუხობ. ის კაცი მათემატიკას მეც მასწავლის. ისე მძულს, რომ მისი დანახვაც არ მინდა. მართალია, სკოლა დატოვა და ახლა არც ვიცი, სად არის, მაგრამ ოდესმე ხომ შეეხვდები? ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა მივესალმო, როგორ მოვიკითხო.

დედაჩემი ძალიან ნერვიულობს, გაფითრებული დადის და დაბნეულია. თავის დაზე დარდობს, რომელიც ადამიანს აღარ ჰგავს. შვილის გამო გადაიკარგა ქვეყნიდან, იქ მონურად შრომობს, ჩემმა დეიდაშვილმა კი საშინელი რამ ჩაიდინა. არ ვიცი, ამ ისტორიას როგორი გაგრძელება ექნება.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

Cyan Magenta Yellow Black

„მამას იმედი გავუცრუე“

15 წლის ბიჭი ვარ. უკვე წლებია ჭადრაკზე დავდივარ. მშობლებს ძალიან უნდოდათ, სპორტის ეს სახეობა კარგად მცოდნოდა. ამისთვის ყოველთვიურად ფულის გადახდა არ ენანებოდათ. ჭადრაკი აზროვნების განვითარებაში ძალიან დამეხმარა და ახლა ყველაფერზე მეტად მიყვარს. დიდი ნიჭით არ გამოვირჩევი, არც მაგარი მოთამაშე ვარ, მაგრამ ჩემი ცხოვრება ჭადრაკის გარეშე ვერ წარმომიდგენია. ბევრ ტურნირში მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ პირველი ადგილი ვერ დავიკავე. მამა თავიდან დიდ იმედებს ამყარებდა ჩემზე, მაგრამ ვატყობ, იმეგაცრუებულია. ეს კი ჩემზე ყველაზე მეტად მოქმედებს. ერთი ამბის შემდეგ თავდაჯერება მთლიანად გამიქრა და მამის ნდობაც აღარ მაქვს.

ჩვენს ჯგუფში ბევრი ბავშვი ჩემზე კარგად თამაშობს, მაგრამ მაინც ხშირად ვახერხებ მათთვის მოგებას. რამდენიმე თვის წინ ერთი პატარა ბიჭი შემოგვემატა, ვისთანაც არასდროს მითამაშია. ყველა აქებდა და აღტაცებული იყო მისით. ასეთი აღფრთოვანება მის ასაკს მივაწერე, ვიფიქრე, პატარა რომ არის, ალბათ ხალხი ამით მოხიბლა-მეთქი. ერთხელ მასწავლებელმა გამოგვიცხადა, მშობლები მოიყვანეთ და საჩვენებელი თამაში გავმართოთო. მამა ამას ელოდებოდა და ჩემ შესამოწმებლად წამოვიდა.

მე მოწინააღმდეგედ ის პატარა ბიჭი შემხვდა. ეს რომ გავიგე, გამეცინა და თამაშს არასერიოზულად მოვეკიდე. საბოლოოდ კი განცვიფრებული დავრჩი, როცა ჩემზე 6 წლით უმცროსმა ბავშვმა მომიგო. ძალიან ავღელდი, მივხვდი, მამაჩემი გაბრაზდებოდა. მართლაც, მთელი გზა ხმა არ ამოუღია. სახლში კი დედას უთხრა, დებილი შვილი გვყავს, თითისტოლა ბავშვმაც კი მოუგოო. ამის მერე მომიბრუნდა და გამომიცხადა, ჭადრაკზე წასული არ დაგინახო, ტყუილად ვყრი ფულსო. ძალიან მეწყინა, მაგრამ, ასე თუ ისე, ვაფასებ საკუთარ შესაძლებლობებს და ვხვდები, რომ მონდომების შემთხვევაში ეს საქმე ნამდვილად გამომივა.

ამ თვის შუა რიცხვებამდე ფული გადახდილი გვაქვს და ზუსტად ვიცი, რომ ვივლი, მაგრამ მერე კიდევ მეღირსება ეს ბედნიერება? ნამდვილად არ მინდა, ჭადრაკი მივატოვო. ახლა უკვე მზად ვარ, ისე ვივარჯიშო, როგორც არასდროს და მამას დავუმტკიცო, რომ მეც შემიძლია რაღაცის გაკეთება.

„სარკის“ მკითხველი, 15 წლის

✓ *რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ*

გამოხმაურება

«შევეგუე აზრს, რომ ბუნების შეცდომა ვარ»

ჟურნალ „სარკის“ მე-9 ნომერში დაიბეჭდა წერილი — „მე-7 კლასში კაი ბიჭმა გამაუპატიურა“. არ შემეძლო, არ მეპასუხა წერილისთვის, რომელმაც შემძრა. თითქოს ავტორი ჩემს ისტორიას ყვებოდა, ცოტათი შესწორებულს.

ჩემი ისტორია ადრეული ბავშვობიდან იწყება, ოჯახური პრობლემები ჩემს ფსიქიკაზე მძიმედ აისახა და საბოლოოდ დაკომპლექსებულ ადამიანად ჩამოვყალიბდი. სკოლაში მეც იგივე სიტუაცია მქონდა, რაც წერილის ავტორს, ოღონდ ჩემზე ძალა არავის უხმარია. დეტალებს აღარ დავაკონკრეტებ, თუმცა მეც ყველა მიბრაგუნებდა, გოგოებიც კი და ხან ნაზიკოს მეძახდნენ, ხან — პედერასტს და ხან — რას აღარ.

როგორღაც გადავათრიე ავადსახსენებელი სკოლის წლები. რამდენი ბნელი ღამე გამითენებია ზიზღში, ბოღმაში... რამდენჯერ მინატრია ხან — ჩემი, ხანაც მტრების სიკვდილი. სკოლის წლებმა არაფერი მომცა ზიზღის და ბოღმის მეტი. ახლა ვცდილობ, ცხოვრება თავიდან დავიწყო. ვერავის ვერაფერს დავაბრალებ, უკვე შევეგუე იმ აზრს, რომ ბუნების შეცდომა ვარ და აღარ ვფიქრობ, რომ ნორმალურ ადამიანად ვიქცე. ჩვენი პრობლემა ალბათ იმაშიც მდგომარეობს, რომ იმდენად უსუსური არსებები ვართ, გვერდით ქალი კი არა, ძლიერი არსება, მამაკაცი გვჭირდება.

მკითხველი

www.abdiibrahim.com.tr

უეფუთნეთ „ზაქთრის ინფექციები“ თქვენი ოჯახის ერთგული მეგობრების დახმარებით

ბენეტი
ორალური სპრეი

ბენეტი პლიუსი
ორალური სპრეი

ყელის ტკივილისა და პირ-ხახის ინფექციურ-ანთებითი დაავადებების ეფექტური, სწრაფი და უსაფრთხო მკურნალობა

- სწრაფად ხსნის ტკივილსა და დისკომფორტს
- უზრუნველყოფს ხანგრძლივ გაუტკივარებას
- აუმჯობესებს ღეჭვისა და ყლაპვის ფუნქციებს
- გამოიყენება ყველა ასაკობრივ ჯგუფში: ბავშვებში, მოზრდილებსა და ხანდაზმულებში
- აქვს სასიმოვნო გემო

ბენეტი სპრეის გამოყენება შეიძლება 6 წლამდე ასაკის ბავშვებში, ხოლო ბენეტი პლიუსი ბავშვებში ინიშნება 6 წლის ასაკიდან.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

საქართველო, თბილისი 0112,
დ. აღმაშენებლის გამზ. 148/III

PSP №1

ABDIIBRAHIM

ბენეტი
ბენზიდამინი

ბენეტი პლიუსი
ბენზიდამინი/ქლორჰექსიდინი

Cyan Magenta Yellow Black

რა ალუთქვა ეკა კვალიაშვილმა 20 წლის წინ ახალდაბადებულ ქალიშვილს



ომლერალ ეკა კვალიაშვილის დედისერთა ქალიშვილს, 20 წლის ნუკა გვალიას, დედის მხრიდან საუკეთესო მუსიკალური გენები ერგო. ჯერჯერობით მან ერთხელ გაიბრწყინა ერთ-ერთ ფესტივალზე, რომელიც დიდი ხმაურით დაიწყო და ასეთივე დიდი გაუგებრობით დამთავრდა — ეს იყო ბათუმის „გოლდენ ტალანტი“. მას შემდეგ ნუკა არსად გამოჩენილა, დღეს კი ისევ კონკურსისთვის ემზადება. პროექტ „საქართველოს ვარსკვლავში“ აპირებს მონაწილეობას. ეს გადაწყვეტილება დედისგან დამოუკიდებლად მიიღო. წინ კიდევ ბევრი გეგმა აქვს, მაგრამ ჯერჯერობით ამაზე საუბარი არ სურს.

ეკამ ერთადერთი ქალიშვილი, როგორც თვითონ ამბობს, დიდი სიფრთხილით, ტაქტითა და მოთმინებით გაზარდა. იყო პერიოდი, როცა დედა-შვილს არც ერთმანეთის ცხოვრების სტილი ესმოდათ და გემოვნებითაც ძალიან განსხვავდებოდნენ, მაგრამ რთულმა პერიოდმა მშვიდობით გადაიარა და ახლა საუკეთესო მეგობრები არიან. ახალგათხოვილი ნუკა ახლა თავად ზრუნავს დედაზე, რაც ეკასთვის ძალიან სასიამოვნოა.

— ქალბატონო ეკა, ის ემოცია გაიხსენეთ, რომელიც მაშინ დაგეუფლათ, როცა გაიგეთ, რომ დედა გახდით.

ეკა: რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ გოგო მეყოლებოდა. გამოკვლევაზე რომ მივედი, ვერ მოვასწარი, გამეფრთხილებინა, სქესი არ ეთქვათ. მინდოდა, სიურპრიზი ყოფილიყო, მაგრამ ექიმმა მაშინვე მითხრა, გოგო გყავსო. ვფიქრობდი, რა დამერქმია. მისი დაბადების მომენტს ველოდებოდი, რომ გამეგო, ვის ჰგავდა, როგორი ცხვირ-პირი ჰქონდა. პალატაში ჩემი პატარა რომ შემოიყვანეს, ჩემი პირველი სიტყვები იყო, ჩათვალე, რომ მე დავიბადე, თუკი ცხოვრებაში რამე დამაკლდა, მინდა, ის ყველაფერი შენ გქონდეს-მეთქი.

მას შემდეგ ჩემი ცხოვრება ძალიან შეიცვალა. მთელი ჩემი ყურადღება ბავშვზე გადავიდა. როცა ვაჭმევდი, თვალებში მიყურებდა. ეს ნამდვილი საოცრება იყო! ყველა ნორმალური დედა დამეთანხმება, რომ შვილის მოვლა, მასზე ზრუნვა ულამაზესი მომენტია. ოღონდაც ბავშვს ჰქონოდა და მე ყველაფერს ვიკლებდი. დღემდე ასეა, ჩემი შვილი ჩემთვის ყველაზე წინ არის.

— რას ასწავლიდით ერთადერთ შვილს, როგორი ადამიანი გინდოდათ გამოსულიყო?

ეკა: მინდოდა, ნუკაში სამართლიანობის გრძნობა გამეღვივებინა და ჭორიკანა არ ყოფილიყო. თბილისში მაშინ პლეხანოვზე, იტალიურ ეზოში ვცხოვრობდით, სადაც ბევრი ბავშვი იყო. ნუკა მათთან ერთად თამაშობდა. ვეუბნებოდი, იცოდე, არ გავიგო, რომ ვიღაცის საიდუმლო გათქვი, ენა მიიტან-მოიტანე და შენ გამო სხვებმა იჩხუბეს-მეთქი. ვერ ვიტან ჭორაობას, სხვების ცხოვრებაში ჩარევას! ეს ყოველგვარ ღირსებას არის მოკლებული. მინდოდა, ეს ყველაფერი ჩემი შვილისთვის კარგად მესწავლებინა.

ნუკა: ეკას ყოველთვის ვუსმენდი. ვგრძნობდი, რომ ძალიან სამართლიანი იყო. მართლაც ისეთი ჩამოვყალიბდი, როგორიც დედას უნდოდა: მეზიზღება ჭორიკნობა, ამბების მიტან-მოტანა, უსამართლობა, შეუგნებლობა...

ეკა: ბევრი მშობელი ცდილობს, შვილი საოჯახო საქმეებს აარიდოს, მე კი პირიქით ვიყავი. ნუკა არც პრობლემებისთვის ამირიდებია და არც საქმეებისთვის. გოგოა და ყველაფერი უნდა იცოდეს — პატივისცემა, სიყვარული... რწმენა უნდა გააჩნდეს. პატარაობიდან ეკლესიაში დამყავდა, საგალობლებს ვასმენინებდი. დაძინებისას ყოველთვის ვუმღეროდი. მოგეხსენებათ, ჩემი დიდი ბებია, მარო თარხნიშვილი, მომღერალი იყო. მაროს მამაჩემი და მამიდაჩემი ქართულ „იავნანაზე“ ჰყავდა გაზრდილი. ეს სიმღერა ფაქტობრივად არც არავინ იცის. ნუკას სწორედ ამ „იავნანას“ და თამრიკო ჭოხონელიძის შესრულებულ „იავნანას“ ვუმღეროდი. ჩემი შვილი ასე სიმღერ-სიმღერით, მოფერებით გავზარდე.

ეკა: „პალატაში ჩემი პატარა რომ შემოიყვანეს, ჩემი პირველი სიტყვები იყო, ჩათვალე, რომ მე დავიბადე, თუკი ცხოვრებაში რამე დამაკლდა, მინდა, ის ყველაფერი შენ გქონდეს-მეთქი".

ნუკა: „ეკა ჩემგან განსხვავებით უფრო მიმტევებელია".

გარდატეხის ასაკში მძაფრი მუსიკით, როკით დაინტერესდა. ცოტა ხანს ვაცადე. მერე დავინახე, რომ ძალიან მაგრად მღეროდა, მაგრამ ამბობდა, ხალხში არ გამოვჩნდებიო. ამ შემთხვევაშიც ვაცადე. ყველა მეუბნებოდა, საჯაროდ რატომ არ მღერისო, მაგრამ ჩემი პასუხი იყო, რომ მოვიდოდა დრო და ნუკა ველარ გაძლებდა. ეს ისეთი ნიჭია, რომელიც ოდესმე აუცილებლად ამოხეთქავდა.

— ისეთი ოჯახის შვილია, გასაკვირი ის იქნებოდა, რომ არ ემღერა, მაგრამ თარხნიშვილის „იავნანაზე“ გაზრდილმა ვოგონამ როკის მღერა რომ დაიწყო, რა რეაქცია გქონდათ?

ეკა: გარკვეულ ასაკში მეც ვიყავი როკით დაინტერესებული. მივხვდი, რომ ეს გენეტიკური დამთხვევა იყო. გარდატეხის ასაკში ადამიანის ჩამოყალიბება ხდება, ჰორმონალური ქარიშხალია, რომელიც დალაგებას იწყებს. არ მომწონდა, მაგრამ არაფერს ვეუბნებოდი, შორიდან ვადევნებდი თვალს, რომ ეს ყველაფერი ზედმეტობაში არ გადასულიყო. მერე თავად შეეცვალა მუსიკალური გემოვნება, ჩამოყალიბდა და სულ სხვანაირად დაიწყო მღერა. ნუკასთვის თითი არასოდეს დამიქნევია და მისთვის წინააღმდეგობა არ გამიწევია. არ მომწონდა, მაგრამ არასოდეს მითქვამს, არ დავინახო, როკს მოუსმინო-მეთქი. ეს დიდი სისულელე იქნებოდა. რაც უფრო ავუკრძალავდი, მით უფრო „გემრიელად“ მოეჩვენებოდა.

ნუკა: ეკა არასოდეს მაძალებდა ამა თუ იმ მიმდინარეობის მოსმენას. უბრალოდ მეუბნებოდა, ეს ძალიან კარგია და, თუ გინდა, მოისმინეო.

ეკა: ბავშვი თავად უნდა მიხვდეს, რომ ის კონკრეტული რაღაც კარგი არ არის, შენ უბრალოდ უნდა აუხსნა. ბავშვებს ხშირად ებადებათ კითხვა — „რატომ?“. მშობლებს კი ხშირად ეზარებათ პასუხის გაცემა, ეუბნებიან: „არ შეიძლება და მორჩა!“. ბავშვთან ასე ლაპარაკი დამღუპველია. ის ვერ არკვევს, თუ რატომ არ შეიძლება, ამიტომ თავი მართალი ჰგონია.

— ნუკა, ახლა კარგად გესმით, დედას რასა თქმა უნდა?

ნუკა: მე და ეკა დღეს უკვე ერთმანეთს ვარიგებთ. მას ყოველთვის ვუსმენ და ისიც ბევრ რაღაცაში მეთანხმება. ძალიან მიყვარს მასთან საუბარი, მსჯელობა, კამათიც კი, მაგრამ ჩვენ შორის კონფლიქტი თითქმის არასოდეს ხდება.

ეკა: ნუკა ჯიუტი გოგო არ არის, მაგრამ არც მე ვაწუხებ, რჩევა-დარიგებებით ტვინს არ ვუბურღავ. ახლა უკვე დიდი გოგოა, ვიცი, რაში ცდებოდა და რაში — არა. ძალიან ლამაზად, პატარ-პატარა კორექტივებს ვუკეთებდი, რასაც ნელ-ნელა, მაგრამ მაინც ყოველთვის იღებდა.

— ნუკა დედისერთაა, მას მარტო ზრდიდით, ალბათ ძალაუნებურად ანებივრებდით კიდეც.

ეკა: ნუკა გათამამებული არასოდეს ყოფილა. პირველ რიგში, ბავშვმა ზრდილობა, ეთიკის ნორმები უნდა იცოდეს, სისუფთავე უყვარდეს. როცა პატარებს ისე ათამამებენ, რომ უზრდელობაში გადადის, ყოველთვის მშობელს ვადანაშაულებ. როცა დედ-მამა პასუხისმგებლობას იღებენ და შვილს აჩენენ, მისი აღზრდა არ უნდა დაეზაროთ. ჩემს შვილთან ლაპარაკით ყბა მქონდა მოქცეული.

— რითი ჰგავხართ და განსხვავდებით ერთმანეთისგან?

ეკა: ჩემი შვილი ზუსტად ჩემნაირი პირდაპირი და სამართლიანი ტიპია. ბოლო დროს გარეგნობითაც დავემსგავსეთ ერთმანეთს. მე ყოველთვის მორიდებული ვიყავი და რაღაცეებს „ვატარებდი“. ბოლოს მიხვდი, რომ ჯობია, შენი მოსაზრება ყოველთვის დააფიქსირო და არც არაფერი „გაატარო“.

— ანუ ნუკა თქვენ უფრო გგავთ, ვიდრე მამას?

ეკა: მამას საერთოდ არ ჰგავს. ჩემი გაზრდილია და ამიტომ მე მგავს! მამას გარეგნობით, იუმორით ჰგავდა, მაგრამ მეც საკმაოდ კარგი იუმორი მაქვს და ახლა გარეგნობითაც დამემსგავსა.

ნუკა: ეკა ჩემგან განსხვავებით უფრო მიმტევე-

ეკა: „ნუკას ცხოვრებაში იყო პერიოდი, როდესაც ვხვდებოდი, რომ ვერც ერთი ჯენტლმენი ვერ ვუდგებოდი. ვცდილობდი, ისეთი მომენტი შემეჩია, როცა გაიხსნებოდა და მენდობოდა. შვილი ერთი თუ გაგექცა და გზიდან გადაუხვია, მერე მოტრიალება ძალიან ჰთელია".

ბელია.

— ქალბატონო ეკა, ნუკას არასოდეს გასჩენია კითხვა, რატომ არ იყავით ერთად თქვენ და მამამისი?

ეკა: არასოდეს. ჩვენ ამ თემაზე არასოდეს გვისაუბრია. მე და ნუკას მამას ყოველთვის კარგი დამოკიდებულება გვქონდა ერთმანეთთან და არ იგრძნობოდა კონფლიქტი, მტრული განწყობა. ნუკას ეგ კითხვა ალბათ ამიტომაც არასოდეს დაბადებია.

— თქვენი გემოვნება, შეხედულებები, ინტერესები ერთმანეთთან თანხვედრაშია?

ეკა: გარდატეხის ასაკში ნუკას სულ სხვა ინტერესები ჰქონდა და არც ჩვენი გემოვნება ემთხვეოდა ერთმანეთს, მათ შორის — არც მუსიკალური. სხვადასხვანაირი სამოსი მოგვწონდა, გასართობი ადგილებიც. ახლა ჩვენი გემოვნება ბევრ რაღაცაში ერთნაირია. ვფიქრობ, ნუკა კმაყოფილია, რომ ასეთი დედა ჰყავს. ამას კარგად ვგრძნობ და მადლობა ღმერთს, რომ ასეთი შვილი მყავს. ნუკას მეგობრები ჩემი მეგობრებიც არიან. ერთად გადასარევად ვერთობით. ისინი ძალიან მიყვარს, ყველა ჩემს ხელშია გაზრდილი და რატომღაც „დეს“ მეძახიან. ჯერ კიდევ პატარები იყვნენ, როცა ავუკრძალე, ჩემთვის დეიდა დაეძახათ. ვუთხარი, სახელით მოემართათ და ამით ბარიერი მოვუხსენი. ნუკას ბავშვობის მეგობარი, გიგი, ეკუშას მეძახის, ამბობს, ჩემი დაქალიაო. ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ შეუძლიათ, ნებისმიერ თემაზე მელაპარაკონ, ჩემგან დარიგებებიც მოისმინონ და ხანდახან საყვედურებიც მიიღონ.

ნუკა: დედა ჩემი ყველაზე ახლო მეგობარია. კარგი დაქალები ვართ და ერთმანეთს დისკომფორტს არასოდეს ვუქმნით. მისი მჯერა, ყველაფერში ვენდობი. რომ დავფიქრდე, მასთან არც არაფერი მაქვს დასამალი, ამიტომ შემიძლია გითხრათ, რომ ეკასთან ბოლომდე გახსნილი ვარ.

— მაგრამ გარკვეული ბარიერი ყოველთვის ყველასთან არსებობს, ამის გარეშე შეუძლებელია. თქვენს შემთხვევაში სად გადის ზღვარი?

ნუკა: მე ამ ბარიერს ზრდილობას ვეძახი. ეკა ძალიან მიყვარს და დიდ პატივს ვცემ, ის ყველაზე მაგარი დედა და საუკეთესო მეგობარია.

— ეკა, ნუკას აზრით თუ ინტერესდებით, როცა საქმე თქვენს შემოქმედებას ეხება?

ეკა: რა თქმა უნდა, მხოლოდ ნამღერთან დაკავშირებით კი არა, ყოველთვის ბევრ რაღაცას ვეკითხები. ის ახალი თაობის წარმომადგენელია და ამიტომ მისი აზრი მუდამ მნიშვნელოვანია ჩემთვის. პატარა რომ იყო, მაშინაც ვეკითხებოდი რჩევებს რაღაც-რაღაცეებთან დაკავშირებით. მინდოდა, ეაზროვნა და დასკვნები გამოეტანა. კითხვებს ვუსვამდი და დიდი ინტერესით ვუსმენდი, ამა თუ იმ საკითხზე როგორ დასკვნებს აკეთებდა.

— დამოუკიდებლობა ადრეულ ასაკში მიეცით?

ეკა: მისი გადმოსახედიდან ის ყოველთვის დამოუკიდებელი იყო, მაგრამ ჩუმად მაინც ვაკონტროლებდი, რომ შეცდომა არ დაეშვა. როდესაც ზედმეტად მკაცრი ხარ, არ არსებობს, ურთიერთობაში ტყუილი არ გაჩნდეს. ჯობია, დედა-შვილს შორის ყოველთვის გახსნილი ურთიერთობა იყოს. ნუკას ყოველთვის ვუუბნებოდი, რა ვიცი, შენ როგორც გინდა, ისე მოიქეცი, მაგრამ მე თუ მკითხავ, ეს სწორი არ არის-მეთქი. ამ ყველაფერს დიდი მოთმინება სჭირდება და მართლაც ბევრი რამ მოვითმინე.

— ყველაზე მეტად როდის გაგიჭირდათ ამის გაკეთება?

ეკა: ნუკას ცხოვრებაში იყო პერიოდი, როდესაც ვხვდებოდი, რომ ვერც ერთი კუთხიდან ვეღარ ვუდგებოდი. ვცდილობდი, ისეთი მომენტი შემერჩია, როცა გაიხსნებოდა და მენდობოდა. შვილი ერთი თუ გაგექცა და გზიდან გადაუხვია, მერე მოტრიალება ძალიან რთულია. მისი ცხოვრებიდან უმნიშვნელო დეტალიც არ უნდა გამოგეპაროს.

— ერთ შვილზე რატომ შეჩერდით?

ეკა: ნუკასაც უნდოდა დედმამიშვილი და მეც მინდოდა შვილი, მაგრამ რაღაც არ გამოვიდა. მეორე ფეხმძიმობაზე, როცა მე და ნუკას მამა ჯერ კიდევ ერთად ვიყავით, ბათუმის ფესტივალზე მომიწია წასვლა. მაშინ არ ვიცოდი, რომ ორსულად ვიყავი და ზუსტად კონკურსის დროს, კულისებში, ნაყოფი მომეშალა, მაგრამ სცენაზე მაინც გავედი და ვიმღერე.

ეკა: „ისეთი იაფფასიანი მეძავის მსგავსად ახ მოვიქცევი, ხაც მათ იკადრეს. ნუ შეეშინდებათ, სამაგიეროს ახავის გადავუხდი. მიპატიებია!".

— რუსეთში რამდენიმე წელი იყავით წასული შვილის გარეშე. ერთმანეთთან ასე მჯაჭვული დედა-შვილი დაშორებას როგორ უძლებდით?

ეკა: ძალიან რთული იყო. არავინ თქვას, რომ „სკაიპით“ ურთიერთობა დეფიციტს ავსებს. ნუკას კომპიუტერით რომ ვხედავდი, მინდებოდა, ჩავხუტებოდი. „სკაიპის“ გამორთვის შემდეგ კი საშინელი დეპრესია მემართებოდა. პირველად რომ წავედი, ნუკასგან მესიჯი მომივიდა: „დე, იცი, როგორ მჭირდები?“. ამ დროს უკვე გადამეკეტა და იქ აღარც გავჩერებულვარ. იცით, იქ რა კარგი შემოთავაზებები მქონდა? მაგრამ ყველაფერზე უარი ვთქვი და წამოვედი, რადგან ჩემი შვილის გარეშე არ შემიძლია. რა კარიერა, როცა შვილი გყავს ადამიანს! იქ ისე ვიყავი, სულ არ მემღერებოდა.

■ დედა-შვილი

ნუკა: ბოლოს სანამ წავიდა, მე გავთხოვდი. ახლა უკვე ჩემი ოჯახი მაქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეკას გარეშე გავძლებ. სულ მინდა, გვერდით მყავდეს, მაგრამ მისი დეფიციტი ჩემმა ოჯახმა და ნიკუშამ შემივსეს. ნიკასაც ძალიან უყვარს ეკა. მე და ნიკა 13 წლის ვიყავით, როცა ერთმანეთი გავიცანით და ორივე ეკას თვალწინ გავიზარდეთ.

— ქალბატონო ეკა, თქვენი აზრით, ნუკა მზად იყო ოჯახის შესაქმნელად?

ეკა: ნუკამ და ნიკუშამ ერთად მითხრეს, რომ ოჯახის შექმნას აპირებდნენ. 5 წლის განმავლობაში უყვარდათ ერთმანეთი. კარგად მახსოვს, სახლში რომ მოვიდნენ, წამოწოლილი ვიყავი. ნუკამ მითხრა, ერთი წუთი მოდიო. უკვე ვხვდებოდი, რაც უნდა ეთქვათ. ნიკუშამ მითხრა, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ოჯახი შევქმნათო. მე მხოლოდ ის ვუთხარი, ღმერთმა დაგლოცოთ-მეთქი.

ნუკა: „ეამჰავი გაჭიჰვება გამოვიახეთ ჰოგოჰც მოჰაღეჩი, ისე ფინანსეჩი. ეკასაც და მეც ძაღიან ბევჩი ღჩო დაგვაკაჩგვინეს. ეკვე გავიზაჩდე და ამის შემდეგ ყოვეღთვის ეკას გვეჩდით ვიდგები. დამეჩნმუნეთ, ვეღაჩავინ გაბედავს, ასე აჩაადამიანეჩად მოგვექცნენ!".

— ნუკა, როგორ მიდის თქვენი ოჯახური ცხოვრება, მოგწონთ გათხოვილი ქალის სტატუსი?

ნუკა: უკვე კარგად გავაცნობიერე, რომ ჩემი ოჯახი მაქვს, რაც ბევრ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული. მეტი არც არაფერი შეცვლილა. ჩემი და ნიკუშას ერთმანეთისადმი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, უცვლელია.

— ეკა, როგორი ცოლი და დიასახლისი დადგა ნუკასგან?

ეკა: ნუკა ძალიან, ძალიან კარგი გოგოა. მას პატარაობიდან ეხერხება საოჯახო საქმეები. სულ რაღაც ორი დღის გათხოვილი იყო, ჩემთან რომ მოვიდა. კარგად იცის, რომ ჩემი რაციონი ძალიან მწირია, შეიძლება სადილი ორ თვეში ერთხელ მოვიმზადო. რაც ნუკა გათხოვდა, საკუთარი თავისთვის სადილი არც გამიკეთებია. დიდი-დიდი კარტოფილი ან კვერცხი მოვხარშო. ერთი სიტყვით, ჩემთან რომ მოვიდა, მკითხა, დღეს რა ჭამეო. ვუთხარი, ყავა დავლიე-მეთქი. მაშინვე სამზარეულოში შევარდა და საჭმლის გაკეთება დაიწყო. მერე ნიკუშამ გამოუარა და წავიდა. ნახევარ საათში კი დამირეკა და მკითხა, საჭმელი თუ ჭამეო. სულ მაკონტროლებს.

— ნუკა, საზოგადოებას ახსოვს 2011 წლის ფესტივალი „გოლდენ ტალანტი“, რომელიც თქვენ პროტესტის ნიშნად დატოვეთ, მეორე ტურში გასვლა აღარ ისურვეთ. ახლა შეგიძლიათ მოგვიყვეთ, რა მოხდა მაშინ?

ნუკა: კონკურსზე ბევრი ცუდი რამ მოხდა. მეორე ტურში გამოსვლაზე უარი იმიტომ ვთქვი, რომ ჟიურის წევრები არაობიექტურ შეფასებებს აკეთებდნენ. სხვა კონკურსანტებიც უკმაყოფილონი იყვნენ, რადგან მომღერალს, რომელიც 3 ან 4 ქულას იმსახურებდა, 7 ქულას უწერდნენ. როცა ეს ყველაფერი დავაფიქსირე, მივხვდი, რომ ამ კონკურსში არაფერი მესაქმებოდა.

— ქალბატონო ეკა, თქვენ ხომ არ ჩაერიეთ ნუკას გადაწყვეტილებაში?

ეკა: არა, დარბაზში ვიჯექი, როცა შემატყობინეს, რომ კონკურსში დარჩენაზე უარი თქვა, თუმცა ესეც მე დამაბრალეს, თითქოს ნება არ დავრთე, მეორე ტურში ემღერა.

— ქალბატონო ეკა, თქვენი ცხოვრების ამ ეტაპზე რა სიახლეებია?

ეკა: ჯერჯერობით ჩემი ცხოვრება დალაგების პროცესშია, რომელიც მთელი 9 წლის განმავლობაში ირეოდა, იწეწებოდა, ინგრეოდა. ჩემს დასაბლოკად ყველაფერი გაეკეთეს. ფინანსური გასაქანი არ მქონდა. როცა ნიჭიერ ადამიანს ფინანსური დამოუკიდებლობა აქვს, კარიერაში ბევრი კარგი რამის გაკეთება შეუძლია. ქვეყანაში გყავდეს ეკა კვალიაშვილი, რომელიც ცუდს არასოდეს გისურვებს და თავისი სიმღერით გასიამოვნებს, უნდა დაბლოკო?! როცა ასეთ ადამიანს ბლოკავ, გამოდის, რომ შენ ძალიან იაფფასიანი მეძავის ფსიქიკა გაქვს. ზუსტად ვიცი, ვის რა წვლილი მიუძღვის ჩემს დამუხრუჭებაში. მინდა, წყნარად იყვნენ, მათგან განსხვავებული ვარ. იაფფასიანი მეძავის მსგავსად არ მოვიქცევი, რაც მათ იკადრეს. ნუ შეეშინდებათ, სამაგიეროს არავის გადავუხდი. უბრალოდ, ღმერთის ეშინოდეთ, მე მიპატიებია!

— ნუკა, ეს ყველაფერი თქვენზე როგორ აისახა?

ნუკა: უამრავი გაჭირვება გამოვიარეთ როგორც მორალური, ისე ფინანსური. ეკასაც და მეც ძალიან ბევრი დრო დაგვაკარგვინეს. უკვე გავიზარდე და ამის შემდეგ ყოველთვის ეკას გვერდით ვიდგები. დამერწმუნეთ, ვეღარავინ გაბედავს, ასე არაადამიანურად მოგვექცნენ!

ეკა: მისთვის მე აბსოლუტურად ყველაფერი ვარ. ჩემი შვილის გამო შემიძლია ვიღაცას ხორხი კბილებით გამოვუღო. ნუკა კარგად ხვდება, რამდენი რამ გადავიტანე და ეს ძალიან აღიზიანებს. აცნობიერებს, რა ძლიერი ვყოფილვარ, რომ ამდენი წელი მოვითმინე. იმ ადამიანებმა ღვთისგან ბოძებული სიცოცხლიდან 10 წელი წამართვეს და წვალებისთვის გამიმეტეს.

✓ ქეთი დინოშვილი

Cyan Magenta Yellow Black

დათო დარჩიას ცოლი „ტორტუკებს“ უცხობს

■ დათო დარჩია

მახსიოს დათო დარჩიას დედა, ცოლი, სიდედრი და 12 წლის ქალიშვილიც კი ნაირ-ნაირი კერძებით ანებივრებენ. ყველანი ერთმეორეზე უკეთესი კულინარები არიან. მისი ცოლი, ვიქტორია ბუხნიკაშვილი, პროფესიით ასევე მსახიობია, მაგრამ დიდიხანია თავი ხელოვნების სულ სხვა სფეროში იპოვა — ორიგინალურ, საოცრად ლამაზ ტორტებს, ტკბილეულს „ქმნის“. მათ ოჯახს კარგ დროს ვესტუმრეთ. ინტერვიუს შემდეგ ბატონი დათო საქეიფოდ მიდიოდა და შესაფერის განწყობაზეც იყო. როგორც საუბარში გაირკვა, ქართული სუფრის თაყვანისმცემელი და რაინდული თამადაა, სასმელს არავის აძალებს და გამუდმებით იმაზე ზრუნავს, რომ სუფრასთან თავი ყველამ კარგად იგრძნოს.

დათო: ქართულ სუფრასთან ძირითადად ლოცვაა. ახლახან ჩვენთან მსოფლიო პატრიარქი რომ იყო ჩამობრძანებული, რა თქმა უნდა, სუფრასთანაც მიიპატიჟეს და თურმე იკითხა, რას შვრება ეს ხალხიო. უთქვამთ, სადღეგრძელოებით ერთმანეთს ლოცავენო. პატრიარქს უთქვამს, ახლა ვხვდები, ქართველმა ერმა 21-ე საუკუნემდე როგორ მოაღწიაო.

— წმარად ქეიფობთ?

დათო: კი, სადღაც 3 ლიტრ ღვინოს ვსვამ და ეს ნორმალურია. ადრე არაყიც მიყვარდა და სხვა დანარჩენი სასმელიც, მაგრამ მაისში ინფარქტი გადავიტანე და მას შემდეგ ჩემთვის არაყი სასურველი აღარაა. ამიტომ ღვინო პირველია. ამ სასმელით დალოცვას სხვანაირი მადლი აქვს. მე მოქეიფე მამაკაცებში უფრო შევდივარ, ვიდრე მსმელებში.

— თქვენი თამადობით წაყვანილი სუფრა რიგორია?

დათო: ქორწილის და ქელეხის სუფრასაც გავძღოლივარ. ცხონებულმა ბაბუაჩემმა ერთი კარგი რაღაც მითხრა, ეცადე, სულ თამადა იყო, სხვისი ბუუტურის მოსმენას ეს გერჩივნოსო, თუმცა მე სხვის ბუუტურსაც სიამოვნებით ვუსმენ. თანაც, ვისთან ერთადაც მიწევს დალევა, ყველა კარგი მთქმელია და თითოეულს კარგად გამოსდის სუფრის წაყვანა. ქეიფის დროს არავის არაფერს ვაძალებ, ვისაც როგორ უხარია, ისე სვამს. შენ რომ ერთ ლიტრ ღვინოს სვამ და მე — სამს, ამიტომ დაგჩაგრო და დაგათრო, რომ მეორე დღეს სასწრაფო დახმარება გამოგიძახონ? ეს ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია. მე თუ სუფრაზე ყანწს ვითხოვ, ვკითხულობ, ვის გნებავთ-მეთქი. ვისაც სურვილი გვაქვს, მხოლოდ ისინი ვსვამთ. დანარჩენები ჭიქებით მიირთმევენ. სადაც ძალადობას აქვს ადგილი, შემიძლია ავდგე, ბოდიში მოვიხადო და წამოვიდე.

— თქვენმა ოჯახურმა სუფრებმა რესტორანში ხომ არ გადასცალა?

დათო: ძალიან მიყვარს სახლში დაბადების დღის გადახდა. რესტორანში შებოჭილი ხარ, რადგან სხვა მაგიდებთან უცხო ადამიანები სხედან. სახლში კი, გურულად რომ გითხრათ, ჩვენებურად ვაბდღლობთ. რესტორანშიც ვცადე დაბადების დღეების აღნიშვნა, მაგრამ არ გამოვიდა, ამიტომ ბოლო 2-3 წელია, ისევ სახლში გადავინაცვლე. დაბადების დღე 9 დეკემბერს მაქვს. ამ დღეს ხშირად დამთხვევია სპექტაკლი და სახლში რომ დავბრუნებულვარ, ჩემი მეგობრები დამხვედრიან. კონიაკები, ვისკები ამოუტანიათ და დილამდე გვიქეიფია. მერე ნაბახუსევზე კარგი წვნიანიც მიგვიყოლებია.

— თქვენს სუფრებს ძირითადად ვისი სანელაკი ამშვენებს?

დათო: მეუღლის, რომელსაც ჩემი სიდედრისგან ბევრი გემრიელი კერძი აქვს ნასწავლი. თუმცა ვიქტორია ახლა ხშირად ვეღარ ამზადებს საჭმელებს, მთლიანად ცხობაზეა გადართული. საოცარ ტკბილეულს აკეთებს. ვფიქრობ, რომ ესეც ხელოვნებაა. ოჯახურ სადილებზე სიდედრი ზრუნავს, რომელიც ჩვენთან ერთად ცხოვრობს. საოცარი ხელი აქვს. დედაჩემიც ძალიან მაგარი კულინარია. ჩემმა შვილმაც, რომელიც ახლა 12 წლის არის, სალათების კეთება უკვე დაიწყო. მოკლედ, ჩემთვის ძვირფასი ქალებისგან გემრიელი კერძებით ვარ განებივრებული.

— ქალბატონი ვიქტორია, რიდის აღმოჩენეთ, რომ ცხობა თქვენი ცხოვრების საქმე იყო?

ვიქტორია: ერთი კულინარიული წიგნი ვიყიდე, ვიფიქრე, იქნებ მეც შემიძლია ნამცხვრების ცხობა-მეთქი. პირველად ჩიზქეიქი გავაკეთე და კარგი გამომივიდა, მერე შოკოლადის ტორტი გამოვაცხვე. მას შემდეგ დავიწყე ტორტების კეთება. მერე ჩემი და დათოს საერთო მეგობარმა საცხობი გამიხსნა. პირველი საქორწილო ტორტი ანი გიუნტერს გავუკეთე. ბერლინის კედელი იყო აწყობილი. ტორტის გაკეთება არის შემოქმედება, ჯერ ესკიზს ვხატავ და მერე იმის მიხედვით ვაკეთებ. ზოგს ეიფელის კოშკი უნდა და ა.შ.

— სპეციალური კურსები გაიარეთ?

ვიქტორია: არა, ამ ყველაფერს ჩემი ფანტაზიით ვაკეთებ. ხატვა ყოველთვის მიყვარდა და ეს ძალიან დამეხმარა. ბევრ წიგნსაც ვყიდულობ. თუ ვინმე სადმე მიდის, ყოველთვის წიგნებს ვიბარებ. ინტერნეტის საშუალებით რამდენიმე ამერიკულ საცხობთან მაქვს ურთიერთობა. ქორწილში როგორც კაბაა მნიშვნელოვანი, ასევეა ტორტიც. შეიძლება მაგიდაზე საჭმელი არ იდოს, მაგრამ ტორტი აუცილებელია. შემდეგ ისე მოხდა, რომ ფრანგული ნამცხვრების გამოცხობა ვისწავლე და კაფე „გარდენსი“ გავხსენი.

— თქვენთვის ეს ყოველდღიური საქმეა, არადა ცხობას ხომ გამწყობა სჭირდება ამის ხასიათზე სულ სწორ?

ვიქტორია: ხასიათზე თუ არ ვარ, შეიძლება შეკვეთა არ ავიღო. ბოლო 5 თვე განწყობა არ მქონდა და ყველა შეკვეთა გავაუქმე. როცა შეკვეთას ვიღებ, ტორტები ადგილზე მიმაქვს, სხვებს არ ვანდობ. მას პატარა დეტალიც რომ ჩამოვარდეს, თავის ვიზუალს კარგავს. არ მიყვარს, როდესაც არ მენდობიან და ინტერნეტიდან ამოღებული ფოტოები მოაქვთ. მირჩევნია, მითხრან, შენ როგორიც გინდა, ისეთი გააკეთეო. ასეთ შემთხვევაში ტორტი უფრო კარგი გამოდის. მასში მთელ ჩემს ენერგიას, ემოციას ვდებ, ჩვეულებრივი შემოქმედებითი პროცესია.

— ბატონი დათო, თქვენ რიგორ ადასებთ ცოლის „ქმნილებებს“?

დათო: ძალიან ბევრი მუსი და კრემი არ მიყვარს. მირჩევნია, ბისკვიტი მეტი იყოს, ვიდრე კრემი. ეს ჩემმა მეუღლემ იცის და ჩემს დაბადების დღეზე სწორედ ასეთ ტორტუკას მიცხობს ხოლმე. მე ხორცის მოყვარული ვარ. ღვინოს ხორცზე მეტად არაფერი უხდება. ღვინო და ნამცხვარი კი ერთად არავითარ შემთხვევაში არ მიდის. ტკბილეულთან შამპანურია კარგი. ნაბახუსევზეც მიდის ორი კოვზი ტკბილი.

ვიქტორია: არა, ტორტს ყველაზე მეტად ჩაი უხდება. თუ ხილის ტორტია, მაშინ შამპანურიც შეიძლება, მაგრამ მე მაინც ჩაის მომხრე ვარ.

— თქვენს საქორწინო სუფრას რიგორი ტორტი ამშვენებდა?

ვიქტორია: ეს რა გამახსენეთ! ძალიან ჩვეულებრივი, ბეზეეებიანი ყავის ტორტი გვქონდა. ჩემმა მეჯვარემ გაგვიკეთა. 20 წლის წინ გავთხოვდი და მაშინ ცხობა საერთოდ არ ვიცოდი, ისეთი გაჭირვება იყო, ქორწილებს არც იხდიდნენ.

■ ვიქტორია და დათო

— ქალბატონი ვიქტორია, მართალია, რომ ამბობენ, რიგა ბისკვიტი ცხება, ამ დროს ხმაური არ შეიძლებაო?

ვიქტორია: არა, ჩემი ბისკვიტები ხმაურშიც მშვენივრად ამოდის, მაგრამ ჩემს განწყობას ყოველთვის გრძნობენ. როცა ცოტა ვაფუჩეჩებ, მიბრაზდებიან.

— რიმელიმე მარტივად მისამზადებელი ტორტის რეცეპტი თქვენ ჩვენს მკითხველებსაც შესთავაზოთ?

ვიქტორია: 200 გრამი შოკოლადი და 200 გრამი კარაქი გაადნეთ. ცალკე ათქვიფეთ 4 კვერცხი და 80 გრამი ფქვილი დაამატეთ. ეს ყველაფერი ერთმანეთში აურიეთ და, რა თქმა უნდა, ვანილი არ დაგავიწყდეთ. 180 გრადუს ტემპერატურაზე გამოაცხვეთ. ამ ტორტს ბრაუნი ჰქვია.

— ბატონი დათო, თქვენ თუ გეცხრებათ თუნდაც ერთი რიმელიმე კერძის გაკეთება?

დათო: რაღაცეების კეთება ვიცი, მაგრამ სახლში იმდენი ქალი მყავს, ჩემს თავს სამზარეულოში შესვლის და კერძების კეთების უფლებას არ ვაძლევ. დიდი-დიდი, სოსისი მოვხარშო და კვერცხი შევიწვა. როცა საქმე წვნიანებს და სხვა სერიოზულ კერძებს ეხება, მირჩევნია, ასპარეზი მათ დავუთმო.

— ხარცეულის მიმზადებასაც ქალებს უმობთ?

დათო: კი, თუმცა ვაღიაროთ, რომ ყველაზე მაგარი მზარეულები კაცები არიან. მწვადს კაცი რომ შეწვავს, ქალი ისეთს ვერ გააკეთებს. ხორცეულის მომზადება ვიცი, მაგრამ სახლში ისეთი დაღლილი მივდივარ, რომ კერძების კეთებას ვეღარ დავიწყებ.

დათო: „ოჰ-სამ მსახიობს თუ დაპატიჟებთ, ქეიფი შედგება, მაგრამ თუ მთელ დასს მიიპატიჟებთ, იქ ქეიფის ნაცვლად სპექტაკლი გაიმართება“.

ვიქტორია: „ბისკვიტები ჩემს განწყობას ყოველთვის გრძნობენ. ოოცა ცოტა ვაფუჩეჩებ, მიბრაზდებიან“.

Cyan Magenta Yellow Black

რას სწერენ ნანუკა ჟორჟოლიანის შვილს ფეისბუქზე თანატოლები

„ზოგი ვეჰ ხვდება, თუ ნანუკამ ეს ჰუბჰიკა გამიკეთა, სწორედ მათთვის ჰის კაჰგი"

■ მარიამ გეგუჩაძე

15 წლის მარიამ გეგუჩაძე, დედამისის წყალობით, ეკრანზე მოხვდა და მისსავე ტოქ შოუში რუბრიკა მიჰყავს. ასეთ სამსახურზე ბევრი, გამოცდილი თუ არა, დამწყები ჟურნალისტი მაინც ოცნებობს, არათუ მისი თანატოლები, მაგრამ ყველას ხომ ვერ ეყოლება დედა ნანუკა ჟორჟოლიანი. ის, რომ დედის ტოქ შოუში მისმა გამოჩენამ ბევრი გააღიზიანა, თავად მარიამმაც იგრძნო, მაგრამ ისიც გააცნობიერა, რომ პოპულარობა მსხვერპლს მოითხოვს.

სულ ცოტა ხნის წინ მარიამისთვის ჟურნალისტობა არცთუ საინტერესო პროფესია იყო, მაგრამ ახლა არ გამორიცხავს, დედის კვალს გაჰყვეს. მე-10 კლასშია და ბევრი რეპეტიტორი ჰყავს სხვადასხვა საგანში, ბოლო დროს კი ამ ყველაფერს მეტყველების გაკვეთილებიც დაემატა, რადგან გამართულად საუბარი ეკრანზე აუცილებელია.

— მარიამ, როცა ეკრანზე გამოჩნდი, რა სირთულეების წინაშე დადექი, რა არ გამოგდიოდა, რისი გეშინოდა ყველაზე მეტად?

— პირველ ჩაწერაზე, ბავშვთა დღეს, 1 ივნისს, როცა ნანუკამ ექსპერიმენტი ჩაატარა, თუ რამდენად მოვახერხებდი გადაცემის წაყვანას, ორივემ ძალიან ვინერვიულეთ. ახალ სეზონზე ეს შეგრძნება მახსოვდა და მეგონა, არ გამომივიდოდა. სირთულეები შემხვდა მეტყველებასთან დაკავშირებით. ბოლოს მეტყველების მასწავლებელთან დავიწყე სიარული და ამ ნაკლს ნელ-ნელა გამოვასწორებ. კითხვებს წინასწარ ვწერ, გადაცემის ნახაზსაც მანამდე ვაკეთებ. რესპონდენტი თუ გაიხსნა და თავად შემოიტანს თემებს, მერე უკვე სპონტანურად მეც ვსვამ კითხვებს.

ყველაზე მეტად კი მაინც იმას განვიცდიდი, სხვა ბავშვები ამას როგორ აღიქვამდნენ. ვიცოდი, რომ ზოგი კრიტიკულად შეხედავდა. მეშინოდა, არ ეთქვათ, ამას დედამ გაუკეთა გადაცემაო. ცუდი ისაა, რომ ზოგი ვერ ხვდება, თუ ნანუკამ ეს რუბრიკა გამიკეთა, სწორედ მათთვის არის კარგი, რადგან ვცდილობ, ნიჭიერი ბავშვები მაქსიმალურად წარმოვაჩინო. ასეთი ადამიანების შესახებ იმდენი შეტყობინება მომდის ფეისბუქზე, რომ სამი წლის გადაცემები ჩაიწერება.

— თანატოლებისგან რა უფრო მეტი იგრძენი — მხარდაჭერა თუ კრიტიკა?

— ბევრი კარგი რამ მოვისმინე ჩემზე, რაც სტიმულს მაძლევს. რა თქმა უნდა, ცუდიც გავიგე, მაგალითად, ის, რომ ვითომ დედამ იმიტომ გამიკეთა ეს გადაცემა, რომ პოპულარული გამხადოს. პოპულარობაზე თუ ვილაპარაკებთ, ამ გადაცემამდე სერიალით „გოგონა გარეუბნიდან" ბევრად უფრო პოპულარული ვიყავი. ბოლოს გამოვიმუშავე ის აზრი, რომ რაც მეტს ლაპარაკობენ შენ შესახებ, თუნდაც ცუდს, ეს ნიშნავს იმას, რომ გიყურებენ.

— შენი სტუმრების არჩევა რის მიხედვით ხდება, დედა ერევა ამ საქმეში?

— თავიდან ნანუკა ერეოდა აქტიურად, ვინ უნდა შემერჩია, მაგრამ ამ ბოლო დროს უფრო მანდობს და თავად ვარჩევ სტუმრებს. ფეისბუქზე ჩემი რუბრიკის გვერდი მაქვს და იქ მწერენ, შემდეგ მათ საქმიანობას, პოტენციალს ვეცნობი და საბოლოოდ ვარჩევ რესპონდენტს.

— ეს პროცესი მოგწონს თუ დამღლელია?

— მომწონს და მსიამოვნებს. თან ვერთობი, რადგან ზოგი ისეთ რამეს მწერს, რომ არ შეიძლება, არ გაგეღიმოს. მაგალითად, მომწერეს, რომ ექსკლუზიურად ჩემთვის წაიყვანდნენ ჩემს გადაცემას. ამ დროს, ბუნებრივია, მიჩნდება კითხვა — მე რა გავაკეთო? ერთმა მომწერა, მარიამ, ძალიან ჰგავხარ დედას, პატარა ნანუკა ხარ და პატარა როსტო თუ დაგჭირდება, დამირეკეო.

— პატარა ნანუკას რატომ ხედავენ შენში, დედას ბაძავ?

— ვერ გეტყვით, რომ დედას ვბაძავ. არასდროს მიფიქრია, ნანუკას როგორც მიჰყავს გადაცემა, მეც ზუსტად ისე წავიყვანო, თუმცა ჩემსა და ნანუკას შორის მაინც ბევრ რამეში აღმომიჩენია მსგავსება. არ მინდა, ნანუკას ასალი ვიყო. ვთვლი, ერთი პერიოდი აკვიატებული მქონდა ფრაზა: „იცი, რა მაინტერესებს?". ამას ყველა ჩაწერაზე ვიმეორებდი. ამაზე მუდმივად მაძლევდა შენიშვნას.

„ჰიკა მინდა, ნანუკას ასალი ვიყო".

„ჰიტოეეეები შემხვდა მეტყვეეებასთან დაკავშირებით. ბოლოს მეტყვეეების მასწავლებეეთან დავიწყე სიარული და ამ ნაკლს ნეე-ნეეა გამოვასწორებ".

— ყველაზე მძაფრად რომელი გადაცემის ჩაწერა გახსოვს?

— ეს იყო გადაცემა ჯგუფ „უმა თურმანზე", რომელიც რუსულად უნდა წამეყვანა. ძალიან ვნერვიულობდი. „უმა თურმანი" ჩემი საყვარელი ჯგუფია, რომლის წევრებიც იმდენად გახსნილი აღმოჩნდნენ, რომ აქეთ მამშვიდებდნენ. საბოლოოდ ყველაფერმა კარგად ჩაიარა და ამიტომ ჩემთვის ყველაზე დასამახსოვრებელ გადაცემად იქცა.

— სულ ცოტა ხნის წინ კატეგორიულად ამბობდი, რომ ჟურნალისტობა არ გსურდა და არ გინდოდთ, ნანუკას მსგავსად გადაცემა წაგეყვანა. რა შეიცვალა ამ მოკლე პერიოდში?

— იმდენად ჩამოუყალიბებელი ვარ, თუ რა მინდა, რომ მეშინია, რამე ვთქვა. ყველაზე ძალიან მინდა, მსახიობი ვიყო, მაგრამ ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული.

— რატომ, დედას არ სურს მსახიობი გახდე?

— არა, ნანუკა ყველანაირ თავისუფლებას მაძლევს. თუ მინდა, გამოვალ მსახიობი. ნიკა წულუკიძესთან ვაპირებ ლექციებზე სიარულს თეატრალურში და გადავწყვეტ, ნამდვილად მინდა თუ არა ეს პროფესია. არ მჯერა იმ ზღაპრების, რომ ვინმე მიჰოვის, წამიყვანს ჰოლივუდში და ვარსკვლავად მაქცევს. მინდა, ცხოვრებაში წარმატებას მივაღწიო, კარგი კარიერა გავიკეთო, ოღონდ ის საქმე უნდა მსიამოვნებდეს. არ მინდა, ჩემი ცხოვრება მეუღლეზე ან დედაზე იყოს დამოკიდებული.

— დედამ იმიტომ ხომ არ ჩაგრთო თავის გადაცემაში, რომ მას სურს, ჟურნალისტი გამოხვიდე?

— დიახ, ნანუკას უნდა ამ პროფესიით დამაინტერესოს. გადაცემიდან გადაცემამდე კიდევ უფრო სხვანაირი ვხდები და ეს სამყარო უფრო მეტად მაინტერესებს.

✓ მანანა ნოდია

ვიქტორია: დათოსგან არასოდეს გამიგონია, საჭმელი გამიკეთეო. სახლში რომ მოდის, სადილს გააცხელებს, რასაც ნახავს, გაიკეთებს, ხშირად მჭადებიც გამოუცხვია. უყვარს, როცა მაქებს და სულ აღნიშნავს, რომ კერძი გემრიელია.

— ქალბატონო ვიქტორია, შეგიძლიათ, მაგალითად, მამაკაცებს სახელდახელოდ მისამზადებელი კერძი ასწაალოთ?

ვიქტორია: კი, დავუშვათ, გაქვთ ერთი სტაფილო, ერთი ბულგარული წიწაკა, ერთი კვერცხი, ყველის ერთი ნაჭერი. ამისგან უკვე შეიძლება კერძი მომზადდეს. ამ ყველაფერს მოვშუშავთ, ზემოდან დავასხამთ არაჟანს და კვერცხში გახსნილ ფქვილს. ბოლოს ღუმელში შევდგამთ და გამოვაცხობთ.

— ქართული მსუქე კალორიული სამზარეულოზე რა აზრის ხართ?

დათო: საკმაოდ ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი და შემიძლია გითხრათ, რომ ქართველებს ნამდვილად მაგარი სამზარეულო გვაქვს. ერთი ისაა, რომ ჩვენი საჭმელები ბევრ ქოლესტერინს შეიცავს. სამაგიეროდ კარგი უცხიმო ხაშლამაც ხომ გვაქვს? მიყვარს კარგი მწვადი, ხინკალი. ნაბახუსევზე წვნიანი ხინკალი ძალიან კარგია. ბევრი უცხო კერძი მაქვს

დათო: „უცხოეთში ქართველები მაინც ჩვენებურად ვიქცევით ხოლმე. დავივლით სუპერმარკეტებს, ვიყიდით ვისკის, არყებს, სოსისებს, მჟავეს და სასტუმროში დიდ სუფრას ვშლით".

გასინჯული, მაგალითად, ხორცზე მოსხმული თაფლი და ზემოდან მოყრილი ნიგოზი. მე კი ხაშლამაზე თაფლს ნამდვილად ვერ დავასხამ. ხორცს ხორცად შევჭამ და თაფლს ცალკე გეახლებით. არ ვძრახავ მათ, ვისაც ასეთი კერძები უყვარს, მაგრამ მე მათ რიცხვს არ მივეკუთვნები. ვიღაცამ შეიძლება თქვას, რა გოიმიაო, მაგრამ ამას ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს.

ამბობენ, ინდური სამზარეულო ქართულს ჰგავსო. იქ არ ვარ ნამყოფი და რომც მოვხვდე, ისეთი სიბინძურეა, ალბათ საერთოდ არაფერს შევჭამ. ვერაფრით მივხვდი, ლონდონში ტრადიციული საჭმელები რა აქვთ. საფრანგეთისგან განსხვავებით, ძალიან სუსტები ყოფილან კულინარიაში. უცხოეთში ქართველები მაინც ჩვენებურად ვიქცევით ხოლმე. დავივლით სუპერმარკეტებს, ვიყიდით ვისკის, არყებს, სოსისებს, მჟავეს და სასტუმროში დიდ სუფრას ვშლით. მოგეხსენებათ, მსახიობებს იმდენი ფული არ გვაქვს, რომ უცხოეთში რესტორნიდან რესტორანში ვიაროთ, ამიტომ ჩვენებურად, მოკრძალებულად მშვენივრად ვქეიფობთ. ერთს გეტყვით, ორ-სამ მსახიობს თუ დაპატიჟებთ, ქეიფი შედგება, მაგრამ თუ მთელ დასს მიიპატიჟებთ, იქ ქეიფის ნაცვლად სპექტაკლი გაიმართება.

✓ ქეთი დინოშვილი

Cyan Magenta Yellow Black

სოფო გელოვანი და მისი ქმარი „ევროვიზიიდან“ დაბრუნების შემდეგ მეორე შვილს დაგეგმავენ

ომოღერალი სოფო გელოვანი ახლა ყველაზე მეტ დროს ორ ნოდიკოს უთმობს — მომღერალ ნოდიკო ტატიშვილს და საკუთარ ქმარს, ნოდიკო ლანდიას. სოფო და ნოდიკო ტატიშვილი 14 მაისს „ევროვიზიის“ კონკურსზე გამოვლენ. ახლა მთელ დროს მუშაობაში ატარებენ. მათ სოფოს ქმარიც ყველანაირად უდგათ გვერდში. ის ცოლის ფსიქოლოგიცაა, ცდილობს, მისი მგრძნობიარე ფსიქიკა გარემოს უარყოფითი ზემოქმედებისგან დაიცვას. 6 წელია, რაც ოჯახი შექმნეს. 3 წლის ვაჟი ჰყავთ — დათა და ამბობენ, რომ უკვე დროა, მეორე შვილზეც იფიქრონ.

— ნოდიკო, სოფოს ცხოვრებაში ახლა მნიშვნელოვანი, საინტერესო და ამავე დროს რთული ეტაპია. თქვენს ოჯახზე ეს როგორ აისახება?

ნოდიკო: გეთანხმებით. მე და სოფო 6 წელია, რაც ცოლ-ქმარი ვართ და ამ ხნის განმავლობაში ყოველთვის გვერდით ვუდგავარ. „ევროვიზიის“ კონკურსისთვის მზადების გამო მისი გრაფიკი საგრძნობლად შეიცვალა. სოფო აქამდეც დადიოდა კონკურსებზე და ეს ჩემთვის უცხო არ იყო, მაგრამ ასეთი დატვირთული გრაფიკი და ასეთი სერიოზული სამზადისი არასოდეს ჰქონია. ფაქტობრივად სახლში აღარ არის.

— ამ ყველაფერს ეგუებით?

ნოდიკო: სულ ერთად ვართ და მის სამუშაო გრაფიკსაც ვეგუები.

სოფო: ნოდი ჩემი გულშემატკივარია. ძალიან ფრთხილი ვარ, ხშირად ვიხევ უკან, გარისკვა არ მიყვარს, ნოდი პირიქით, შემტევია, სულ ჩემ გვერდით დგას. მას შემდეგ, რაც ჩემს ცხოვრებაში „ევროვიზია“ გამოჩნდა, საკუთარ თავზე ბევრი არასასიამოვნო რამ მესმის, რაც ჩემზე ძალიან მოქმედებს.

— იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რას გულისხმობთ.

სოფო: ამბობენ, რომ „ევროვიზიის“ მონაწილეების მიმართ წელს ყველაზე ნაკლები აგრესიაა. ამის მიუხედავად, სოციალურ ქსელებში უხერხულ რაღაცეებს წერენ. ამ ყველაფერს შეჩვეული არ ვარ. ყოველთვის ვცდილობდი, ჩემ ირგვლივ აგრესიულად განწყობილი ადამიანები არ ყოფილიყვნენ. ამის მეშინია კიდეც. ნოდი მეუბნება, რომ ამ ყველაფერს ყური არ ვათხოვო, რადგან ამის გარეშე საქმის გაკეთება შეუძლებელია. ის ერთგვარად ჩემი ფსიქოლოგიცაა. ვინც ჩემ მიმართ ნოდის დამოკიდებულებას უყურებს, ყველა აღნიშნავს, რომ ასეთი გვერდში დგომა იშვიათია. იმდენად უყვარს ჩემი პროფესია და ეს ისეთ სიამოვნებას ანიჭებს, რომ ყველგან დამყვება და ყველაფერში მეხმარება.

— ნოდიკო, რა პროფესიის ხართ?

ნოდიკო: ექიმ-გინეკოლოგი ვარ. ამჟამად ჩემს პროფესიას თავი დავანებე.

— სოფოს გამო დათმეთ ექიმობა?

ნოდიკო: სოფო არაფერ შუაშია, ჩემს პროფესიას იმიტომ ჩამოვშორდი, რომ საქართველოში ექიმებს არ აფასებენ. უნივერსიტეტი პეტერბურგში დავამთავრე, იქაც ვმუშაობდი და შემდეგ თბილისშიც, მაგრამ ახლა ისე მოხდა, რომ დროებით ჩამოვშორდი ამ სფეროს.

სოფო: ნოდის მამაც და ბაბუაც გინეკოლოგები ჰყავს. ჩემი ქმარი მართლაც დიდი პროფესიონალია თავისი საქმის.

ნოდი: ამდენი ვისწავლე, ვიშრომე და არ დამიფასდა.

— რა თვალსაზრისით არ დაგიფასდათ?

ნოდიკო: არც მატერიალურად და არც მორალურად. დღეს საქართველოში ექიმები მათხოვრებად არიან ქცეული. პეტერბურგში მიმუშავია და ვიცი, რა როგორ უნდა იყოს. მას მერე ამ რეალობას ვერ შევეგუე.

— ახლა რას საქმიანობთ?

ნოდიკო: „თავისუფალი უნივერსიტეტი“ დავამთავრე ბიზნესადმინისტრაციისა და მენეჯმენტის განხრით.

სოფო: ნოდი რაც გავიცანი, სულ სწავლობს. პეტერბურგში რომ ვცხოვრობდით, რამდენიმე დღე ისე გავიდოდა, ფაქტობრივად ერთმანეთს ვერ ვნახულობდით. დღე და ღამე მუშაობდა. ექიმობა ძალიან რთულია. რაც საქართველოში ჩამოვედით, სულ სწავლობს.

— ასეთი დატვირთული რეჟიმის გამო ალბათ თქვენს შვილს ახლა დედაც აკლია და მამაც.

სოფო: სამწუხაროდ, ბავშვთან კონტაქტს ხშირად ვეღარ ვახერხებ. ჩვენი შვილი, დათა, ძალიან მგრძნობიარეა. ის ხვდება, როგორ განვიცდი უმისობას. მომიბრუნდება და მეტყვის ხოლმე, არ ინერვიულო, შენ წადი, იმღერე, მე ბებიასთან და ბაბუასთან დავრჩებიო. ახლახან მითხრა, მე ბაკურიანში წავალ და შენ შენს საქმეს მიხედეო.

— ძიძის აყვანაზე არ ვიფიქრიათ?

სოფო: არა, ძიძის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. ბავშვი ხან ჩემს მშობლებთან რჩება, ხან ნოდის დედ-მამასთან. მადლობა ღმერთს, რომ დათას საუკეთესო ბებიები ჰყავს.

ნოდიკო: დათა 3 წლის არის, ჯერჯერობით მამის განსაკუთრებული ყურადღება არ სჭირდება. ჩვენი შვილი ორივეს ძალიან გვგავს.

სოფო: მე და ნოდის ხშირად გვამსგავსებენ ერთმანეთს როგორც ხასიათით, ასევე ვიზუალურად. დათაც ზუსტად ჩვენნაირია.

— პოკალური მონაცემები თუ აქვს?

სოფო: დათა ჯერ ძალიან პატარაა იმისთვის, რომ მის ვოკალურ მონაცემებზე ვილაპარაკოთ. ისე კი, მუსიკალური ბავშვია და ვნახოთ. ერთხელ დათამ დამცინა, სოფიკოს და ნოდიკოს სიმღერა აღარ მინდა, სხვა მუსიკა ჩამირთეთო.

■ სოფო და ნოდიკო

— ნოდიკო, თქვენ აშკარად მელომანი ხართ.

ნოდიკო: კი, ასეა. ქართული სიმღერა მიყვარს. ვუსმენ გოგო დოლიძეს, „ქართულ ხმებს“ და ვგიჟდები ჩემს მეუღლეზე. ის უდავოდ მაღალი რანგის მომღერალია.

— ამას მაყურებელიც ხედავს, მაგრამ როგორი დიასახლისია?

ნოდიკო: სოფო ფაქტობრივად სახლში აღარ არის, ამიტომ ძნელია მის მეოჯახეობაზე ლაპარაკი. პეტერბურგში მარტო ვცხოვრობდით და ეს ეტაპი ჩვენ იქ გამოვიარეთ.

სოფო: ერთად ცხოვრება რომ დავიწყეთ, ყველანაირად ვედექით ერთმანეთს მხარში. მე რომ საჭმლის გაკეთება არ ვიცოდი, ნოდი მეხმარებოდა. მას არასოდეს ჰქონია ის მოთხოვნა, რომ, მაგალითად, ქალი მაინცდამაინც სამზარეულოში უნდა ყოფილიყო. ოჯახში ქალს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს, კაცს — თავისი. ჩვენ ძალიან შეხმატკბილებულად ვცხოვრობთ.

— ნოდიკო, როცა გაიგეთ, სოფო „ევროვიზიაზე“ იმღერებდა, როგორი იყო თქვენი რეაქცია?

ნოდიკო: ძალიან გამიხარდა, მაგრამ ბოლომდე ვერ აღვიქვამდი იმ უარყოფით მხარეს, რასაც ახლა ნელ-ნელა ვამჩნევ. ამხელა აუდიტორიის წინაშე უნდა გამოვიდეს, საზოგადოების ნაწილი სოფოს მიმართ არაობიექტურად კრიტიკულადაა განწყობილი. ჩვენს ქვეყანაში ადამიანის წარმატება ბევრს არ უხარია. სოციალურ ქსელში ბევრი არასასიამოვნო რაღაც იწერება, სოფო კი ისეთი არ არის, რომ ეს ყველაფერი „გაატაროს“ და ყურადღება არ მიაქციოს.

— რას წერენ მასზე, ყველაზე მეტად რა გაღიზიანებთ?

ნოდიკო: ნამდვილად არ წერენ, რომ სოფო ვერ მღერის. წერენ, რომ მოსაწყენი სიმღერაა.

სოფო: ბევრი წერს, რომ ეს სიმღერა არ არის „ევროვიზიის“ ფორმატის.

ნოდიკო: არადა ეს ერთადერთი კონკურსია, რომელსაც ფორმატი არ გააჩნია. ეს არის კონკურსი ჩარჩოების გარეშე.

სოფო: მე არ მინდოდა „ევროვიზიაზე“

ნოდიკო: „ჩემი სეხნია ახალგაზრდობიდან მომღერალია, მის გვერდით თავს ჯანაგად ვგრძნობ. დეტალებს შედგა, ურთიერთობებსაც და მეგობრობასაც“.

სოფო: „ჩემი ქმარი მოღის ჯონჯუასზე. იქ მე ნოდი მჭირდება! ის ჩემი დიდი მეგობარია. ოცა ცუდად ვარ, პირველი ხიგში, მას უნდა ველაპარაკო, ნოდი დიდ სტიმულს მაძლევს“.

სოფო: „მას შემდეგ, რაც ჩემს ცხოვრებაში „ევროვიზია“ გამოჩნდა, საკუთარ თავზე ბევრი არასასიამოვნო რამ მესმის, რაც ჩემზე ძალიან მოქმედებს... სოციალურ ქსელებში უხერხულ ხალაცეებს წერენ“.

Cyan Magenta Yellow Black

სიმღერა. წლების წინ მე და ნოდი ამაზე სულ ვლაპარაკობდით. ვეუბნებოდი, რომ ეს არ იყო ჩემი კონკურსი... ნოდის სურვილი ასრულდა, მას ძალიან უნდოდა, რომ „ევროვიზიაზე“ მემღერა.

ნოდიკო: სოფოს ყოველთვის ამ კონკურსში ვხედავდი.

— თქვენი ცოლის მუსიკალურ პარტნიორს როგორ აფასებთ?

ნოდიკო: ჩემი სეხნია არაჩვეულებრივი მომღერალია, მის გვერდით თავს კარგად ვგრძნობ. დუეტიც შედგა, ურთიერთობებიც და მეგობრობაც. ნოდიკოს დადებითი აურა აქვს. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ოპერატორიდან დაწყებული, პროდიუსერით დამთავრებული, ერთი დიდი, შეკრული გუნდია. დიდი ერთსულოვნება სუფევს.

— თქვენი პროგნოზები როგორია?

ნოდიკო: ერთადერთი რამის თქმა შემიძლია, კონკურსზე ეს დუეტი რომ გამოვა, მათი ნამღერი ბევრი ადამიანის შინაგან სამყაროს შეძრავს. ჩემს სიტყვებში დარწმუნებული ვარ. თავმდაბალი არ ვიქნები და ვიტყვი, რომ მათი სიმღერა დიდ შედეგს მოიტანს.

ნოდიკო: „საზოგადოების ნაწილი სოფოს მიმართ სრულობიექტურად ჯერ-ჯერობით განწყობილი. ჩვენს ქვეყანაში ადამიანის ნაძმატება ბევრს არ უხარია“.

სოფო: ჩემი ქმარი მოდის კონკურსზე. იქ მე ნოდი მჭირდება! უპირველესად ის ჩემი დიდი მეგობარია. როცა ცუდად ვარ, პირველ რიგში, მას უნდა ველაპარაკო, ის დიდ სტიმულს მაძლევს.

— სიმღერაზე გვიამბეთ. შვედ კომპოზიტორზე რატომ შეაჩერეთ არჩევანი?

სოფო: ტომას ჯეისონმა წინა „ევროვიზიის“ გამარჯვებულს დაუწერა სიმღერა. ის არაჩვეულებრივი ადამიანია, ჩვენი სიმღერები მოისმინა და სიმღერა დაგვიწერა. მერე გვითხრა, თქვენი სიმღერა შვედებს მოვასმენინე და ბევრმა ჩემ თვალწინ იტირაო. ისეთი მონდომებულია, ჩვენს კონფერენციას დაესწრება. სიმღერა არის მარტივი, მელოდიური, თბილი. მასთან „პირველმა არხმა“ ითანამშრომლა. ამ სიმღერაზე კლიპს ვიღებთ. გადაღებები კახეთში მიმდინარეობს. ამინდის გამოსვლას ველოდებით, რომ კლიპზე მუშაობა დავასრულოთ. „ევროვიზია“ 14 მაისს იწყება, ფინალი 18 მაისს იქნება. ერთი სიტყვით, მეტად საპასუხისმგებლო პერიოდი მიდგას.

— თქვენს ჩაცმულობაზე ვინ იზრუნებს?

სოფო: ავთანდილი ჩამაცმევს, მაგრამ ჯერ არ ვიცი, რას შემიკერავს. ახლა ის საფრანგეთშია, ქსოვილებს არჩევს და ჩვენი კოსტიუმებისთვის საგანგებოდ ემზადება.

— სოფო, რომანტიკულია თქვენი მეუღლე?

სოფო: ძალიან. ნოდი ხშირად მანებივრებს საჩუქრებით, თუმცა ჩამოთვლას არ დავიწყებ. ახლახან ისრაელში ვიყავით, წმინდა მიწა მოვილოცეთ. საყიდლებზე რომ გავიარეთ, უნდოდა, ყველაფერი ჩემთვის ეყიდა.

ნოდიკო: სოფოც ძალიან ყურადღებიანია.

— არასოდეს ებუტებით ერთმანეთს?

ნოდიკო: გაბუტვა არ ვიცით.

სოფო: როგორ არა, ხშირად ვიბუტებით ხოლმე.

ნოდიკო: შენ არ იცი, სხვები როგორ იბუტებიან, თორემ მაგას არ იტყოდი.

— რას ელით მომავლისგან?

ნოდიკო: იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება. სოფო „ევროვიზიიდან“ რომ დაბრუნდება, ცოტა ხანი შეისვენებს. დათას დაბადებას ვერ დავესწარი, მაშინ პეტერბურგში ვმუშაობდი და ვერ ჩამოვედი. მინდოდა, პირველი შვილი გოგო ყოფილიყო და კარგი იქნება, მეორე მაინც თუ იქნება. „ევროვიზიიდან“ რომ დავბრუნდებით, მეორე შვილის გაჩენაზე ვიფიქრებთ. ამ ეტაპზე კი წინ ბევრი სანერვიულო გველის.

სოფო: ძალიან ბედნიერი ვარ, კარგი მეუღლე მყავს, კარიერაშიც გამიმართლა, წარმატებები მაქვს. ხანდახან ამის ხმამაღლა თქმა არც მინდა.

✓ ლანა კეკნაძე

როდის ვართ ლამაზები

„საიდუმლო იარაღი“ ცნობილი ქალებისგან

ყველა ქალმა იცის, რომ თავის მოვლას გარკვეული თანხები სჭირდება, უმრავლესობას კი აქვს თავის პატარა საიდუმლო, როგორ მიიღოს სასურველი ეფექტი დიდი დანახარჯების გარეშე. სარვამარტოდ, როცა მშვენიერი სქესის ყველა წარმომადგენელს სურს, განსაკუთრებით მშვენიერი იყოს, ცნობილი ქალბატონები თავ-თავის „ქალურ ეშმაკობებს“ „სარკეს“ უზიარებენ.

მსახიობი ნანა შონია განსაკუთრებულ ძვირადღირებულ საშუალებებს არ იყენებს. მისი მთავარი „იარაღი“ კარგი განწყობაა, ხოლო ლამაზი თმის საიდუმლო შინაური რეცეპტშია.

■ ნანა შონია

ნანა შონია:

— კანის მოსავლელად მკვებავს ვიყენებ, მაკიაჟს ყოველთვის ვიშორებ და მის ქვეშ დამცავ ბაზას ვხმარობ. თმის მოვლისთვის მომწონს შინაური რეცეპტები. მაგალითად, ნიღაბს შემდეგნაირად ვამზადებ: ერთი კოვზი ყავა, ერთი კოვზი კონიაკი, ერთი კვერცხის გული და ერთი სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი უნდა შევურიოთ და ეს ნარევი ერთი საათით გავიჩეროთ თმაზე. რაც შეეხება წონის კონტროლს, ამისთვის განტვირთვის დღეებს ვიწყობ. ვიღებ ისეთ საკვებს, რომელიც ცომეულს, ცხიმეულს და შაქარს არ შეიცავს. სახლიდან სუნამოს გარეშე არ გავდივარ.

■

ცნობილი იურისტი და პოლიტიკოსი ქალი, ეკა ბესელია, საკუთარ თავს არასდროს აძლევს უფლებას, რომ პრობლემები სახეზე დაეტყოს. თუ ტელეეთერში არ არის მიწვეული, მაკიაჟს თავად იკეთებს, რომელიც უმეტეს შემთხვევაში თვალის შავ ფანქარს, ტუშს და ტონალურს მოიცავს. ფორმის შესანარჩუნებლად დიეტის დაცვას ვერ ახერხებს, მაგრამ ცდილობს, პური ამოიღოს რაციონიდან და გვიან ღამით ჭამაზე უარი თქვას.

■ ეკა ბესელია

ეკა ბესელია:

— ძილის წინ მკვებავ, დამატენიანებელ კრემს ვისვამ. მაკიაჟს ყოველთვის სველი ხელსახოცით ვიშორებ და არა — საპნით და წყლით. მაკიაჟის ქვეშ დამცავ კრემს აუცილებლად ვიყენებ. კანისთვის არაჟნის და მაწვნის ნიღბები ადრე მიცდია. თმისთვის სპეციალურ შამპუნს და თვეში ერთხელ ნიღაბს ვიყენებ.

■

დილის ეთერის წამყვანი ნინო არაზაშვილი, რომელიც ყოველდღე დილაბნელზე იღვიძებს, მაინც ახერხებს, ყოველთვის მოწესრიგებულად გამოიყურებოდეს. მას კოსმეტიკური საშუალებები სახლშიც აქვს და სამსახურშიც. მაკიაჟს ყოველდღიურად არ იკეთებს, მაგრამ, რო- →36

მამაკაცებისთვის!

სქესობრივი სისუსტის, პროსტატის დაავადებების: პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (ხშირი შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი), ვირუსული და მიკრობული დაინფიცირების მკურნალობა. ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, დეპრესიის, შიშების, უძილობის მკურნალობა; ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების გარეშე. შედეგი და ანონიმურობა 100%-იანია.

☎ 514-246-446. ექიმი ქ-ნი მზია.

Cyan Magenta Yellow Black

ცა ამის საჭიროებაა, დამცავ ბაზას არ ივიწყებს. სახის კანის მოსავლელად ყველა საშუალება აქვს სახლში. ერთი პერიოდი შინაური რეცეპტებითაც იყო გატაცებული. ბუნებრივი საშუალებები თმაზეც გამოუცდია. ვარჯიში კი ნინო არაზაშვილისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესია.

■ ნინო არაზაშვილი

ნინო არაზაშვილი:

— ყველაზე დიდ დროს სარკის წინ ბიუუტერიის შერჩევას ვანდომებ. ძალიან ბევრი სამკაული მაქვს. სახის კანის მოსავლელად ბუნებრივ საშუალებებზე დამზადებულ ინგრედიენტებს ვანიჭებ უპირატესობას. კვირაში ორჯერ ვიყენებ სახის ამქერცლავს. ღამით ვისვამ კრემს და ქუთუთოების დამატენიანებელს. დილით სახეს თბილი და მერე ოდნავ ცივი წყლით ვიბან. კანისთვის კარგია ატმის და ნესვის ნიღაბი, აღიავებს. კიტრის ნაფცქვენებიც კარგია, მაგრამ არ ვიყენებ, რადგან ვფიქრობ, ბევრ ნიტრატს შეიცავს. სახის კანს უხდება ყინულის კუბიკის გადატარება.

თმისთვის არაჩვეულებრივია ეს ნიღაბი: კვერცხის გული უნდა ავთქვიფოთ ორ სუფრის კოვზ კონიაკთან ერთად და ნახევარი საათით გავიჩეროთ თმაზე. ერთი პერიოდი სინდი კროუფორდის ვარჯიშები მქონდა კასეტაზე ჩაწერილი და ვვარჯიშობდი. მერე მივხვდი, რომ იმ ვარჯიშების მწვრთნელის გარეშე გაკეთება არ შეიძლებოდა. ძალიან მომწონს სარბენი ბილიკი — ტრენაჟორი. არ ვჭამ პურს და წლებია შაქრიან ყავასა და ტკბილეულზე უარი ვთქვი.

■

■ რუსკა მაყაშვილი

მსახიობი რუსკა მაყაშვილი შინაურ რეცეპტებს კი ენდობა, მაგრამ მათ მოსამზადებლად დრო არასდროს აქვს. თავის გრძელ თმას ჩვეულებრივი შამპუნით და ნიღბით უვლის. მაკიაჟის გამოყენება რუსკას დიდად არ უყვარს. ერთი პერიოდი ცხვირის პლასტიკურ ოპერაციაზე ფიქრობდა, მაგრამ საბოლოოდ გადაიფიქრა.

რუსკა მაყაშვილი:

— ძილის წინ დამატენიანებელ კრემს ვისვამ. უფროსებისგან ვიცი, რომ კვერცხის გულით თმის დაბანა და მერე აბრეშუმით გამშრალება ძალიან კარგია. ტონალურს იშვიათად ვიყენებ. მიყვარს მუქი ტუჩსაცხი, მაგრამ მაშინ, როცა სახეზე არაფერი მისვია. პლასტიკური ოპერაციის გაკეთება გადავიფიქრე, რადგან მივხვდი, რომ ჩემი ცხვირი სახასიათოა და ოპერაციის მერე თავს კომფორტულად ვერ ვიგრძნობდი.

■

ანსამბლ „გვირილას“ ხელმძღვანელ ერნა წიფურიას ქალის სილამაზის მთავარ საიდუმლოდ მისი კარგი ხასიათი მიაჩნია. წონას დიდ ყურადღებას აქცევს და ცდილობს, სწორად იკვებოს. კანის მოსავლელად სხვადასხვა საშუალებებთან ერთად ბუნებრივ ინგრედიენტებსაც იყენებს. ქალბატონი ერნა ზაფხულობით გარუჯვას არ ერიდება, მაგრამ ზომიერებას ამ შემთხვევაშიც იცავს. მისი კვების რაციონში ცოცხალ ხილს დიდი ადგილი უკავია. და ყველაზე მთავარი — ზეითუნის ზეთი, რომლის გარეშეც ქალბატონ ერნას არსებობა ვერ წარმოუდგენია.

■ ერნა წიფურია

ერნა წიფურია:

— ადამიანმა აუცილებლად უნდა მოუაროს თავს. ზედმეტი წონა საპატიებელი ნამდვილად არ არის. მე, პირადად, ზომიერად ვიკვებები და სტუმრად ყოფნისას თუ ზედმეტ საკვებს მივიღებ, შემდეგ განტვირთვის დღეს ვიწყობ. სახის კანის მოსავლელად ზეითუნის ზეთს ვიყენებ, რომელიც ძალიან მიყვარს. დილით, უზმოზე, ერთ სუფრის კოვზ ზეითუნის ზეთს ვიღებ. გარუჯვის დროსაც ზეითუნის ზეთს ვანიჭებ უპირატესობას. საერთოდ, ეს ბუნებრივი საშუალება ძალიან სასარგებლოა ყველაფრისთვის. ზეითუნის ზეთი ცივი ხარშვის წესით უნდა იყოს მომზადებული. ყველაზე კარგია ესპანური. ხილს ხშირად გეახლებით, ჯანმრთელობისთვის აუცილებელია. კარგია ხილის ნიღბებიც. სახის კანს კახური მარწყვი უხდება, კიტრის ნიღბებიც საუკეთესო საშუალებაა.

■

ფსიქოლოგი თეა გოგოტიშვილი გვირჩევს, სარკე რომ მტრად არ გვექცეს, ჯერ კარგი განწყობა შევიქმნათ და შემდეგ ვიზრუნოთ გარეგნობაზე. სულიერი და ფიზიკური ჰარმონიისთვის კი წონას უნდა მივაქციოთ ყურადღება. თავადაც მუდმივად აკონტროლებს წონას და ამ შემთხვევაში ოქროს წესს იცავს: სუფრიდან დანაყრებული არასდროს დგება. ვარჯიშს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ქალბატონი თეა შინაურ რეცეპტებს ენდობა და იყენებს კიდეც.

■ თეა გოგოტიშვილი

თეა გოგოტიშვილი:

— ქალმა მაკიაჟით ისეთი იერი უნდა მიიღოს, რომელიც გაუმჯობესებული ვარიანტი იქნება და არა — თვალშისაცემი. სახის კანს ზაფხულობით შინაური რეცეპტებით ვუვლი. კიტრის ნათალი ან არაჟანი კარგია კანისთვის. სახის საცხი ბუნებრივ ინგრედიენტებზე უნდა იყოს დამზადებული. 40 წლის მერე აუცილებელია თვალის გარშემო კრემი გამოვიყენოთ. წონის კორექციისთვის შიმშილობა დაუშვებელია. ჩემი ფორმულა წონის შენარჩუნებისთვის ასეთია: მიღებული კალორიები არ უნდა აღემატებოდეს მოძრაობით დამწვარ კალორიებს. განტვირთვის დღეებს ხშირად ვიწყობ.

✓ მანანა ნოდია

Cyan Magenta Yellow Black

ბრონქობრიუ დექსტრო

დექსტრომეტორფანის ჰიდროქლორიდი გუაიფენეზინი

ჯანმრთელი ბრონქები – სუფთა ბგერები

ხველის საწინააღმდეგო საშუალება ბავშვებისა და მოზრდილებისთვის

- ამცირებს ხველას
- ათხევადებს ნახველს
- აადვილებს ამოხველებას
- ამცირებს სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსის შეშუპებას

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას.
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Brupharmexport
ბელგია

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 296-72-27

ავერსი
AVERSI

ავერსი გილოცავთ 3 და 8 მარტის დღესასწაულებს

1 მარტიდან 15 მარტის ჩათვლით გთავაზობთ ავერსის აფთიაქებში 20-40% მდე ფასდაჯლებას აჰავას, დოლივას და ენვიტას სამჯერადი ჯოსმეტიკაზე

ავერსი - ჯანმრთელობა და სელიური სიმშვიდე!

WWW.AVERSI.GE

დავით აღმაშენებლის 148/2
2-967 227

დესქუარედის ქალური აგრესია

დესქუარედის მოდის სახლმა 2013 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექცია გასული საუკუნის 90-იანი წლების სტილში წარმოადგინა. კოლექცია იყო ქალური, სექსუალური, ლამაზი და თან — აგრესიული. ყურადღება გამახვილდა რეტრო სტილის კეპებზე, აქსესუარებზე, მინი კაბებსა და ეფექტურ ფეხსაცმელზე. მიუხედავად იმისა, რომ კოლექცია, საერთო ჯამში, ექსტრავაგანტური და სექსუალური იყო, ქალური ხიბლი მაინც არ აკლდა.



სრული კომფორტი მოძრაობის დროს

ოპტიმალური არჩევანი ოსტეოქონდროზისა
და ოსტეოართროზის ბაზისური თერაპიისათვის,
გაძლიერებული სამკურნალო ეფექტით

- აღადგენს და აჯანსაღებს ხრტილოვან ქსოვილს
- ამცირებს ტკივილს და ანთებას სახსარში
- აუმჯობესებს მოძრაობას

ქონდროიტინ სულფატი - 500 მგ
გლუკოზამინის ჰიდროქლორიდი - 500 მგ

ყურადღება!
საფთიაქო ქსელებში კვლავ გრძელდება აქცია
უნიფარმისგან შეიძინეთ ართრა და მიიღეთ საჩუქარი!

UNIPHARM, INC
New York, USA

"UNIPHARM, INC"
წარმომადგენლობა საქართველოში,
ქ. თბილისი, შროშის ქ. N1, ბინა 5
ტელ.: 291 09 50; ფაქსი: 291 09 60
მობ.: 599 20 11 44; 595 38 08 80

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

2013

იანვარი

ორშ.		7	14	21	28
სამშ.	1	8	15	22	29
ოთხშ.	2	9	16	23	30
ხუთშ.	3	10	17	24	31
პარ.	4	11	18	25	
შაბ.	5	12	19	26	
კვ.	6	13	20	27	

თებერვალი

ორშ.		4	11	18	25
სამშ.		5	12	19	26
ოთხშ.		6	13	20	27
ხუთშ.		7	14	21	28
პარ.	1	8	15	22	
შაბ.	2	9	16	23	
კვ.	3	10	17	24	

მარტი

ორშ.		4	11	18	25
სამშ.		5	12	19	26
ოთხშ.		6	13	20	27
ხუთშ.		7	14	21	28
პარ.	1	8	15	22	29
შაბ.	2	9	16	23	30
კვ.	3	10	17	24	31

აპრილი

ორშ.	1	8	15	22	29
სამშ.	2	9	16	23	30
ოთხშ.	3	10	17	24	
ხუთშ.	4	11	18	25	
პარ.	5	12	19	26	
შაბ.	6	13	20	27	
კვ.	7	14	21	28	

მაისი

ორშ.		6	13	20	27
სამშ.		7	14	21	28
ოთხშ.	1	8	15	22	29
ხუთშ.	2	9	16	23	30
პარ.	3	10	17	24	31
შაბ.	4	11	18	25	
კვ.	5	12	19	26	

ივნისი

ორშ.		3	10	17	24
სამშ.		4	11	18	25
ოთხშ.		5	12	19	26
ხუთშ.		6	13	20	27
პარ.		7	14	21	28
შაბ.	1	8	15	22	29
კვ.	2	9	16	23	30

ივლისი

ორშ.	1	8	15	22	29
სამშ.	2	9	16	23	30
ოთხშ.	3	10	17	24	31
ხუთშ.	4	11	18	25	
პარ.	5	12	19	26	
შაბ.	6	13	20	27	
კვ.	7	14	21	28	

აგვისტო

ორშ.		5	12	19	26
სამშ.		6	13	20	27
ოთხშ.		7	14	21	28
ხუთშ.	1	8	15	22	29
პარ.	2	9	16	23	30
შაბ.	3	10	17	24	31
კვ.	4	11	18	25	

სექტემბერი

ორშ.		2	9	16	23	30
სამშ.		3	10	17	24	
ოთხშ.		4	11	18	25	
ხუთშ.		5	12	19	26	
პარ.		6	13	20	27	
შაბ.		7	14	21	28	
კვ.	1	8	15	22	29	

ოქტომბერი

ორშ.		7	14	21	28
სამშ.	1	8	15	22	29
ოთხშ.	2	9	16	23	30
ხუთშ.	3	10	17	24	31
პარ.	4	11	18	25	
შაბ.	5	12	19	26	
კვ.	6	13	20	27	

ნოემბერი

ორშ.		4	11	18	25
სამშ.		5	12	19	26
ოთხშ.		6	13	20	27
ხუთშ.		7	14	21	28
პარ.	1	8	15	22	29
შაბ.	2	9	16	23	30
კვ.	3	10	17	24	

დეკემბერი

ორშ.	2	9	16	23	30
სამშ.	3	10	17	24	31
ოთხშ.	4	11	18	25	
ხუთშ.	5	12	19	26	
პარ.	6	13	20	27	
შაბ.	7	14	21	28	
კვ.	1	8	15	22	29

ზაზა მარგველანის განახლებული სტომატოლოგიური კლინიკა

ტელ: 599-11-00-03
წინასწარი ჩაწერით

კბილები ერთ დღეში

www.margvelani.ge

■ კრის ბრაუნი და რიანა

რიანას სიყვარულის ისტორიაზე სერიალს იღებენ

ომღერალი რიანა პირველად ალაპარაკდა თავის დრამატულ სიყვარულზე და ახსნა, თუ რატომ გადაწყვიტა კრის ბრაუნთან ურთიერთობის განახლება. შეგახსენებთ, რომ რიანა და კრის ბრაუნი წლების წინ იყვნენ შეყვარებულები, თუმცა რიანა სიყვარულის საფასურად კრისისგან მუდმივად ფიზიკურ შეურაცხყოფას იღებდა. ოთხწლიანი განშორების შემდეგ რიანამ ყველაფერი აპატია კრის ბრაუნს და დღეს უბედნიერეს ქალად მიიჩნევს თავს.

— ძალიან ბევრი დრო მქონდა ფიქრისათვის. მივხვდი, რომ ადამიანის ცხოვრებაში ნამდვილი სიყვარული იშვიათად მოდის, ამიტომ როცა მოვა, უნდა ჩაებღაუჭო და არ გაუშვა. კრისი ნამდვილად ის ადამიანია, ვისთანაც ეს შეგრძნებები მაქვს, — ამბობს რიანა.

კრის ბრაუნიც, თავის მხრივ, ირწმუნება, რომ გამოსწორდა და საყვარელ ქალს აღარაფერს დაუშავებს, მაგრამ საზოგადოებას კრისის მუშტებით დამუშავებული რიანას სახე დღემდე ახსოვს. სწორედ ეს ამბავი დაედება საფუძვლად ახალი ამერიკული სერიალის სიუჟეტს, რომლის გადაღებაც ახლო მომავალში იგეგმება.

ჯაპსიკამი®

გამახურებელი მალამო ტკივილგამაყუჩებელი ეფექტით

- რადიკულიტი
- ოსტეოქონდროზი
- ნევრალგია
- ართრიტი
- ჯუნთოვანი ტკივილი

თანამედროვე ცხოვრება ნამდვილად არ გვანებივრებს. ჩვენს ხერხემალს, სახსრებს, კისრის ჯუნთებს, მყესებსა და იოგებს დაძაბულ რეჟიმში უხდებათ მუშაობა,მათი დაზიანება ძლიერ ტკივილს იწვევს და იძულებულს გვხდის, საყვარელ საქმიანობაზე უარი ვთქვათ.

მალამო ჯაპსიკამი თავისი გამახურებელი მოქმედებით გაგითბობთ მტკივნეულ უბანს, გაგიუმჯობესებთ სისხლის მიმოქცევას, დაგიამებთ ტკივილს და მოგიხსნით ჯუნთოვან დაჭიმულობას. თქვენ მალევე იგრძნობთ შვებას და შემაწუხებელი ტკივილიც გაივლის.

ჯაპსიკამი გამოიყენება როგორც ტკივილგამაყუჩებელი საშუალება რადიკულიტის, ნეკნთაშუა ნევრალგიის, რევმატოიდული ართრიტის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის და მიოზიტის დროს.

მიღების წესი და დოზირება:

- აპლიკატორის საშუალებით შეიზილეთ 1-3 გრ ჯაპსიკამის მალამო მტკივნეულ უბანზე

პრეპარატის მოქმედება იწყება 3-5 წუთის შემდეგ, მაქსიმალური ეფექტი მიიღწევა 20-30 წუთში და გრძელდება 2-3 საათი.

- გამოიყენება დღეში 2-3 ჯერ ტკივილის სრულ გაქრობამდე.
- სპორტსმენებმა ვარჯიშის დაწყებამდე უნდა შეიზილონ პრეპარატი ჯუნთებში ჯანის ოდნავ შეწითლებამდე.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს



ჯაპსიკამი® - შვებისმომგვრელი სითბო და ტკივილი უკვალოდ ქრება!

Grindex

ლაქტაციდი

ის, რაც ყველა ქალის სჭირდება!

ჰიგიენა მედიცინის დარგია, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკულ ღონისძიებებს შეისწავლის. იგი ასევე დაავადებათა პროფილაქტიკის გზებს და ჯანმრთელობის შენარჩუნების მეთოდებს გულისხმობს. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ მედიცინის დოქტორი, ექიმი-რეპროდუქტოლოგი მაკა გეგეჭკორი გვესაუბრება.

რას გულისხმობს ქალის ინტიმური ჰიგიენა?

ჰიგიენა არის გარკვეულ ღონისძიებათა ნუსხა, რომელშიც შეიძლება მოვიაზროთ დღის წესრიგი, ელემიენტარული ქცევის წესები, კვების რეჟიმი და მათ შორის სისუფთავის დაცვა.

დღეს ჩვენ ინფექციების ერაში ვცხოვრობთ და ინფექიის ინიციაცია, გარდა სქესობრივი ცხოვრებისა, ჰიგიენურ თავისებურებებთანაც ასოცირდება. პირადი ჰიგიენა დასაცავია არა მხოლოდ სქესობრივად აქტიურ ადამიანებში, არამედ ბავშვებში, მოზარდებში, გვიან რეპროდუქციულ ასაკშიც.

მოზარდობის პერიოდში ჰიგიენას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, რადგან ის სისტემები, რომლებიც ორგანიზმის მიერ გამომუშავებულ დამცავ ორგანიზმებს გულისხმობს, ამ დროს ყალიბდება. ასევე ბიოლოგიურად აქტიური პერიოდია მენსტრუაცია, როცა ცვლილებებს განიცდის დამცავი სისტემები, ორსულობა, მშობიარობა და, რა თქმა უნდა, გვიანი რეპროდუქციული ასაკი და მენოპაუზა, როცა ორგანიზმი უკუგანვითარებას განიცდის და ქალი ინფექციის პირისპირ აღმოჩნდება ხოლმე.

რატომ არის მნიშვნელოვანი ჰიგიენის დაცვა?

ქალის ცხოვრების ბევრი მნიშვნელოვანი ეტაპი ამ სფეროს უკავშირდება. ეს არის მისი მენსტრუაციული ფუნქცია, ორსულობა, მშობიარობა და გვიანი რეპროდუქციული ასაკი. ქალის პირველი შემხები ზედაპირი ინფექციასთან ანატომიურად, ეს არის საშოს კარიბჭე, რომელიც აღჭურვილია დამცავი სისტემებით.

შეიძლება თუ არა, არასწორმა ჰიგიენურმა პროცედურამ დააზიანოს საშოს მიკროფლორა?

რა თქმა უნდა. ქალი უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ დაბანით და არა გამორეცხვით.

რა შეიძლება გააკეთოს ქალმა ამ ყველაფრის თავიდან ასაცილებლად?

ითვლება, რომ ყველაზე კარგი ხარისხის საპონიც კი ქალის გენიტალიების მტერია. ის ქმნის ისეთ გარემო პირობებს, რომელიც ხელს უწყობს მთვლემარე მიკროორგანიზმების გაღვიძებას. ამიტომაც არსებობს ინტიმური ტერიტორიების დასაბანი ძალიან მრავალფეროვანი ასორტიმენტი, რომლებიც შეიცავენ სწორედ იმ ნივთიერებებს, რაც დამცავ მექანიზმს ქმნის. ერთ-ერთი ასეთი იდეალურია ფრანგული წარმოების ლაქტაციდი.

ლაქტაციდი არის ინტიმური ტერიტორიების დასაბანი საშუალება, რომელიც შეიცავს რძის ექსტრაქტებს და ჩვეულებრივი საპნისაგან განსხვავებით ინარჩუნებს ბუნებრივ ინტიმურ ბალანსსა და უზრუნველყოფს არამხოლოდ სისუფთავეს, არამედ დაცვას გაღიზიანებისა და უსიამოვნო სუნისაგან. ლაქტაციდი დამზადებულია რძის მჟავასა და რძის შრატისგან, რომელსაც შეიცავს ქალის ორგანიზმი, ამიტომ, ფაქტობრივად, ბუნებრივ დასაბან საშუალებას მოვიხმართ.

როგორ უნდა მოვიხმაროთ ლაქტაციდი?

ლაქტაციდი არ არის წამალი, რომელსაც მოხმარების წესები და დოზები აქვს. შეგვიძლია გამოვიყენოთ იმდენჯერ, რამდენჯერაც დაგვჭირდება. მოზარდობის პერიოდში, როცა საოფლე ჯირკვლები გაძლიერებულად მუშაობს, შესაძლებელია სხეულის სხვა ტერიტორიებზე მოხმარებაც. ასევე რეკომენდებულია კაცებისთვის გარეთა სასქესო ორგანოების დასაბანად.

GE.LAC.13.02.01

SANOFI

სანოფი-ავენტისის წარმომადგენლობა საქართველოში

მის.: მეტეხის ქ. N 22 ტელ.: 227 36 91 ფაქსი: 277 16 02

კეფენჭეკი

კეტოპროფენი 30 მგ



ანთების სანინაააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი

პლასტირი



დაიკარი პლასტირი – დაივიწყე ტკივილი!

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 296-72-27

Brupharmexport

„ვცდილობ, იმ ადგილებზე გავიარო, სადაც ჩვენი შვილია ნამყოფი...“

არაჩვეულებრივი ელდარ შენგელაია!

„ვერა და ვერ გავაგებინე, ბატონო, ვერავის, რომ ალფა პლუს ბეტა, პლუს გამა, პლუს სიყვარული!.. პლუს სიყვარული უდრის აღმაფრენას!“ — ასეთია ფრენის ფორმულა, რომელსაც ჩვენი ფილმის გმირი, ხანდაზმული შერეკილი, ქრისტეფორე ქადაგებს. სიყვარული, უდავოდ, უზენაესია ამქვეყნად, ის არის ყოველგვარი აღმაფრენისა და შემოქმედებითობის სათავე. „სიყვარული ვერტიკალურია და ბრუნვადი“ — ვერტიკალური, ანუ უსასრულობისკენ, ზეცისკენ მისწრაფული და ბრუნვადი, ანუ დედამიწის წიაღში დავანებული, დედამიწის წრებრუნვას აყოლილი... სიყვარულით ვიცხოვროთ, ბატონებო! ყველაფერ პოზიტიურს სწორედ სიყვარულით შევქმნით!“ — ელდარ შენგელაია, დიდი კინორეჟისორი, ალეგორიული აზროვნებით, მსუბუქი იუმორით, ახალგაზრდული სულით და ტრაგიკული ცხოვრებით...



— ჩემი მეხსიერების საწყისი კინოს უკავშირდება... ალბათ 6 წლის ვიქნებოდი, მშობლებმა ქობულეთში წამიყვანეს. მცირე, სამსართულიან სასტუმროში მეორე სართულზე ვცხოვრობდით. ღამით ზღვა აღელდა. მამამ გამაღვიძა, მხრებზე შემისვა და ქვემოთ ჩამიყვანა. პირველი სართული დატბორილი იყო, მამას წყალი მუხლამდე სწვდებოდა. მის ხუჭუჭ თმებს ჩავეჭიდე... გარეთ რომ გავედით, ზღვა თითქმის ჩამცხრალიყო. ეს შთაბეჭდილება ჩემს მეხსიერებას კადრივით შემორჩა. მოგვიანებით გავიგე, რომ თურმე ექსპედიციაში ვყოფილვართ, კინოგადაღებაზე...

შემდგომ მამამ გადაიღო ფილმი „ნარინჯის ველი“, სადაც მიხეილ გელოვანი თამაშობდა. ეს მსახიობი პიროვნულად ძალიან მიყვარდა. ვახლობლობდით, დედას მასთან სახლშიც დავყავდი. მახსოვს, აივანზე ბევრი ჭუკი ჰყავდა და ვეფერებოდი, მათი დანახვა ჩემთვის დღესასწაულივით იყო.

დედას გადაღებაზეც დავყვებოდი. ამისთვის ძველი კინოსტუდიის პავილიონს იყენებდნენ. სამწუხაროდ, ეს უნიკალური პავილიონი დღეს დანგრეულია. მახსოვს, ერთხელ მამამ რაღაც ეპიზოდის გადაღების დროს ძია მიშას (ასე ვეძახდი მიხეილ გელოვანს) დაუყვირა. ახლა მესმის, რომ რაღაცას უხსნიდა, მაგრამ მაშინ ეს შეურაცხყოფად მივიღე და გულზე ღახვარივით მომხვდა. შინ რომ დავბრუნდით, მამა დასასვენებლად წამოწვა და გაზეთის კითხვას შეუდგა. მე კი ვწვდი იატაკის საწმენდ ჯოხს და მამას თავში ვდრუბე:

— არასოდეს უყვირო ძია მიშას! იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს!

მამამ გაიცინა, არ დამტუქსა, მკაცრი არ იყო. უაღრესად ძლიერი და ვაჟკაცური გახლდათ. გადაღების დროს შესვენებაზე ჭიდაობას მართავდა ხოლმე, სადაც თავადვე მონაწილეობდა. ხან იმარჯვებდა, ხან ამარცხებდნენ. ბავშვობაში ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა, თანატოლებთან ერთად თეთრი ხიდიდან ხტებოდა მდინარეში. ეს დედაჩემის მონათხრობიდან მახსოვს და შემდგომ „არაჩვეულებრივ გამოფენაშიც“ გამოვიყენე, როგორც ეპიზოდი. ვფიქრობ, ბედნიერი ბავშვობა მქონდა. ერთ საბედისწერო დღეს კი...

— მამას გული გაუსკდა, — მითხრეს. სიტყვა „ინფარქტს“ სასაუბრო მეტყველებაში არ იყენებდნენ.

— მერე რა მოხდა, შეუკერონ, — მიამიტად მივუგე.

ვერ მივხვდი, რაში იყო საქმე. მაშინ 9 წლის ვიყავი, გიორგი — 5-ის. რაც მოხდა, მხოლოდ წლების შემდეგ აღვიქვი. რა თქმა უნდა, ძალიან მტკივნეული იყო...

დედა ყოველმხრივ ცდილობდა, ჩვენთვის მამით ობლობა არ ეგრძნობინებინა, ეს დანაკლისი თავად შეევსო. სამი ძმიდან მე შუათანა გახლდით — თენგიზი ჩემზე 7 წლით უფროსი იყო, გიორგი — 4 წლით უმცროსი. თენგიზის მამა, მერაბ ვაჩნაძე, 1938 წელს ციმბირში გადაასახლეს და იქ დაიღუპა. ჩემი და გიორგის მამა, ნიკოლოზ შენგელაია კი — 1943 წლის 4 იანვარს, კახეთიდან მომავალ გზაზე... დედა ჩვენს პრობლემებს ვაჟკაცურად უმკლავდებოდა. კარგი დიასახლისიც იყო.

■ ნიკოლოზ შენგელაია

■ დედა-შვილი — ნატო და ელდარი

„მამა ძლიერი და ვაჟკაცური გახლდათ. გადაღების დროს შესვენებაზე ჭიდაობას მართავდა ხოლმე, სადაც თავადვე მონაწილეობდა. ხან იმარჯვებდა, ხან ამარცხებდნენ. ბავშვობაში თანატოლებთან ერთად თეთრი ხიდიდან ხტებოდა მდინარეში... შემდგომ ეს „არაჩვეულებრივ გამოფენაშიც“ გამოვიყენე, როგორც ეპიზოდი“.

ჩემი ძმები ნორმალური ბავშვები იყვნენ, მე ცოტა გიჟმაჟი გახლდით, დედას ძალიან ვაბრაზებდი... ყველაფერს დიდი ჟინით ვეკიდებოდი: ფეხბურთის და კალათბურთის თამაშს უბანში, მოგვიანებით — ინსტიტუტში სწავლას, მეგობრებთან ურთიერთობას, ჩემს საქმიანობას. მახსოვს, ბავშვობაში მე და გიორგი შიგადაშიგ ვჩხუბობდით ხოლმე, ასეთივე ჟინით დავეძგერებოდით ერთმანეთს და თენგიზი გვაშველებდა. დედა ყოველთვის ძალიან მეგობრულად, დიდი გაგებით გვეკიდებოდა. შეძლე- →46

Cyan Magenta Yellow Black

ბისდაგვარად დავყავდით გადაღებაზეც. თენგიზი უკრაინაშიც წაიყვანა, სადაც დედას უკრაინულ ფილმში იღებდნენ. გადმოცემით ვიცი: ერთ დღეს დნეპრის პირას ისხდნენ და იმდენი ხალხი შემოეხვია, მილიციას გამოუძახეს, რომ კინოს თაყვანისმცემელთა ნაკადისაგან დედა როგორმე დაეხსნათ...

დედაჩემი რომ ნატო ვაჩნაძე იყო, ამ ფაქტთან შეგუება ძალიან მიჭირდა — მის მიმართ რაღაც კაცური, მძიმე დამოკიდებულება მქონდა. დედა ჩემს საკუთრებად მიმაჩნდა და არა — ხალხის, რომელიც მუდმივად თავს ეხვია.

— მე წავალ 10 ნაბიჯით წინ ან 10 ნაბიჯით უკან, იარე და წამოგყვები, — ვეუბნებოდი დედას, თუ მასთან ერთად ქუჩაში გავლა მიწევდა.

გულშემატკივრები ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვაჩერებდნენ. ომიანობის დროს ბიჭებს თმა გადაპარსული გვქონდა და ყურებიც პარტყუნა გვიჩანდა. არადა, „რა ლამაზი ბიჭია“, — ამბობდნენ ჩემზე და ესეც ძალიან მახელებდა...

პირველი სიყვარული პირველ კლასში მეწვია. მაშინ ვაუები და გოგონები ჯერ კიდევ ერთად ვსწავლობდით, მოგვიანებით დაგვყვეს. ანაზდეულად შემიყვარდა გოგონა, რომელიც ჩემ გვერდით იჯდა, ერთი შევხედე და გული შემიტოკდა. მისთვის სიურპრიზის გაკეთება მოვინდომე. მეორე დღეს დედას მძივი მოვპარე, სკოლაში წავიღე და იმ გოგოს ვაჩუქე.

— ეს სამკაული ვისია? — იკითხა მასწავლებელმა მომდევნო დღეს. როგორც ჩანს, გოგონამ შინ არ წაიღო და კლასში დატოვა.

სირცხვილით გავწითლდი და მივუგე, დედაჩემის-მეთქი. მასწავლებელმა დედა სკოლაში დაიბარა. მოვიდა დედაჩემი. განაჩენის მოლოდინში, არ ვიცოდი, სად შევმძვრალიყავი, გული ამოვარდნაზე მქონდა... დედამ კი გაიცინა და მასწავლებელს უთხრა:

— რადგან ელდარმა აჩუქა, ძალიან გთხოვთ, ჩემი სახელით მიართვით პატარა გოგოს!

ასე გაატანეს გოგონას ძღვენი.

■

რატომ დამარქვეს სახელად ელდარი?

მამა „26 კომისარს“ იღებდა ბაქოში, როცა ქვეყანას მოვევლინე. ბიძაჩემმა დაურეკა და ვაჟიშვილის დაბადება ამცნო. ეს ფაქტი მამამ პატარა ადგილობრივ კაფეში მეგობრებთან ერთად აღნიშნა. სწორედ მათთან ერთად გადაწყვიტა, ჩემთვის ელდარი დაერქმია. ეს სახელი აზერბაიჯანში ისევე გავრცელებულია, როგორც გიორგი — ჩვენთან. მე პირველი ელდარი ვარ საქართველოში, ახლა უკვე ბევრი ელდარია.

■

თენგიზი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდებისთვის ემზადებოდა და თავის ოთახში რაღაც ნახაზს ასრულებდა. მე და გიორგი კი დერეფანში ბურთს ვთამაშობდით, კარის ზემოთ დაკიდებული გვქონდა პატარა საკალათბურთო ფარი, სადაც ბურთს ვაგდებდით.

— შეწყვიტეთ თამაში, ბურთი რომ შემოვარდეს, მთელი ნამუშევარი დამეღუპება, — გვთხოვა თენგიზმა.

მე დავუჯერე, გიორგი კი ჯიუტად განაგრძობდა ბურთის სროლას, ააგდო, ააგდო და... მართლაც, თენგიზს ნამუშევარი გაუფუჭა. გამოვარდა თენგიზი და ერთი მოსხცო თავში. გიორგი დაეცა და დედას მოსვლამდე გაუნძრევლად იწვა — სურდა, ეჩვენებინა, თენგიზმა გამლახაო. დედა მიხვდა, რაშიც იყო საქმე, გიორგი თავის ოთახში წაიყვანა, თენგიზს კი დაუყვავა:

— ეს არაფერი, ახალი დახაზე!

მართლაც, თენგიზმა ახალი ნახაზი შეასრულა, მერე ინსტიტუტშიც ჩააბარა (ინჟინრის პროფესიას დაეუფლა).

დედა არასდროს გვსჯიდა, ჩვენ მიმართ დიდ გაგებას იჩენდა, ცემა-ტყეპა და ლანძღვა მის აღზრდის მეთოდში არ შედიოდა.

სკოლაში ცუდად ვსწავლობდი. საგნებიდან მხოლოდ ისტორია, ბუნებისმეტყველება და გეოგრაფია მომწონდა, ხოლო მათემატიკის, ქიმიის და ფიზიკის სწავლა მხოლოდ ტანჯვას მგვრიდა. ამ საგნებში სამიანებს და ორიანებსაც ვიღებდი. ბოლოს, როგორც იქნა, სკოლა დავამთავრე. იმხანად სტალინმა დაიწყო ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობა, სტალინს კი, როგორც ღმერთს, ისე ვუყურებდით. ამიტომ კლასის უმეტესობამ ჰიდროტექნიკური მიმართულება ავირჩიეთ და პოლიტექნიკურ ინსტიტუტს მივაშურეთ. მოვეწყვე, ნახევარი წელი ვისწავლე და მივხვდი, რომ იქ ჩემი საქმე არ იყო. საბუთები გამოვიტანე და დედას განვუცხადე:

— მინდა, მოსკოვის საკავშირო კინოინსტიტუტში ჩავაბარო სარეჟისორო ფაკულტეტზე.

ძალიან შეწუხდა, მაგრამ რას გააწყობდა? თეატრის ცნობილ რეჟისორ დოდო ალექსიძესთან წამიყვანა შესამოწმებლად. იმედი ჰქონდა, ბატონი დოდო იტყოდა, ამ სპეციალობისთვის არ გამოდგებაო. მასთან თითქმის ერთი თვე ვიარე, შემდეგ დედამ მომაკითხა.

— ძალიან ნიჭიერი ბიჭია და სწორი გადაწყვეტილებაა, რომ მოსკოვში მიდის სასწავლებლად, — უთხრა ბატონმა დოდომ.

ამგვარად, ბატონმა დოდომ გამიღო კარი ჩემი პროფესიის დასაუფლებლად. მოსკოვში დედასთან ერთად გავემგზავრე. ჩვენი ნათესავის (მამის მხრიდან), ფატი თვალთვაძის პატარა ოთახში დავბინავდით. მისაღებ გამოცდებზე წასვლის წინ დედა გავაფრთხილე:

— შენ თუ ინსტიტუტში მოხვალ, იცოდე, იქაურობას დავტოვებ!

მინდოდა, ჩემით ჩამებარებინა, დედაჩემის სახელით სარგებლობა პირად შეურაცხყოფად მიმაჩნდა. გამოცდაზე უამრავმა აბიტურიენტმა მოიყარა თავი და დიდხანს მომიწია ლოდინი, სანამ ჩემი ჯერი დადგებოდა.

— შენგელაია, გარეთ ვიღაც ქალი გელოდება, — მითხრა ერთმა ბიჭმა.

გამოვედი და დედა არ შემრჩა?!

— გინდა, წავიდე? — შევუბღვირე.

— მშიერი ხარ, — მოსვლის მიზეზი ამიხსნა დედამ, — სანამ შენი ჯერი მოვა, წამო, ვისადილოთ, რაკი გამოხვედი.

ბელორუსულ ვაგზალზე პატარა კაფეში შევედით. დედამ კერძი დაუკვეთა და მასთან ერთად — სასმელიც. ვხედავ, ჭიქა არაყია. ძალიან გამიკვირდა. დედა კახელი ქალი იყო, სადილზე პატარა ჭიქა წითელ ღვინოს გეახლებოდათ და ბავშვებსაც გვასმევდა, მაგრამ არაყი არასდროს დაულევია.

— ეს არაყი შენ უნდა დალიო, უფრო აქტიური იქნები და გამოცდას უკეთ ჩააბარებ, — მითხრა დედამ.

ასეც მოხდა.

ძლიერი „შპარგალკისტი“ ვიყავი. რუსულის წერით გამოცდაზე ერთი ჩემი მეგობარი გოგონას მიერ მოცემული „შპარგალკით“ ვისარგებლე (თბილისში რუსული სკოლა ჰქონდა დამთავრებული). „გორკი და სოციალისტური რეალიზმი“ — ეს თემა უნდა დამეწერა. „შპარგალკა“ საგამოცდო ფურცელზე ფოტოასლივით გადავიტანე... ნიშნებს მომდევნო დღეს აცხადებდნენ. ასეთი წესი იყო: გამომცდელი პედაგოგი ყველას კრებდა და ნაშრომის ბედს ამცნობდა.

„ბელორუსულ ვაგზალზე პატარა კაფეში შევედით. დედამ კერძი დაუკვეთა და მასთან ერთად — სასმელიც. ვხედავ, ჭიქა არაყია. ძალიან გამიკვირდა. დედა კახელი ქალი იყო, სადილზე პატარა ჭიქა წითელ ღვინოს გეახლებოდათ და ბავშვებსაც გვასმევდა, მაგრამ არაყი არასდროს დაულევია. — ეს არაყი შენ უნდა დალიო, უფრო აქტიური იქნები და გამოცდას უკეთ ჩააბარებ, — მითხრა დედამ“.

ინსტიტუტისკენ მიმავალს ერთი რუსი აბიტურიენტი შემხვდა.

— იცი, რა მოხდა? — მითხრა მან, — ერთმა ქართველმა მიიღო ხუთიანი, ხოლო დანარჩენებს, რუსებს, უკრაინელებს და სხვებს, დაბალი ნიშნები დაგვიწერეს.

— რას ამბობ?! — შევიცხადე, მაგრამ ცხადია, გულში მეამა.

პედაგოგმა ყველა გალანძღა, მე კი მითხრა:

— შენგელაია, შენ ხუთიანი მიიღე!

ასე ჩავაბარე მოსკოვის საკავშირო კინოინსტიტუტში. სკოლისგან განხვავებით, იქ კარგად ვსწავლობდი. იმ პერიოდში კინოინსტიტუტის სტუდენტები იყვნენ მერაბ კოკოჩაშვილი, ოთარ იოსელიანი, ოთარ აბესაძე, ასევე ალექსი (ლიოშა) სახაროვი — ჩემი მეოთხე ძმა, რომელსაც სკოლა თბილისში ჰქონდა დამთავრებული და სხვები. ინსტიტუტში ქართველმა სტუდენტებმა კომუნა ჩამოვაყალიბეთ, რომლის მიზანი იყო, ჩვენი მწირი თანხები (რაც გაგვაჩნდა) შეგვეკრიბა და საჭიროებისამებრ ერთმანეთს დავხმარებოდით. კომუნაში ერთს ფინანსთა მინისტრის წოდება მივაკუთვნეთ, მეორეს — კულტურის მინისტრის, გვყავდა ზნეობის მინისტრიც... მე პრეზიდენტად დამნიშნეს.

Cyan Magenta Yellow Black

■

— 1949 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დედას იუბილე გადაუხადეს — კინომოღვაწეობის 25-ე წლისთავი. ღონისძიება სერგო ზაქარიაძემ დადგა, ძალიან კარგად იყო მომზადებული (ჩანაფიქრი თავად ბატონ სერგოს და რეჟისორ ბება თუმანიშვილს ეკუთვნოდა). სცენაზე, წესისამებრ, იდგა წითელი მაგიდა მომხსენებლებისთვის. მოხსენება ბატონმა სიკო დოლიძემ წაიკითხა. შემდეგ დარბაზი ჩააბნელეს, სცენიდან მაგიდა გაიტანეს, პროჟექტორით გაანათეს იარუსზე მყოფი სიკო და ნიკო კინტოს ფორმებში — ვასო გოძიაშვილი და გიორგი შავგულიძე. „წავიდეთ ნატო ვაჩნაძის იუბილეზე?“ — ეკითხებოდა ერთი მეორეს. „რა ვიცი, მთელი ხალხი თბილისში წავიდა, ყველა იქ არის და ჩვენ რა უნდა ვქნათ?!“ — პასუხობდა მეორე. „მაშ, წავიდეთ, წავიდეთ!“.

სასცენო ფარდა გაიხსნა და გამოჩნდა კიბე, რომლის თავშიც ეკიდა სპეციალური ფარდა წარწერით: „25“. იქიდან გამობრძანდნენ დედაჩემი და სხვა ქართველი კინოგმირები შესაბამისი კოსტიუმებით. მედიკო ჯაფარიძემ ახალგაზრდების სახელით მიულოცა იუბილე, ის კაბა ეცვა, რომლითაც „ქეთო და კოტეშია“ გადაღებული. ვერიკო ანჯაფარიძემ, ვახტანგ ტაბლიაშვილმა და სხვა გამოჩენილმა ადამიანებმაც მიულოცეს. დეიდაჩემმა, კირამ, დედას იები მიართვა... იყო ბევრი ღიმილი და დიდი სითბო, სიყვარული და დადებითი ემოციები. დედა საუცხოოდ გამოიყურებოდა — ეცვა ჰაეროვანი ვარდისფერი კაბა, რომელსაც ზოლებად სდევდა ოქროსფერი სირმები (ეს კაბა გურჯაანში, დედას სახლ-მუზეუმში ინახება). ალბათ ვერავინ იფიქრებდა, რომ ეს ნატო ვაჩნაძის უკანასკნელი საიუბილეო საღამო იქნებოდა.

„ნეტავ, არ ჩავსულიყავი დროზე — იქნებ იმ ავბედით რეისს ასცდენოდა!.. დედა 1953 წლის 14 ივნისს დაიღუპა. თავის დაბადების დღეს. 49 წელი უსრულდებოდა“.

■

საკავშირო კინოინსტიტუტში წესად იყო, ვინც კარგად ვერ ისწავლიდა, წლის ბოლოს გარიცხავდნენ. დედა ჩემ გამო ძალიან ღელავდა და მოსკოვში ჩამოფრინდა. იქ სხვა საქმეებიც ჰქონდა. გამოცდები რომ კარგად ჩავაბარე, ძალიან გაუხარდა.

— რაკი კარგად ჩავაბარე, თემიკო ჩირგაძესთან წავალ, — ვუთხარი.

— დროულად ჩამოდი მოსკოვში. დაგელოდები, შენს ჩამოსვლამდე თბილისში არ წავალ, თუ შეგაგვიანდება, ბილეთს დავაბრუნებ, — მომიგო დედამ.

ჩემი მეგობარი თემიკო ჩირგაძე („ცისფერ მთებში“ დირექტორს, ზაზაევიჩს, თამაშობს) სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამხედრო ავიაციაში განაწესეს, კალუგაში პატარა აეროდრომზე მსახურობდა. მასთან გავემგზავრე მეგობრებთან ერთად, მათ შორის იყვნენ თამაზ მელიავა, გურამ ასათიანი, ტიტო კალატოზიშვილი და სხვები. ჩავედით კალუგაში თემიკოსთან, გაიშალა პატარა სუფრა, ვიქეიფეთ, ვიმღერეთ და კარგად მოვილხინეთ. მერე დავიძინეთ. ძილი ძალიან მიყვარს. სხვა დროს ბომბიც რომ აფეთქებულიყო, ძილს ვერ დამირღვევდა, მაშინ კი ზუსტად 3 საათზე გამეღვიძა. თემიკოც გავაღვიძე და ვუთხარი:

— მოსკოვში უნდა წავიდე, ახლავე!

— კი, მაგრამ ახლა მატარებლები არ დადის.

— რამე მაინც იქნება, თუნდაც საბარგო მატარებელი, — დავიჩემე.

მართლაც, გავედით ბაქანზე და ბედად, საბარგო მატარებელიც ჩამოდგა, რომლითაც გავემგზავრე. მოსკოვის შემოგარენში კი „ელექტრიჩკაზე“ გადავინაცვლე. მოსკოვში იმ სასტუმროში მივედი, სადაც დედა იყო დაბინავებული. იქ დამხვდნენ მსახიობი ლიუბოვ არლოვა და მისი ქმარი, რეჟისორი ალექსანდროვი, რომლებიც დედაჩემს ეთხოვებოდნენ. მარტო რომ დავრჩით, დედამ მითხრა, უკვე ბილეთის დასაბრუნებლად მივდიოდიო.

— რა ვქნა, დედა, თემიკოსთან ვიყავი, მაგრამ სიტყვა ხომ შევასრულე, შენთან ხომ მაინც ჩამოვედი, — მივუგე.

ჩემი უფროსი ძმა თენგიზიც მოვიდა. დედა ავტობუსში ჩავსვით (მაშინ ტაქსები ძნელად იშოვებოდა და საკმაოდ ძვირიც ღირდა) და გავაცილეთ. წავიდა და წავიდა... თბილისში მოფრინავდა.

ნეტავ არ ჩავსულიყავი დროზე, იქნებ იმ ავბედით რეისს ასცდენოდა!.. დედა 1953 წლის 14 ივნისს დაიღუპა, თავის დაბადების დღეს. 49 წელი უსრულდებოდა...

■ მარცხნიდან: ნატო, თენგიზი, ელდარი და ეკატერინე სლივინსკაია

„ჩემი ძმები ნორმალური ბავშვები იყვნენ, მე ცოტა გიჟმაჟი გახლდით, დედას ძალიან ვაბრაზებდი“.

მოსკოვში ძალიან გვიპატრონა სერგეი გერასიმოვმა, რომელიც დედას და მამას დიდი მეგობარი იყო. თბილისის რეისზე მატარებლის ბილეთები აგვიღო. ოთხი დღე ვიმგზავრეთ, ოთხი მტანჯველი დღე... გულის სიღრმეში სასწაულის მჯეროდა, სულ მქონდა იმედი, ეგებ დედა როგორმე გადარჩენილიყო. მცხეთაში დაგვხვდა მთელი კინოსტუდია, ჩვენს სახლში წაგვიყვანეს... მე 20 წლის ვიყავი, თენგიზი — 27-ის, გიორგი — 16-ის. ყველაზე ცოდო გიორგი გახლდათ, დედაჩემს სულ აკრული ჰყავდა, გვერდიდან არ იშორებდა.

დედა კულტურის სახლიდან გამოასვენეს, რომელიც სოლოლაკში მდებარეობდა. დაკრძალვას აურაცხელი ხალხი ესწრებოდა. მსახიობები კუბოს მიაცილებდნენ, რომელზეც იდო ერთი ვარდი. ვერის სასაფლაოზე წაასვენეს. მაშინ სასაფლაოს დიდი აგურის კედელი ერტყა. ხალხმრავლობის გამო კუბო კედლიდან გადაატარეს. შვილები ველარ შევდიოდით და ხალხის გაწევა გვიწევდა.

— რატომ მკრავ ხელს? — მისაყვედურა ერთმა ქალმა, — ნატო ვაჩნაძე მარტო შენი კი არა, ჩვენი დედაც იყო...

„პატარა კუბო გახლდათ. მე არ ვიცოდი, შიგ რა იყო, ცხედარი ხომ ავიაკატასტროფაში დაიწვა. დრო რომ გავიდა, დეიდაჩემმა კირამ მითხრა, რომ იქ იყო მხოლოდ ხელის მტევანი ბეჭდით. ეს იყო და ეს“.

პატარა კუბო გახლდათ. მე არ ვიცოდი, შიგ რა იყო, ცხედარი ხომ ავიაკატასტროფაში დაიწვა. დრო რომ გავიდა, დეიდაჩემმა კირამ მითხრა, რომ იქ იყო მხოლოდ ხელის მტევანი ბეჭდით. ეს იყო და ეს... მერე გიორგიმ ბევრი იწვალა, რომ ნეშტი დიდუბის პანთეონში გადმოესვენებინა. სამი წლის შემდეგ მამაჩემი, ნიკოლოზ შენგელაიაც გადმოასვენეს. რეჟისორმა ოთარ შამათავამ გადაიღო დოკუმენტური ფილმი ნატო ვაჩნაძის ცხოვრებაზე, სადაც გამოიყენა დედაჩემის წიგნი „შეხვედრები და მოგონებები“, ასევე დაკრძალვის ამსახველი საარქივო კადრები.

ახლახან შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივიდან (სადაც კომუნისტური პარტიის თითქმის ყველა დოკუმენტი ინახება) ჩანაწერები გადმომცეს, რომლის თანახმადაც ირკვევა, რომ დედა ცდილობდა, გადაეღოთ ფილმი ნიკოლოზ ბარათაშვილზე — ეკატერინე ჭავჭავაძის როლის შესრულებაზე ოცნებობდა. ამ საკითხზე ლავრენტი ბერიას წერილიც მისწერა. ამ უკანასკნელმა თანხმობა მისცა. ბერიას მხარდაჭერა მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ფილმი რატომღაც არ გადაიღეს.

■

დედა თავადის ქალი იყო, გვარად ანდრონიკაშვილი (გათხოვების შემდეგ მეუღლის, ვაჩნაძის გვარზე გადავიდა). მის გვარს საინტერესო წარმომავლობა აქვს. ისტორიიდან ცნობილია: თამარ მეფემ დაიპყრო შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს ქვეყნები და მათ საფუძველზე დააარსა ტრაპიზონის სამეფო, რომელიც საქართველოს თურქეთის წინააღმდეგ მხარდასაჭერად სჭირდებოდა. თურქეთი ჩვენს ქვეყანას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. ბიზანტია კი საქართველოს მეკავშირედ ვერ გამოდგებოდა, ვინაიდან, ერთი მხრივ, თურქებისა და, მეორე მხრივ, ჯვაროსნების მუდმივი შემოსევებისგან უკვე დასუსტებული იყო. ტრაპიზონის სამეფოში თამარმა მეფედ დასვა ბერძენი უფლისწული ალექსი კომნენოსი, რომელიც საქართველოს სამეფო კარზე გაიზარდა. მის ვაჟს ანდრონიკე ერქვა. თურქების მიერ ტრაპიზონის დაპყრობის შემდეგ ლაშა-გიორგიმ შეიფარა მეფისწული ანდრონიკე და მას კახეთის მიწები გადასცა. ანდრონიკაშვილები სწორედ მისი შთამომავლები არიან.

დედაჩემი ვარშავაში დაიბადა. ბებიაჩემი, მისი დედა, პოლონელი გახლდათ — ეკატერინე (კატია) სლივინსკაია. დედას მშობლები იქ დაქორწინდნენ. დედა ჯერ კიდევ ჩვილი იყო, როცა თბილისში ჩამოვიდნენ საცხოვრებლად. მისი მამა, გიორგი ანდრონიკაშვილი, თერგის გუბერნიის (ახლანდელი ჩრდილოეთ ოსეთი) სამხედრო გენერალი გახლდათ. მან ბრძანება მიიღო, ყაჩაღი ზელიფხანის წინააღმდეგ ებრძოლა. ზელიფხანმა ბაბუაჩემი ერთი გასროლით მოკლა. ბაბუა მორწმუნე იყო, კიროვის პარკში (ახლანდელი ვერის პარკი) დაკრძალეს. ბებიაჩემმა ჯვარი გადაწერა... ადრე იქ სასაფლაო იყო, შემდგომ ხელისუფლებამ იმ ადგილას პარკის გაკეთება გადაწყვიტა (მას შემდეგ დაერქვა კიროვის პარკი), ხოლო საფლავთა პატრონებს მიცვალებულ-

→48

Cyan Magenta Yellow Black

თა გადასვენება შესთავაზა. ყველამ ვერ შეძლო. დედამ და ბებიამ ბაბუას ნეშტი ვაკის სასაფლაოზე გადაასვენეს. თავსახური რომ ახსნეს, ცხედარი ცოცხალივით იყო შენახული, მაგრამ ორიოდე წუთის შემდეგ მთლიანად დაიშალა... ეს მასალა შეტანილია დედას წიგნში „შეხვედრები და მოგონებები“. იქვე დაასაფლავეს ბებიაჩემი კატია, ბიძაჩემი ალექსანდრე (სანდრიკა) და მისი მეუღლე, ეკატერინე. დედა კი, როგორც ვთქვი, დიდუბის პანთეონშია დაკრძალული.

■

დედას გარეშე ცხოვრება ძალიან რთული იყო. ისევ გიორგიმ ივაუკაცა, ის გვპატრონობდა. „ოთარაანთ ქვრივში“ რომ გადაიღეს, ჰონორარი აიღო, მოსკოვში ჩამოვიდა, მკერავთან წამიყვანა და ძალიან კარგი პალტო შემიკერა, ჩემი ძველი პალტო უკვე შელახული იყო.

ჩემი სახელი ოჯახურ ჩრდილში იყო, რის გამოც პიროვნულად ძალიან ვიტანჯებოდი — ჯერ ნატო ვაჩნაძის შვილად მიცნობდნენ, შემდეგ გიორგის ძმად („ოთარაანთ ქვრივის“ შემდეგ დიდი პოპულარობა მოიპოვა), არიადნა რომ ცოლად შევირთე, მერე ის გახდა პოპულარული. ჩემი ვინაობა ვერაფრით დავიბრუნე. ბოლოს, „არაჩვეულებრივი გამოფენა“ რომ გადავიღე, რაღაცნაირად მეღირსა, თავი დამემკვიდრებინა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: ვეძებდი სცენარს და ჩავედი მოსკოვში. იქ კინორეჟისორთა კურსებზე ასწავლიდა ლეონიდ ტრაუბერგი, რომელიც დედას და მამას მეგობარი იყო (იმ კურსებზე რამდენიმე ქართველი სწავლობდა).

— იქნებ მირჩიოთ, რომელია მათ შორის კარგი, არჩევანს ვერ ვაკეთებ, არ მინდა, რომელიმე მათგანს ვაწყენინო, — ვუთხარი მას.

■ გიორგი და ელდარ შენგელაიები

■ ძმები — თენგიზი, ელდარი და გიორგი

რეზო გაბრიაძე დამისახელა. მას დაბეჭდილი ჰქონდა 250 გვერდიანი სცენარი. ძალიან ვრცელი მასალა გახლდათ. დავარწმუნე, რომ საჭირო იყო, შეგვემცირებინა, თანდათან 90 გვერდამდე ჩამოვედით და სცენარიც დასრულდა. დავბრუნდით თბილისში. მოსამზადებელი პერიოდი რომ გავიარეთ, გია დანელია ჩამოვიდა მოსკოვიდან, ფილმ „არ დაიდარდოს“ გადაღებას იწყებდა და სცენარისტს ეძებდა. რეზო გაბრიაძე ვურჩიე, მე შეგახვედრებ და დანარჩენი შენი საქმეა-მეთქი. მეორე დღეს ერთმანეთს შეხვდნენ და გიას ძალიან მოეწონა.

— იყავი გიასთან, მოსკოველია და აქაურობას არ იცნობს. მე კი, რომ დამჭირდები, დაგირეკავ და ჩემთან ჩამოხვალ, — ვუთხარი რეზოს (ფილმს ბათუმსა და ქუთაისში ვიღებდით).

აგული ერისთავის ცოლის, გლაშას როლზე თავიდან სხვა მსახიობი ავირჩიე, მაგრამ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა — ის ქალი დაორსულდა, 700 მეტრი ფირი უკვე გადაღებული გვქონდა. ამერიკაში მსგავსი რამ არ მოხდებოდა, ვინაიდან მსახიობს კონტრაქტით ამის უფლება არ ექნებოდა, მაგრამ საბჭოთა კავშირის კანონმდებლობით ქალთა უფლებები დაცული იყო და ვერაფერს გავაწყობდით. დავურეკეთ ვალია (ვალენტინა) ტელეჩკინას და ბედად, თავისუფალი აღმოჩნდა. ჩამოვიდა და თავიდან გადავიღეთ. როლი ძალიან კარგად შეასრულა. შესანიშნავად ითამაშეს ლორთქიამ — გურამ ლორთქიფანიძემ (აგული) და ვასილ ჩხაიძემ (პიპინია). ჩემი აზრით, შესანიშნავი სამეული შედგა. ისეთი ფილმი გამოვიდა, როგორიც ჩავიფიქრეთ.

გადაღების დროს კურიოზული შემთხვევებიც გვქონდა. ვიღებდით ეპიზოდს: დოდო აბაშიძე და ლორთქია მდინარის პირას თეთრ ქვებზე სხედან, ღვინის ბოთლი უდევთ და ჭუკჭუკებენ. ჩამოიარა ვიღაც მგზავრმა, ეგონა, ქეიფობდნენ და მიუჯდა. დოდომ ვერაფრით გააგებინა, რომ გადაღება იყო, ბოლოს გაბრაზებულმა ჭიქა და ბოთლი რიონში მოისროლა. მგზავრი მიხვდა, რაშიც იყო საქმე, შეიცხადა და იქაურობას გაეცალა.

მუნჯი კინოდან ტიპაჟს ჰქონდა ძალიან დიდი მნიშვნელობა. ამიტომ, როცა ფილმისთვის მსახიობს ვარჩევ, ვცდილობ, გარეგნობით გმირთან ახლოს იყოს. ასევე ვცდილობ, გავიგო, რამდენად არტისტულია ადამიანი. ასე შევარჩიეთ ვასილ ჩხაიძე პიპინია ერისთავის როლზე. სცენარი წავაკითხე მსახიობ კაკო დობორჯგინიძეს (ფილმში „არაჩვეულებრივი გამოფენა“ ძაღლის პატრონის როლი აქვს, შესაჯვარებლად რომ მიჰყავს). მან გვირჩია ვასილ ჩხაიძე, ჩვენს (ფოთის) თეატრში იყო მსახიობად და უნიჭობის გამო გაათავისუფლესო. ბატონი ვასილი გურიის სოფელ აცანაში ცხოვრობდა და სკოლაში გერმანულ და რუსულ ენებს ასწავლიდა. იქ გურამ ლორთქიფანიძესთან ერთად ჩავედი, რომელიც ჩემი ასისტენტი გახლდათ. ბატონი ვასილი შინიდან თითქმის ისეთივე ჩაცმული გამობრძანდა, როგორიც ფილმშია (ეს ჩაცმულობა გამოვიყენეთ).

— დიდ როლს ვერ შევასრულებ, მხოლოდ პატარა როლის თამაში შემიძლია, — მითხრა მან.

სამგზავრო ფული დავუტოვეთ და დავემშვიდობეთ იმედით, რომ თბილისში ჩამოვიდოდა. მართლაც, არ დაგვაღალატა, თუმცა... გადაღება რომ დავიწყეთ, რაღაცნაირად გაშეშდა. როცა მსახიობს პირველად იღებენ, შესაძლებელია ასეთი რამ დაემართოს.

— თქვენ დაბრძანდით, ჯერ სხვა მსახიობებს გადავიღებ და მერე თქვენ, — ვუთხარი.

ვასილ ჩხაიძე ბოლოს გადავიღეთ და დაძაბულობისგანაც გათავისუფლდა. ყველაფერი რიგზე იყო, მხოლოდ ხმა არ მომწონდა. ამისთვის ეროსი მანჯგალაძე მოვიწვიეთ. ბატონი ეროსი, როგორც „არაჩვეულებრივ გამოფენაში“, ისე „შერეკილებში“, შესანიშნავად ახმოვანებს ვასილ ჩხაიძის გმირს.

გურამ ლორთქიფანიძის შემთხვევაშიც მსგავსი ვარიანტი განმეორდა. ჯერ კიდევ სოფელ აცანაში, გურამი და ბატონი ვასილი ერთად რომ დავინახე, მაშინ დამებადა იდეა — აგულის როლი შეესრულებინა. გურამი გაოცდა, ეს რომ ვუთხარი. გადაღების დროს მთხოვა, მხოლოდ შენ, ოპერატორი და გამნათებელი დარჩით, დანარჩენები წავიდნენო. ძალიან ერიდებოდა. მერე შეეჩვია... ასე „გამოვძერწეთ“ აგულის ტიპაჟი და ვფიქრობ, ძალიან კარგი გამოვიდა. ჩემს მეგობარს, თამაზ მელიავას რომ ვაჩვენე, მითხრა: „შემოდგომის ფოთოლივითაა, მაგრამ ნუ გეშინია, გაუვლის...“. როგორც ბატონი ვასილისთვის, ისე გურამისთვის, ეს პირველი როლი გახლდათ კინოში.

■

არის ოთხი ფილმი, რომლებშიც არაფერს შევცვლიდი, ესენია: „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერეკილები“, „სამანიშვილის დედინაცვალი“ და „ცისფერი მთები“. რაც შეეხება „თეთრ ქარავანს“ და „ექსპრეს-ინფორმაციას“, საშუალება რომ მქონდეს, ცვლილებას შევიტანდი. ჩემი აზრით, „თეთრი ქარავანი“ რითმულად არ არის კარგად აწყობილი, თუმცა ლენინგრადის საკავშირო ფესტივალზე პრიზი მიიღო. შემდგომ კანის ფესტივალზეც წარადგინეს. მართალია, ჯილდო ვერ მოიპოვა, მაგრამ თავისთავად კარგი ფაქტი იყო (ფილმმა „ექსპრეს-ინფორმაციამ“ ასევე მოიპოვა პრიზი შავი ზღვის ქვეყნების კინოფესტივალზე, რომელიც თბილისში გაიმართა — ავტ.).

ყოველთვის ვარღვევდი დროის ფაქტორს. ფილმის გადაღებისას ვერასდროს ვეტეოდი განსაზღვრულ დროში, ამიტომ კუთვნილ ჰონორარს სრულად ვერ ვიღებდი. ჩემთვის მთავარი იყო ფილმის გადაღება და არა — ფული. განსაკუთრებით გამიჭირდა „თეთრ ქარავანზე“ მუშაობა. მაგალითად, ცხვრის ფარის მოტრიალებას კადრში, როცა 2-3-ჯერ უნდა გადაიღო, მთელი დღე მიჰქონდა. ფილმის გადაღებისთვის გათვალისწინებული იყო ერთი წელიწადი, ჩვენ კი ორ წლამდე გაგვიგრძელდა.

1961-64 წლებში ჩვენი სტუდიის დირექტორი გახლდათ მიხეილ კვესელავა, ცნობილი ფილოსოფოსი და მწერალი. კინოსტუდიას პირველად დედაჩემის დროს ხელმძღვანელობდა, შემდგომ ხელახლა დაინიშნა. ჩვენი თაობისთვის მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა: კინოსტუდიაში მოიყვანა მწერლები და მხატვრები, რომლებსაც ხელისუფლება არ სწყალობდა, მათ შორის იყვნენ ნოდარ დუმბაძე, რევაზ ინანიშვილი, რეზო ჭეიშვილი და სხვები. ჩვენი ერთად მუშაობა ძალზე მნიშვნელოვანი გახლდათ. სხვათა შორის, ფილმ „თეთრ ქარავანს“ თავიდან „გზები და გზაჯვარედინები“ ერქვა. სამხატვრო საბჭოზე მისი მიღების დროს ნოდარ დუმბაძემ პირადად მითხრა, ეს სახელი არ მომწონს, „თეთრი ქარავანი“ დაარქვიო. ამგვარად, ნოდარ დუმბაძე ამ ფილმის ნათლია გახდა.

მიხეილ კვესელავა რომ დირექტორობიდან გაათავისუფლეს, ჩვენ, ყველამ, ძალიან განვიცადეთ, ვიბრძოლეთ კიდეც, მაგრამ, როგორც

Cyan Magenta Yellow Black

წესი, ვერაფერს გავხდით.

■

„შერეკილებთან“ დაკავშირებით თავდაპირველად სხვა იდეა გვქონდა, პირველ ქართველ მფრინავებზე ვაპირებდით ფილმის გადაღებას. მე და რეზო გაბრიაძე საჯარო ბიბლიოთეკაში დავდიოდით და ვიკვლევდით. უამრავი საინტერესო მასალა აღმოჩნდა, მაგრამ მუშაობის პროცესში სხვა მიმართულებით წავედით, იგავის ვარიანტი ავირჩიეთ და საქმე უფრო გართულდა. ბოლოს, როგორც იქნა, დაიწერა სცენარი — რეზომ მანქანაზე დაბეჭდა (კარგად ბეჭდავდა, მაშინ კომპიუტერული ტექნიკა არ იყო). მე და რეზო ჩემი ძმის, გიორგის, ბინაში ჩავიკეტეთ და დღედაღამ ვმუშაობდით. ერთი წელი დაგვჭირდა სცენარის მოსამზადებლად. თითქმის დავასრულეთ და ფინალი კი ვერაფრით მოვუძებნეთ — ეს ჩვენი ცათმფრენი ხან სად ჯდებოდა, ხან — სად... შემდეგ მეგობრებს ვუხმეთ „საშველად“ — ლანა ღოღობერიძეს, დორიან კიტიას და სხვებს. სცენარი რომ წავუკითხეთ, გვირჩიეს: „საფრენი ობიექტი რომ აფრინდება, მორჩა, დამთავრებულია სცენარი!“.

დავიწყეთ გადაღება. ძალიან გაგვიჭირდა მარგალიტას როლზე მსახიობის შერჩევა. ამ როლზე თითქმის ყველა მსახიობი ქალი მოვსინჯეთ, მაგრამ მაინც უკმარობის განცდა მქონდა.

— შენს ცოლს რატომ არ იღებ?! — აზრი შემაწია კინოსტუდიის მაშინდელმა დირექტორმა აკაკი ძიძიგურმა.

ამაზე კი აბსოლუტურად არ მიფიქრია. მოვიყვანე არიადნა. მისი ვარცხნილობა შეუსაბამოდ ჩავთვალე — შავი თმა ჰქონდა, ამიტომ პარიკით გადავიღე. ვფიქრობ, საინტერესო გამოვიდა.



■ ელდარ შენგელაია და გურამ ლორთქიფანიძე

გადაღების დროს სირთულეები გადავიტანეთ. ცათმფრენის კონსტრუქცია მოსკოვში გაგვიმზადეს, მაგრამ მისი შეფუთვა (საბოლოო სახის მიღება) რეზო მირზაშვილმა (მხატვარ თენგიზ მიზაშვილის მამა) ითავა. სამხედრო ვერტმფრენების აეროპორტი თელავში იყო — ვერტმფრენი გვჭირდებოდა, რომ ჩვენი საფრენი ობიექტი ჰაერში დაეკავებინა. ჩავედით თელავში. აეროპორტის უფროსი, რუსი სამხედრო ჩინოსანი ძალიან შემოგვწყრა, ჩვენ აქ საქმეს ვაკეთებთ, ვმუშაობთ, ეგ „ფოკუსები“ რაში გვჭირდებაო. ხოლო ჩვენს ცათმფრენს რომ შეხედა, დაასკვნა — რომ აფრინდება, დაიშლებაო. დიდი და ძლიერი ვერტმფრენი გამოგვიყვეს, მასზე ცათმფრენი ძალიან წვრილი, მტკიცე მავთულებით უნდა დაგვემაგრებინა. ასე გათვალა კონსტრუქტორმა: რომ აფრინდებოდა, მავთულები დაიჭიმებოდა და ცაში არ გამოჩნდებოდა.

— ხედავთ, მიფრინავს! მაგის დედაც!.. — გემრიელად შეიკურთხა რუსმა ჩინოსანმა, როცა ვერტმფრენმა ჩვენი ობიექტი ცაში აიტაცა.

ჩვენ წარმატებაში დარწმუნებული ვიყავით. ცათმფრენის კონსტრუქტორი გახლდათ მოსკოვში მოღვაწე სათაროვი, რომელმაც გვითხრა, ამას ამერიკელებს გავუგზავნით და თავი იმტვრიონ, ეს რა გამოიგონეს საბჭოთა კავშირშიო.

ერთ წელიწადში ფილმი გადავიღეთ. „შერეკილების“ წარმატებაში, რა თქმა უნდა, დიდი როლი ითამაშეს კომპოზიტორებმა გია ყანჩელმა და ჯანსუღ კახიძემ, რომლებმაც ამ ფილმისთვის კინომუსიკა შექმნეს — ჯანსუღის ხმა განსაკუთრებულია.

1974 წელს „შერეკილები“ თეირანის ფესტივალზე გაიგზავნა. ჯერ კიდევ შაჰის პერიოდი იყო. თეირანის ფესტივალზე დედოფალს აჩვენებდნენ მხოლოდ ერთ ფილმს და ამჯერად პატივი წილად ხვდა „შერეკილებს“. სცენაზე რომ ავედი, შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ციცინათელები დაფრინავდნენ, მერე მივხვდი, რომ ეს ბანოვანთა ბრილიანტების ანარეკლები იყო... შემდეგ დედოფალთან შემიყვანეს.

— მეც შემოვალ შენთან ერთად, — მთხოვა ჩვენი ქვეყნის ელჩმა, — თითქმის ხუთი წელია აქ ვარ და დედოფალთან შეხვედრა არ მქონია.

დედოფალმა წარმატება მომილოცა, ხელი ჩამოართვა ელჩსაც, რომელიც ამ ვიზიტით ერთბაშად გაბედნიერდა.

ფესტივალზე ფილმმა ჯილდო ვერ მიიღო. ჟიურიში, წესისამებრ, საბჭოთა კავშირის წარმომადგენელიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ არავინ გამოუგზავნიათ, ამიტომ ფესტივალის დირექტორმა მომიბოდიშა, უსათუოდ მოგცემდით ჯილდოს, მაგრამ რაკი საბჭოთა კავშირიდან წარმომადგენელი არ ჩამობრძანდა, ეს ირანის შეურაცხყოფად ითვლება და თავს შევიკავებთო. სამაგიეროდ, სხვა მხრივ დიდი პატივი მცეს. სასტუმროში ბევრი რესტორანი იყო, ნება დამრთეს, სადაც მოვისურვებდი, მესადილა და თან ნებისმიერი ოდენობის კაცი დამეპატიჟა. ასე რომ, ჩემთან ერთად თეირანის სასტუმროს რესტორანთა ნაირგვარ კერძებს თითქმის მთელი საბჭოთა კავშირის საელჩო აგემოვნებდა. გამგზავრების დრო რომ მოვიდა, დამხვდა ანგარიში, რომელზეც წარმოუდგენელი ოდენობის თანხა ეწერა. ძალიან შევწუხდი, ამის გადახდა ჩემი მხრივ შეუძლებელი იყო, ჩემს ფინანსებს მრავალგზის აღემატებოდა. ნერვიულობისგან მთელი ღამე არ მეძინა. დილით საელჩოს წარმომადგენელი მოვიდა და შევჩივლე, ასეთი მდგომარეობაა-მეთქი. მან კი ამიხსნა:

— არა, იცით, ეს რა არის? თქვენ დამატებით კიდევ შეგიძლიათ რესტორნებში ამ თანხით სარგებლობა.

ანგარიშს ხელი მოვაწერე და საელჩოს წარმომადგენელს დავუტოვე, ახლა უკვე თქვენ ისარგებლეთ-მეთქი.

■

თავის დროზე მამაჩემმა, ნიკოლოზ შენგელაიამ სერგო კლდიაშვილთან ერთად (დავით კლდიაშვილის ვაჟი) დაწერა სცენარი — „სამანიშვილის დედინაცვალი“, კოტე მარჯანიშვილმა კი ფილმი გადაიღო (მუნჯი კინოს პერიოდი გახლდათ). ამან მომცა ბიძგი, ამ ფილმის გადაღებაზე მეფიქრა. ფილმის რეალიზებაში უდიდესი წვლილი შეიტანა რეზო ჭეიშვილმა, რომელმაც სცენარი მოამზადა. ძალიან გაგვიჭირდა მსახიობთა შერჩევა. რეზო ჭეიშვილის იდეა იყო, პლატონის როლი იმედო კახიანს შეესრულებინა. მე თავს ვიკავებდი — მაშინ იმედო, ცოტა არ იყოს, გასუქებული გახლდათ, თუმცა მისი მეუღლის, ფლორას დახმარებით, დიეტის დაცვა შეძლო და საჭირო ფორმაში ჩადგა. კანდიდატებს ვეძებდით როგორც პროფესიულ, ასევე სახალხო თეატრებშიც, რომლებიც იმხანად მრავლად იყო. კირილე მიმინოშვილის როლისთვის ჭიათურის თეატრიდან ავიყვანეთ ნოდარ ჩაჩანიძე. მანამდე რამაზ ჩხიკვაძე გავსინჯეთ, რომელიც არაჩვეულებრივად თამაშობდა ამავე სახელწოდების სპექტაკლში, მაგრამ მისი თეატრალიზებული შესრულება კინოსთვის არ გამოგვადგა. ბეკინას როლზე მოვიწვიეთ გორის თეატრის მსახიობი ვასილ კახნიაშვილი. ეს ფილმი კაიროს ფესტივალზე გაიტანეს, სადაც მოიპოვა პრიზი გამოსახულებისთვის (ანუ ოპერატორის, ლომერ ახვლედიანის და მხატვრის, კუხალიშვილი-ფურმანის, ნამუშევრებისთვის).

■

„ცისფერ მთები“ — ამ ფილმზე მე და რეზო ჭეიშვილი დიდხანს ვფიქრობდით. რეზოს დაწერილი ჰქონდა ამავე სახელწოდების პატარა მოთხრობა კინოსტუდიის ცხოვრებაზე. მასზე დაყრდნობით დავიწყეთ სცენარის წერა და დაიბადნენ ახალი გმირები: მარკშეიდერი, მოლარე, დირექტორი უფრო ფართო ჭრილში... დადგა მსახიობთა არჩევის დრო. თემიკო ჩირგაძე უარზე იყო, მაინც დავითანხმე. ბაგშვობაში პიონერთა სასახლეში თეატრალურ წრეზე დადიოდა. მაშინ იქ რამაზ ჩხიკვაძე, გურამ საღარაძე, ეროსი მანჯგალაძე და სხვები თამაშობდნენ, თემიკო ლიდერობდა. სამედიცინო დინასტიის წარმომადგენელი გახლდათ — მამა და ბაბუა ექიმები ჰყავდა. ამიტომ მამის თხოვნით ჩაბარა სამედიცინოზე და ვფიქრობ, ეს შეცდომა იყო. მისგან შესანიშნავი არტისტი დადგებოდა. პირველად „არაჩვეულებრივ გამოფენაში“ ვათამაშეთ, თამადის როლი (თანაკლასელთა ბანკეტზე), შემდგომ „ცისფერ მთებში“ მოვიწვიეთ. მგონი, კარგი გამოვიდა.

„ჩემი სახელი ოჯახურ ჩრდილში იყო, რის გამოც პიროვნულად ძალიან ვიტანჯებოდი — ჯერ ნატო ვაჩნაძის შვილად მიცნობდნენ, შემდეგ გიორგის ძმად, არიადნა რომ ცოლად შეეგირთე, მერე ის გახდა პოპულარული... ჩემი ვინაობა ვერაფრით დავიბრუნე... ბოლოს, „არაჩვეულებრივი გამოფენა“ რომ გადავიღე, რაღაცნაირად მელირსა, თავი დამემკვიდრებინა“.

თემიკო რომ დავითანხმე, შემდეგ სესილია თაყაიშვილთან მივედი.

— გიჟი ხომ არ ხარ?! რა დროს ჩემი გადაღებაა, უკვე დავბერდი, ძლივს დავდივარ, — მითხრა ქალბატონმა სესილიამ. მასთან ძალიან ვახლობლობდი.

— მაშინ სცენარს დაგიტოვებთ და მირჩიეთ, რა ვქნა! — მცირე რეჟისორულ ხრიკს მივმართე.

მეორე დღეს რომ მივაკითხე, იდგა აბსოლუტურად იმ ფორმაში (ჩაცმულობა, ვარცხნილობა), მე რომ მჭირდებოდა.

— ქალბატონო სესილია, მზად ხართ?

— არა, ვერ ვითამაშებ.

— წამებში გადაგიღებთ, სახლშიც წაგიყვანთ, მანქანით მოგემსახურებით, — ძალიან ვთხოვე.

მართლაც, მიზანსცენებში სხვას ვათამაშებდით, ლევან პაატაშვილი სინათლეს აყენებდა, ქალბატონ სესილიას მოვიყვანდით და წამებში ვიღებდით, შემდეგ უკან მიგვყავდა. მაშინ ვაკის „ლეჩკომბინატში“ მკურნალობდა.

→50

Cyan Magenta Yellow Black

ფილმის პრემიერა კინოს სახლში შედგა. მთელი შემოქმედებითი ჯგუფი წარვადგინე და აღვნიშნე, ქალბატონი სესილიაც აქ ბრძანდებამეთქი. პარტერში იჯდა, მუშტი დამიქნია... თავის გამოჩენა არ უყვარდა. ფილმის დამთავრების შემდეგ კი მითხრა:

— კარგი ფილმია, მაგრამ ვერაფერი გავიგე.

ცოტა ყურს აკლდა, ასევე ბიძაჩემს, სანდრო ანდრონიკაშვილსაც.

— ქალბატონო სესილია, ეს ცუდი კოპიოა (არადა, ცხადია, კარგი იყო), თქვენ და ბიძაჩემს ხვალ მოგიყვანთ და კარგ კოპიოს გაჩვენებთ.

მეორე დღეს ფილმი ხელახლა ვაჩვენე და ხმას ისე ავუწიე, დანარჩენი მაყურებლები კინაღამ დაყრუვდნენ.

— აი, ახლა ძალიან კარგია, — კმაყოფილება გამოთქვა ქალბატონმა სესილიამ.

შემდეგ ფილმის ჩვენება ფილარმონიაში (დიდ საკონცერტო დარბაზში) შედგა. დიდი ხელოვანი სერგო ფარაჯანოვიც ესწრებოდა. სცენაზე მთელი ჯგუფი გამოვიყვანე და მაყურებელს მივმართე:

— ყველაზე დიდი სიურპრიზი თქვენთვის იქნება დიდი მსახიობი, ქალბატონი სესილია თაყაიშვილი.

სცენაზე გამობრძანდა ქალბატონი სესილია. პუბლიკა ფეხზე ადგა და გამალებით უკრავდა ტაშს. ვარდების თაიგული მიართვეს. დასასრულს ქალბატონი სესილია მანქანაში ჩავსვით. სამწუხაროდ, წავიდა და წავიდა... სამ-ოთხ დღეში მიებარა უფალს. უაღრესად მოკრძალებული ადამიანი გახლდათ. ანდერძში დაწერა: „არავითარი პანთეონი, ჩვეულებრივ დამმარხეთ საბურთალოს სასაფლაოზე. ცოტა მეტი ადგილი დამიტოვეთ, რომ ჩემი ოჯახიდან ვინც გარდაიცვლება, ისიც ჩემ გვერდით დასასაფლავოთ“ (ამ ანდერძის ასლს სახლში ვინახავ). შემდგომ მისი შვილი და რძალიც გვერდით დაკრძალეს. იქვეა ოპერატორის და რეჟისორის, ტიტო კალატოზიშვილის, ასევე ბიძაჩემის, გოგი ანდრონიკაშვილის საფლავებიც. მივდივარ ხოლმე და ყვავილებით ვამკობ.

■

არიადნა სტუდენტობისას გავიცანი, მოსკოვის საკავშირო კინოინსტიტუტში სწავლის დროს. ძალიან მომეწონა... მორიდებული ბიჭი ვიყავი და თავს ვერ ვამჟღავნებდი... შემდეგ დავახლოვდით და მანაც

■ კატია მამასთან ერთად



■ ნატო შენგელია

გრძნობით მიპასუხა. არიადნას ჰოლანდიური წარმომავლობის გვარი ჰქონდა — შპრინკ-ი. თავის პატარა ბინაში წამიყვანა და დედა გამაცნო. დედამისი, ანნა ლიუბიმოვა, ძალიან კარგი პიროვნება გახლდათ („არაჩვეულებრივ გამოფენაში“ მილიციელი ქალის როლს თამაშობს, მაშინ მე და არიადნა უკვე შეუღლებულები ვიყავით). მათთან ოჯახში სასურველ სტუმრად ვითვლებოდი... არიადნას შევთავაზე, ხელი მოგვწერა. მოსკოვში დავქორწინდით. ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა. ქალი, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს კარგი დედა, ასევე კარგი მეუღლე — ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ასეთი იყო არიადნა.

მე და ჩემმა მეგობარმა, ალექსეი სახაროვმა, ფრუნზეში გადავიღეთ ფილმი „ლეგენდა გაყინულ გულზე“, მოსკოვისა და ყირგიზეთის კინოსტუდიათა ერთობლივი ნაწარმოები. შემდეგ მოსკოვში გადავიღეთ „ზამთრის ზღაპარი“. ეს ფილმი კინოსაზოგადოებამ ძალიან კარგად მიიღო, სამთავრობო აგარაკებზეც აჩვენეს და, როგორც ჩანს, იქ დაიწუნეს. კინოსტუდიის დირექტორმა მოგვიხმო და საქმის ვითარება გვამცნო. კუთვნილი ჰონორარი საგრძნობლად დაგვიქვითეს. იმ ფულით ბავშვის ღამის ქოთანი ვიყიდე (სხვა არაფერი მომივიდა) და შინ მივიტანე. მახსოვს, არიადნას ძალიან გაუხარდა — ჩვენი პირველი შვილი, ნატო, პატარა იყო და ქოთანი ნამდვილად სჭირდებოდა.

„მე და არიადნა მოსკოვში დაქორწინდით. ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა. ქალი, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს კარგი დედა, ასევე კარგი მეუღლე — ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ასეთი იყო არიადნა“.

■ ტუსია ბასილაია

ჩვენი შვილები, ნატო და ეკატერინე, მოსკოვში დაიბადნენ (ნატო დედაჩემის სახელს ატარებს, ხოლო კატია — ბებიაჩემის სახელს). თბილისში რომ გადმოვედით, ნატო ქართულ სკოლაში შევიყვანე. მშობლიურ ენაზე არ ლაპარაკობდა და მსურდა, ესწავლა. ამავე დროს ძალიან ვღელავდი, ვაითუ, ბავშვს ქართული სკოლა არ მოეწონოს-მეთქი. გაკვეთილები რომ დამთავრდა, ნატო ჩემკენ გამოიქცა და რუსულად მითხრა:

— იცი, რა, მამა, ძალიან საინტერესოა, ისინი ვერაფერს მაგებინებენ და არც მე მესმის, რას ლაპარაკობენ.

სამი თვის შემდეგ შესანიშნავად ამეტყველდა ქართულად... დღეს უკვე თუმანიშვილის თეატრის მსახიობია, ფილმებშიც იღებენ. კატიამ კი სამხატვრო აკადემია დაამთავრა. შესანიშნავად ხატავს და ქარგავს... საუკეთესო ოჯახები შექმნეს. სამწუხაროდ, ნატო მეუღლეს გაშორდა, მაგრამ არაჩვეულებრივი შვილები ჰყავს, ანდრო და ტუსია. მათგან შვილთაშვილები შემეძინა — ილია და თეო, ჯერ პატარები არიან. კატიას შვილებს კი ლუკა და ნატო ჰქვიათ. ნატო სტუდენტია, სამსახიობოზე სწავლობს. ლუკამ შოტლანდიაში დაამთავრა ინსტიტუტი ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის განხრით, თბილისში დაბრუნდა, მაგრამ ჯერჯერობით არსად მუშაობს. ძალიან უყვარს ხელოვნება.

„23 წელი ვიცხოვრეთ ერთად, შემდეგ ერთმანეთს დავცილდით. რაიმე კონკრეტული მიზეზი არ გვქონია. მივხვდით, რომ ამოიწურა ჩვენი ურთიერთობა და ძალიან წყნარად, ცივილურად, უმტკივნეულოდ დავასრულეთ“.

მე და არიადნამ 23 წელი ვიცხოვრეთ ერთად, შემდეგ ერთმანეთს დავცილდით. რაიმე კონკრეტული მიზეზი არ გვქონია. მივხვდით, რომ ამოიწურა ჩვენი ურთიერთობა და ძალიან წყნარად, ცივილურად, უმტკივნეულოდ დავასრულეთ.

■

ნელი დავლიანიძე (ჩემი მეორე მეუღლე) რუსთაველის თეატრში გავიცანი, რეჟისორის ასისტენტად მუშაობდა... მედეა ჩახავას საიუბილეო ვახშამზე შევთავაზე ჩემი თავი. უარი მტკიცა, მეგობრებისთვის კი უთქვამს, ამ ბებერს ჩემგან რა უნდაო... მაშინ 49 წლის ვიყავი, ნელიზე 18 წლით უფროსი. ბოლოს მაინც შევუღლდით. ნელი ჩემი უკანასკნელი სიყვარულია, შესანიშნავი მეუღლე და დედა. არაჩვეულებრივი შვილი მაჩუქა — ელენე, ჩემი ნაბოლარა. 1983 წლის 26 ივლისს შეგვეძინა. იმ წელს „ცისფერ მთებს“ ვიღებდით...

ბავშვები ძალიან მიყვარს, მაგრამ სიმწიფის ასაკში შეძენილი

Cyan Magenta Yellow Black

■ ცოლ-ქმარი — ელდარი და ნელი

„ნელი ჩემი უკანასკნელი სიყვარულია, შესანიშნავი მეუღლე და დედა. არაჩვეულებრივი შვილი მაჩუქა — ელენე, ჩემი ნაბოლარა“.

შვილის მიმართ კიდევ უფრო სხვა დამოკიდებულება ყალიბდება. პატარა ელენესთან ერთად სახლში ხშირად ვხალისობდი, ცეკვასა და ხტუნვაშიც ვყვებოდი. საყვარელი, ჭკვიანი, მოაზროვნე და ნიჭიერი ბავშვი იყო: უკრავდა, ცეკვავდა... სიცოცხლე უყვარდა და ლამაზ სიყვარულზე ოცნებობდა. 11 წლის ასაკში წერდა: „სიყვარული ძალიან ძნელია. იცის ხშირი გათიშვები, გონების აბნევა... მე ცხოვრებაში ბევრი ბიჭი მყვარებია — ნიკუშა, ირაკლი და უამრავი სხვა, რომლებიც არ მახსოვს...“.

ბავშვობაში ბალერინობაზე ოცნებობდა — ნინო ანანიაშვილი უნდა გავხდეო. ცდილობდა, მიებაძა და მის მოძრაობებს იმეორებდა. თვითნასწავლი ბალერინა შევარქვით, ბალეტის საყურებლად ოპერის

■ ოჯახი ბერლინის ფესტივალზე

თეატრში დაგვყავდა ხოლმე. კარგად შეისწავლა უცხო ენები — ინგლისური, რუსული, გერმანული. განსაკუთრებით ინგლისურს ფლობდა. სან ფრანცისკოს კოლეჯიდან, სადაც სწავლობდა, საუკეთესო დახასიათება ჩამოიტანა. შემდეგ წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.ბოლოს ტრაგედია მოხდა... საუბედუროდ, ჩემი უმცროსი ქალიშვილი 23 წლის ასაკში დაიღუპა.

„სხვის მანქანაზე დაჯდა და... არ უნდა დავთანხმებოდი. ვფიქრობ, დამნაშავე ვარ... თუმცა უფლის ნებაა ყველაფერი — ამას მეუბნებიან პატრიარქი და ჩვენი მოძღვარიც. ამ ტრაგედიის გადატანაში დიდი როლი ითამაშა უწმინდესმა. მეორე დღესვე მობრძანდა ჩვენთან. „გახსოვდეთ, მისი სული ცოცხალია“, — გვითხრა და ამით დიდი ნუგეში გვცა“.

„ნელი ჩემი უკანასკნელი სიყვარულია, შესანიშნავი მეუღლე და დედა. არაჩვეულებრივი შვილი მაჩუქა — ელენე, ჩემი ნაბოლარა“.

■ პატარა ელენე მშობლებთან ერთად

„სიმწიფის ასაკში შეძენილი შვილის მიმართ სხვა დამოკიდებულება ყალიბდება. პატარა ელენესთან ერთად სახლში ხშირად ვხალისობდი, ცეკვასა და ხტუნვაშიც ვყვებოდი. საყვარელი, ჭკვიანი ბავშვი იყო. სიცოცხლე უყვარდა და ლამაზ სიყვარულზე ოცნებობდა“.

შემდეგ „ჯიპა“-ს მაგისტრატურაში ჩააბარა, ერთი თვის შემდეგ კი თქვა, ძალიან დავიღალე და მომავალ წელს თავიდან ჩავაბარებო — ამ ფაქტმა ცოტა გამანერვიულა. მეორედ მაშინ გავბრაზდი, როცა საჭესთან დაჯდომის სურვილი გამოთქვა.

— ეგ შენი საქმე არ



■ ელენე მამასთან ერთად

■ ელენე

არის, უფლებას არ გაძლევ, — მივუგე.

მერე რაღაცნაირად დამელაპარაკა და დავეთანხმე. სხვის მანქანაზე დაჯდა და... არ უნდა დავთანხმებოდი, ვფიქრობ, დამნაშავე ვარ. ასეთ დროს ძნელია, პირად →52

შეიძლება. დროს ძალიან სათუთად მოპყრობა სჭირდება, თორემ მერე ვინანებთ, რადგან ყველა ადამიანს სიცოცხლე დანიშნული აქვს, მაგრამ მან ეს არ იცის. მართალია, ამ დღიურს ვწერ, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ეს დღიური შეიძლება სასაცილოც კი იყოს. ასეთია ცხოვრება“, — წერდა 13 წლის ელენე. ეს ჩანაწერები შემდგომ გამოვიყენე ფილმში „ელენე“, რომელიც ჩემი შვილის ხსოვნას მივუძღვენი. ფილმი ჩვენი ოჯახის ახლობლებისთვის გადავიღე ელენეს უკეთ გაცნობის მიზნით. ფინალში ასეთი კადრია — ელენე მეგობრის ქორწილში ცეკვავს, ძალიან ბედნიერია... მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ მისი ლამაზი სიცოცხლე შეწყდებოდა.

მე და ელენე უაღრესად მოყვარული მამა-შვილი გახლდით. თითო-ოროლა შემთხვევა მახსოვს, როცა გამაბრაზა. სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების

Cyan Magenta Yellow Black

■ მამა-შვილი

„სადაც კი მოვხვდებით, ყველგან წმინდა ხატს ან მცირე სუვენირს ვყიდულობთ — ეს საჩუქარია ჩვენი ელენესთვის. მისი ოთახი ხელუხლებელია. იქ ამ ნივთებს ვალაგებთ. თუ შეიძლება ითქვას, ეს არის ჩვენი ჰობი“.

პასუხისმგებლობას გაექცე. თუმცა უფლის ნებაა ყველაფერი — ამას მეუბნებიან პატრიარქი და ჩვენი მოძღვარი, მამა გიორგიც (ზვიადაძე). ამ ტრაგედიის გადატანაში დიდი როლი ითამაშა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. მეორე დღესვე მობრძანდა ჩვენთან.

— გახსოვდეთ, მისი სული ცოცხალია, — გვითხრა უწმინდესმა და ამით დიდი ნუგეში გვცა.

ეკლესიურ ცხოვრებას შევუდექით. მსახიობმა გოგი ხარაბაძემ გაგვაცნო მამა გიორგი (ზვიადაძე), რომელიც ქვაშვეთის ეკლესიის წინამძღვარი გახლდათ, შემდეგ სიონის ტაძარში მიავლინეს მსახურებისთვის. მე და ჩემი მეუღლე დღემდე მისი მრევლი ვართ... უწმინდესთან ერთად იერუსალიმის წმინდა ადგილებიც მოვილოცეთ. უცხოეთში საქმიანი ვიზიტებით, ხან ფესტივალებზე მიწევს ყოფნა და მეუღლეც თან მახლავს. სადაც კი მოვხვდებით, ყველგან წმინდა ხატს ან მცირე სუვენირს ვყიდულობთ — ეს საჩუქარია ჩვენი ელენესთვის. მისი ოთახი ხელუხლებელია. იქ ამ ნივთებს ვალაგებთ. თუ შეიძლება ითქვას, ეს არის ჩვენი ჰობი.

ელენემ თავის დროზე მრავალი ქვეყანა მოიარა. ჯერ მე დამყავდა კინოფესტივალებზე, შემდგომ თავად უწევდა საზღვარგარეთ ყოფნა. ახლა ვცდილობ, იმ ადგილებზე გავიარო, სადაც ჩვენი შვილია ნამყოფი — ამას მისი ვიდეოკასეტებიდან ვიგებთ, რომლებსაც სათუთად ვუფრთხილდებით... ერთი ასეთი კადრია: ელენე პრაღაში, კარლის ხიდზე დგას და ქუდს იქნევს. მეც მოვხვდი იქ და მეც ქუდი მოვიხადე — ჩემმა შვილიშვილმა, ლუკამ გადამიღო...

თუ ჩემი მეუღლე უცხოეთში წამოსვლას ვერ ახერხებს, ლუკა მახლავს (ასაკის გამო მიფრთხილდებიან).

— ლუკა შენზე დიდი „დიქტატორი“ ყოფილა, ისეთ დღეში მაგდებს, არაფრის უფლებას მაძლევს, — გავუზიარე ნელის შთაბეჭდილება პირველივე მოგზაურობის შემდეგ.

■

ჩემი აზრით, სიყვარული და მეგობრობა ყველაზე მნიშვნელოვანია ამქვეყნად — ყოველგვარ სულიერ და მატერიალურ ფასეულობაზე მაღლა დგას. მე და ჩემს ძმებს ყველა განსაცდელი სწორედ მეგობრებმა გადაგვატანინეს, რისთვისაც მათი მადლიერი ვარ. იანვარში 80 წელი შემისრულდა. ხშირად დავფიქრებულვარ, რა არის ცხოვრება — ეს მუდმივი ბრძოლაა სიკეთესა და ბოროტებას შორის. ასე იყო და იქნება დაუსრულებლად. ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი პირადი პასუხისმგებლობის საკითხია საკუთარი ცხოვრების მიმართ. ასაკთან ერთად ადამიანს უჩნდება კითხვა: „ვიცხოვრე კი ისე, როგორც საჭიროა?“. ჩემი ცხოვრების მიმართ უკმარისობის განცდა მაქვს. ბევრი რამ დამრჩა გაუკეთებელი. თუმცა ხშირ შემთხვევაში ეს პირადი მიზეზით არ მომხდარა — საბჭოთა კავშირის დროს არამარტო მე, ჩემს კოლეგებსაც ბევრი სცენარი არ დაუმტკიცეს...

ვერასოდეს ვიფიქრებდი, პოლიტიკაში თუ მოვხვდებოდი. ეს სამშობლოს სიყვარულმა გადამაწყვეტინა, ბიძგი კი 9 აპრილმა მომცა. ანატოლი სობჩაკის კომისიამ გამოამზეურა საბჭოთა კავშირის რეზოლუციის ტექსტი, რომლის თანახმადაც, 9 აპრილის ტრაგედიაში ხელისუფლება იყო დამნაშავე. ეს პირველი შემთხვევა გახლდათ, როცა აღიარეს, თუმცა, რა თქმა უნდა, არ გამოაქვეყნეს. შემდგომ ანატოლი სობჩაკმა დაწერა წიგნი „9 აპრილის ტრაგედია“, სადაც რეზოლუციის ტექსტიც შეიტანა.

მეკითხებიან ხოლმე, პოლიტიკაში ყოფნა თუ მექცა სინანულად. ვაკეთებდი იმას, რასაც ჩვენი ქვეყნისთვის საჭიროდ ვთვლიდი. ერთადერთი ორიენტირი ქვეყნის სიყვარული იყო.

კინოში დაბრუნება რომ გადავწყვიტე, მოხდა ისე, რომ ზურაბ ჟვანიას შევხვდი. უაღრესად ჭკვიანი და განათლებული ადამიანი გახლდათ. ძალიან მთხოვა, გარკვეულ ხანს იყავიო და მეც დავრჩი. მისი გარდაცვალების შემდეგ პოლიტიკური ცხოვრება დავტოვე.

1976 წლიდან კინემატოგრაფისტთა კავშირს ვხელმძღვანელობ. მარტის ბოლოს კი ყრილობას ვგეგმავთ და წამოსვლას ვაპირებ. ფილმების შექმნას ვფიქრობ, თუ დამცალდა. ვმუშაობ მწერალ დათო ტურაშვილთან, ვამზადებთ სცენარს ჩეხეთის პრეზიდენტ ვაცლავ ჰაველის პიესის მიხედვით (ეს ნაწარმოები სატელევიზიო ვერსიაა, ქართულად „წასვლა“ ჰქვია). თავად პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი

■ ლუკა ბაბუასთან ერთად

■ ბაბუა და შვილიშვილი — ნატო და ელდარი

„ხშირად დავფიქრებულვარ, რა არის ცხოვრება. ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი პირადი პასუხისმგებლობის საკითხია საკუთარი ცხოვრების მიმართ. ასაკთან ერთად ადამიანს უჩნდება კითხვა: „ვიცხოვრე კი ისე, როგორც საჭიროა?“. ჩემი ცხოვრების მიმართ უკმარისობის განცდა მაქვს. ბევრი რამ დამრჩა გაუკეთებელი“.

მწერალი, დრამატურგი და ტელერეჟისორი გახლდათ. ამ პიესაში თავის თავს დასცინის. თუ ადამიანი თავის თავს დასცინის — იზრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ კვლავ წინ წავა. თვითკმაყოფილი კი ცხოვრებაში ერთ ადგილს ტკეპნის.

ჩვენს მომავალ ფილმში პიესის სიუჟეტი ქართულ სინამდვილეში გადმოგვაქვს, პრეზიდენტის პერსონაჟს კი რომელიღაც მინისტრი შეცვლის. სცენარზე მუშაობა აპრილში დასრულდება. გადაღებას ალბათ სექტემბრიდან შევუდგებით.

ნანა კობახიძე

Cyan Magenta Yellow Black

ავთო ვარსიმაშვილმა რიგაში მსახიობები დაკარგა

„თვითმფრინავში ფეხების ბაკუნს ვიწყებ“

ტეუისორო ავთო ვარსიმაშვილს მოგზაურობა თეატრის დასთან ერთად უყვარს. მისთვის ყველაზე კომფორტული თანამგზავრი მსახიობი ნიკო გომელაური იყო, რომელიც მოგზაურობის დროს მუდმივად რეჟისორის განწყობაზე ზრუნავდა და ეს კარგადაც გამოსდიოდა. თუ უცხო ქალაქში რომელიმე მსახიობი დაეკარგება, კარგად იცის, ვინ სად უნდა მოძებნოს. უცხო ქვეყნებში უსიამოვნებებსაც გადაჰყრია, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, შემდეგში ესეც სასიამოვნოდ ახსენდება. ყველაზე ხშირად პარიზს სტუმრობს, რადგან იქ მისი შვილები, გიორგი და მარიამი ცხოვრობენ.

— ბატონო ავთო, ხშირად გიწევთ საქართველოდან გასვლა?

— ქვეყნიდან გასვლა ხშირად მიწევს და ეს თეატრსა და კინოს უკავშირდება. საზღვარგარეთ დასასვენებლად ბოლოს როდის ვიყავი, აღარც კი მახსოვს. ალბათ მოგზაურობა ნებისმიერ ადამიანს უხარია, მაგრამ, როდესაც თეატრალურ დასთან ერთად მიდიხარ, ეს დიდი თავგადასავლების მოლოდინია და, როგორც წესი, მოლოდინი ამართლებს ხოლმე. ხანდახან უსიამოვნებებიც ხდება, მაგრამ ხშირ შემთხვევაში შემდეგ ესეც სასიამოვნოდ გახსენდება.

— ყველაზე სასიამოვნო მოგონებად რომელი მოგზაურობა დაგრჩათ?

— მოგონებები მერე ყალიბდება, თორემ იმ წუთში მათი ისტორიული მისია შეიძლება ვერც კი დააფიქსირო. დღევანდელი გადასახედიდან ტკბილი მოგონებები ძირითადად იმ ადამიანებთან მაკავშირებს, რომლებიც აღარ არიან. ნიკო გომელაურთან ერთად 9 წელი გავატარე და მასთან ერთად მოგზაურობის ეპიზოდებს ხშირად ვიხსენებთ ხოლმე. მე და ნიკოს ფანტასტიკური ურთიერთობა გვქონდა, ამიტომ ერთმანეთის ძალიან კარგად გვესმოდა. მე არცთუ მხიარული ხასიათით გამოვირჩევი, ამიტომ ის გამუდმებით ჩემს განწყობაზე ზრუნავდა. მოვიდოდა, გამეხუმრებოდა, ლექსს წამიკითხავდა ან რამე ისტორიას მომიყვებოდა. მასთან ერთად მოგზაურობა ძალიან მიყვარდა. რამდენიმე ზაფხული ჩემთან ერთად ჩემს აგარაკზე გაატარა. დაბა შეკვეთილი მის ლექსებშიც ხშირად ფიგურირებს. მასთან ერთად ბოლო გასტროლიც კარგად მახსენდება. ნიკოს გარდაცვალებამდე 3 თვით ადრე კიევში ვიყავით. მაშინ უკვე ძალიან ცუდად იყო, 40 გრადუსი სიცხე ჰქონდა. მორფს ვუკეთებდით, რომ მისთვის ტკივილი გაგვეყუჩებინა და სცენაზე ისე გადიოდა. სულ გვეუბნებოდა, ნუ გეშინიათ, გავალ სცენაზე და ვითამაშებო. იცოდა, რომ კვდებოდა და სცენაზე გასვლის წინ აქეთ მამშვიდებდა. კიევში ბოლოს „ძმები“ და „კავკასიური ცარცის წრე“ ითამაშა. მისი ავადმყოფობა მაყურებლისთვის შეუმჩნეველი, მაგრამ ჩვენთვის კარგად შესამჩნევი იყო. გასტროლზე ნიკოს გარდაცვალების შემდეგ არაერთხელ ვიყავით, მაგრამ ის და მისი მხიარულება გამუდმებით გვაკლია.

— ნიკო გომელაურთან ერთად ყველაზე დასამახსოვრებელი მოგზაურობა რომელი იყო?

— ბრესტში ვიყავით გასტროლზე და სპექტაკლის წინ ისე დათვრა, როლი უგონოდ მთვრალმა ითამაშა. მიუხედავად იმისა, რომ სვამდა, თამაშის დროს სიმთვრალე მისი ჩვეული მდგომარეობა არ იყო. სპექტაკლის დღეს არასოდეს იღებდა ალკოჰოლს. არ მახსოვს, ნიკო რეპეტიციაზე ან სპექტაკლზე მთვრალი მოსულიყო. ბრესტში კი რაღაც დაემართა. სპექტაკლი რატომღაც დღისით იყო დანიშნული, თანაც — საფესტივალო. წინა ღამით სადღაც გაერთო და მეორე დღეს ისეთი მთვრალი იყო, სცენაზე წაბორძიკებულს მსახიობების ხელის წაშველება დასჭირდა. სპექტაკლი რომ დასრულდა, ნიკოსთან მაშინვე ჩხუბს აზრი არ ჰქონდა, მეორე დღეს კი ძალიან ვეჩხუბე. ისიც ვუთხარი, მორჩა, ამის პატიება წარმოუდგენელია-მეთქი, მაგრამ მოხდა ისე, რომ ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარემ დამირეკა და მითხრა, ნიკო გომელაურმა მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისთვის პრიზი აიღოო. იცით, რაზე გადავირიე? ამის მერე შეეძლო ნიკოს მოსულიყო და ეთქვა, ხომ ხედავ, მთვრალიც რა კარგად ვთამაშობო, მაგრამ საერთოდ არაფერი უთქვამს. ამის მიუხედავად, ნიკოს მაინც ვუთხარი, შენს დაჯილდოებაზე არ

„სენ ჟეიმენის ქუჩაც მიყვარს, ჰომეიოც თავისი ახალგაზრდა ჯაფეებით ხალაცნაირად ჩემია. მონმარტრზე მარტოც ხშირად ვმჯდარვარ. ოდესაც მთელ პარიზს გადმოჰყურებ და იცი, რომ იქ ვარ ბოგი და პიჯასოც მსხდარან, ის ადგილი გავსებს“.

ინდოეთში

მოვალ-მეთქი და მართლაც დავსაჯეთ — არავინ მივსულვართ დასიდან. მარტო წავიდა დაჯილდოებაზე, მოიტანა პრიზი, წინ დამიდო და მითხრა, პირობას გაძლევ, ეს აღარასოდეს განმეორდებაო და მართლაც აღარ განმეორებულა.

— გასაკუთრებული მაყურებელი სად იყო ყველაზე დიდი აპლოდისმენტები სად მიიღეთ?

— ტაში ყოველთვის გვაქვს, მაგრამ განსაკუთრებული რეაქცია ფინეთში ჰქონდათ. არა და, მოგეხსენებათ, ფინელი მაყურებელი ძალიან ცივია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცუდები არიან, უბრალოდ მათ ასეთი გამოხატვის უნარი აქვთ. ჩვენი სპექტაკლის წინა დღეს პეტერბურგელების სპექტაკლს დავესწარი და, ცოტა არ იყოს, შემეშინდა. სპექტაკლი რომ დაიწყო, დარბაზი სავსე იყო, დასასრულს კი 8 კაცილა ვისხედით. მეორე დღეს „მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ“ ვითამაშეთ და დიდი გამარჯვებისა და ბედნიერების შეგრძნება დაგვეუფლა. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ენაზე ვთამაშობდით, ერთი ადამიანიც არ გასულა სპექტაკლიდან, დასასრულს კი მთელი დარბაზი წამოხტა და კიოდა. თვითონ ფესტივალის დირექტორიც გაოგნებული დარჩა, ამდენი წელია ამ ფესტივალის დირექტორი ვარ და ფინელები ასეთ დღეში არ მინახავსო. საზღვარგარეთ ცუდი მაყურებელი, ერთი შემთხვევის გარდა, არ მახსენდება.

— გვიამბეთ ამ შემთხვევის შესახებ.

— ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში სპექტაკლი „ძმები“ გვქონდა ჩატანილი. მაშინ ელჩი არაჩვეულებრივი ადამიანი, გია ჯანჯღავა იყო, რომელმაც სპექტაკლზე მთელი საელჩო და ქართული დიასპორა მოიყვანა. მეორე დღეს კი ეგვიპტელებისთვის უნდა გვეთამაშა. აღმოჩნდა, რომ ყველა ბილეთი სახანძრო განყოფილებისთვის მიუციათ. სპექტაკლზე ეგვიპტელი მეხანძრეები გვესწრებოდნენ და ისეთი გაოგნებული სახეებით იყურებოდნენ, შეგრძნება მქონდა, რომ ამ გარემოში პირველად აღმოჩნდნენ. მხოლოდ მაშინ გამოიცოცხლდნენ, როცა ნიკო გომელაურმა შუა სცენაზე სიგარეტს მოუკიდა. მთელი დარბაზი აკივლდა, „ნო სმოკინგ! ნო სმოკინგ!“. ნიკომ ჩააქრო თუ არა სიგარეტი, ერთ-ერთი მაყურებელი სცენაზე ავიდა, სიგარეტის ნამწვი აიღო და გარეთ გაიტანა. გაოგნებულები დავრჩით. შევედი კულისებში და მსახიობებს ვუთხარი, სცენები ამოაგდეთ და სპექტაკლი მალე დაასრულეთ-მეთქი. ჩვენი სამსაათიანი სპექტაკლი 45 წუთში ვითამაშეთ. ასეთ ქვეყნებში წასვლა მხოლოდ ეგზოტიკისთვის ღირს. თუმცა წარმატებული გამოსვლები ეგვიპტეშიც გვქონია. საფესტივალო მაყურებელსა და ადგილობრივ მაყურებელს ერთმანეთში არ ვურევ.

— ბილეთს სად იყავით გასტროლზე?

— ლვოვში და მერე — კიევში. ჩემდა საბედნიეროდ, იქ ყველას ძალიან ვუყვარვართ. „თავისუფალი თეატრი“ ლვოვის ფესტივალზეც და კიევშიც კარგად იციან, რადგან უკვე რამდენჯერმე ვიყავით. ბოლოს კიევში რომ ვიყავით, თეატრის არც ერთი უკრაინელი მოღვაწე არ დარჩენილა, ჩვენს სპექტაკლზე რომ არ მოსულიყო. ერთმა მეგობარმა იხუმრა კიდეც, შენი სპექტაკლის შემდეგ თავისუფლად შეგვიძლია, უკრაინის თეატრის მოღვაწეთა კავშირის ყრილობა ჩავატაროთო. ამ თემაზე საუბარი არ მიყვარს, მაგრამ ალბათ უნდა გითხრათ — მსახიობებს სცენაზე თავის დასაკრავად გამოსვლა ცხრაჯერ მოუხდათ და ეს არაჩვეულებრივი შეგრძნება იყო.

— აღნიშნეთ, რომ დასთან ერთად მოგზაურობა დიდი თავგადასავლების მოლოდინია, ალბათ სახალისო ისტორიებიც გაგიგიათ გასახსენებელი.

— ამის გარეშე მოგზაურობა არ არსებობს. გასულ ზაფხულს რიგაში მსახიობების ჯგუფი დავკარგე, ძალიან ვნერვიულობდი და ბოლოს აღმოჩნდა, რომ ბარში სრულიად გათიშულები ისხდნენ. ასეთი არაერთი შემთხვევა მახსენდება. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში სხვადასხვა ბრენდის არსებობა გასაკვირი აღარ არის, როცა გასტროლზე მივდივართ, თუ ვინმე მსახიობს ვეძებ, ვიცი, რომ მაღაზიებში უნდა მოვძებნო.

→54

Cyan Magenta Yellow Black

— თქვენ თუ დადიხართ საზღვარგარეთ საფიდლებზე?

— საკმაოდ ხშირად და ვფიქრობ, ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ ძებნით არაფერს ვეძებ. მაღაზიაში კონკრეტული ნივთის საყიდლად შევდივარ. მაგალითად, ქუდების შეძენა ჩემი სენია და სადაც ჩავდივარ, ყველგან რამდენიმეს ვყიდულობ. სუვენირებიც მიყვარს, განსაკუთრებით კი მაცივარზე მისამაგრებელი მაგნიტიანი ფიგურები. მსახიობებისთვის, რომლებიც გასტროლზე ვერ მიმყავს, საჩუქრები ყოველთვის ჩამომაქვს. პარიზში ყოფნა ხშირად მიწევს და ძირითადად იქ ვშოპინგობ ხოლმე.

— გასტროლების გამო პარიზში ხშირად გიწევთ ჩასვლა?

— არა. იქ ჩემი შვილები, გიორგი და მარიამი სწავლობენ. მონმარტრზე ცხოვრობენ. იქ ჩასვლა სამ თვეში ერთხელ მაინც მიწევს. ვიღაცამ შეიძლება უცნაურობასა და ტრაბახში ჩამითვალოს, მაგრამ მართლა ასეა, თბილისის შემდეგ ყველაზე კარგად პარიზს ვიცნობ. უფრო მეტიც, ქუთაისზე და ბათუმზე კარგადაც ვიცი იქაურობა. პარიზში ბევრი ადგილია, რომელიც მიყვარს. ეს ქალაქი მსოფლიოს ერთ-ერთი თეატრალური მექაა. იქ რომ ჩავდივარ, თეატრებს ხშირად ვსტუმრობ, ასევე „ატელიეს“ თეატრს, რომელიც თავის დროზე ჩვენი თანამემამულის, ვასილ ყუშიტაშვილის მიერ გახლავთ გახსნილი. სენ ჟერმენის ქუჩაც მიყვარს, რომელიც თავისი არაჩვეულებრივი კაფეებით რაღაცნაირად ჩემია. მონმარტრზე მარტოც ხშირად ვმჯდარვარ. როდესაც მთელ პარიზს გადმოჰყურებ და იცი, რომ იქ ვან გოგი და პიკასოც მსხდარან, ის ადგილი გავსებს. მე თეატრალურ-ბოჰემური პარიზი მიყვარს და არა ბურჟუაზიული და სუპერთანამედროვე. შვილებთან ერთად პარიზის ქუჩებში ხშირად ვსეირნობ.

— პარიზს მეუღლესთან ერთად სტუმრობთ ხოლმე?

— ხან ერთად, ხან — მარტოსაც უწევს ჩასვლა, რადგან იქ ერთად ჩასვლას დროც უნდა და საშუალებაც. საბედნიეროდ, ვიზის პრობლემა არ გვაქვს და, როგორც კი გზის ფული გაგვიჩნდება, მაშინვე შვილებთან მივემგზავრებით.

— გასტროლებზე თუ დაგვიდებთ ცოლი?

— კი, როგორ არა, მაგრამ სად უნდა გამომყვეს და სად — არა, რეგიონებად გვაქვს დაყოფილი. ამაზე ვხუმრობთ კიდეც. მხოლოდ ევროპულ ნაწილში მომყვება, რადგან აზიური სამყარო დიდად არ ხიბლავს, თუმცა ეგვიპტეში ერთად ვიყავით. როცა დრო მაქვს, საყიდლებზე მასაც დავყვები. ძალიან მიყვარს, როცა ჩემს ცოლს რაღაცას ვურჩევ. ასევე ვარ მსახიობებთანაც. როცა მსახიობები რაღაცას ყიდულებენ და მე შერჩევაში ვეხმარები, ეს ჩემთვის დიდი სიამოვნებაა. გასტროლზე ჩემი დასის წევრებისთვის მეგობარი და ის მამაკაცი ვარ, რომელიც ურჩევს, კაცს ქალის ტანზე რა მოეწონებდა.

— დასის წევრებიდან თქვენთვის ყველაზე კომფორტული ადამიანები ვინ არიან?

— აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, ჯაბა კილაძე. მათ ერთი კარგი თვისება აქვთ — როგორც კი თბილისს გასცდებიან, ზეიმისა და სიხარულის განწყობას ქმნიან. მათი მადლიერი ვარ, რადგან ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ყველაფერი წესრიგში იყოს. ამ მხრივ, ქეთა ლორთქიფანიძე უნიკალურია. გამუდმებით რეკვიზიტებს ამოწმებს, არ დაიზარებს და, თუ საჭიროა, ცოცხსაც აიღებს და დაგვის. მარიშა კიტია, რომელიც თეატრში დაიბადა და ისიც სულ სცენის წესრიგში მოყვანაშია. სპექტაკლისთვის სცენაზე დეკორაციები ისე კეთდება, არც მივდივარ ხოლმე. ზუსტად ვიცი, რომ პოლიკა (აპოლონ კუბლაშვილი. ავტი შენ.), მიუხედავად იმისა, რომ მთავარ როლს თამაშობს, ჩაქუჩსაც დაიჭერს და დაალაგებს კიდეც. ამას გასტროლების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ ძალიან შეკრული კოლექტივი გვაქვს. როცა 15-

■ ნიკო გომელაური და ავთო ვარსიმაშვილი ეგვიპტეში

„სპექტაკლზე ეგვიპტელი მეხანძრეები გვესნიებოდნენ და გაოგნებული სახეებით იყურებოდნენ... მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდნენ, როცა ნიკო გომელაურმა შუა სცენაზე სიგარეტს მოუკიდა. მთელი დარბაზი აკივლდა, „ნო სმოკინგ! ნო სმოკინგ!“. ნიკომ ჩააქრო თუ არა სიგარეტი, ერთ-ერთი მაყურებელი სცენაზე ავიდა, სიგარეტის ნამწვი აიღო და გარეთ გაიტანა“.

16 წლის წინ გასტროლებზე სიარული დავიწყეთ, რომ დავბრუნდებოდით, ვიღაცეებს პირდაპირ ვეუბნებოდი — შენ გასტროლზე მეორედ აღარ იქნები-მეთქი. ყველამ ვიცით, ვინ ვინ არის. ეს მგზავრობაში იშიფრება და ასეთ გადაწყვეტილებასაც ამიტომ ვიღებდი. ახლა თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს მსოფლიოში საუკეთესო დასია, არა მხოლოდ ნიჭიერების, არამედ ერთგულების თვალსაზრისითაც.

— საზღვარგარეთ ღირსშესანიშნაობებს არ ათვალიერებთ?

— რა თქმა უნდა. სულ დავდივარ და ჩემს დასსაც ძალით მივერეკები ხოლმე. მუზეუმებში წასვლა ბევრს მაინცდამაინც არ უნდა, მაგრამ მაინც მიმყავს. კაიროში მოხვდე და ნაციონალურ მუზეუმში არ შეხვიდე, ეს ცოდვაა. სხვადასხვა ქალაქში ზუსტად ვიცით, მუზეუმები ვის ინტერესებში შედის. მარიამ ჯოლოგუა არც ერთ მუზეუმს არ დატოვებს და მასთან ერთად ხშირად დავდივარ დასათვალიერებლად. მარიშა კიტია კი ეგვიპტეში რამდენჯერმე იყო პირამიდების სანახავად. არ გაუშვეს, თორემ ალბათ პირამიდის წვერიდან ჩამოხსნიდნენ. ქეთა ლორთქიფანიძეს და მარიამ დობორჯგინიძესაც უყვართ მუზეუმები. გოგოები დადიან მუზეუმებში, ბიჭებს ძირითადად სხვა რაღაცეები ურჩევნიათ. აპოლონ კუბლაშვილს და კახა მიქიაშვილს უყვართ ღირსშესანიშნაობების დათვალიერება. კახას ამ თვისებას ძალიან ვაფასებ, შანსს არ გაუშვებს, რომ მნიშვნელოვანი ადგილები არ მოინახულოს, სპექტაკლზე ან კონცერტზე არ წავიდეს. არიან დასის წევრები, რომლებსაც მუზეუმები ნაკლებად აღელვებთ და ბარში ჯდომა და გოგოები ურჩევნიათ.

— თავისუფალ დროს თქვენ არ დადიხართ რესტორნებსა და ბარებში?

— ეს ყოველთვის ასეა. როგორც წესი, ერთად ვსადილობთ, ვვახშმობთ და ერთად დავდივართ გასართობად.

— სხვა ქვეყნის სამზარეულოს დაგემოვნება გიყვართ?

— უცხო სამზარეულოს ჩემთვის განსაკუთრებული ადგილი უკავია, რადგან საჭმლის მომზადება მეც ძალიან მიყვარს და უცხო კერძებს დიდი ინტერესით ვაკვირდები, რისგან არის მომზადებული. ყველაზე მეტად ინდური სამზარეულო მომეწონა. საქართველოდან ჩასულს როგორ შეიძლება შემწვარი ქათამი გაგიკვირდეს, მაგრამ მათ შემწვარ ქათამზე გადავირიე! ყველა ქვეყნიდან მომაქვს სანელებლები. იტალიური სამზარეულოც არაჩვეულებრივია. ფრანგულსაც გემრიელად გეახლებით, მაგრამ მანამდე ირანულმა სამზარეულომ მომხიბლა. იქ თევზს საუცხოოდ ამზადებენ. რიტუალი, როდესაც ფაქტობრივად მიწაზე ზიხარ და ისე მიირთმევ, ქართველებისთვის ცოტა რთული მომენტია. ჩვენში ეგრევე ლუარსაბ თათქარიძემ გაიღვიძა და კი არ ვისხედით, ვიწექით და ისე ვჭამდით.

— თვითმფრინავით ფრენას ადვილად იტანთ?

— საერთოდ არ მეშინია, მაგრამ ხანდახან ფრენის პანიკური შიში მეწყება ხოლმე. არ ვიცი, ეს რასთან არის დაკავშირებული, მაგრამ არის მომენტები, როცა თვითმფრინავში ჩაჯდომა არ მინდა. 12 საათიანი ფრენა ჩემთვის შოკის მომტანია. ხანგრძლივი ფრენა არ შემიძლია, ნერვებს ავყვები ხოლმე, ვდგები და თვითმფრინავში ფეხების ბაკუნსა და სიარულს ვიწყებ. ვცდილობ, დამამშვიდებელი აბები არ მივიღო. კი მაძინებს, მაგრამ შემდეგ უარყოფითად მოქმედებს ჩემზე. აბებთან დაკავშირებით ერთი კურიოზი მახსენდება. მაშინ საძილე აბები ასეთი რაოდენობით არ იშოვებოდა, ჩვენ კი საფრანგეთიდან გვქონდა ჩამოტანილი. მოსკოვიდან ვლადივოსტოკში მივფრინავდით და მოვემზადე. მეგობრებმა მირჩიეს, 2 აბი დალიე და მთელი გზა დაიძინებო. უკვე ტრაპზე ვიდექით და გამოაცხადეს, ტექნიკური გაუმართაობის გამო გაფრენა 9 საათით გადაიდო.

■ ირანში

„ირანელმა სამზარეულომ მომხიბლა... ხიტაელი, ხოლესაც ფაქტობრივად მიწაზე ზიხარ და ისე მიირთმევ, ქართველებისთვის ცოტა რთული მომენტია. ჩვენში ეგრევე ლუარსაბ თათქარიძემ გაიღვიძა და კი არ ვისხედით, ვიწექით და ისე ვჭამდით“.

ალბათ თქვენ არ გახსოვთ, მოსკოვის აეროპორტები რა საშინელება იყო. წარმოიდგინეთ, ათეულათასობით ადამიანი, ფეხზე დასადგომი ადგილიც არ არის და საძილე აბები მაქვს მიღებული. ვნუკოვოს აეროპორტში დიდი დეკორატიული ხის ძირას ხელჩანთა დავდე და მივწექი. ცხონებული გია ძნელაძე კი მყარაულობდა. თვითმფრინავში ჩაჯდომა რომ გამოაცხადეს, გამომაფხიზლეს, მაგრამ ავფრინდით თუ არა, ისევ ჩამეძინა. სახე ილუმინატორზე მქონია მიდებული და თვალი რომ გავახილე, ღრუბლები დავინახე. ვიფიქრე, რომ უკვე იმქვეყნად ვიყავი...

✓ სოფიო ბოჭორიძე

Cyan Magenta Yellow Black

ზალცბურგი – მოგზაურობა მოცარტის ქალაქში

ქალაქი ზალცბურგი ავსტრია-გერმანიის საზღვარზე, მდინარე ზალცახის ორივე ნაპირზე მდებარეობს და ვენის, გრაცისა და ლინცის შემდეგ ავსტრიის სიდიდით მეოთხე ქალაქი და ამავე სახელწოდების ფედერალური მიწის დედაქალაქია.

ზალცბურგი

ზალცბურგის ძველი ქალაქის ცენტრი მსოფლიოში განთქმული ბაროკოს არქიტექტურით ერთ-ერთი საუკეთესოდ შენახული ადგილია და 1997 წელს იუნესკო-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი.

ქალაქი მისი ალპური ბუნებით გამოირჩევა. ეს არის ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის დაბადების ადგილი, რის გამოც ქალაქს მეტსახელითაც მოიხსენიებენ — მოცარტშტადტი (მოცარტის ქალაქი). მოცარტის სახელს ატარებს ასევე ზალცბურგის აეროპორტი. ის სტუდენტური ქალაქიცაა ქვეყნის სამი უმსხვილესი უნივერსიტეტით.

ჯიმატი

ზალცბურგში კლიმატი ზომიერად თბილია. ჰაერის საშუალო ტემპერატურა ზაფხულში — 19, ზამთარში კი -1 გრადუსი ცელსიუსია. ყველაზე მეტი ნალექი ივლისში მოდის, ყველაზე ნაკლები — იანვარში, თებერვალსა და მარტში.

ალპებთან სიახლოვე ზალცბურგში ხშირად განაპირობებს თბილ და მშრალ ქარს. მდინარე ზალცახის მდებარეობის გამო კი ქალაქში ქარი უპირატესად ჩრდილოეთის ან სამხრეთის მიმართულებით უბერავს.

ფული

ზალცბურგში, ისევე როგორც მთელ ავსტრიაში, მიმოქცევაშია ევრო. ვალუტის შეტანა-გატანაზე შეზღუდვები დაწესებული არაა, მაგრამ ქალაქში სხვა სახის ვალუტის დახარჯვის იმედი ნაკლებად უნდა გქონდეთ. გამონაკლისს წარმოადგენს ის ბარ-რესტორნები, სადაც ძირითადად ტურისტები შედიან. ასეთ ადგილებში ამერიკული დოლარის გამოყენებაც შეგიძლიათ.

ზალცბურგში მაღაზიები 9-დან 18 საათამდე მუშაობენ, შესვენება კი 14-დან 15 საათამდეა. ბანკებიც იმავე რეჟიმში მუშაობენ, ოღონდ შესვენების გამო მათი მომსახურებით 13-დან 14 საათამდე ვერ ისარგებლებთ. კვირადღეს კი არაფერი მუშაობს.

რაც შეეხება სასტუმროსა და კვებას, ამ შემთხვევაში არჩევანი საკმაოდ დიდია და ნებისმიერი გემოვნებისა და შესაძლებლობის მქონე ადამიანი მიიღებს შესაბამის მომსახურებას. ზალცბურგში სასტუმროს ორადგილიანი ნომრის ფასი 55 ევროდან იწყება და 5 000 ევრომდე ადის. საშუალო კლასის რესტორანში 30 ევროდაც მშვენივრად ივახშმებთ, მაღალი კლასის რესტორანში კი სადილის ფასი 280 ევროდან იწყება.

ვერ ვიტყვით, რომ ზალცბურგში სიიაფეა, მაგრამ არც ტოკიოს ფასებია. ასე რომ, თუ არ დაგეზარებათ ქუჩების შემოვლა და ისეთი სილამაზეა, წესით, არც უნდა იზარმაცოთ, თქვენთვის სასურველი ნივთების, ტანსაცმლისა და სუვენირების ყიდვას საკმაოდ ნორმალურ ფასად შეძლებთ.

ენა

ზალცბურგის ოფიციალური ენა გერმანულია. გაითვალისწინეთ, რომ თუ მათ ენაზე დაელაპარაკებით, ავსტრიელები გაცილებით სტუმართმოყვარენი და თბილები ხდებიან. თუ გერმანული არ იცით, არც ამ შემთხვევაში უნდა გაგიჭირდეთ, რადგან ქალაქში ევროპულ ენებზე მოსაუბრეებსაც მრავლად შეხვდებით. იქ ნებისმიერი განათლებული ადამიანი კარგად ფლობს ინგლისურს, რომელიც ქვეყანაში მეორად ენად ითვლება.

ჰელიგია

ზალცბურგი ცნობილია ძლიერი კათოლიკური ეკლესიით. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, მიგრაციის შედეგად, ქალაქში მომრავლდნენ სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები. 2012 წლის მონაცემებით, ყველაზე მრავალრიცხოვანი კვლავ კათოლიკეები არიან და მოსახლეობის 65%-ს შეადგენენ. სიდიდით მეორე ჯგუფს ქმნიან მუსლიმები, მესამე ადგილზე კი ევანგელისტები არიან.

ისეთი რელიგიების მიმდევარი, როგორიცაა ბუდიზმი, ბაჰაიზმი, ინდუიზმი და სიქიზმი, საერთო ჯამში, მოსახლეობის 0,7%-ია.

გადაადგილება

მოცარტის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი ქალაქიდან ზუსტად 20 კილომეტრში მდებარეობს. აეროპორტიდან ცენტრამდე მისვლას ტროლეიბუსით შეძლებთ. ალტერნატიულ საშუალებას ვენის საერთშორისო აეროპორტი წარმოადგენს, ანუ შეგიძლიათ ჯერ ვენაში ჩაფრინდეთ და იქიდან ზალცბურგამდე ტაქსით იმგზავროთ, მაგრამ არ გირჩევთ, რადგან 300 კილომეტრის გავლა მოგიწევთ და მინიმუმი 350 ევროს მაინც წყალში გადაყრით. შეგიძლიათ წახვიდეთ ავტობუსით, რაც დაახლოებით 45 ევრო დაგიჯდებათ. გირჩევთ, რომ ვენიდან მატარებლით გაემგზავროთ, რომელიც ზალცბურგამდე 3 საათსა და 15 წუთში ჩაგიყვანთ და ეს სიამოვნება 60 ევრო დაგიჯდებათ.

ბუნებრივია, ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტი გერმანულ-ავსტრიული სიზუსტით მოძრაობს, ასე რომ, ტროლეიბუსით, ავტობუსითა და მატარებლით არასოდეს არსად დაიგვიანებთ. აღსანიშნავია, რომ ზალცბურგში ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო სარკინიგზო ქსელია. რაც შეეხება ფასებს, ქალაქის მასშტაბით მგზავრობის ღირებულება საშუალოდ 5 ევროდან იწყება, საქალაქთაშორისო რეისებისთვის კი თანხა 35 ევროდან ზევით გაითვალისწინეთ.

ქალაქში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ველოსიპედი, რომლის წილიც საქალაქო ტრანსპორტში 18%-ია და ამ მაჩვენებლით ზალცბურგი ერთ-ერთი პირველია ავსტრიაში.

სამზარეული

ავსტრიული სამზარეულო საკმაოდ მრავალფეროვანია. მის მთავარ ღირსებას შნიცელი წარმოადგენს, რომელსაც გარნირად ბოსტნეულის სალათები მოჰყვება. ზალცბურგის ცენტრში განლაგებულ ბარ-რესტორნებში, სადაც საუკეთესო მზარეულები მუშაობენ, ისეთ ცნობილ ავსტრიულ კერძებს დაგემოვნებთ, როგორიცაა ყველის სუპი, მოხარშული ძროხის ხორცი სოუსით — ტაფელშპიტცი, ომლეტი კაიზერშმი, კლასიკური დესერტებიდან კი გამოირჩევა ვაშლის შტრუდელი და ტორტი ზახერი.

არც ვეგეტარიანელები დარჩებიან უკმაყოფილონი, რადგან მათზე გათვლილი რესტორნები ბოლო დროს საკმაოდ მომრავლდა. ყველაზე მოთხოვნადია ბოსტნეულის სალათი ფელაფელსი.

სწრაფი კვების ობიექტებში დანაყრება, სხვა ევროპულ ქალაქებთან შედარებით, გაცილებით იაფი და ხელმისაწვდომია. რაც შეეხება სასმელს, ყავა და ჩაი ზალცბურგში ერთნაირად მოთხოვნადია. ალკოჰოლიდან კი, რა თქმა უნდა, ლუდი პირველია, რომლის შემდეგ ყველაზე გავრცელებული სასმელი ღვინოა.

ღირსშესანიშნაობები

ზალცბურგი ბაროკოს არქიტექტურის გავლენას ყველაზე მეტად განიცდის, რაც ამ ქალაქს განსაკუთრებულ მიმზიდველობას ანიჭებს. რაც შეეხება ღირსშესანიშნაობებს, ზალცბურგში მოგზაურობის დროს აუცილებლად უნდა ნახოთ ძველი ქალაქი და დაათვალიეროთ მისი მთავარი მოედანი რეზიდენცპლაცი, ასევე მე-17 საუკუნეში აშენებული არქიეპისკოპოსის რეზიდენცია. იქვე ახლოს მდებარეობს ახალი რეზიდენციაც, რომელსაც უბრალოდ ასე ჰქვია, თორემ 1602 წელს გახლავთ აშენებული და უდიდეს კომპლექსს წარმოადგენს.

ასევე დაათვალიერეთ წმინდა პეტრე ბენედიქტის სააბატო, პეტრეს ტაძარი, კათედრალური კომპლექსი, ფრანგული ეკლესია და კოლეგინკირხე, რომელიც ყოფილი საუნივერსიტეტო სამონასტრო კომპლექსია. რაც ყველაზე მთავარია, ეს ყველაფერი ერთ, რეზიდენცპლაცის მოედანზე მდებარეობს. ერთი სიტყვით, ზალცბურგის მთავარ ღირსშესანიშნაობებს ისე მოინახულებთ, რომ ამ ყველაფრისთვის 1 დღე გეყოფათ და ტრანსპორტიც არ დაგჭირდებათ.

გარდა ამისა, დაათვალიერეთ მირაბელის სასახლე, ბაროკოს მუზეუმი, ჯუჯუების ბაღი, მოცარტის სახლ-მუზეუმი, ასევე ქვის თეატრი და რეზიდენციის გალერეა.

აღსანიშნავია, რომ ზალცბურგი მსოფლიოს მუსიკალური ცენტრი და ერთ-ერთი ყველაზე მუსიკალური ქალაქია, სადაც ყოველწლიურად იმართება ცნობილი მუსიკალური ფესტივალი. ეს ქალაქში შესვლისთანავე იგრძნობა. ქუჩებში მოცარტის მუსიკა ისმის, ყველა სუვენირსა და ტკბილეულზე გენიალური კომპოზიტორის სახეა გამოსახული. ეს არც არის გასაკვირი — ზალცბურგს ხომ მოცარტის ქალაქს უწოდებენ.

ქალაქში ათეულობით მუზეუმი, გალერეა და ოპერაა. ზალცბურგშია ქვეყნის სამი უძველესი უნივერსიტეტიც. ორი ყველაზე დიდი და პოპულარული მუზეუმია ზალცბურგის ბუნების სახლი და ზალცბურგის მუზეუმი. ბუნების სახლი 1924 წელს პროფესორმა ედუარდ პაულ ტრაცმა დააფუძნა, ზალცბურგის მუზეუმი კი 1834 წელს დაარსდა და ის ქალაქისა და მხარის ხელოვნებისა და კულტურის ისტორიას წარმოაჩენს. ამ ყველაფრის დასათვალიერებლად ბილეთის ფასები არც ისე ცოტაა და საშუალოდ 10 ევროდან იწყება.

უსაფრთხოების წესები

კრიმინალური თვალსაზრისით, ზალცბურგი ერთ-ერთი ყველაზე დაცული ქალაქია მსოფლიოში, მხოლოდ ჯიბის ქურდებს ვერ მოუხერხეს ვერაფერი. პირველი, რაც ტურისტებმა უნდა გაითვალისწინონ, ზრდილობიანი მოქცევაა. ნებისმიერ ადგილას მომსახურე პერსონალს ზრდილობიანად უნდა მიმართოთ.

მძღოლებს საგზაო წესების მკაცრად დაცვა ჰმართებთ, თორემ დიდი ჯარიმებია დაწესებული. ტაქსის მძღოლებს ფასზე წინასწარ მოელაპარაკეთ, ტურისტების თხოვნას ისინი ითვალისწინებენ, მთავარია ზრდილობა. თუ ქუჩაში პოლიციელი მოგიახლოვდათ და საბუთები მოგთხოვათ, არ გაგიკვირდეთ და ზრდილობიანად გაუწოდეთ. ეცადეთ, ნასვამ მდგომარეობაში ქუჩებში არ იხეტიალოთ.

უბის ნიგნაკი

ქვეყანა — ავსტრია;
ქალაქი — ზალცბურგი;
ფართობი — 65,7 კვ.კმ;
მოსახლეობა — 148 521;
ოფიციალური ენა — გერმანული;
ოფიციალური ვალუტა — ევრო.

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ

Cyan Magenta Yellow Black

კაცმა კბილები კოკა-კოლაში გაცვალა

25 წლის ავსტრალიელი უილიამ კენელი პროთეზს ხმარობს, რადგან კბილები 3 წლის წინ დაკარგა. ის რამდენიმე წლის განმავლობაში სასტუმროში მუშაობდა და ყოველდღიურად 6-8 ლიტრ კოკა-კოლას სვამდა. ძალიან მალე მას სისხლი მოეწამლა და გულისრევის შეგრძნება აწუხებდა, კბილებიც საშინლად სტკიოდა, მაგრამ კოკა-კოლას თავს მაინც ვერ ანებებდა.

სტომატოლოგმა უილიამს ყველა კბილი ამოუღო, რადგან ჯანმრთელი აღარც ერთი ჰქონდა და მათი გაჩერება არაფრით შეიძლებოდა. მას შემდეგ უილიამი პროთეზს ხმარობს. კოკა-კოლას კი თავს მაინც ვერ ანებებს.

ოჰფეხა ჯატამ სიახელი ისწავლა

58 წლის ბრიტანელი ქალის, სიუზ გრივზის სპარსული ჯიშის კატამ, კეფრიმ, ორ თათზე სიარული ისწავლა.

13 წლის სპარსული ჯიშის შავ კატას 10 წლის წინ ავტომობილი დაეჯახა, რის შედეგადაც მარცხენა წინა და უკანა თათები დაკარგა. წლების განმავლობაში პატრონის დახმარებით ორ მარჯვენა თათზე სიარული ისწავლა და დღეს სოციალურ ქსელში კეფრი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კატაა.



ვიქტორიანული მონეტა ხურდაში დააბრუნეს

დიდ ბრიტანეთში მცხოვრებ 12 წლის ბიჭუნას, რობერტ ჰანტს მაღაზიაში ხურდად ვიქტორიანული ეპოქის დროინდელი მონეტა დაუბრუნეს. თავიდან მას ეს უცხოური მონეტა ეგონა, სინამდვილეში ისტორიული კი აღმოჩნდა, რომელიც დღემდე კარგადაა შენახული.

რობერტმა მონეტა აუქციონზე უკვე გაიტანა, სადაც ის 200 ფუნტ სტერლინგად შეფასდა. აუქციონი ედინბურგში 2013 წლის მარტში შედგება. ბიჭუნა აღებული თანხით კომპიუტერული თამაშების შეძენას გეგმავს.

ლაბრადორმა კენჭები დააგემოვნა

ინგლისში, კენტის საგრაფოში მცხოვრები ვულარდების კუთვნილმა ლაბრადორის ჯიშის ძაღლმა, სახელად ბერნიმ, სანაპიროზე სეირნობისას კენჭები ისე დააგემოვნა, რომ



საუბარში გართულ პატრონებს არ შეუმჩნევიათ. სახლში მისვლის შემდეგ ბერნი მოითენთა და წკმუტტუნი დაიწყო. იგი უახლოეს ვეტკლინიკაში წაყვანეს და რენტგენის გადაღების შემდეგ გაირკვა, რომ მისის ავადმყოფობის მიზეზი 79 ცალი კენჭი იყო.

ძაღლის პატრონის, კიმ ვულარდის თქმით, ბერნი გამუდმებით ღეჭავდა სხვადასხვა ნივთებს, მაგრამ საჭმლის გარდა არაფერს ყლაპავდა. სახლში დაბრუნებულ კიმს ძაღლის კალათში კიდევ 30 ცალი კენჭი დახვდა მოგროვილი. ლაბრადორს გადაუდებელი ოპერაცია უკვე ჩაუტარდა და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. მეორე ოპერაცია ამჯერად მას კბილებზე ესაჭიროება, რომელიც ქვების ჭამისას ძალიან დაუზიანდა.

კაცი სათლავში ცხოვრობს

სერბეთში, ქალაქ ნიშში, 43 წლის ბრატისლავ სტოიანოვიჩი ბოლო 15 წელია საფლავში ცხოვრობს. ის წინაპრების ფერფლთან ერთად იძინებს, რომლებიც 100 წლის წინ

გარდაიცვალნენ. მისი თქმით, საფლავში ძილი ბევრად კომფორტულია, ვიდრე ქუჩაში. საფლავმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, რადგან სტოიანოვიჩმა ის საცხოვრებლად მოაწყო და ახლა თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში. ხშირად კეთილი ადამიანები მას საკვებს აწვდიან, ზოგჯერ კი ნაგვის ურნებში უხდება საჭმლის მოგროვება.

— თუ მოვკვდები, უკვე საჭირო ადგილზე ვარ, — ამბობს ბრატისლავ სტოიანოვიჩი.

Cyan Magenta Yellow Black

სკულპტურა მოქანდაკის სისხლით

ინდოეთის შტატ ტამილ-ნადუში მცხოვრებმა მოქანდაკე ჰუსაინამ მინისტრი ქალის, ჯაიალალიტა ჯაირამის 65-ე წლისთავთან დაკავშირებით მისი ქანდაკება საკუთარი 11 ლიტრი სისხლით შექმნა. მასალას ის ბოლო 8 წლის განმავლობაში აგროვებდა, ხოლო ქანდაკების ჩამოსასხმელად ერთი დღე დასჭირდა.

თავდაპირველად დაამზადეს სილიკონის ფორმა, რომელიც სისხლით აავსეს, შემდეგ -27 გრადუსზე გაყინეს და სილიკონი მოაშორეს.

მინისტრი ქალის სისხლიანი თავი ძალიან ცოცხლად გამოიყურება. სულ მალე ამ ნამუშევარს დელის ხელოვნების ეროვნულ აკადემიაში გამოფენენ.

ჯაცმა ქალი წვეთით ასწია

იტალიურ ტელეშოუში მიწვეულმა ლიტველმა ანტანას კონტიმასმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან თავისი წვერით ჩინელი ქალი ჰაერში ასწია, რომლის წონაც 63 კილოგრამი და 400 გრამი იყო. ამ შედეგით ანტანასმა წინა რეკორდი, რომელიც 2007 წელს დაამყარა, 200 გრამით გააუმჯობესა.

ანტანას კონტიმასი საკუთარი წვერით ყველაზე დიდი წონის აწევისთვის გინესის რეკორდების წიგნში ოფიციალურად უკვე შევიდა.

რეკლამამ ქალის ფეხებზე გადაინაცვლა

იაპონია უნიკალური რეკლამებით განთქმული ქვეყანაა, ბოლო პერიოდში კი ამ კუთხით უფრო წინ წავიდა და რეკლამების განსათავსებლად ქალების ფეხები აირჩია.

იაპონელი სპეციალისტების განცხადებით, რეკლამა იმ ადგილზე უნდა განთავსდეს, რომელიც ყველაზე მეტად იპყრობს ყურადღებას. ასეთი ადგილი კი ქალების მიმზიდველი ფეხებია.

რეკლამის კამპანიაში მონაწილე გოგონები 18 წელზე ნაკლები ასაკის არ უნდა იყვნენ, მათ მინი ქვედატანი ან შორტები უნდა ეცვათ და ფეხზე დატანილ სარეკლამო ლოგოს 8 საათის განმავლობაში უნდა ატარებდნენ. ამის სანაცვლოდ კი სოლიდურ ანაზღაურებას მიიღებენ.

აღნიშნულმა მარკეტინგულმა სტრატეგიამ მთელ ტოკიოში ბიზნესს დიდი წარმატება უკვე მოუტანა.

39 წელი დაუბანელ-გაუპარსავი

მსოფლიოს ყველაზე ჭუჭყიანი ადამიანი 67 წლის ინდოელი კაცი კაილაშ სინგჰია. ბოლო 39 წლის განმავლობაში მას არ უბანავია, წვერი არ გაუპარსავს და თმა არ შეუჭრია. ამის წყალობით, კაილაში გინესის რეკორდების წიგნში შევიდა.

როგორც მამაკაცი ამბობს, ამის მიზეზი ისაა, რომ ვაჟი არ ჰყავს. 7 ქალიშვილის მამას ღრმად სწამს, რომ თუ ასე მოიქცევა, აუცილებლად შეეძინება ბიჭი. მეუღლე და ოჯახის წევრები ევედრებიან, დაიბანოს, მაგრამ ვერაფრით დაიყოლიეს.

67 წლის კაილაშზე არც ის მოქმედებს, რომ მეუღლემ მასთან დაწოლაზე სიბინძურის გამო არაერთხელ თქვა უარი. ინდოეთის იმ შტატში ჰაერის ტემპერატურა 45 გრადუსს აღწევს, კაილაში კი მთელი დღე მინდორში მუშაობს.

გამჭვირვალე მობილური

მობილურების მწარმოებელი ტაივანური კომპანია უკვე მეექვსე წელია, გამჭვირვალე მობილურის შექმნაზე მუშაობს. მათი განცხადებით, მიზანთან უკვე ძალიან ახლოს არიან. აპარატი სპეციალური შუშისგანაა დამზადებული, რომ დავარდნის შემთხვევაში არ დაზიანდეს. მისი ფუნქციები კი სხვა მობილური ტელეფონებისაგან თითქმის არ განსხვავდება.

ინოვაციური მობილური სხვა ტელეფონებზე 25%-ით მსუბუქია და უფრო დიდი ეკრანიც აქვს. გამოსახულების გამოჩენა მობილურის ორივე მხარეს იქნება შესაძლებელი, სენსორული ფუნქცია კი მხოლოდ ერთ მხარეს აქვს. მისი ზუსტი ფასი ჯერჯერობით უცნობია. მაღაზიებში გამჭირვალე მობილური ტელეფონი წლის ბოლოს გამოჩნდება.

ყველაზე მოხუცი ქალი 115 წლისაა

მსოფლიოში ყველაზე მოხუც ქალბატონად ოფიციალურად დასახელებულია იაპონელი მისაო ოკავა, რომელსაც 5 მარტს 115 წელი შეუსრულდა და იაპონიის დასავლეთ ნაწილში, ქალაქ ოსაკაში ცხოვრობს. ოკავა გინესის რეკორდების წიგნშიც შევიდა, ამ საპატიო წოდებით იგი მოხუცთა თავშესაფარში დააჯილდოვეს. მან 1919 წელს იქორწინა, ჰყავს 3 შვილი, ოთხი შვილიშვილი და 6 შვილთაშვილი.

როგორც ცნობილია, მე-19 საუკუნეში დაბადებული ადამიანებიდან მხოლოდ თერთმეტია ცოცხალი. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოში ყველაზე მოხუცი მამაკაცი კიოტოს მცხოვრები 115 წლის ჯიროემონ კიმურაა.

Cyan Magenta Yellow Black

ჯაბა კილაძე 5 წლის წინანდელ სიყვარულს ვერ ივიწყებს

■ ჯაბა კილაძე

ᲛᲔ სახიობი ჯაბა კილაძე 4-5 წლის წინ თავდავიწყებით იყო შეყვარებული. იმ სიყვარულმა დიდი ემოცია დაუტოვა, მის ცხოვრებას ლამაზი კვალი დააჩნია. დაიჯერა, რომ დიდი სიყვარული შეიძლება ადამიანს მხოლოდ ერთხელ ეწვიოს. მანამდეც უყვარდა და ოჯახიც შექმნა, მაგრამ ქორწინება უიღბლო აღმოჩნდა. მომღერალ თამთა ჭელიძესთან შვილი, ლიზა, აკავშირებს, რომელიც ახლა 7 წლის არის.

— ჯაბა, ერთი პერიოდი აქტიურად ჭორაობდნენ თქვენს სასიყვარულო გატაცებებზე. ახლა რა ხდება თქვენს ცხოვრებაში?

— ისეთი არაფერი. ჰორიზონტზე შეიძლება ბევრი ვინმე ჩანს, მაგრამ ამ ეტაპზე სერიოზული ურთიერთობა არავისთან მაქვს. გრძნობის მოსვლა ხომ შეკვეთით არ ხდება, ალბათ უნდა შემხვდეს ისეთი ადამიანი, ვისთან ყოფნაც მომინდება, ჯერჯერობით კი ასეთი არავინ ჩანს.

— ოჯახის დანგრევის შემდეგ თქვენს ცხოვრებაში ისეთი არაკინ ყოფილა, ვისზეც სერიოზულად იფიქრებდით?

— კი. სახელს და გვარს არც აქვს მნიშვნელობა და არც გეტყვით. იმ ადამიანთან საკმაოდ სერიოზული ურთიერთობა მქონდა და არ ვიცი, ისეთი ძლიერი სიყვარული კიდევ მეწვევა თუ არა.

„ქალს შიგნით, სულში რაღაც უნდა გააჩნდეს. არსებობს რაღაც ქალური, რაც ყველაზე მეტად მიზიდავს. ქალს რომ დაინახავ, ვნება და ემოცია უნდა იგრძნო".

— რა დაგიტოვათ ამ სიყვარულმა?

— შთაბეჭდილებები. შეიძლება სასაცილოდ გამომივიდეს, მაგრამ იმ ადამიანთან ურთიერთობა აბსოლუტური სულიერი ჰარმონია იყო. ყველაზე მთავარი, რაც შეიძლება ქალმა მამაკაცს მისცეს, ის მქონდა და ალბათ ამიტომაც მიყვარდა. შეყვარებული ჯაბას ნახვა ძალიან რთულია. ის ერთადერთი ადამიანი იყო, ვისთანაც 100 %-ით გახსნილი ვიყავი. ისეთი ჯაბა დღევანდელი ჯაბასგან აბსოლუტურად განსხვავებულია. მას შემდეგ 4-5 წელი გავიდა და მასზე დღესაც რომ ასე ვფიქრობ, ხვდებით ალბათ, რამხელა კვალი დატოვა ჩემს ცხოვრებაში. არაფრის დაკონკრეტებას ვაპირებ. უბრალოდ კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ჩემს ცხოვრებაში მართლაც იყო ქალი, რომელიც ძალიან მიყვარდა, მასაც ვუყვარდი და ასეთი ურთიერთობა მას შემდეგ არავისთან მქონია.

— რატომ დასრულდა ეს ურთიერთობა?

— რა ვიცი... ყველაფერი ხდება ცხოვრებაში... დეტალებს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ფაქტია, რომ ჩემს ცხოვრებაში ძალიან მაგარი რაღაც მოხდა, რაც არ ვიცი, კიდევ თუ განმეორდება. შეიძლება ბოლოს ისიც ვთქვა, რომ ცხოვრებაში სიყვარული ერთხელ მოდის-მეთქი.

— ეს თქვენს ცხოვრებაში მეორე სიყვარული იყო...

— როგორც მივხვდი, ცხოვრების ყველა ეტაპს სიყვარულისადმი განსხვავებული დამოკიდებულება აქვს. პატარა ასაკში სიყვარული ცოტა სხვანაირად გესმის, რაღაცეებს ვერ ხვდები. მერე და მერე კი ეს გრძნობა შენში სხვანაირად შემოდის, რაც უფრო მეტი გამოცდილება გაქვს, სიყვარულსაც სხვანაირად ხედავ და ურთიერთობებსაც სხვანაირად ხსნი და შიფრავ. პატარა ასაკში ბევრი რამ სხვანაირად ხდება.

„ყველაზე მთავარი, რაც შეიძლება ქალმა მამაკაცს მისცეს, ის მქონდა და ალბათ ამიტომაც მიყვარდა".

— ოჯახიც ხომ სიყვარულით შექმენით?

— რა თქმა უნდა, მიყვარდა. პირველ და მეორე სიყვარულს შორის არც პარალელის გავლება მინდა და არც ამ გრძნობების დანომრვა. ურთიერთობებს და გრძნობებს ნუმერაცია არ უხდება. ნებისმიერი ადამიანი ინდივიდია და სიყვარულისადმი დამოკიდებულებაც განსხვავებულია. როგორ შეიძლება გრძნობები ერთმანეთს შევადარო? ძალიან დიდი ხანია, რაც მეუღლეს გავშორდი, მას შემდეგ ჩემს ცხოვრებაში უამრავი რამ მოხდა და იმ პერიოდზე ნუ ვისაუბრებთ.

— ქალისთვის სიურპრიზების კეთება თუ გჩვეოდათ?

— პირდაპირ გეტყვით, როცა ჩემი კოლეგების ინტერვიუებს ვკითხულობ, ამწეკრანით ავედი და იქიდან პარაშუტით გადმოვხტიო, საშინლად არ მომწონს. იმან იმიტომ გააკეთა ეს ყველაფერი, რომ შემდეგ მასზე ილაპარაკონ. საერთოდ თუ რამეს ვაკეთებ, საკუთარი თავის და იმ ადამიანის სიამოვნების გამო და არა იმიტომ, რომ საზოგადოებას მოვუყვე, ბეტმენის ფორმაში როგორი გმირობა ჩავიდინე.

— ახლა როგორი ქალები მოგწონთ?

— ზუსტად ვერ გეტყვით. ქალი შეიძლება ძალიან ბევრი კრიტერიუმით განვსაზღვრო ან სულაც ერთმა მარტივმა, ელემენტარულმა რაღაცამ ჩემზე ძალიან იმოქმედოს. ძალიან მიყვარს გოგო, რომელსაც ემოციის გამოხატვა შეუძლია. თავისთავად ფიზიკურ მონაცემებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა არ არის აუცილებელი, გარკვეულ სტანდარტებს აკმაყოფილებდეს, 175 სანტიმეტრი იყოს და მოდელის პარამეტრები ჰქონდეს. ქალს შიგნით, სულში რაღაც უნდა გააჩნდეს. არსებობს რაღაც ქალური, რაც ყველაზე მეტად მიზიდავს. ქალს რომ დაინახავ, ვნება და ემოცია უნდა იგრძნო.

„ამ ბოლო დროს მეგობრობა და უთანხმოება ძალიან ქალებთან უფრო მომწონს, ვინც თავიანთი საქმე ჯანაგად იციან".

— ეს რითი გამოიხატება?

— კონკრეტულად ვერ გეტყვით, ყოველ შემთხვევაში, ეს ჩაცმის სტილით არ გამოიხატება, შიგნიდან მოდის.

— როგორი ჩაცმული ქალისკენ შეიძლება თვალი გაგექცეთ?

— თუ ქალი კარგია, როგორც უნდა ეცვას, თვალი მაინც გაგეპარება. მთავარია, სხვას არ მიჰბაძო. თბილისში უკვე სნობიზმია, ერთი ჩაიცვამს რაღაცას და მერე ყველას ის აცვია. ბოლო პერიოდში მოდაში ყელიანი კეტასი თუ ბოტასი შემოვიდა და თან შიგნიდან ქუსლიც აქვს. უამრავ გოგოს და ჩემს არაერთ მეგობარსაც აცვია, თუმცა მე რატომღაც არ მომწონს. შინაგანად როგორიც ხარ, ტანსაცმელიც ისე უნდა მოირგო და ძალიან მაგარი მერე იქნები.

— ქალის ჩაცმულობა მის შინაგან სამყაროზე წარმოდგენას გიქმნით?

— ჩაცმაც და ჟესტიკულაციაც ბევრის მთქმელია. ერთი სიტყვით, მთლიანობაში აბსოლუტურად ყველაფერს ვაქცევ ყურადღებას. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ყველაფერს ვაკვირდები, თითის მოძრაობასაც კი, თუ მწეველია, სიგარეტს როგორ ეწევა, საჭმელს როგორ მიირთმევს. სურნელი, ლაპარაკის მანერა, გამოხედვა... ყველაფერი მნიშვნელოვანია ჩემთვის და, რაც ყველაზე მთავარია, ყურადღებას ვაქცევ, რომ თავს რამდენად უვლის. თავის მოვლაში სოლარიუმში სიარულს არ ვგულისხმობ. სიმართლე გითხრათ, არც მაკიაჟზე ვაკეთებ დიდ აქცენტს. როცა ქალი სულ მაკიაჟით დადის, ცოტა მღლის კიდეც. ჩემს აურასთან ახლოს უფრო თავისუფალი სტილის გოგო დგას. ქალთან, რომელიც გამუდმებით ქუსლიან ფეხსაცმელსა და მაკიაჟს ატარებს, ვერ ვიხსნები. ასეთთან ურთიერთობის აწყობა ალბათ ცოტა გამიჭირდება.

— გარეგნულ მხარესთან ერთად ინტელექტი რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის?

— არსებობენ ქალები, რომლებიც შეიძლება წარმატებულები არიან, მაგრამ ეტყობათ, რომ ინტელექტი არ აქვთ და ამის გამო ის რაღაც ზღვარს ვერასდროს სცდება. შეიძლება პოპულარულიც იყოს, მილიონებიც ჰქონდეს, მასზე კაცები გიჟდებოდნენ, მაგრამ ინტელექტის არქონის გამო ერთ ადგილას იყოს გაჩერებული. როცა ქალს და ზოგადად ადამიანს, ინტელექტი გააჩნია, სხვანაირი ხედვა, საუბარი და საქციელი აქვს. თავის ცხოვრებასაც სხვანაირად გეგმავს. შეიძლება წყვილს კარგი სექსი ჰქონდეს, მაგრამ რაღაცაზე ხომ უნდა ილაპარაკონ? ამ დროს ქალი ფუტლიარი არ უნდა იყოს.

— ჭკვიანი ქალის თანადგომა არასდროს დაგჭირვებიათ?

— ამ ბოლო დროს მეგობრობა და

Cyan Magenta Yellow Black

ურთიერთობა ძლიერ ქალებთან უფრო მომწონს, ვისაც ცხოვრების პოტენციალი გააჩნიათ. მოკლედ რომ გითხრათ, საქმიანი ქალები მომწონს, ოღონდ ისეთები, ვინც თავიანთი საქმე კარგად იციან. საბედნიეროდ, ბევრ გოგოს ვიცნობ, ვინც თავიანთ საქმეში ძალიან მაგრები არიან. გენდერულ თანასწორობას რომ გაიძახიან, ეს რას ნიშნავს? გენდერული თანასწორობა ზუსტად ის არის, როცა ქალს შეუძლია თავისით აკეთოს ყველაფერი. წარმატებული ცოლი რომ გყავს, მაგაზე მაგარი რა არის? როცა ორივეს თავის საქმე აქვს, პრობლემებიც ნაკლებია. შეიძლება წყვილს იმდენი საქმე ჰქონდეს, ერთმანეთიც და შვილებიც ფეხებზე ეკიდოთ. ეს ძალიან რთული შემთხვევაა, მაგრამ, როცა ქალს ამის დაბალანსება შეუძლია, უკვე ყველაფერს ააწყობს. ქალი მამაკაცის ცხოვრებაში ძალიან დიდ როლს თამაშობს. სიტყვა „მეორე ნახევარი“ შეიძლება ვიღაცას ეგოიმებოდეს, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. რამდენადაც კარგი ცოლი გყავს, შენც იმდენად კარგად ხარ.

— ქორწინებამდე ერთად ცხოვრებაზე რა აზრის ხართ?

— არსებობს ოჯახები, რომლებიც ტრადიციას პატივს სცემენ და ეს მათთვის

„ახ ვიცი, ჰატომ, მაგრამ ყველაფერს ვაკვიჰდები, თითის მოძჰაობასაც ჯი. სუჩნელი, ღაპჰაჯის მანეჩა, გამოხედვა... ყველაფერი მნიშვნელოვანია ჩემთვის“.

მიუღებელია. არც რელიგიის თვალსაზრისით არის გამართლებული, მაგრამ ახლა სხვა პერიოდში ვცხოვრობთ. ჩაკეტილი სივრციდან გამოვედით, რაც კარგია, მაგრამ ამას ბევრი უარყოფითი მხარეც აქვს. ზოგმა გოგომ ისე აიშვა და გადაირია, რომ... ქართველები თუ ამას გააკეთებდნენ, საერთოდ ვერ წარმოგვედგინა. ისე, შედეგებზე რომ ვისაუბროთ, ოჯახის დანგრევის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ის გახლავთ, შეყვარებულობის პერიოდში წყვილი ერთმანეთის გაცნობას ბოლომდე ვერ ახერხებს. ინტიმური კავშირი ძალიან ბევრ პრობლემასთანაა დაკავშირებული, რასაც ქორწინებამდე ვერანაირად ივარაუდებ და, სამწუხაროდ, ამის გამო ოჯახები ინგრევა. ევროპაში წყვილი ერთად რაღაც პერიოდს ატარებს და დაქორწინებასაც ამის შემდეგ წყვეტენ. ამიტომაც არის, რომ ისინი უფრო სტაბილურ ოჯახებს ქმნიან. ჩემ გარშემო თითქმის ყოველი მესამე წყვილი ერთმანეთს შორდება. წლების შემდეგ ჩემს შვილს ვერაფერს ვაიძულებ, შეიძლება უბრალოდ მივუთითო, რა არის სწორი და რა — არასწორი. რა დროშიც ცხოვრობ, იმ დროს რეალურად უნდა შეხედო. ნებისმიერი ფილმი, გადაცემა თუ სერიალი, ქალისა და მამაკაცის ინტიმურ ურთიერთობაზეა აგებული და, როგორ გინდა, ბავშვს დააჯერო, რომ ასე არ უნდა იყოს?

— ხშირი ურთიერთობა გაქვთ თქვენს 7 წლის გოგონა ლიზასთან?

— ლიზა უკვე 7 წლისაა და ყოველი კვირის ბოლოს ჩემთან არის. ლიზას დედამისი მართლა არაჩვეულებრივად ზრდის. სულ ვცდილობდი, მასთან, როგორც პატარასთან, ისე არასდროს მესაუბრა. ახლაც, როგორც თანატოლს, ყველაფერს ისე ვუხსნი. ძალიან დამჯერი ბავშვია, ყველაფერს მიყვება.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

ცნობისმოყვარეობა სასარგებლო თვისებად ვაქციოთ



ყველაფერში ცხვირის ჩაყოფას ტრადიციულად გმობენ. მაგრამ ცნობისმოყვარეობა ჩვენი განუყოფელი თვისებაა, თუმცა ყველა ადამიანში განსხვავებულად ვლინდება.

ეს სწორედ ის ძალაა, რომელიც გვაიძულებს, უმოქმედოდ არ ვიყოთ, მუდამ ახალი აღმოჩენებისკენ ვისწრაფოთ. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია ამ მამოძრავებელი ძრავის თავის სასიკეთოდ გამოყენება.

ყოველი ადამიანი პერიოდულად განიცდის დაუძლეველ სურვილს, რაც შეიძლება მეტი წვრილმანი შეიტყოს საგნებზე (მოვლენებზე, ქცევებსა და სიტყვებზე), რომლებსაც მასთან უშუალო კავშირი არ აქვს. სხვათა შორის, მსგავსი სწრაფვა დამახასიათებელია არამხოლოდ ადამიანებისთვის, ასევე ცხოველთა სამყაროს ბევრი წარმომადგენლისთვის. მით უფრო, ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, ცოცხალი არსების მიერ ამაო ინტერესის გამოვლენა რაიმე ობიექტის მიმართ, სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ ამ ქმნილებას ფსიქიკა აქვს.

ადამიანები ხშირად ამ თვისებას არცთუ საქებრად თვლიან. ბავშვებს ნიადაგ უმეორებენ, რომ თუ ბევრი ეცოდინებათ, მალე დაბერდებიან. ამავდროულად ბევრი ივიწყებს, რომ ცნობისმოყვარეობას დადებითი მხარეები აქვს. გაგაცნობთ, როდის გამოგვადგება.

გაცნობა მსურს

ცნობისმოყვარეობა ხსნაა მისთვის, ვისაც ახალი კავშირების გაბმა უჭირს. წვეულებაზე ხართ და საბაბს ვერ პოულობთ უცნობი ადამიანის გასაცნობად? გსურთ, ახალ მეზობელთან ურთიერთობა ააგოთ? არ იცით, ახალ სამსახურში კოლექტივს როგორ შეუერთდეთ? დასახმარებლად ცნობისმოყვარეობას მოუხმეთ. დაფიქრდით: ალბათ ამ ადამიანებს აქვთ რაღაც, რამაც ნამდვილად დაგაინტერესათ. არ მოგიწევთ ხელოვნური საბაბის შეთხზვა, თქვენთვის კითხვა ჩამოაყალიბეთ და წინ!

მოქმედების გეგმა. მეზობელს ლიფტში შეხვდით? ჰკითხეთ, რომელი სუნამო ასხია და საუბარი პარფიუმერიაზე გაუბით. დაინტერესდით, კოლეგა როგორ ინარჩუნებს შესანიშნავ ფიზიკურ ფორმას, შეიძლება ახლოს სპორტკლუბია? ამგვარად ადამიანებს აჩვენებთ, რომ ისინი თქვენთვის საინტერესონი არიან, ხოლო ზედმეტი დელიკატურობა შეიძლება გულგრილობად მიიღონ.

საუბარს ვაგრძელებთ

ცნობისმოყვარე ადამიანისთვის ადვილია გრძელვადიანი ურთიერთობების აგება. კურსში ყოფნა, რა ხდება თქვენი ნაცნობების ცხოვრებაში, საკუთარი ქცევების კორექტირებაში დაგეხმარებათ.

მოქმედების გეგმა. ისწავლეთ, ადამიანებს ერთმანეთზე დელიკატურად გამოჰკითხოთ. მაშინ არ დაიტანჯებით დაბადების დღისთვის საჩუქრის შერჩევისას, ასევე უხერხულ სიტუაციებსაც თავიდან აიცილებთ. როდესაც შეიტყობთ, რომ თქვენმა ორმა ნაცნობმა იჩხუბა, მათ სტუმრად ერთად არ დაპატიჟებთ.

ცოდნას ვიღრმავებთ

სამსახურში ცნობისმოყვარეობა გვაიძულებს, პრობლემების გადაჭრის უფრო ეფექტური საშუალებები და განვითარების ახალი სტრატეგიები ვეძებოთ.

მოქმედების გეგმა. დაიწყეთ პროფესიული ჟურნალების კითხვა, დაინტერესდით, იმავე მოვალეობებს სხვა დაწესებულებაში როგორ ასრულებენ. ყველაზე დიდ აღმოჩენებს სწორედ ცნობისმოყვარე ადამიანები აკეთებენ. რა თქმა უნდა, თქვენს ენერგიულობას შეფიც დააფასებს.

შორს მკაცრი ჩვევები!

კონსერვატორი ხართ? ერთსა და იმავე პროდუქტებს იძენთ, საყვარელი ავტორების წიგნებს ხელახლა კითხულობთ და იმავე ვარცხნლობას ატარებთ, რასაც ხუთი წლის წინ? ვიწრო ჩარჩოებიდან გამოსვლაში ცნობისმოყვარეობა დაგეხმარებათ.

მოქმედების გეგმა. გასინჯეთ ახალი კერძი, შეიძინეთ უჩვეულო ფერის პიჯაკი და დასვენების დღეებში ქალაქის ის ადგილები დაათვალიერეთ, სადაც წინათ არ ყოფილხართ. სასიამოვნო შეგრძნებების მიღებით ცხოვრებას ახლებურად შეხედავთ. როგორც კი დაინახავთ, რომ ჩვევები მოძველდა და თქვენს მოთხოვნებს უკვე ვეღარ პასუხობენ, ახლებით შეცვალეთ.

ცხოვრების გემო შეიგრძენით

ადამიანი, ვისთვისაც ირგვლივ მიმდინარე პროცესები სულერთი არ არის, როგორც წესი, უფრო ენერგიულია და წინსვლაც უადვილდება. ცნობისმოყვარეობა გასაღებია გატაცებისკენ, გატაცება კი საკუთარი ძლიერი მხარეების განვითარებასა და ოცნებების ასრულებაში გვეხმარება.

მოქმედების გეგმა. ცხოვრება სავსეა სიურპრიზებით — უყურეთ, მოუსმინეთ, შენიშნეთ, თვალსაწიერი გაიფართოვეთ. სანუკვარი ოცნების ასრულების შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. მაგრამ არ დაღონდეთ, თუ თქვენი განზრახვა არ განხორციელდა, იმას მაინც არ ინანებთ, რომ შესაძლებლობა არ გამოიყენეთ.

✓ **მოამზადა ანა გაგოშიძემ**

Cyan Magenta Yellow Black

1. საგრილობელი; 2. პროფესიონალი მფრინავი; 3. ბიბლიური ყაჩაღი; 4. რაიმე საგნის მონახაზი; 5. პატარა ზომის კენგურუ; 6. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი; 7. ტურგენევის მოთხრობა; 8. მაუგლის მეგობარი გველი; 9. მაჰმადიანთა ღმერთი; 10. ჭრილობა; 11. პატარა სარწყავი არხი; 12. მამაკაცის ბეწვმოვლებული ზედა სამოსელი; 13. ... ამოს კომენსკი; 14. ეკლესიიდან განდევნა; 15. იუპიტერის თანამგზავრი; 16. ფეხბურთის სათამაშო ფეხსაცმელი; 17. ხეზე მცხოვრები მღრღნელი; 18. ჰერას ქურუმი ქალი; 19. სინათლის სიკაშკაშის ერთეული; 20. ლაბორატორიული ჭურჭელი; 21. ბევრ ცხიმში შემწვარი თევზი; 22. ლათინოამერიკული საბალო ცეკვა; 23. კენკრა; 24. ლიხტენშტაინის დედაქალაქი; 25. თაქთაქიშვილის ოპერა; 26. წონის ერთეული ძველ რომში; 27. გაორმაგების აღმნიშვნელი წინსართი; 28. მხიარული სიუჟეტის პიესა; 29. კორეული ავტომობილი; 30. ლატვიის ფულის ერთეული; 31. ქოჩრიანი თუთიყუში; 32. ღამის ფრინველი; 33. დაუქორწინებლობა; 34. ძველინგლისური ოქროს ფული; 35. აზრი, ჩანაფიქრი; 36. ლითონის საცემელი საკრავი; 37. რუსი მწერალი, დედით გერმანელი; 38. სივრცე ჩვენ ზემოთ; 39. მხარე, მიდამო; 40. ნიავი; 41. ხის რკალზე ცალ მხარეს ტყავგადაკრული საკრავი; 42. ბუსუსები ქსოვილის კარგ პირზე; 43. მანქანის ძრავის საზეთი ზეთი; 44. ქიმიური ელემენტი; 45. სიგრძის ძველფრანგული საზომი ერთეული; 46. ...-მაჰმად-ხანი; 47. სახელმწიფოს ფულადი შემწეობა ინვალიდებსა და მოხუცებს; 48. სილის გორაკი უდაბნოში; 49. ჭადრაკის ფიგურა; 50. მხატვრული სტილი არქიტექტურაში; 51. მთის მითოლოგიური ნიმფები; 52. ძალიან მაგარი ქვა; 53. ძლიერი მღელვარება, აღგზნება; 54. შტატი აშშ-ში; 55. დედმამიშვილი; 56. თხების ჯოგი; 57. ყარყატების ოჯახის ფრინველი; 58. ცხენის, ვირის ჩლიქი; 59. წრეწირის ორი წერტილის შემაერთებელი მონაკვეთი; 60. ბერძნული ანბანის ასო; 61. დიდი, ფრიალო კლდე; 62. სატურნის თანამგზავრი; 63. ... კალანდარიშვილი; 64. სატრფიალო პოეზიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 65. ნაბიჯი ბალეტში; 66. ... პაჩინო; 67. გარიჟრაჟი.





წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. დრო; 2. ბოა; 3. სანდრო; 4. ალსუ; 5. ამაო; 6. ქვისლი; 7. ქალაქი; 8. ფორუმი; 9. სლაიდი; 10. მარსელ; 11. პრიმა; 12. მთა; 13. პიცა; 14. ბარხანი; 15. პრემიერი; 16. გუდა; 17. სალამური; 18. ფრე; 19. რაისშინა; 20. აარე; 21. ოდესა; 22. არე; 23. სიტრო; 24. კრაკატაუ; 25. არხარი; 26. იუნკერი; 27. კანჯარი; 28. ტო; 29. ჩაკ; 30. კომა; 31. ომარ; 32. ენა; 33. ჭიანური; 34. რანგუნი; 35. არკა; 36. აშოტ; 37. მარჯანი; 38. ნიზამი; 39. ერე; 40. ზონა; 41. ძუა; 42. აია; 43. ომარი; 44. ალსეკო; 45. კარანტინი; 46. კიური; 47. ლიანა; 48. კლიმატი; 49. აპლომბი; 50. კია; 51. კავატინა; 52. მადერა; 53. მერაბ; 54. ქრია; 55. აკორდი; 56. იაკი; 57. უარი; 58. ბიუსტი; 59. მანია; 60. სატირი. **სურათებზე:** ბარაქ ობამა; მაჰმუდ აჰმადინეჯადი; ვლადიმირ პუტინი; ფრანსუა ოლანდი.

ჯოდი: ხოხუმი.

Cyan Magenta Yellow Black

მწვანე სკანვორდი



1. „... დაიდარ-დო“
2. ... მერფი
3. ჩოხის შიგნით ჩასაცმელი
4. ბოლო ნოტი
5. ბერძული ანბანის ასო
6. მაღალი თანამდე-ბობა
7. დარდი; კაეშანი
8. სამაგიდო თამაში
9. ქვევრის მსგავსი ჭურჭელი
10. ლომვეშა-პი
11. მავანთა ყვირილი, შეძახილები
12. კლიმატი
13. სირაქლე-მა
14. თერმოდინამი-კური ტემპერატურის ერთეული
15. ალბანური ფული
16. წყლის ტრან-სპორტი
17. ბუკი
18. ინგლისურ-ფრანგული ზებგერითი სამგზავრო ლაინერი
19. აკრძალვა
20. საჭმელი სოკო
21. ... მორჩი-ლაძე
22. ჰო, დიახ
23. მდინარე იტალიაში
24. ხეთების ქალღმერ-თი
25. სახელმწიფო ევროპაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

პასუხები: 1. გარანტია; 2. გო; 3. რა; 4. პანტა; 5. მანტია; 6. მაზანდა; 7. ირისი; 8. სელექცია; 9. პასპორტი; 10. რეა; 11. სიგარა; 12. პრიზი; 13. თარაშ; 14. ელი; 15. ჟერარ; 16. აერონი; 17. სამოსელი; 18. ოქრო; 19. იო; 20. ორლი; 21. ია; 22. აბი. **სურათებზე:** ვაშინგტონი; თეირანი; მოსკოვი; პარიზი.

Cyan Magenta Yellow Black

ვერნერ შტაინბერგი

კომისრის ქუდი

დასაწყისი №5-9

ბაზეთ „ბავარიული გუშაგის“ ფოტორედაქტორი ვენცელ დალინგერი საგონებელში იყო — არ იცოდა, რა ილუსტრაცია უნდა დაერთო მსუბუქი მანქანის მატარებელთან შეჯახების ამსახველი სტატიისათვის, როცა ავარიის ადგილიდან არანაირი ფოტო არ ჰქონდა. გაზეთის მფლობელისა და მთავარი რედაქტორის ჰებზაკერის სიტყვები ახლაც ყურში ედგა: „ხალხს კითხვა არ სურს! ახლა ილუსტრაციების საუკუნეა!“.

დალინგერმა კიდევ ერთხელ ამოიხვნეშა, ტელეფონით სათანადო რუბრიკის რედაქტორს დაურეკა, თავისი მარცხის შესახებ ამცნო, მისი თავშეკავებული საყვედურიც მოისმინა და ყურმილი ფრთხილად დადო. ამ დროს კარზე კაკუნი მოესმა, რაც არ ესიამოვნა — შინ ცოლი და ხუთი ქალიშვილი ელოდა, ერთად რომ ევახშმათ.

კაკუნი განმეორდა.

დალინგერი კარადასთან მივიდა და იქიდან თავისი პალტო ჩამოხსნა. ამ დროს კარი ფრთხილად გაიღო და ოთახში გამხდარმა, ჟღალთმიანმა უცნობმა მამაკაცმა შემოაბიჯა.

ფოტორედაქტორი მისკენ შეტრიალდა და უხეშად შეეკითხა:

— რა გნებავთ?

— ბატონი დალინგერის ნახვა მინდოდა.

— დალინგერი მე ვარ, ოღონდ ახლა არ მცალია. რედაქციის სასწრაფო დავალება მაქვს შესასრულებელი.

— ადვოკატი ზეპ მეტცენდორფერი ბაირეიტიდან, — წარუდგინა თავი შემოსულმა და კარი მიხურა.

დალინგერი უხმოდ მიაჩერდა დაუპატიჟებელ სტუმარს და ნელა ჩაიცვა პალტო.

— თქვენთვის ფოტოსურათების საინტერესო სერია მაქვს, — იდუმალი ხმით წარმოთქვა ადვოკატმა და დაამატა, — საუდის არაბეთიდან.

— მართლა? — უინტერესოდ შეაგება ფოტორედაქტორმა და პალტოს ზედა ღილი შეიკრა.

— ჰო. მაგ ქვეყანაში ვიყავი.

— მეფესთან შესახვედრად ხომ არა? — დალინგერი დაცინვაზე გადავიდა, — თუ რამე ხელშეკრულების დასადებად?

— ერთ ნაცნობთან ერთად ვიყავი, — მეტცენდორფერი იმ სიხარულის დაფარვას შეეცადა, რაც დალინგერის პასუხმა მოჰგვარა, — უფრო სწორად, კომპანიონთან ერთად.

ფოტორედაქტორი კარადისკენ შეტრიალდა, პატარა ბავარიული შლაპა გამოიღო, თავზე ჩამოიფხატა და სტუმრისკენ არც შეტრიალებულა, ისე თქვა:

— „ბავარიული გუშაგი“ სოლიდური გაზეთია, ამიტომ იაფფასიანი ფოტოები არ გვაინტერესებს. აი, ჰარამხანაზე ან დედოფლის ინტიმურ ნიუანსებზე რომ გქონოდათ რამე, კიდევ ჰო. რამდენიმე დღის წინ აქ ვიღაც ტიპი მოვიდა და საუდის არაბეთზე გადაღებული ისეთი მდარე ფოტოები მოგვიტანა, მაშინვე უკან უნდა გაგვეტანებინა, მაგრამ პროტექტორი ჰყავდა და ვეღარ გავუბედეთ. მისი ფოტოსურათები ახლა ჩემს უჯრაშია და ალბათ გადავუგზავნით.

— სად გადაუგზავნით? — დაინტერესდა მეტცენდორფერი.

— ჯერ არ ვიცი... — თითქოს დაიბნა დალინგერი, — იმ ტიპის მისამართი ალბათ სადმე ეწერება... მოიცათ, თქვენ ეს რატომ გაინტერესებთ?

— იმიტომ, რომ საქმე მკვლელობას ეხება, — სწრაფად მიუგო ადვოკატმა.

საკმაო პაუზის შემდეგ დალინგერი გაოცებით შეეკითხა:

— მერე ეს თავიდან რატომ არ მითხარით?

— მინდოდა, გამეგო, იყო თუ არა აქ იოზეფ ალტბაუერი!

— ღმერთო ჩემო! — შესძახა ფოტორედაქტორმა, — ეს ხომ სწორედ ისაა, საუდის არაბეთის ფოტოებით!

— იყო, — შეუსწორა მეტცენდორფერმა.

— რას ჰქვია, იყო?

— ბატონო დალინგერ, ალტბაუერი მკვდარია!

— შეუძლებელია! — უფრო გაოცდა დალინგერი, — რას იზამს შეფი, ამას რომ შეიტყობს! ალტბაუერი ხომ სწორედ მისი თხოვნით მივიღე!

— ეს უკვე მეორეა, რისი გაგებაც მსურდა, — მოჩვენებითი სიმშვიდით შენიშნა ადვოკატმა.

ფოტორედაქტორი უმალ სტუმართან გაჩნდა, მხარში სწვდა და შეაჯანჯღარა:

— მისმინეთ, ბატონო, მისმინეთ! ღმერთმა ნუ ქნას, შეფის ყურამდე მივიდეს, ეს რომ ჩემგან გაიგეთ! სარედაქციო ინფორმაციის გამჟღავნება ხომ სასტიკად გვეკრძალება!

დალინგერი იმდენად დაბნეული და შეშინებული ჩანდა, რომ მეტცენდორფერს შეებრალა კიდეც, მაგრამ იმასაც მიხვდა, ფოტორეპორტიორის ეს მდგომარეობა მისთვის კოზირი რომ იყო.

— ბატონო დალინგერ, — თითქმის დაყვავებით დაიწყო ადვოკატმა, — თქვენთვის ზიანის მიყენება ნამდვილად არ მსურდა, მაგრამ... — აქ ხმას ოდნავ აუწია, — რაკი ასე მოხდა, უნდა ვილაპარაკოთ. ასე არ არის?

— მაშინ... ჩემთან წავიდეთ, — დალინგერმა საათს დახედა, — ოღონდ ცოტა მოშორებით გამომყევით... პასაუში ყველა მიცნობს და რა მინდა, რომ...

— გასაგებია, — მოუჭრა ადვოკატმა, — როგორც თქვენ გსურთ, ისე მოვიქცევი.

ვენცელ დალინგერის ცოლი მოულოდნელი სტუმრის ასევე მოულოდნელ ვიზიტს აღტაცებით არ შეხვედრია. მან ხუთი გოგონა სწრაფად ავახშმა, მათთან ერთად სამზარეულოში გავიდა და მეტად აღარც გამოჩენილა.

სტუმარ-მასპინძელი მამაკაცები ახლა ხის დიდ მაგიდას უსხდნენ და მათი დიალოგის დაწყებას აღარაფერი აკლდა.

— ყველაფერს მოგიყვებით, რა როგორ იყო, — დაიწყო დალინგერმა, — როგორც უკვე გითხარით, ბატონი ალტბაუერი რამდენიმე დღის წინ მივიღე შეფის რეკომენდაციით. მის მიერ საუდის არაბეთსა და საფრანგეთში გადაღებული ფოტოსურათები იმდენად უინტერესო და უხარისხო გამოდგა, რომ მაშინვე ვუთხარი, ამას ვერ გამოვიყენებთ-მეთქი.

— მერე შეფი? — ჩაურთო ადვოკატმა.

— ისინი რომ დამებეჭდა, შეფიც გამიბრაზდებოდა, ეს რა გაგიშვიაო, ამიტომ...

— გასაგებია.

— მოკლედ, ეს ალტბაუერი, რომელიც, უნდა ვაღიარო, რომ თავიდანვე არ მომეწონა, ჩემს ნათქვამზე გაფიფრდა და, არ უყვირია, ისე ასისინდა, გველივით: „თქვენს შეფს ჩემი გაცურება უნდა! მილიონიანი პროექტი ჩემი წამოწყებულია და როცა ის თითქმის ჯიბეში მედო, პარიზში უცებ განაცხადეს, გერმანიის მთავრობის წერილობითი თანხმობა გვჭირდებაო. მაშინვე ჩემს მიუნხენელ პარტნიორს შევატყობინე, რაც მჭირდებოდა. როგორც კი მან მინისტრისგან სათანადო წერილი მიიღო, მე ფრანკფურტში ჩავედი და გავიგე, რომ ჩემი ამ პროექტიდან ჩამოშორება სურდათ, ჩემს ნაცვლად კი, სხვებთან ერთად, თქვენს შეფსაც ჩასვამდნენ, რადგან მინისტრის წერილი მისი მოპოვებული ყოფილა. რაკი მიუნხენში დასაბრუნებელი ფულიც არ გამაჩნდა,

სუდოკუ

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ ხიამოვნებას გპირდებათ.

№ 1

	1				8		4	
9				4		7		
		6	5					8
8					3			
	4					9	1	6
		5	7	9				2
		9			2		5	
7			8					3
	3		1	6				

№ 2

1			2					8
		5				1	4	
	7				6			9
		4		7				3
	6		3			8		
8					9		7	
	3					2		5
		7			3		1	
9		2		8			6	

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.

Cyan Magenta Yellow Black

თქვენს შეფს ვთხოვე, მასესხე, მერე კი ამ საქმეში ჩემი წილიდან აინაზღაურებ-მეთქი, რაზეც დამცინავად ჩაიქირქილა და მითხრა, შენი კომპენსაციის ზომა არ ვიცი, ამიტომ საუდის არაბეთის ფოტოები მოგგყიდეო. სხვა რა გზა მქონდა? აი, ამიტომ ვარ აქ, ფოტოები რომ იყიდოთ“.

დალინგერი ისე ააღელვა თავისივე მონაყოლმა, რომ ერთიანად გაწითლდა.

— დაწყნარდით, ბატონო დალინგერ. მერე რა მოხდა?

— მივხვდი, ალტბაუერი რომ არ ცრუობდა, რადგან ჩემს შეფს კარგად ვიცნობ...

— ანუ?

— ანუ ის, რომ ფოტოები ვიყიდე, მერე კი ალტბაუერისთვის მათ უკან დაბრუნებას ვაპირებდი, — დალინგერი გაჩუმდა, მერე ქვედა ტუჩი გაილოკა და დაამატა, — ამიერიდან აღარც ალტბაუერის ფოტოები მჭირდება და აღარც თავად შემაწუხებს!

მეტცენდორფერი მიხვდა, დალინგერს რომ სათქმელი აღარაფერი ჰქონდა, ამიტომ უწყინარი ფრაზა ისროლა:

— ჰო, საინტერესო ისტორიაა.

— შეიძლება ითქვას, — დაეთანხმა დალინგერი.

— ბატონო დალინგერ, — თქვა ადვოკატმა მცირე პაუზის შემდეგ, — თქვენს შეფს ხომ არ გავესაუბრო? ცხადია, ჩვენს შეხვედრაზე კრინტს არ დავძრავ.

— აზრი არა აქვს, — მაშინვე მიუგო ფოტორედაქტორმა, — ინფორმაციის გაცემას ჟურნალისტები ყოველთვის უფრთხიან. ანდა მისგან ახალი რა უნდა გაიგოთ?

— თუნდაც ალტბაუერის პარტნიორების ვინაობა.

— მაგას საერთოდ არ გაგიმხელთ. ანდა ეს რას მოგცემთ? როგორც თქვით, ალტბაუერი ვინმე მარანმა მოკლა. სხვა ამბები რაში გაინტერესებთ?

საუბარი რომ გაგრძელებულიყო, მეტცენდორფერი შეეკითხა:

— თუ იცით, ალტბაუერს რა პროექტი ჰქონდა?

— მხოლოდ ის, რომ როგორღაც ერთხელ ჰაუზინგი ახსენა. ამ პროექტებში კი ჩვენ, ჟურნალისტები, საკმაოდ კარგად ვერკვევით. საუბარი აქ ამერიკელებისთვის განკუთვნილი ყაზარმების, აეროდრომებისა და ჰაუზინგების ანუ საცხოვრებლების მშენებლობას ეხება, რაც გასაგებია, რადგან ისინი, როგორც წესი, მთელი ოჯახებით ჩამოდიან. არსებითი კი ამგვარი დაკვეთის მიღებაა, თანაც მთავარი მენარდეს ანუ შემსრულებლის უფლებით!

მეტცენდორფერისათვის ეს პრაქტიკა ცნობილი იყო. როგორც ადვოკატი, ამგვარ ხელშეკრულებებს თავადაც ადგენდა. მთავარი მენარდე ფირმას აყალიბებდა, საიდანაც მერე სხვადასხვა შვილობილი ფირმები იჩეკებოდა, მერე იმათი შვილობილი და ა.შ. საბოლოოდ მოგება დიდი იყო, რომლის ლომის წილიც, მილიონებში გამოხატული, მთავარ შემსრულებელს რჩებოდა. მოკლედ, დიდი ფული ტრიალებდა.

— მერედა რა არის აქ განსაკუთრებული? — ყასიდად იკითხა ადვოკატმა.

— რას ჰქვია, რა! — დალინგერს სახეზე გაოცებული ღიმილი გამოეხატა, — ხალხი მდიდრდებოდა, განსაკუთრებით მთავარი მენარდე!

— და თქვენს შეფს მთავარ ფირმაში შეძრომა სურდა?

— ვფიქრობ, რომ კი, — ფრთხილად მიუგო დალინგერმა, — მაგრამ დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვი.

— მერე მშენებლობაში ერკვევა? — დაინტერესდა ადვოკატი.

— არა, — დაუფიქრებლად უპასუხა ფოტორედაქტორმა, — სამაგიეროდ, მინისტრს იცნობს კარგად!

ადეტცენდორფერი კანტორაში უპრობლემოდ დაბრუნდა: მისი მდივანი ქალი საქმეს ყოველთვის გულდასმით უძღვებოდა — მნიშვნელობა არ ჰქონდა, ადვოკატი ადგილზე იყო თუ არა.

იმავე დღის ბოლოს მეტცენდორფერი ნიურნბერგში გაემგზავრა ციხეში ვალტერის მოსანახულებლად.

ისინი ერთმანეთს პატარა ოთახში შეხვდნენ. ზედამხედველი წავიდა, მარანი კი ზღურბლზე გახევებული იდგა. ზეპი მეგობარს მიუახლოვდა, ხელი მკლავში გამოსდო და ხის ძველ სკამთან მიიყვანა:

— დაჯექი, ვალტერ, სალაპარაკო გვაქვს.

მარანი უხმოდ იჯდა, თვალებში კი უსაზღვრო შიში ჩასდგომოდა.

— ვალტერ, ვიცი, რომ ბევრი გალოდინე, მაგრამ ასე გამოვიდა. რაღაც ცნობებს ვაგროვებდი, შენთვის რომ გამომდგომოდა, მაგრამ... მოკლედ, შენ რომ ბრუმერუსისათვის გესროლა, ყველაფერი უფრო გარკვეული იქნებოდა. ახლა კი... ერთი სიტყვით, შენ გამო უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა...

— მორჩი, ზეპ! რაც მე ჩავიდინე, საშინელებაა.

— ალტბაუერის კვალს გავყევი, — თქვა მეტცენდორფერმა, — დღემდე გაურკვეველია, აგარაკზე როგორ მოხვდა, არადა, ამის ცოდნა შენს დაცვას გამიადვილებდა.

— ზეპ, დაცვა არ მინდა! ცუდია, სიკვდილით დასჯა რომ არ არსებობს! ვფიცავ, ეს ჩემთვის უკეთესი იქნებოდა, ვიდრე მთელი სიცოცხლე იმაზე ფიქრი, რომ... ზეპ, მე სულ მთლად ახალგაზრდა კაცი მოვკალი! გესმის, ეს რა საშინელებაა?!

— ამას აღარაფერი ეშველება... ახლა მომავალზე უნდა იფიქრო, მარგიტზე...

ვალტერს არაფერი უთქვამს. ფანჯრის მიღმა დალანდულ ხეს ისე გასცქეროდა, თითქოს ხსნას მისგან ელისო.

ზეპიც ჩუმად იყო. მის მეგობარს ციხე ელოდა, ხუთი ან რვაწლიანი პატიმრობა... მარგიტი? ის რას იზამდა? დაუცდიდა? ალბათ არა, ალბათ მიატოვებდა...

— ის ნახე? — მოესმა უცებ ვალტერის ხმა.

ცხადია, „ის“ მარგიტს ნიშნავდა.

— არა, — იცრუა ადვოკატმა.

— თუ ჩემი ძმა და მეგობარი ხარ, რაღაც უნდა შემისრულო, — ეს უკვე მუდარა იყო.

— მითხარი.

— მიდი და ანუგეშე, ოღონდ ფრთხილად, არაფერი დააძალო. მპირდები, ხომ? ხომ მიხვალ?

ის იყო, ზეპმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია, რომ გარედან ზედამხედველის ბოხი ხმა მოისმა:

— შეხვედრა დამთავრებულია!

ადეტცენდორფერმა თავისი შავი „მერსედესი“ შოსეს განაპირას დააყენა, მანქანიდან გადავიდა და გზა ფეხით გააგრძელა.

მარანების ვილა რაღაც უცნაურად ეჩვენა: ალაყაფის კარი ღია იყო, ქვედა დიდ ოთახში შუქი ენთო, ეზოს სიღრმეში კი... „ბორგვარდ იზაბელა“ შენიშნა.

ზეპი წინ წავიდა, განათებულ ფანჯარას მიუახლოვდა და ისე დადგა, ოთახიდან გამოსული ხმა რომ გაეგონა. კარგახანს არაფერი ესმოდა, მერე კი უცებ ბრუმერუსის ხმა გაიგონა. ის ჰაუზებით ლაპარაკობდა, თითქოს რაღაც საინტერესოს ყვებაო. მერე მარგიტის ხმაც მოესმა, თითქოს მოკლედ უპასუხაო. თავიდან ადვოკატს ეს სიტუაცია დაუჯერებლად ეჩვენა, მაგრამ მერე ძალიან ბუნებრივადაც ჩათვალა — თუ ადრე მარგიტი და ბრუმერუსი საყვარლები იყვნენ, მერე, ვალტერის ციხეში ყოფნის დროს, თავი რატომ უნდა შეეკავებინათ? მაგრამ რა უთხრას მეგობარს მომდევნო შეხვედრაზე? ვალტერი ასეთ ცოლს ისევ უფრთხილდებოდა და იქნებ უყვარდა კიდეც, მარგიტი კი... „არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ“, — გაახსენდა ანაზდად ფრაზა საიდანღაც, მგონი, შექსპირის.

უეცრად ბრუმერუსი დადუმდა და არც მარგიტს უპასუხია. იმის შიშით, რომ კარი გაიღებოდა და ვიღაცა გამოვიდოდა, ადვოკატი ფანჯარას მოსცილდა, ეზო გადაჭრა და ბუჩქს ამოეფარა. მერე გაახსენდა, შოსეზე მანქანა რომ ეყენა და მისი აქ ყოფნა შეუმჩნეველი არ დარჩებოდა, ამიტომ გადაწყვეტილება შეცვალა, პირდაპირ კარს მიაშურა და ზარი დარეკა.

კარი მაშინვე გაიღო.

წინკარი განათებული იყო. პალტოჩაცმული ბრუმერუსი სარკესთან იდგა, მარგიტ მარანი კი შეშინებული თვალებით ადვოკატს მისჩერებოდა.

— აი, სიურპრიზი! — მოესმა ამ უკანასკნელს ქალის ხმა, — არა, ახლა თქვენ ნამდვილად არ გელოდით! შემოდით, ბატონო მეტცენდორფერ, რაღას უდგახართ?

ბრუმერუსმა ადვოკატს გაუღიმა, პალტო გაიხადა და თქვა:

— რა პატარაა სამყარო. აი, ჩვენ შევხვდით ერთმანეთს!

მან მეტცენდორფერს ხელი გაუწოდა და მის საპასუხოდ გამოწვდილ ხელს მაგრად მოუჭირა.

— ახალი ამბები მოგვიტანეთ? — შეეკითხა ბრუმერუსი და დაამატა, — თუ საიდუმლო არ არის, მეც მოვისმენდი.

— არა, რა საიდუმლო! — თავი გააქნია ჯერ ისევ დაბნეულმა ადვოკატმა, — მგონი, ეს თქვენთვისაც საინტერესო იქნება.

ბრუმერუსმა ეტიკეტი გამოამზეურა (არადა, ისედაც ცხადი იყო, რომ რჩებოდა):

— მარგიტ, ნებას მრთავ?

ქალმა თავი დააქნია.

მეტცენდორფერი, როგორც იქნა, ოთახში შევიდა და ის სავარძელი დაიკავა, რომელშიც ადრე იჯდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

✓ თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი

Cyan Magenta Yellow Black

www.facebook.com/Tinatinbonney
თინათინ ბონი

ეიფორია

დასაწყისი №7-8

მესამე ნაწილი

ისევ ძიებაში

არანაირი გრუზი მუსიკა, მხოლოდ პოზიტიური, აქტიური ჯუზები. წიგნი მივაგდე, მაგიუებს, რომ ვკითხულობ და ამიტომაც დროებით ვერიდები. სამი კვირაა, ვეძებ სამსახურს და ჯერ არაფერი ჩანს. ენდის წერილზე არ უპასუხია, ეტყობა, ღირსად არ ჩამთვალა. ძალიანაც კარგი. გავუადვილე გადაწყვეტილების მიღება. შევდივარ Hr.com.ge-ზე და ვათვალიერებ ვაკანსიებს. არის ვაკანსიები მარკეტინგში, მაგრამ დამლაგებლის დონის. მე კიდევ ასეთი თანამდებობიდან ძალიან დაბალზე ვერ წავალ. შეიძლება ამხელა ხელფასი არ მომცენ, მაგრამ პოზიცია მაინც იყოს ღირსეული. აი, რაღაც საინტერესო — „მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსი“. კომპანიაGrazioso S.R.L. ვაგზავნი რეზიუმეს. რაც მოვალეობებში წერია, არ არის რაიმე რთული. აქაც განა მაწუხებს ვინმე, მშვიდად ვაკეთებ ჩემს საქმეს. ქაოსი ჩაწყნარდა. გადაღებები მიმდინარეობს. ამ თვის ბოლოს რომ ავიღებ ხელფასს, გადავდებ, დამჭირდება ალბათ. სანამ ახალ სამსახურს მოვერგები, ჯობია, ფული მედოს. კარზე კაკუნია და შემოდის ლიზა.

— ქალბატონო ლენა, თხოვნა მაქვს, — იმორცხვებს.

მორცხვობა არ ზის ლიზას ხასიათში. ნეტა რა უნდა?

— გისმენ, გენაცვალე, — ეს „გენაცვალე“ რაღაც ასაკოვანი ტერმინია და ამეკვიატა.

— გინეკოლოგთან გამყევით, რა.

ფართოდ ვახელ თვალებს. ონკოლოგთან ხომ არ მითხრა, ჯვარი სწერია!

— სად, სად?

— გინეკოლოგთან.

— და რაში გჭირდება გაყოლა?

— მარტო არ შემიძლია, მეშინია, — ლიზა სკამზე ჯდება და სახეზე ხელს იფარებს.

— რისი გეშინია? — ვერ ვნებდები, შოკირებული ვარ.

— ჩემი მამაკაცი ძალიან ნერვიულობს, რომ რამე მჭირს და უნდა, რომ შევმოწმდე, სანამ სიახლოვე გვექნება.

— და დაქალები არ გყავს? ან დედა? ან და?

— მყავს, ქალბატონო ლენა, მაგრამ თქვენ გამოცდილი ქალი ხართ და მინდოდა, მერე გვევახშმა და გვესაუბრა.

— რაზე გვესაუბრა? — ვერ ვიგებ, რა უნდა ჩემგან.

— მოკლედ, ჩემი მამაკაცი ასაკოვანია, როგორც თქვენ.

ნერწყვი მცდება და ხველას ვიწყებ.

— და ძალიან მინდა, რომ ამჯერად ყველაფერი სწორად გავაკეთო და გავთხოვდე.

— მერე მე რითი შემიძლია დაგეხმარო?

— ჩემი დაქალები ბავშვებად მიაჩნია და მინდა, რომ მისი დონის მეგობარი გავაცნო, ანუ თქვენ.

— და გინეკოლოგთან ამ ყველაფერს რა კავშირი აქვს?

— მეშინია გინეკოლოგების უბრალოდ.

ვუყურებ პირდაფჩენილი. ამას აკლია? მე მაკლია? ამის კაცს აკლია? გინეკოლოგს თუ მთელ მსოფლიოს?

— კარგი, ლიზა. წავიდეთ გინეკოლოგთან, მერე ყავა დავლიოთ და გამარკვიე ერთი, რა ხდება.

— გმადლობთ, ქალბატონო ლენა! ნეტა დედაჩემი იყოს თქვენნაირი!

ბედნიერი ლიზა მტოვებს. მე სარკეში ვიხედები. დედამისის თაობის ვარ ახლა მე? დედამისზე 10 წლით მაინც ვარ პატარა. რეკავს მობილური. ვპასუხობ.

— გისმენთ.

— ლენა დვალი?

— გახლავართ.

— „გრაციოსოდან“ გირეკავთ. თუ შეგიძლიათ მობრძანდეთ გასაუბრებაზე?

— თავისთავად. როდის?

— ახლავე.

— ახლავე? — რა არასერიოზულია!

— დიახ, ძალიან გვეჩქარება.

— კარგი, ვიქნები.

სწრაფად ვიწერ მისამართს. ვხსნი ინტერნეტის გვერდს და ძიებაში ვწერ „გრაციოსოს“. იტალიური კომპანიაა. სანდრო! სანდროსი იქნება და იმიტომაც დამირეკეს! აღარ წავალ! პირიქით, უნდა წავიდე! რატომ, რატომ, რატომ?

შევდივარ ოფისში. სალათისფერი ავეჯი, ყვითელი კედლები. სანდრო ასე დაბლა დაეცა? ან შეიძლება ნიას მიაბარა ოფისის დიზაინი. ნიას გემოვნებაში ნამდვილად ჯდება. მეგებება პუტკუნა გოგონა, ორი ნაწნავით და დიდი სათვალით. ხელს მართმევს და უეცრად მეხუტება.

— კეთილი იყოს თქვენი ფეხი აქა! — მეუბნება ლიზას სრული ანტიპოდი.

— მადლობა, — ვამბობ გაოცებული.

სანდროს რომ ასეთი მდივანი ჰყავდეს, არ არსებობს! ან მესიზმრება ეს ყველაფერი.

— მე გვანცაცო ვარ, — მეუბნება ღიმილით.

— სასიამოვნოა კიდევ ერთხელ.

— წამობრძანდით.

მორჩილად მივყვები გვანცაცოს. სადაც არ უნდა წამიყვანოს, მზად ვარ, მივენდო. შევდივართ დიდ ოთახში, სადაც წითელი ავეჯი დგას. კედლები წვრილ-ვარდისფერი ყვავილებითაა მოხატული. ჭერიდან დიდი განათება დამცქერის. მაკდონალდსია, კაცო, ეს?! გვანცაცო მტოვებს და უფრო დეტალურად ვათვალიერებ ინტერიერს. კედელზე ფოტოები კიდია, რომლებზეც ძალიან ნაცნობი სახეა. საიდან ვიცი ეს ქალი?

— ლენაااა! — მესმის ქალის ხმა და ვიღაცა უკნიდან მახტება ისე, რომ იღლიაში მაყოფინებს თავს და წრეზე მატრიალებს. ნეტა ვიცოდე, ვის ნატურალურ ოხშივარს შევისუნთქავ ახლა, თანაც რა ჯანიანია. ძლივს მიშვებს ხელს და ტრიალ-ტრიალით ვეყუდები კედელს. ვცდილობ, თვალის ფოკუსი გავასწორო.

— ჩემი გოგო, როგორ მომენატრე!

ეს სიტყვები მაფხიზლებს და ახლა კი ვცნობ დოდოს. დოდო „ვითომ ექიმის“ კომპანიაში ვარ. როდის ასწრებს ეს ხალხი ამ ყველაფერს ან როგორ?

— დოდო, როგორ გამიხარდა, — ვეუბნები და ყბის კუნთებს ვწელავ.

ღიმილი ნაღდად არ ჰქვია ამას. დოდოს თმა მაჰიპნოზებს. ბადრიჯნისფერი, ქერა მელირებით და უზარმაზარი ნაჩოსით.

— დაჯექი, გოგო.

ვსხდებით და კმაყოფილი დოდო ფურცლებს მილაგებს წინ. ვუყურებ და პირველივე, თვალში რაც მხვდება, არის წარწერა: „კონტრაქტი“.

— ეს რა არის?

— შენი კონტრაკი, — კონტრაკი თქვა თუ მომესმა?

— და გასაუბრება? ან პირობები?

— რად მინდა გასაუბრება? გკითხო ახლა, 5 წელიწადში რას აპირებ თუ რაცხა ტესტები გიტარო? რად მინდა? ოქრო რო ხარ, ვიცი!

— პირობები მაინც მითხარი, — მეღიმება, გაოცებისგან თუ შოკისგან, არ ვიცი.

— ეს კომპანია ყიდის სამკაულებსა და შენ მჭირდები, რომ მოვიგონოთ რამე ახალი.

— დოდო, მე ახლა ვმუშაობ და ნებას თუ დამრთავ, გავეცნობი კონტრაქტს და დაგირეკავ.

— არ გაწელო, იცოდე! შენი გვარი რომ დავინახე, იმ წამსვე მივხვდი, რომ ეს ბედია.

— მადლობა, დოდო.

— გენაცვალე შენ!

ვდგები და დოდო მაცილებს. დიდი ჩახუტებების შემდეგ ვაჩერებ ტაქსს და მივდივარ სახლში. კონტრაქტის პირობები საკმაოდ კარგია. ხელფასი ნაკლებია, მაგრამ მაინც საკმაოდ მაღალი. თანაც რაღაც სიახლე იქნება და, ჯანდაბას, გავუძლებ დოდოს. სახლში რომ მივალ, გავხსნი ელფოსტას და თუ ენდის რამე ექნება მოწერილი, ნებისმიერი რამე, თუნდაც სამსახურებრივი, არ გადავალ დოდოსთან, მაგრამ თუ არა, ხვალვე დავწერ განცხადებას და დავიწყებ გადაბარგებას.

შევდივარ სახლში. ვაგდებ ჩანთას იატაკზე. ვესიყვარულები ცანცარა ზოსიკოს და ვრთავ კომპიუტერს. როგორი მოუთმენელი ვარ. არადა მუდმივად რაღაცას ველოდები. ასე აღარ შეიძლება. თუ გადავწყვიტე, უნდა გავუშვა. კომპიუტერი ეკიდება და მიწევს მისი გადატვირთვა. ყველაფერი ჩემ წინააღმდეგაა. ძლივს ვხსნი ფოსტას. მხოლოდ ლიზას წერილია. მითანხმდება, რომ ხვალ 2 საათზე შესვენებაზე გავიდეთ გინეკოლოგთან. ვწერ მოკლე პასუხს თანხმობის დასტურით. ვხსნი ინტერნეტის გვერდს და ვუთითებ ენდრიუ

Cyan Magenta Yellow Black

დევინსის ფოტოს. პირველივე ვარდება მისი და ნეკას ფოტო. თავბრუ მეხვევა. ღრმად ვისუნთქავ. ხომ ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა? თუ მინდა მასთან მეგობრობა მაინც, სამსახურიდან უნდა წავიდე. ასე კი, ოდესმე რომ გადავეყრებით, გვექნება მეგობრული მისალმების საბაბი. რომ დავრჩე, ნეკა არ გამახარებს. რა საყვარელია, ღმერთო! და მის გვერდით სხვა ქალი დგას, მისი შვილით ორსული. ვხურავ გვერდს და ვთიშავ კომპიუტერს. ვიღებ დოდოს ხელშეკრულებას და ვაწერ ხელს.

სამსახურში ვარ. განცხადება დავწერე. ბატონი ჰამლეტი გამინაწყენდა. მზიამ ცრემლისებრი სითხეც კი დაღვარა. ლიზამ გადაამოწმა, ხელს ხომ არ შეუშლის ეს მის გეგმებს. საბოლოოდ გადაწყდა, რომ დროებით ჩამანაცვლებს ადგილობრივი თანამშრომელი და მერე გაერკვევიან, რას იზამენ. ნორმალური ადამიანი ამ სამუშაოზე უარს არ იტყოდა, მაგრამ არ ვარ მე ნორმალური. ძალიან მაინტერესებს, რა რეაქცია ექნება ენდის, ჩემს ამბავს რომ გაიგებს. საშკას უნდა ვთხოვო, რომ ყურადღებით იყოს.

გინეკოლოგის დროა. მე და ლიზა ვდგავართ რიგში. ლიზა ცქმუტავს. ეტყობა, მართლა ეშინია. ჩვენი რიგიც დგება. ლიზა შედის და მე ვდგავარ.

— არ მოდიხარ? — ოთახიდან ყოფს თავს.

— შიგნით შემოვიდე?

— აბა, რა.

შევდივარ და ვჯდები კუთხეში, სკამზე.

— თქვენ დედა ხართ? — მეკითხება ექთანი.

— არა! — ვცრი კბილებში.

— დეიდა?

— არა!

— და? — გაოცებით მეკითხება ექთანი.

სარკეში რომ ვიხედები, კარგი, ახალგაზრდა გოგო ვარ. ჩემს კაცებს რომ გადახედო, არა მიშავს მართლაც და ეს ქალი ბრმაა?

— მეგობარი გახლავართ, — ვპასუხობ მშვიდად.

— დაოჯახებული?

— არა, — მე რას მეკითხება?

— სექსუალური პარტნიორი გყავთ?

— მე რატომ მეკითხებით?

— გოგონას შემდეგ არ გაესინჯებით?

— არა, გმადლობთ.

— არ გაწყენდათ.

— ეს როგორ გავიგო?

— სარკე მომაწოდეთ, — საუბარში ერთვება გინეკოლოგი და ექთანი თავს მანებებს.

გამიშვით აქედან, გამიშვით! რატომ არ დავიბადე კაცად? როგორი მარტივი იქნებოდა ცხოვრება! დამდგარი მოვშარდავდი, უთვალავი საყვარელი მეყოლებოდა, თუ შევსუქდებოდი, კარგი ცხოვრების ნიშნად ჩამითვლიდნენ. ეჰ!

შევდივართ კაფეში. ძალიან მომშიებია. ლიზა სალათს იღებს, მე კი ღვეზელს და შოკოლადის კრუასანს.

— ლენა, ძალიან არასწორად იკვებები, — მეუბნება და ამაყად ღეჭავს სალათის ფოთოლს.

სრული უფლება და სურვილი მაქვს, რომ შემოვარტყა. ეს ჭიაყელა მე მარიგებს ჭკუას. რა დრო დამიდგა! ვაიგნორებ მის კომენტარს და განვაგრძობ ჭამას.

— ლეა, ძლივს დაგინახეთ!

ვტრიალდები ხმის გამომცემი მამაკაცისკენ. ლენა უნდოდა, ეთქვა? თუმცა არ ვიცნობ. მამაკაცი გაბადრული სახით გვიახლოვდება და ლიზა კოცნის.

— სალამი, მეგობარო, გენო გახლავართ, — მამაკაცი ხელს მართმევს.

— ლენა, სასიამოვნოა, — ვამბობ და ვცდილობ, წარბი გავხსნა.

— როგორ ხარ, ჩემო პრინცესა? — გენო ლიზას ტუჩებში კოცნის.

მეგობრული „ჩმოკი“ გადაიზრდება კუჭის წვენის დრენაჟის პროცესში. ვზივარ და ვუყურებ მოჭმუხნული სახით. ძლივს კმაყოფილდებიან ერთმანეთით და ჰაერს ისუნთქავენ.

— მოგვიტევეთ, მეგობარო, — მეუბნება გენო, რომელიც, მგონი, მარსიდანაა.

მხოლოდ ახლა ვამჩნევ, რამხელა თვალები აქვს. მომცრო ულვაში კი საოცრად სასაცილო გამომეტყველებას აძლევს მის სახეს.

— ლეას რომ ვხედავ, თავს ვერ ვიკავებ.

— ლეას? — ლეა ვიღაა?

— ლეას მეძახის, — მიხსნის ლიზა.

— და რატომ?

— პრინცესა ლეას თაყვანისმცემელია ვარსკვლავური ომებიდან.

— ბავშვობიდან მიყვარდა. ახლაც კი, როდესაც ვკავდებით...

— დეტალები არ არის საჭირო! — ვაწყვეტინებ გენოს.

ვერ გავუძლებ მე ახლა იმის აღწერას, თუ როგორ იცვამენ ვარსკვლავური ომების კოსტიუმებს და კავდებიან ვარსკვლავური სექსით. ამის გაფიქრებაზე ისევ ვიმანჭები, თუმცა გენოსთვის სულ ერთია, ახლა ლიზას.. უკაცრავად! ლეას კისერს ყნოსავს.

— რას საქმიანობთ, გენო? — ვეკითხები, რათა ზრდასრული დიალოგი დავიწყო.

ერიკ ბირნი მახსენდება. ესენი ახლა ბავშვებივით არიან, ასე რომ, მე მშობელივით უნდა მოვიქცე, რათა ჩვენი საუბარი ზრდასრულ მდგომარეობაში გადავიყვანო.

— ცოტას იმას, ცოტას ამას, — გენო ლიზას ყურით არის დაკავებული. ცდილობს, ენა შეუყოს.

ყველა გიჟი მე მხვდება! ეს უკვე ფაქტია. მესმის, სახლში ვიყოთ ან ღამის კლუბში, მაგრამ საოჯახო კაფეში რატომ უნდა გალოკო ვინმეს ყური? ლიზა არ ფიქრობს, რომ შეეწინააღმდეგოს. მშვიდად წრუპავს ყავას. მე აქ ამ კაცის გასაცნობად დამიძახეს თუ ლაივ ლორნოს საყურებლად?! გული მერევა!

— გენო, მადლობელი დაგრჩებით, თუ თქვენს ენას გამოიღებთ ლიზას ყურიდან! — ვამბობ მკაცრად და თვალებს ვპრაწავ გაოცებისგან. მეგონა, რომ გავიფიქრე ეს წინადადება და რანაირად ამომიხტა პირიდან?

— მომიტევეთ, მეგობარო, — გენო სკამზე სწორდება.

— გმადლობთ.

— გაამოთ.

ჰა? ამ კაცს აკლია. მაგრამ რადგან ლიზა მისით არის დაინტერესებული, ესე იგი, ფინანსურად კარგადაა. რადგან კიდევ ნახევარი საათი უნდა გავძლო აქ, ჩავეძიები მაინც.

— უფრო დეტალურად თუ მომიყვებით, რას საქმიანობთ?

— ჩემი სექს შოპი მაქვს.

— საქართველოში არის მასეთი? — მართლაც მიკვირს. ადრე იყო ერთი აღმაშენებელზე და დაუჩეჩქვეს ფანჯრები.

— კი, რამდენიმე. ჩემი გლდანშია.

— სად, სად?

— დიახ, გლდანში, ბებიაჩემის სარდაფში.

— და რომელი პროდუქტი იყიდება ყველაზე აქტიურად?

— გასაბერ ქალებზეა წყვეტა.

— რას მელაპარაკებით!

ვფიქრობ, შევწყვიტო ეს საუბარი, თემა შევცვალო თუ ვესროლო თვალში ჩემი ღვეზელის ნარჩენი და გავიქცე. იდეა მებადება, ნეტა მათრახი და ხელბორკილები აქვთ? ვიცი, ვიცი, „50 Shades of grey“-ს გავლენაა და სულაც არ ვაპირებ, ვინმეს გავამათრახებინო თავი. მაინტერესებს, ყიდიან თუ არა და რა ვქნა?

— ხელბორკილებს და მათრახებსაც ყიდით? — ვეკითხები, ვითომც არაფერი.

— კი, გენაცვალე, რამდენსაც გნებავთ, — გენო ჯიბეში ხელს იყოფს, — სავიზიტო ბარათს მოგართმევთ.

ვართმევ ბარათს და ვკითხულობ წარწერას: „გენოს ეროტომარკეტი“. სახელიც ისეთივე აქვს, როგორიც ულვაში.

შევდივარ სახლში. „ანტრედან“ სამსახურამდე ლიზამ შემჭამა. ასჯერ მათქმევინა, როგორი კარგია გენო. მერე მეხუტა და მკოცნა, რომ კარგი შთაბეჭდილება მოვახდინე მასზე.

გადაბარება ჯერ არ დამიწყია. იმედია, ხვალ დავიწყებ. დოდოსთვისაც არ დამირეკავს. ნეტა რას ველოდები? ხომ ვიცი, რომ ყველაფერი დამთავრდა. ვიხდი ზედას და ლიფით ვჯდები კომპიუტერთან. ვიფიცებ ჩემს მომავალზე და წარმატებაზე, რომ თუ ახლაც არაფერია ენდისგან, ვურეკავ დოდოს. საშკამ მითხრა, შეტყობინება გაუგზავნეს და თანხმობა მოიწერაო. თუ ფიქრობს რამეს, უნდა მომწეროს. გულის კანკალით ვქოქავ ფოსტას. არაფერი. ასეც ვიცოდი.

მორჩა! მე არაფერს აღარ ველოდები.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

Cyan Magenta Yellow Black

ლელა ცუცქირიძე

პოტოკვანი

— ადექი, გაიღვიძე, გათენდა უკვე! — დედის ხმამ გააღვიძა მარიკო.

დედა ზუსტად შვიდ საათზე აღვიძებდა, არც ერთი წუთით ადრე, არც ერთი წუთით გვიან.

— მაღვიძარა ხარ თუ დედა? — აბუზღუნდა მარიკო და თავზე საბანი წაიფარა, — კიდევ კარგი, შაბათ-კვირას მაინც მინდობ.

— კი, ბატონო, თუ გინდა, ხვალ დილამდე იძინე, — ჩაესმა, — მე რა? შენ შეგექმნება პრობლემები სამსახურში.

სამსახური! სულ არ გახსენებია, ჯერ ისევ სანახევროდ ჭრელ სიზმრებს ხედავდა, ფარდაგივით გაშლილს, გადაფენილს სიზმარ-ცხადის ღობეზე და სამსახური აღარც გახსენებია. არადა, ისეთ ადგილზე მუშაობს, ძალიან მოსწონს იქაურობა და ძილსა და ფერად სიზმრებზე ნამდვილად ვერ გაცვლის, შავ-თეთრ სიზმრებზე ხომ — მით უმეტეს.

— მარიკო, ადექი, გამოფხიზლდი! — შეუძახა საკუთარ თავს, — ისწავლე ჭკუა და შუაღამემდე კი არ იჯდე ლეპტოპით, დაიძინე, დილით ადგომა რომ თავისუფლად შეძლო, საღ გონებაზე, ჯანსაღად, საათივით მომართულმა...

თავისი ბავშვობის გუგულიანი საათი გაახსენდა. გუგული დიდი ხანია, თავის პატარა ბინაშია შეკეტილი. „გაბუტულია, ერთი ევრორემონტი უნდა გავუკეთო, იქნებ შემირიგდეს“, — გაეღიმა. თუმცა რა, გუგულის ფუნქციები დედამ შეითავსა გადასარევად. დედა ის მაღვიძარაა, რომ ვერ გააჩუმებ, თუნდაც სხვა ოთახში იყოს, გამუდმებით რეკავს:

— ადექი, მარიკო, მოწესრიგდი, სამსახურში არ დაგაგვიანდეს.

ერთი, ორი და საა-მი... ჯერ ერთი ხელი ამოვიდა საბნიდან ყვავილის ღერივით, მერე მეორე, მერე ყვავილიც გაიშალა — აჩეჩილი თმით.

— შემოგევლოს დედიკო, ჩემო ლამაზუკ! — შაქრის კრისტალები გაუწკარუნდა დედას ხმაში, შვილს თვალი ვეღარ მოსწყვიტა.

„ყველა დედა ერთნაირია, მათ შორის ყვავიც, თავისი ბახალა ყველაზე ლამაზი ჰგონია“, — გაიფიქრა მარიკომ, გაეღიმა, უკვე კარგ ხასიათზე იყო.

— საუზმეს გაგიმზადებ.

დედა სამზარეულოში გავიდა, მარიკო — აბაზანაში. მოწესრიგდა და სარკეში ჩაიხედა: „მგონი, მართლა ლამაზი ვარ, ყოველ შემთხვევაში, სიმპათიური ნამდვილად. არა, რა სიმპათური, ლამაზი, ლა-მაზი!“, — შეუძახა თავს. დიახაც, აბა, როგორ! ყველა ასე ეუბნება.

— ულამაზესი ხარ, — ეფერება გასათხოვარი მამიდა.

— ჩემი ყველაზე ლამაზი გოგო, — ეფერება გასათხოვარი დეიდა.

ასე, რიგრიგობით შეჰხარიან მამაც, ბებიაც, ბაბუაც, დედაზე რომ აღარაფერი ვთქვათ და მისთვის არავინ ემეტებათ ქვეყნად.

— ესენი დამტოვებენ გასათხოვარს, გენშიც მაქვს და... — გაეცინა მარიკოს და სამზარეულოში შევიდა.

— დღეს ბევრი საქმე გაქვს? — ჰკითხა დედამ, ჩაი დაუსხა.

— მმ... რა გემრიელი ჩანს, — მარიკომ კექსი ჩამოიჭრა, — ისე რა, ტრენინგზე უნდა მოვიდნენ. რა იყო, რამე გინდოდა?

— მე არა, მამიდაშენმა მთხოვა, აუცილებლად გამოვიდესო.

— არ ვიცი, დე, თუ მოვასწარი, გავუვლი, აბა, რას ვიზამ.

— იქნებ მოასწრო, დედიკო, ა?

— რა ხდება, ხომ არ თხოვდება? მაგ დღეს ხომ არ ვესწრებით? — გაეცინა მარიკოს, წამოდგა, წასასვლელად მოემზადა.

— თხოვდება თუ არა, არ ვიცი, მაგრამ რაღაცას გეტყვი საიდუმლოდ, — დედამ საძინებლისკენ გაიხედა, მარიკოს ანიშნა, არ მინდა, მამაშენმა გაიგოსო, მერე ჩუმად უთხრა, — ერთი კაცი გამოჩნდა, თავს ევლება, რომ იტყვიან, მაგრამ, მგონი, ნანას მაინცდამაინც არ მოსწონს.

— არ გამაგიჟო! — მარიკო კართან შეჩერდა, — აბა, მითხარი ახლა ჩქარა, ვინ არის? რატომ არ მოსწონს ნანას?

— აი, ეგ თავად ჰკითხე, მე რა ვიცი, — მხრები აიჩეჩა დედამ, — ასეთი წუნია რომ არ ყოფილიყო, აქამდე ვინ დატოვებდა გაუთხოვარს? იცი, რა ლამაზი გოგო იყო? ყველას გვჯობდა კურსზე.

— რძალიც ამას ჰქვია, — გაუცინა მარიკომ, — მულზე სხვა ვინ იტყოდა ასე?

— ფაქტია, რომ ყველა ბიჭი ნანას დასდევდა კუდში, ტყუილს ნამდვილად ვერ ვიტყვი.

— მეც ასე არ ვარ? — სარკეში ჩაიხედა მარიკომ, — ყველა კუდში დამდევს.

— შენ მამიდაშენის ასლი ხარ და, აბა, რა იქნება, ჩემო ლამაზო და ღუღუნა, ოღონდ გასათხოვრობაში არ დაემსგავსო და... — გაუცინა დედამ, მერე ხელი მსუბუქად ჰკრა, — წადი ახლა, დაგაგვიანდება და ეცადე, გაიარო ნანასთან. ხო, ხვალ დეიდაშენთან იქნები მისასვლელი, იმანაც დაგიბარა.

— რა ხდება, რა ამბავია! — მარიკოს სიცილი აუტყდა, — ახლა თუ იაკოც გაგვითხოვდა, ესე იგი, ჩემი რიგიც მოვა ბოლოს და ბოლოს.

— მაგათ თუ დაელოდები, შეიძლება რიგმა საერთოდ არ მოგიწიოს, — იმედი გადაუწურა დედამ.

აი, დარდი, რიგი თუ არ მოუწევს. უდარდელად ჩაირბინა კიბეები. ჯერ მზად მაინც არაა სიყვარულისთვის, არც სცალია, გამუდმებით სამსახურზე ფიქრობს, სემინარებს ადგენს, ტრენინგებისთვის მასალებს ამზადებს... სიყვარულზე ნანამ იფიქროს — მამიდამ. და დეიდამ კიდევ, იაკომ. ერთი ქალაქის ერთ კუთხეში დნება და ილევა, მეორე — ქალაქის მეორე კუთხეში. ნეტავ ამ კაცებს თვალები სად აქვთ საერთოდ? შეიძლება ნანა ან იაკო არ მოგწონდეს?! შეიძლება ასეთი ქალები ვერ შეამჩნიო?! რას ეძებენ, ვის ეძებენ ამისთანას...

მართალია, ჯერ კიდევ არის იმედი, რომ ვინმე აღმოაჩენს და შეამჩნევს, მაგრამ, ეჰ, აბა, როდის იქნება ეს? ისე, თავადაც დიდი პრეტენზიები აქვთ, ხან ფეხსაცმელი არ მოსწონთ, ხან — ღიმილი, ხან — საუბარი... რა დროს ესაა, გავიდა ცხოვრება ამასობაში, უშვილოდ, უოჯახოდ, უაზროდ.

მარიკომ ფრთხილად გაიყვანა მანქანა ეზოდან. ამ მანქანას რამე რომ მოუვიდეს, იაკო გაგიჟდება, მისი საჩუქარია.

— არა, რატომ გათხოვდება, — ხმამაღლა ჩაილაპარაკა მარიკომ, — თავისი ცხოვრება შვეიცარიული საათივით აქვს აწყობილი, ბინა, საქმე, შემოსავალი... თუ უნდა, საყვარელს გაიჩენს, ვინაა დამშლელი? გაიჩინოს, კი, ბატონო, ოღონდ ერთი ბავშვის გაჩენა მოასწროს და... აბა, სად აქვს იაკოს ქმრის დრო და ნერვები: სადილები უმზადე, მოუარე, გაუცინე, მოეფერე, იმის პრეტენზიები აიტანე, სახლში დაუჯექი, აუცილებლად დაელოდე, როდის მოვა, ფანჯარას არ მოშორდე, თუნდაც დილამდე იქ დგომა მოგიწიოს, ნასვამი მოვა და აიტანე... ჰმ, იაკოს კი არა, ამას რომ წარმოვიდგენ, მეც აღარ მინდა გათხოვება. და აბა სიყვარული?!

მარიკომ ამოიოხრა. ერთხელ უყვარდა, ისე უყვარდა... აი, იმას სადილებსაც გაუკეთებდა, მოეფერებოდა კიდეც, მთელი ღამეც დაელოდებოდა, მთელი ცხოვრება! ოღონდ ყოფილიყო, მის გვერდით ყოფილიყო.

ის კი კურსარეული გემივით დადიოდა, ხან რომელ აისბერგს შეეჩეხებოდა, ხან რომელ მეჩეჩზე გაირიყებოდა და მარიკოს — შუქურასავით რომ ანათებდა მისი დანახვისას, ზედაც არ უყურებდა.

„არადა, ლამაზი ხარო, — ამოიოხრა მარიკომ, — აბა, რატომ ვერ მამჩნევდა, რატომ? ხომ შეიძლებოდა, შევემჩნიე?“. თვალთახედვიდანაც გაქრა, თითქოს იმ ქალაქში არც ცხოვრობდა. ეტყობა, ძალიან შორს გაცურა, ალბათ რომელიმე ბერმუდის სამკუთხედივით იდუმალმა ქალმა ჩაიკარგა მხურვალე სხეულში. რაც იმ პერიოდში მარიკო ცრემლებს ღვრიდა... ძირითადად, ნანასთან ან იაკოსთან.

— შენ რომ ბიჭი ვერ შეგამჩნევს, ის ბიჭი შენი ღირსი არაა, — ეუბნებოდა ნანა და ერთადერთ ძმისშვილს, შვილივით ნაფერებს, თავზე ევლებოდა.

— შენც ხომ ვერ შეგამჩნიეს, — ცრემლებს ყლაპავდა მარიკო.

— ჰოდა, ვინც ვერ შემამჩნია, ისინიც იმ ცოლების ღირსები იყვნენ, როგორებიც ჰყავთ, — ეუბნებოდა ნანა.

ცალკე იაკო დაქროდა ოთახიდან ოთახში ქარიშხალივით:

— არა, შენც კარგი ვინმე ხარ! — ჩამოუქროლებდა.

— კი მაგრამ, მიგეხვედრებინა ის ბიჭი, გეგრძნობინებინა, რომ მოგწონდა, — აუქროლებდა.

Cyan Magenta Yellow Black



— იქნებ ვერც გიბედავდა რამის თქმას, ა? — ცოტა ხნით ჩადგებოდა.

— შენ რატომ არ აგრძნობინებდი არავიის... — იაკოსთანაც ცრემლებს იწმენდდა მარიკო.

— მეე?! — ოთახში ქარბორბალასავით ტრიალს იწყებდა იაკო, — ეგღა მაკლდა, ვინმეს ის ეგრძნო, რომ მომწონდა!

„მე მგონი, ნანას და იაკოს გზას ვიმეორებ. დედაჩემს მაინც დავმსგავსებოდი. გაიცნო თუ არა მამა, ორ კვირაში ცოლად გაჰყვა და დღემდე ისე უყვართ ერთმანეთი, მე ვინ ვარ, ვის დავკარგვივარ“.

სამსახურში დრო ისე გავიდა, ვერც გაიგო, ნანამ რომ დაურეკა, უკვე გამოსვლას აპირებდა.

— მოდიხარ ხომ ჩემთან?

— ხვალ რომ იყოს? — დაეზარა მამიდასთან გასვლა მარიკოს.

— რას ჰქვია, ხვალ იყოს?! — ეწყინა ნანას, — იქნებ რა საქმე მაქვს, გამოდი და ხვალ აქედან წადი სამსახურში.

— კარგი, ხო, მოვდივარ. წამოვიღო რამე? — მარიკომ მანქანა დაძრა.

— არა, სიხარულო, კარგ სასუსნავებს დაგახვედრებ, გელოდები.

მარიკო მამიდასთან შესვლისთანავე სამზარეულოში შევიდა, მაცივარი გამოაღო:

— მაჭამე რამე, თორემ შენ შეგჭამ. იმდენი საქმე მქონდა, ლუკმის ჩადება ვერ მოვასწარი პირში.

— ვაიმე, მე მოგიკვდი შენ! — შეიცხადა ნანამ, მაშინვე დაფაცურდა, სუფრა გაუშალა, — ჭამე, მამიდა, მერე ნამცხვარიც დააყოლე, არაჩვეულებრივი გამომივიდა. შენ რომ გიყვარს, ზუსტად ისაა.

— ნან, რა ხდება შენკენ? — გამომცდელად ჰკითხა მარიკომ, უკვე დანაყრებული იყო, ლაპარაკი შეეძლო.

— აჰ, გითხრა უკვე დედაშენმა? — ნანამ სიგარეტს მოუკიდა, — რა ვიცი, ამ დროს ისეთი არაფერი. ერთი მამაკაცი გამოჩნდა, მიჭირს ზოგადად მამაკაცებზე ამის თქმა, მაგრამ არაჩვეულებრივი პიროვნებაა. თბილი, ყურადღებიანი, სიმპათიური, განათლებული, იურისტი, არ სვამს, არ ეწევა...

— იმედია, ქალებში დადის, — შეშფოთდა მარიკო.

— ანუ ცისფერი ხომ არაა? ვაიმე, რა გითხრა, არა მგონია. ღმერთო, რა დრო დადგა, მამაკაცის დახასიათებაზე რომ მიდგება საქმე და აუცილებლად უნდა მიაყოლო, ცისფერია თუ, დავუშვათ, მწვანე, — შეიცხადასავით და გააგრძელა, — ცოლს დიდი ხნის გაშორებულია, ყველა თემაზე შეუძლია საუბარი...

— მერე, რაღას უყურებ, დროზე გაჰყევი, ეგეთი ან აქამდე როგორ დატოვეს თავისუფალი? — სწრაფად გადაწყვიტა საკითხი მარიკომ.

— რას ჰქვია, რას ვუყურებ?! ჯერ კარგად უნდა გავიცნო, დავფიქრდე, ღირს თუ არ ღირს...

— ეტყობა, მართლა სერიოზულადაა საქმე, — გაეღიმა მარიკოს, — ასე რომ არა, არც მეტყოდი.

— და როდის იყო, რამეს გიმალავდი? — ეწყინა ნანას, — ახლა უნდა მოვიდეს და სწორედ შენ მინდა, შეხედო. პატარა, მაგრამ ჩვენი ჭკვიანი და დინჯი გოგო ხარ, აბა, რას მეტყვი მერე, მაინტერესებს.

— აი, თურმე რა. ჰალსტუხის ფერს და ფეხსაცმელებს ყურადღება არ მივაქციო ხომ? — ნანას შეფასების კრიტერიუმს გადასწვდა მარიკო.

— არა, არა, საკმაოდ დახვეწილად აცვია, წუნს ვერ უპოვი, — გაეცინა ნანას.

წუნი მართლაც ვერ უპოვა. საკმაოდ კონტაქტური, წესიერი კაცის შთაბეჭდილება დატოვა კოტემ. რაც მთავარია, ნანას ისე შესციცინებდა თვალებში, მარიკომ უკვე იმაზე დაიწყო ფიქრი, ქორწილის დღეს როგორი კაბა შეერჩია თავისთვის.

დადებითი ემოცია მეორე დღესაც გაჰყვა. ერთი სული ჰქონდა, თავისი შთაბეჭდილებები ვინმესთვის გაეზიარებინა. ხუმრობა ხომ არ იყო, ბალზაკის ასაკს კარგად გადაცილებულ მამიდას ათხოვებდა!

ჰოდა, რადგანაც იაკოსთან იყო მისული, იქ ჩამოიცალა ემოციებისგან:

— იცი, რა კარგი კაცია? ყურადღებიანი, თბილი, სიმპათიური, ასეთი მამაკაცები დღეს უცოლოდ თუ არიან, აღარც მჯერა. რაღაც მომენტში ცოტა დავეჭვდი კიდეც, იმდენად დადებითი ტიპია, რატომ არის უცოლოდ... მაგრამ გიტარა რომ აიღო და იმღერა, ყველა ეჭვი, ფა-ფუ, თავისით გაქრა.

— რა დამთხვევაა! — წამოიძახა იაკომ.

— რა დამთხვევა? — გაუკვირდა მარიკოს, — ახლა არ მითხრა, ვთხოვდებიო, თორემ ამდენ სიხარულს ვერ გადავიტან.

— რა გათხოვება, რა სისულელეა, — ცხვირი აიბზუა იაკომ, — ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ნამდვილად არ მინდა. უბრალოდ ჩემკენაც გამოჩნდა ერთი სიმპათიური მამაკაცი და მოსვენებას აღარ მაძლევს.

— არ არსებობს! — წამოიძახა მარიკომ, — ვაიმე, აქეთ დეიდა, იქით მამიდა, შუაში კი მე, ასეთი ნორჩი და ეული. იმედია, ჩვენი დიდი ოჯახის ერთადერთ ახალგაზრდა წევრსაც თქვენს წყალს გადმოასხამთ.

სწორედ ამ დროს დარეკეს ზარი, ის არისო, იაკომ ანიშნა მარიკოს და კარი გააღო.

მარიკოს სახე არ შეცვლია, გაღიმებული დარჩა: „მგონი, გაორება დამეწყო, ან დეუა ვუ, ან... დამთხვევა და ასეთი?! როგორც ჩანს, დადის და არჩევს საუკეთესო ვარიანტს, ან სულაც ორ კურდღელს დასდევს ერთდროულად“...

კართან კოტე იდგა, ისეთივე თაიგული ეჭირა, როგორიც გუშინ ნანას მიართვა. დღეს იაკოს დღე ჰქონდა.

ეს იცოდით?

❖ მას შემდეგ, რაც ჯონ ლენონმა გამოაცხადა, რომ „ბითლზი“ უფრო პოპულარული იყო, ვიდრე იესო, ჯგუფის რეიტინგი საგრძნობლად დაეცა.

❖ ები როუდზე გადაღებულ „ბითლზის“ სურათში, სადაც მომღერლები ქუჩას კვეთენ, პოლ მაკარტნის ფეხსაცმელი არ აცვია. ის გადაღების დროს სანდლებით იყო და გადაწყვიტა, რომ ქუჩის გადაკვეთისას ისინი არ უნდა ცმოდა.

❖ ინდოელმა მეცნიერებმა მსოფლიოში პირველებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ დედამიწას სფეროს ფორმა აქვს და თავისი ღერძის გარშემო ბრუნავს.

❖ თამბაქო შეიცავს ნიკოტინს. 2 მგ ნიკოტინი უკვე ადამიანს კლავს. მას სახელი ეწოდა ფრანგი დიპლომატის, ჟორჟ ნიკოს პატივსაცემად, რომელმაც 1500 წელს პირველმა შეიტანა თამბაქო ევროპაში.

❖ სპარსეთის მრისხანე მეფე ქსერქსე, რომელმაც მიწასთან გაასწორა ბაბილონი და სხვა უამრავი ქალაქი, ხარხარის დროს დაიღუპა.

❖ მე-11 საუკუნეში რომის პაპად 11 წლის ბენედიქტ IX აკურთხეს.

❖ ტუტანხამონი 10 წლის ასაკში გამეფდა.

❖ პარლამენტი პირველად მსოფლიოში 1265 წელს ინგლისში შეიქმნა. საქართველოში მისი შექმნის ცდა 1185 წელს იყო (ყუთლუ არსლანის მეთაურობით).

❖ კაბადოკია სპარსულად ლამაზი ცხენების ქვეყანას ნიშნავს.

❖ იყო დრო, როცა შავი ზღვა და კასპიის ზღვა ერთმანეთთან კუმამანიჩის სრუტით იყო დაკავშირებული.

❖ ასურეთი დღევანდელი სირიის ტერიტორიაზე მდებარეობდა.

❖ სტამბული ერთადერთი ქალაქია მსოფლიოში, რომელიც ორ კონტინენტზეა განლაგებული.

❖ დასავლეთ ჩინეთის ქალაქ დუჰანიდან 6 კმ-ის დაშორებით ულამაზესი ტბა მდებარეობს, რომელიც გობის უდაბნოს ოაზისადაა მიჩნეული. ეს ნახევარმთვარის ფორმის მქონე ტბა რეგიონის ღირსშესანიშნაობად მოიაზრება და იქ მსოფლიოს უდიდესი ბუდისტური ტაძარი მდებარეობს.

❖ არიზონაში მდებარე დიდი კანიონი 1,6 კილომეტრი სიგრძისაა.

❖ ბრაზილია ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ფეხბურთის ყველა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობდა.

Cyan Magenta Yellow Black

 სახუმარო ტესტი ბიჭებისათვის

მულოფვილმა „შრეკის" რომელი გმირი ხართ?

1. გაიგეთ, რომ თქვენი მეგობარი ზურგსუკან თქვენზე საზიზღრობებს ლაპარაკობს, თქვენ...

ა) შევეცდები, ყველაფერი გავარკვიო, იქნებ ხუმრობდა, სხვებმა კი სინამდვილედ ჩათვალეს.

ბ) დუელში გამოვიწვევ.

გ) მეწყინება, მაგრამ არ შევიმჩნევ, ურთიერთობას კი სამუდამოდ გავწყვეტ.

2. გოგონა მოგეწონათ, რას გააკეთებთ მის მოსახიბლად?

ა) ვეცდები, გავაცინო, ანეკდოტს ან რაიმე სახალისო ისტორიას მოვუყვები.

ბ) არაფერს, თუ მოვწონვან, დაე, თავად მაგრძნობინოს.

გ) გავაგებინებ, როგორი მაგარი ვარ და შევთავაზებ, ჩემი გოგო გახდეს.

დ) მის მეგობართან გავაბამ ლაპარაკს, დაე, იფიქროს, რომ არ მაინტერესებს და ჩემთვის ბრძოლა დაიწყოს.

3. რომელი სიტყვა მოგესადაგებათ ყველაზე მეტად?

ა) მაგარი.

ბ) მდუმარე.

გ) თავზეხელაღებული.

დ) სიმპათიური.

4. თქვენ და თქვენს მეგობარს საშინაო დავალება მოგცეს, რომელიც ორივემ ერთად უნდა შეასრულოთ, თქვენ...

ა) კარგია, მიყვარს ვინმესთან ერთად დავალებების კეთება.

ბ) მირჩევნია, მარტომ გავაკეთო, მეგობარი გამაცდენს, შეცდომებს დავუშვებ და ორიანს მივიღებთ.

გ) ბოლო მომენტში ვეტყვი, რომ ცუდად ვარ და მეგობარი ყველაფერს ორივეს ნაცვლად შეასრულებს.

დ) ვეტყვი, რომ ჩემ გარეშე გააკეთოს, რადგან ამ საგანში ცუდად ვერკვევი.

5. დაინახეთ, რომ თანაკლასელს თქვენი მეგობრები ცუდად ექცევიან, თქვენ...

ა) ვეცდები, ყველაფერში გავერკვე და გაუგებრობა ხუმრობაში გადავიტანო.

ბ) ვთვლი, რომ რამდენიმე ერთის წინააღმდეგ უსამართლობაა, ამიტომ თანაკლასელს დავუდგები გვერდით.

გ) ჩემი მეგობრები ყოველთვის მართლები არიან, ამიტომაც არიან მეგობრები.

დ) ეს მე არ მეხება, დაე, თავად გაერკვნენ.

დაითვალეთ, თქვენს პასუხებში რომელი ვარიანტი ჭარბობს.

შედეგები:

„ა" ვარიანტი — თქვენ შრეკის მეგობარი ვირი ხართ.

ხალისიანი ხართ, გიყვართ ყბედობა, ხუმრობა, ხშირად ცოტა მეტიც მოგდით. თქვენი ნაკლი ისაა, რომ ყველაფერთან ერთად პანიკიორიც ხართ. უამრავი მეგობარი გყავთ, რომლებსაც თქვენი ხუმრობები ახალისებთ. მიუხედავად იმისა, რომ ყველას უყვარხართ თქვენი მხიარული ხასიათის გამო, ეცადეთ, მასხარად არ იქცეთ და ცოტა დასერიოზულდეთ.

„ბ" ვარიანტი — თქვენ შრეკი ხართ.

მხიარულს ნამდვილად ვერ გიწოდებთ. ნატურით მდუმარე უფრო ხართ, ვიდრე მოლაპარაკე. არ გიყვართ ხმაურიანი კომპანიები, მაგრამ თქვენთან საუბარი ნამდვილად შეიძლება, როცა ერთი ერთზე რჩებით. თქვენი ნაკლი ისაა, რომ ხანდახან ძალიან ბრაზიანი ხართ და ამ დროს შეგიძლიათ გარშემომყოფებს აწყენინოთ კიდეც. გოგონები მაინცდამაინც არ გწყალობენ, რადგან სიტყვაძუნწი ხართ, მაგრამ არ იდარდოთ, აუცილებლად გამოჩნდება ის, ვისთვისაც ოცნების პრინცი გახდებით. თუ ვინმეს გასაჭირი აქვს, აუცილებლად დაეხმარებით და ყველა მიხვდება, რომ ნამდვილი გმირი ხართ.

„გ" ვარიანტი — თქვენ ჰრინცი ხართ.

მაგარი ბიჭის იმიჯი გაქვთ, გოგონები თქვენზე გიჟდებიან, მამაკაცებს კი შურთ. ნამდვილი ვარსკვლავი ხართ. თქვენი ნაკლი ისაა, რომ ხანდახან თვითკმაყოფილი ეგოისტივით იქცევით. დაფიქრდით, ზედმეტად დავდაჯერებული ხომ არ ხართ?

„დ" ვარიანტი — თქვენ ჩექმებიანი ჯატა ხართ.

სიმპათიური ხართ და იცით, რომ ყველაზე ჭკვიანი ბრძანდებით. თქვენ ის არ ხართ, ვინც ყოველთვის კარგ ნიშნებს იღებს, არამედ ის, ვინც იცის, როგორ იხეიროს. ხანდახან ხულიგნობთ კიდეც, რადგან თვლით, რომ წესები სხვებისთვისაა და არა — თქვენთვის. იცით, როგორ მიუდგეთ გოგონებს. მათ მოსწონხართ და ყველას თქვენ გვერდით სურს ყოფნა. ბიჭებთან კი ყოველთვის უსიამოვნო ისტორიებში ეხვევით. თქვენი ნაკლი ისაა, რომ მხოლოდ გართობაზე ფიქრობთ. ხანდახან კი მცირე გაუგებრობა შეიძლება სერიოზულ კატასტროფად იქცეს.

კეთილი ადამიანი ხართ?

1. სოლიდური თანხა მოიგეთ, შეგიძლიათ მთლიანად მეგობრებისთვის საჩუქრებში დახარჯოთ?

ა) დიახ — 1

ბ) არა — 0

2. მეგობარი თავის პრობლემებზე გიყვებათ, აგრძნობინებთ, რომ ეს ნაკლებად გაინტერესებთ?

ა) დიახ — 0

ბ) არა — 1

3. თუ თქვენი მეგობარი ჭადრაკს, ნარდს ან სხვას ცუდად თამაშობს, ხანდახან თავს მოაჩვენებთ, რომ დამსახურებულად იგებს?

ა) დიახ — 1

ბ) არა — 0

4. ხშირად ეუბნებით გარშემომყოფებს სასიამოვნო სიტყვებს, რათა კარგ ხასიათზე დააყენოთ?

ა) დიახ — 1

ბ) არა — 0

5. ბოროტი ხუმრობები გიყვართ?

ა) დიახ — 0

ბ) არა — 1

6. წყენას დიდხანს იმახსოვრებთ?

ა) დიახ — 0

ბ) არა — 1

7. შეგიძლიათ მოთმინებით ისმინოთ ის, რაც არანაირად გაინტერესებთ?

ა) დიახ — 1

ბ) არა — 0

8. საკუთარ შესაძლებლობებს პრაქტიკაში იყენებთ?

ა) დიახ — 0

ბ) არა — 1

9. როცა აგებთ, თამაშს მიატოვებთ ხოლმე?

ა) დიახ — 0

ბ) არა — 1

10. თუ თქვენი მოსაზრების სისწორეში დარწმუნებული ხართ, უარს ამბობთ ოპონენტის არგუმენტების მოსმენაზე?

ა) დიახ — 0

ბ) არა — 1

11. როცა რამეს გთხოვენ, სიამოვნებით თანხმდებით?

ა) დიახ — 1

ბ) არა — 0

12. იმისათვის, რომ გარშემომყოფები გაამხიარულოთ, ვინმეს შეგნებულად დასცინებთ?

ა) დიახ — 0

ბ) არა — 1

შედეგები:

0- 5 ქულა — თქვენი სიკეთე შემთხვევითობის საკითხია. ყველას მიმართ კეთილი ნამდვილად არ ხართ. ვიღაცისთვის შეგიძლიათ თავიც გადადოთ, მავანისთვის კი არაფერი გააკეთოთ. ეს ცუდი მიდგომა არაა, მაგრამ ეცადეთ, ყველას მიმართ გულისხმიერი იყოთ.

6-10 ქულა — უზომოდ კეთილი ადამიანი ბრძანდებით. ეს ყველამ იცის და ზოგი თქვენს ამ თვისებას ბოროტადაც იყენებს. ეცადეთ, ადამიანების განსხვავება ისწავლოთ. ყველა ისეთი კეთილი და სანდო არაა, როგორადაც თქვენ გეჩვენებათ. თუ საკუთარი გულისხმიერების მოზომილად ხარჯვას არ ისწავლით, შეიძლება ცხოვრებაში ბევრჯერ წკიპურტიც კი მიიღოთ, რაც არც ისე სასიამოვნოა.

Cyan Magenta Yellow Black

გვჰასუხობს ექიმი



— გავიკეთე სისხლის საერთო ანალიზი. ყველაფერი რიგზე მაქვს, მხოლოდ ეოზინოფილები მაქვს მომატებული საკმაო რაოდენობით. რისი ბრალი შეიძლება იყოს?

— ეოზინოფილების მატების მიზეზი ხშირად ალერგიაა, რომელიც სხვადასხვა ორგანიზმში სხვადასხვა სიმპტომით ვლინდება. სისხლის საერთო ანალიზის მხოლოდ ერთი მაჩვენებლით დაზუსტებით არაფრის თქმა შეიძლება, მაგრამ ალერგია მაინც უნდა გამორიცხოთ, რომელიც შეიძლება ჯერ შემაწუხებელი არ არის და ამიტომ ყურადღებას ნაკლებად ამახვილებთ.

— მკერდში დამიდგინეს ფიბროადენომა, რომელიც ნელ-ნელა იზრდება. ვაპირებ ოპერაციის გაკეთებას. შეიძლება თუ არა ამის შემდეგ დაფეხმძიმება?

— ფიბროადენომის წარმოშობის მიზეზი სხვადასხვაა. ხშირად მას ორგანიზმში ჰორმონალური დისბალანსი იწვევს. თუ დინამიკაში იზრდება, აუცილებელია ოპერაციული ჩარევა, რაც არ წარმოადგენს დიდ სირთულეს. სასურველია, თქვენი მდგომარეობიდან გამომდინარე, მკურნალ ექიმთან შეთანხმებით დაგეგმოთ ორსულობა. რამდენიმე თვეში შეგიძლიათ დაფეხმძიმდეთ. თუ სხვა პრობლემა არ გექნებათ, ორსულობის ფიზიოლოგიურ წარმართვაში გადატანილი ოპერაცია ხელს არ შეგიშლით.

— იმუნიტეტის ასამაღლებლად რა მიყიღო?

— უმჯობესია, ექიმს მიმართოთ და მის მიერ დანიშნული წამლებით დაიწყოთ ორგანიზმის მოძლიერება. მცდარია მოსაზრება, რომ ვიტამინებით მდიდარ აბებს თუ მიიღებთ, იმუნიტეტს გაიძლიერებთ, თვითნებურად ნუ დატვირთავთ ორგანიზმს. სახლის პირობებში კი კარგია, თუ ყოველ დილით, უზმოზე, ერთ კოვზ თაფლს მიიღებთ.

— მენსტრუაცია ჯერ არ მომსვლია, მაგრამ მაქვს თეთრი, ბლანტი გამონადენი. რისი ნიშანია? ჯარ 12 წლის.

— თეთრი, ბლანტი გამონადენი ხშირად საფუარი სოკოს არსებობით არის გამოწვეული. უმჯობესია, მიმართოთ ბავშვთა გინეკოლოგს, რომელიც ანალიზს ჩაგიტარებთ და მკურნალობას დაგინიშნავთ. არ გეგონოთ, რომ მენსტრუაციის წამოსვლის შემდეგ პრობლემა მოგეხსნებათ.

— ციკლის დროს ქმართან ვცხოვრობ, ეს დაფეხმძიმებას ხელს შეუშლის?

— მენსტრუაციული ციკლის დროს ქალი პრაქტიკულად არ ფეხმძიმდება. სპეციალისტთა უმეტესობა ციკლის პერიოდში სქესობრივ კავშირს კრძალავს.

— ქვედა ქუთუთოზე მაქვს მეჭეჭის ფორმის ამობურცული ხალი. შეიძლება თუ არა მისი მოცილება?

— ნებისმიერი ხალის მოცილება დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, ამიტომ მხოლოდ სპეციალისტის რჩევით შეგიძლიათ მიიღოთ გადაწყვეტილება.

— მწყავე ტკივილი მაწუხებს სახსარში. ვის მივმართო ან რა მივიღო?

— სახსრების ტკივილი და გართულების შედეგად ფორმის დაკარგვა ართრიტით არის გამოწვეული. ამიტომ დროულად მიმართეთ თერაპევტს. სწორი მკურნალობით გართულებას თავიდან აიცილებთ. შეიძლება ნევროპათოლოგის კონსულტაციაც საჭირო გახდეს.

— პულსი მუდმივად აჩქარებული მაქვს, მაქვს აკვიატებული შიშები, რისი ბრალი შეიძლება იყოს?

— თქვენი სიმპტომები შეიძლება ენდოკრინოლოგიური, კერძოდ, ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონალური ცვლილებებით იყოს გამოწვეული. გირჩევთ, მიმართოთ ენდოკრინოლოგს, რომლის კონსულტაციის შემდეგ შეიძლება ნევროპათოლოგის კონსულტაციაც დაგჭირდეთ, რომ გამოირიცხოს ვეგეტონევროზი.

— პირის ღრუში მაქვს წყლულები. რას მირჩევთ?

— პირის ღრუში გამოივლეთ სუსტი შაბიანი წყალი. ერთ ჩაის ჭიქა ონკანის წყალში ჩააგდეთ შაბის პატარა ნატეხი, გააჩერეთ ერთი ღამე და დილით პირის ღრუში გამოივლეთ.

— ჯარ გათხოვილი, მაგრამ არ ეფეხმძიმდები. გადაცდენები მქონდა. როგორ მოვიქცე?

— უნდა მიმართოთ გინეკოლოგს, სავარაუდოდ, ჰორმონალური ბალანსი გაქვთ დარღვეული, რომლის აღსადგენად დროული და ზუსტი მკურნალობაა საჭირო. ჰორმონალური გამოკვლევის გარეშე ნებისმიერი მკურნალობა უშედეგოა.

— მყავს 2 შვილი. მეორე ბავშვს შეეუწყვიტე ძუძუთი კვება. დღემდე ძუძუსთავზე ხელის მოჭერით რძე გამომდიოდა. შეგამჩნიე, რომ რძესთან ერთად ერთ-ერთი სადინრიდან სისხლიც გამოდის. არის თუ არა ეს საშიში და ვის მივმართო?

— დაუყოვნებლივ მიმართეთ მამოლოგს, სადინრიდან სისხლის, თუნდაც მცირე რაოდენობით წამოსვლა, ზოგჯერ პაპილომა ვირუსის არსებობაზე მიუთითებს.

— ჯარ 37 წლის ქალბატონი. მაქვს სისუსტე ენერგიის უკმარისობა. მირჩიეს გადასხმა. წნევა მაქვს ცვალებადი, ხან — მაღალი, ხან ნორმის ფარგლებში. შეიძლება თუ არა გავიკეთო გადასხმა და მიშველის თუ არა?

— გასარკვევია „გადასხმაში“ რას გულისხმობთ. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როცა ვიტამინებით გაჯერებული ფიზიოლოგიური ხსნარის გადასხმა მიიჩნიათ მკურნალობის უებარ საშუალებად და ხშირად მიმართავენ ხოლმე. კატეგორიულად დაუშვებელია და არ გირჩევთ არანაირ „გადასხმას“ ექიმის დანიშნულების გარეშე. იგი უკვალოდ არ ჩაივლის და შეიძლება უკუშედეგი მოგცეთ, თუნდაც ალერგიული რეაქცია, რომელიც ზოგჯერ სერიოზული გართულებებით და მძიმე შედეგით მთავრდება, მით უმეტეს, მაშინ, როცა გაქვთ არტერიული წნევის ცვალებადი მაჩვენებლები. გირჩევთ, მიმართოთ კარდიოლოგს და წნევის ცვალებადობის მიზეზი გამოიკვლიოთ, არ არის გამორიცხული, რომ სისუსტის მიზეზი აქედან მომდინარეობდეს.

— მაქვს ქრონიკული ბრონქული ასთმა. შეიძლება თუ არა წელიწადში ერთხელ ან ორჯერ აზითრომიცინის მიღება?

— აზითრომიცინი ანტიბაქტერიული საშუალებაა, რომელიც კარგი ამტანობით ხასიათდება. თუ გნებავთ, რომ გვერდითი მოვლენები არ გამოიწვიოს, მიიღეთ ექიმის კონტროლით. საჭიროების შემთხვევაში წელიწადში 2-ჯერ მიღება დასაშვებია.

მრინჯით განტვირთვა

ხულ რაღაც ერთი დღე ბრინჯის ჭამა ორგანიზმს შლაკებისა და ჭარბი წყლისგან გაწმენდა-გათავისუფლებაში ეხმარება. ბრინჯში, განსაკუთრებით გაუთლელში, აქტიური ნივთიერებების მთელი კომპლექსია, რომელთა დახმარებით ის იდეალურ გასახდომ საშუალებად ითვლება. ბრინჯის უჯრედისები კუჭში ფუვდება, შემდეგ ნაწლავებში ნელა მოძრაობს, ღრუბელის მსგავსად შლაკებს იწოვს და ორგანიზმიდან გამოაქვს. გარდა ამისა, ბრინჯი კალიუმის, კალციუმის, ფოსფორისა და მაგნიუმის მარაგს ავსებს.

მხედველობაში იქონიეთ, ბრინჯმა თავისი როლი რომ შეასრულოს, მას მარილს თითქმის არ უმატებენ, ვინაიდან მარილი წყალს ბოჭავს და ორგანიზმში აკავებს. ბრინჯით განტვირთვის დროს საჭიროა ბევრი სითხის მიღება (წყალი არანაკლებ 2 ლიტრისა და დამატებით შეუზღუდავად ბალახეული და ხილის ჩაი).

ბრინჯით განტვირთვა: 400 გრამი ბრინჯი მოხარშეთ, 5 ნაწილად გაყავით და თითო ულუფა ყოველ ოთხ საათში მიირთვით, თან ასკილის ნაყენი დააყოლეთ. ასკილი თერმოსში დააყენეთ, მისი რაოდენობა დღეში დაახლოებით 1,5-2 ლიტრია.

ᲗᲣ ᲒᲡᲣᲠᲗ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐ, ᲐᲙᲠᲘᲤᲔᲗ ᲐᲡᲝ ᲗᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲔᲗ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲖᲔ 1779 ᲛᲐᲒᲗᲘᲓᲐᲜ ᲐᲜ ᲯᲔᲝᲡᲔᲚᲘᲓᲐᲜ. ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲘᲡᲓᲐᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲒᲐᲕᲪᲔᲛᲗ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ. ᲔᲠᲗᲘ ᲡᲛᲡ-ᲘᲡ ᲦᲐᲡᲘᲐ 50 ᲗᲔᲗᲠᲘ.

Cyan Magenta Yellow Black

sms-ები გამოაგზავნეთ ოთხშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადა შაბათი, 9 მარტი 17 საათი.

გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. გავიცნობ 30 წლამდე ქალს, ვარ სიმპათიური ბიჭი. 598791218. გიო

2. ვარ 30/178/85, ვცხოვრობ თბილისში, შეხვედრებისთვის გავიცნობ მარტო მცხოვრებ გოგოს, ვარ სიმპათიური მამაკაცი. 555875599. ლაშა

3. შეხვედრებისთვის გავიცნობ 35 წლამდე ქალს, სასურველია თბილისელი. ვარ 20 წლის. 599354219

4. გავიცნობ ქობულეთელ ან ბათუმელ, სასიამოვნო გარეგნობის 25-დან 35 წლამდე ენერგიულ ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 27 წლის სიმპათიური ბიჭი. 593346144. გიორგი

5. გავიცნობ თბილისელ, 25 წლის გოგოს შეხვედრებისთვის. ვარ 28 წლის, ვცხოვრობ სოფელში. 555287318

6. გავიცნობ ქუთაისელ ან იმერელ ქალს ხანგრძლივი შეხვედრებისთვის. 557501804. ლევანი

7. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ გოგოს შეხვედრებისთვის. 591696160

8. ვარ 30 წლის, თბილისელი, ცოლიანი ბიჭი, ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ განათხოვარ ან გათხოვილ, უკომპლექსო, არამსუქან, თბილისელ გოგოს. 555139796. დათო

9. შეხვედრებისთვის გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის 45 წლამდე ქალს. 557592135. გიგა

10. ვარ 30 წლის მამაკაცი, ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ 35-დან 50 წლამდე ქალს, უმჯობესია დასავლეთიდან. 555329259. რომა

11. ვარ 25 წლის, დასაქმებული, თბილისელი, გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის. 577622664

12. სამეგობროდ გავიცნობ ლამაზ ქალს, ვარ საშუალო ასაკის ნორმალური მამაკაცი. 555131654. თემო

13. გავიცნობ 20-დან 40 წლამდე ქალს, სერიოზულს, დასაქმებულს, გათხოვილსაც, ვარ 26 წლის დასაქმებული, შავგვრემანი, მყავს მანქანა. 555416480

14. შეხვედრებისთვის გავიცნობ სერიოზულ ქალს, რომელსაც ექნება შეხვედრის სურვილი, სასურველია თბილისელი. 557240429. ნიკა

15. ვარ თბილი, ყურადღებიანი და ფინანსურად უზრუნველყოფილი მამაკაცი, შეხვედრებისთვის გავიცნობ 35 წლამდე ქალს. 593050806

16. გავიცნობ 45 წლამდე სიმპათიურ ქალს შეხვედრებისთვის, ვარ 30 წლის, სიმპათიური, უკომპლექსო ბიჭი. 599326976. გიო

17. ვარ 43 წლის, საკმაოდ თბილი და მოსიყვარულე მამაკაცი, სამეგობროდ გავიცნობ 30-50 წლამდე თბილისში მცხოვრებ ქალს. 558649184

18. გილოცავ 8 მარტს. შეხვედრებისთვის და სამეგობროდ გავიცნობ ქალს, იმერეთში მცხოვრებს. 599170723

19. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, მიმზიდველ ქალს, უმჯობესია ცხოვრობდეს მარტო. ვარ 25 წლის. 558100831. ლევანი

20. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 30 წლამდე გოგოს, თუნდაც განათხოვარს. ვარ 28 წლის ბიჭი. 593129228. გიო

21. ვარ 24 წლის, ყურადღებიანი ბიჭი, ვცხოვრობ თბილისში. გავიცნობ 30 წლამდე თბილისელ გოგოს შეხვედრებისთვის. 551002042. დათო

22. ვარ სიმპათიური, თბილისელი მამაკაცი, შეხვედრებისთვის გავიცნობ 30-დან 45 წლამდე უკომპლექსო ქალს. 557994892. ნიკა

23. ვარ თბილისელი, სიმპათიური, მყავს მანქანა, გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის გოგოს ხანგრძლივი შეხვედრებისთვის. სკაიპი: dato-gvencadze. 593135572. დათო

24. გავიცნობ 25-დან 45 წლამდე გათხოვილ ქალს შეხვედრებისთვის, თბილისელს ან რუსთაველს. 595726053. გიო

გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ კარგი ხასიათის, ზუგდიდელ გოგოს, საშუალო აღნაგობით და გარეგნობით. 598467630

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35 წლამდე მაღალ ქალს. ვარ მარტოხელა, სპორტული აღნაგობის, მაქვს ბინა და სამსახური ქუთაისში. 598592199

3. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-დან 40 წლამდე წესიერ და პატიოსან ქალს. ვარ ცოლს გაცილებული და დასაქმებული მამაკაცი. 599239771. ზაზა

4. ვარ სუფთა წარსულის, ყურადღებიანი, თბილი, 29 წლის ბიჭი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, დედისერთა ან მარტოხელა გოგოს. 599192305

5. ვარ 42 წლის მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-დან 40 წლამდე ქალს. 551181206. რობერტი

6. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე წესიერ გოგოს. 557426362

გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40-დან 47 წლამდე სულით წმინდა, ეკლესიურს ან ეკლესიის მსახურ მამაკაცს. 558343789

2. ვარ 38 წლის, პატიოსანი და ლამაზი გოგო, არ ვარ განათხოვარი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ბათუმელ ან თბილისელ მამაკაცს. 599449274. სოფო

3. ვარ 56 წლის ქალი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, დასაქმებულ მამაკაცს. 551162374

4. ვარ 37 წლის, განათხოვარი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 45 წლამდე მამაკაცს, რომელიც იცხოვრებს ჩემთან ბოლნისში. 595231119

5. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე მამაკაცს, ქვრივს ან გაცილებულს, სამსახურით და ბინით უზრუნველყოფილს. 558929196

6. ვარ 56 წლის ქალი, ქმარს გაცილებული. მსურს შევქმნა ოჯახი. გავიცნობ 50-60 წლამდე მამაკაცს, ქართველს, თბილისელს. 595764050

7. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 50 წლის მამაკაცს. 555354360

8. ვარ 41 წლის ქალბატონი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ბინით და სამსახურით უზრუნველყოფილ მამაკაცს. 551912138

გავიცნობ მამაკაცს შეხვედრებისთვის

1. გავიცნობ პატიოსან, ფინანსურად უზრუნველყოფილ 45 წლამდე მამაკაცს. 558628829

2. ვარ ლამაზი და მიმზიდველი, 30 წლის ქალი. გავიცნობ 40-50 წლამდე სერიოზულ და დასაქმებულ მამაკაცს სამეგობროდ. 558522007

3. ვარ 44 წლის ქალი, სამეგობროდ გავიცნობ უზრუნველყოფილ მამაკაცს, რომელიც მატერიალურად მხარში ამომიდგება. 555495712

სხვადასხვა

1. გავიცნობ იმერელ, მეგობარ ადამიანს 35 წლის ზევით. 555161269

მიყვარხარ, მენატრები

ალეკო, ჩემო დიდო სიხარულო, თავს მიხედე, არაფერზე არ ინერვიულო, მთელი გულით და არსებით შენთან ვარ. მე განუწყვეტლივ ვფიქრობ და ვლოცულობ შენთვის. მიყვარხარ გულში. ნინო

დათუნა, როგორ ხარ? ძალიან მენატრები, როგორ მინდა ჩემთან იყო. ვითვლი თვეებს და დღეებს, როდის განახავ, აღარ შემიძლია უშენობა. რომ მოახერხებ, დამირეკე. გკოცნი.

დათუნა, როგორ ხარ, საყვარელო? ძალიან მენატრები, ცოტაც გაუძელი, ჩემო ალალო კაცო, თავს გაუფრთხილდი, არ ინერვიულო, უფალი გფარავდეს. მოგიკითხა კუკუშამ. გკოცნი.

გასან, მიყვარხარ, მენტარები, როგორ ხარ? ჩემზე არ ინერვიულო, მე კარგად ვარ, შენ თავს მიხედე, ყველაფერი კარგად იქნება. მაკლიხარ ძალიან. მენატრები, გკოცნი. შოკო

დათი, როგორ ხარ, სიხარულო? უზომოდ მენატრები, ყოველ წუთს და ყოველ წამს ჩემი ფიქრებით მუდამ შენთან ვარ. შენთვის ვლოცულობ, ჩემო სიცოცხლე. მიყვარხარ. თიკო

დათი, ერთადერთი სიცოცხლე, ვის სიცოცხლეში ჩემი სიცოცხლეს გავცვლი, ხარ შენ, მე შენი სიყვარული მაძლიერებს, ჩემო სიცოცხლე. მიყვარხარ. თიკო

თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ ხაიმე ან გაუმხიროთ თქვენი გრძნობები ფურცელ „სარკის" მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარკის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 9 მარტის 17 საათამდე.
ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. ნებისმიერ, ნომერზე 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!
ერთი აბონენტისადმი მინერილი ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება

Cyan Magenta Yellow Black

ჯართული ანეკდოტები

მაჯა დაქაღ ნატუას ღანძღავს:
— შენ მახინჯი ხარ!
— შენ უფრო მახინჯი ხარ!
— შენ ჩემმა ქმარმა გახდილი რომ გნახოს, იცი, რას იზამს?
— რას?
— არც არაფერს.
— ბეგონოს, უკვე მნახა.

— თქვენი ავადმყოფობის მიზეზი დავადგინეთ: აღოჰოლიზმი.
— დიდი მადლობა, ექიმო. ახლა ცნობა მომეცით, რომ მე არაფერ შუაში ვარ, ცოლს უნდა ვაჩვენო.

სასტუმროში კაცი ცდილობს, კარი გააღოს.
— წინ შეაღეთ, ბატონო, თქვენკენ ნუ ექაჩებით!
— კი მაგრამ, აქ წერია, გამოაღეთო.
— ეგ სასტუმროს პატრონმა დააწერა, ცოლის საყვარლებს ასე იჭერს ხოლმე.

❖ ❖ ❖

ბებუამ შვილიშვილი ექიმთან მიიყვანა.
— რა ჭირს ამ ბაღანას? — ეკითხება ექიმი.
— ამას არაფერი. მე ვწუხვარ, ადგილს ვერ ვპოულობ.
— რა გჭირთ?
— მე — არაფერი. ამ ბაღანამ ჩემი ოქროს საათი გადაყლაპა.

❖ ❖ ❖

— ერთი ჯარისკაცი მჭირდება, ლიტერატურაში რომ ერკვევა ისეთი, — ამბობს სერჟანტი.
— მე ვარ, ბატონო, — გამოვიდა წინ ერთი.
— ძალიან კარგი, მეექვსე სართულზე ბიბლიოთეკა გავხსენით და წიგნებია ასაზიდი.

❖ ❖ ❖

— არ გრცხვენია, უტვინო რომ მიწოდე, თან ხალხში?!
— მერე რა, შენ გგონია, არ იციან?

❖ ❖ ❖

— რატომ ჩამოგტირის სახე, იონა?
— ძალიან მაღელვებს კამპუჩიის ბედი.
— არ მეიფხანო, ინფექცია არ შეგეჭრას. ხელზე გაქ თუ ფეხზე?

❖ ❖ ❖

სტუდენტმა ვერც მესამე ბილეთს უპასუხა.
— ის მაინც თუ იცით, საერთოდ, გამოცდა რა არის? — ეკითხება გადარეული ლექტორი.
— დიახ, პატივცემულო, ეს ორი ადამიანის კითხვა-პასუხია.
— და თუ ერთ-ერთი უვიცი და შტერია?
— მაშინ მეორე სტიპენდიას კარგავს.

❖ ❖ ❖

ბავშვები ეზოში თამაშობენ.
— მე დედიკომ და მამიკომ კომბოსტოში მიპოვეს, — ამბობს ერთი.
— მე წერომ მომიყვანა.
— მე ჩემმა ძმამ ინტერნეტში ამტვირთა.

❖ ❖ ❖

— მიშიკო, მამიკომ რომ დაბადების დღეზე კუ გაჩუქა, სადაა?
— ეზოშია, გოჩასთან ერთად კაკლებს ამტვრევს.

❖ ❖ ❖

— გოგონი, ხომ ვერ მეტყვით, რა დროა?
— ცუდი, ბიძაჩემო, ცუდი!

❖ ❖ ❖

— გოგონი, რა ლამაზი ხართ. ამ საღამოს რას აკეთებთ?
— ვთხოვდები.
— მერე?

❖ ❖ ❖

— რატომ არ თხოვდები?
— იმიტომ, რომ კეთილი გული მაქვს.
— ეგ რა შუაშია?
— არ მინდა, ჩემი გათხოვებით ვინმე გაუბედურდეს.

❖ ❖ ❖

— შენ თუ იცი, იაპონელები ქლიავის კურკებს რას უშვრებიან?
— არ ვიცი.
— მომეცი ათი ლარი და გეტყვი.
— აჰა, ახლა მითხარი.
— ყრიან.

❖ ❖ ❖

ცოლი მეჯლუგუნით აღვიძებს ქმარს.
— რა იყო, ქალო?
— ძილში იძახდი, ეჯა, რა ღამაზი ხარო. რას იტყვი, ვაჟბატონო!
— ეჯა ვინ ჩემი ფეხებია, შენ ღიჯა და ჯატო უნდა ნახო!

— აბა, ვიდგე?! რა დესპოტიზმია, მამიკო!

❖ ❖ ❖

სვანმა საკუთარ სახლს ცეცხლი წაუკიდა.
— რას შვრები, კაცო, გაგიჟდი?! — უყვირის ცოლი.
— ნუ გეშინია, ქალო, ამ დილით ტელევიზორში გამოაცხადეს, სახანძროს მომსახურება უფასოაო.

❖ ❖ ❖

— არ დალიო, არ მოწიო, დასაძინებლად ადრე დაწექი და დილით ადრე ადექი, — ეუბნება ექიმი კახელს.
— შე მუტრუკო, შენა, მაგაი ხომ ცოლი უფულოდ მეუბნება?!

❖ ❖ ❖

ქმარი კვდება და ცოლს უბარებს:
— მე რომ მოვკვდები, ერთი წელი მიგლოვე და მერე გათხოვდი, ოღონდ ისეთი კაცი შეარჩიე, ჩემზე უკეთესი რომ იქნება და, როგორც მე მინდა, ისე მოექეცი.
— შენ როგორ გინდა?
— მოკალი, მე მაგის!..



— რა ღირს ყველი?
— შშშ... შშშ... შვ... შვიდი ლარი.
— აბა თქვი ექვსი.
— ექვსი.
— ასე, შე ჯაცო, ღარიზა იმტვრევ

ინტერნეტით გაცნობილმა ქალ-ვაჟმა ერთმანეთს შეხვედრა დაუთქვეს. პაემანზე გოგომ ძალიან დააგვიანა:
— მაპატიე, ჩემო ჯარგო, ისე ვჩქარობდი, რომ ჯინაღამ ფეხები დამემტვრა სიხარბისგან.
— დამტვრევას გადარჩენილხარ, მაგრამ გვარიანად ჯი გაგღუნვია, — უპასუხა ბიჭმა.

✓ **შეკრიბა მურმან მერკვილიშვილმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატები**

Cyan Magenta Yellow Black

მორწმუნეს უჯერებს ღმერთი, ურწმუნოს კი არც აღიარებს

ხსენება ღირსისა პართენიოსისა ლამფსაკიელი ეპისკოპოსისა (სასწაულმოქმედისა)

წმინდანი, რომლის ხსენებასაც ეკლესია ახალი სტილით 7 თებერვალს აღნიშნავს, მცირე აზიის ულამაზეს ქალაქ მელიტოპოლისში დაიბადა. წმინდა პართენიოსის მამა დიაკონი ყოფილა მცირე აზიის ეპარქიაში, ქრისტოდულოსი რქმევია სახელად და სწორედ მას უკავშირდება წმინდა მამის ამგვარი მომავალი.

წმინდა პართენიოსი ეკლესიაში ცნობილია, როგორც სასწაულმოქმედი. ძალიან ბევრი რამ მისი ცხოვრებიდან უცნობია, რადგან თითქმის არავის სხვას არაფერი აქვს დაწერილი მის შესახებ, გარდა მისივე ერთ-ერთი კეთილმოსურნისა, რომელიც, ვიცით, რომ სახელად ყოფილა კრისპინოსი. ასე რომ, ის ცოტა რამ, რაც წმინდა პართენიოსის შესახებაა ცნობილი, ვიცით მისგან.

როგორც ირკვევა, სიყრმის ასაკიდანვე წმინდანს მაინცდამაინც დიდი განათლება არ მიუღია, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ცოდნა როდი განაპირობებს რწმენის ხარისხს. სწორედ ასე მოხდა წმინდა მამის შემთხვევაშიც, რადგან ცოდნის გარეშეც მიაღწია უმაღლეს საფეხურს. ღმერთი უჯერებდა და სარწმუნოებით იქმოდა სასწაულებს.

ჯერ კიდევ ბავშვმა შეიყვარა საღვთო წერილი და ცხოვრობდა წერილის შესაბამისად, ღარიბების და ქვრივ-ობლების მიმართ განსაკუთრებით ყურადღებიანი იყო, უზომოდ უყვარდა თევზაობა. ქალაბის ახლოს იყო ტბა, რომელშიც ხშირად თევზაობდა, დაჭერილ თევზს ყიდდა და იმ ფულით გაჭირვებულებს ეხმარებოდა. ამას აკეთებდა უკვე სიყრმის ასაკიდანვე, ამიტომაც გამოარჩია უფალმა და მიჰმადლა სასწაულმოქმედების უნარი. ეშმაკეულებს განკურნებდა, რის გამოც გახდა ცნობილი არა მხოლოდ მელიტოპოლისში, არამედ მთელი იმპერიის მასშტაბით. თავისმა თავმდაბლობამ და გულმოწყალებამ ყველასთვის მისაღები და საყვარელი გახადა.

ბუნებრივია, ამის შესახებ შეიტყო მელიტოპოლისის ეპისკოპოსმა ფილიტოსმა და შესთავაზა, იქნებ მღვდლობაზე ეფიქრა, რაზეც წმინდა მამამ უპასუხა, მე არ ვარ ღირსი, რომ ღვთის მსახური ვიყოო. ასეთი ბიოგრაფიის მქონე კაცი თუ იტყოდა ამ სიტყვებს იმის ფონზე, რასაც ის აკეთებდა, როგორც ერისკაცი. მოგვიანებით მაინც დათანხმდა ხელდასხმას და ახლა უკვე ახალი, უფრო საინტერესო ეტაპი დადგა მის ცხოვრებაში.

ერთხელაც ღირსი მამა გზაში მიდიოდა და შემოხვდა ადამიანი, რომელსაც ხარმა რქებით სახე დაუზიანა, თვალი წამოაგდებინა და გარეთ ჰქონდა გადმოვარდნილი თვალის ბუდიდან. ეს კაცი ცოლს მოჰყავდა და მოწყალებას ითხოვდა თვალამოგდებული მეუღლისთვის. ამის მნახველმა მოწყალე პართენიოსმა მაშინვე შესთავაზა ცოლ-ქმარს დახმარება, დაასხა ხელი ჭრილობაზე და ილოცა ღვთის წინაშე, ამის მერე ნაკურთხი ზეთი სცხო და სამი დღის შემდეგ ავადმყოფი სრულიად გამოჯანმრთელდა.

კიდევ შევეცდებით, მსგავსი სასწაულის შესახებ გიამბოთ. ერთხელ ერთ ქალს სამარცხვინო ადგილას სიმსივნის მსგავსი წამონაზარდი გაუჩნდა, რაზეც ძალიან წუხდა, რადგან არ შეეძლო, სირცხვილის გამო ექიმისთვის ეჩვენებინა ავადმყოფობის ადგილი და უზომოდ წუხდა ამ ყოველივეზე. ბოლოს გაბედა და წმინდა მამას გაუმხილა თავისი მწუხარების ამბავი. წმინდა პართენიოსმაც მარჯვენა ხელით ქალს შუბლზე ჯვარი გამოსახა და მაშინვე გაქრა სიმსივნური წარმონაქმნი. უზომოდ ბედნიერი ქალი მაშინვე გამოჯანმრთელდა. ეს და კიდევ უამრავი სასწაულის გამო საყოველთაოდ ცნობილი გახდა წმინდა პართენიოსი.

კიზიკიის მიტროპოლიტმა ასხოლიოსმა განიზრახა წმინდა მამის ეპისკოპოსის ხარისხში აყვანა და დაადგინეს ლამფსაკიის ეპისკოპოსად, რადგან აქაური მოსახლეობა საკმაოდ შორს იყო ქრისტიანობისგან და წარმართობა მძლავრობდა მთელ ეპარქიაში. როცა წმინდა პართენიოსი ეპისკოპოსი გახდა, ეპარქიაში სულ რამდენიმე ტაძარი ფუნქციონირებდა რამდენიმე სასულიერო პირით, ამიტომაც ნელ-ნელა ცდილობდა წმინდა მამა, ხალხისთვის ღმერთის სიყვარული ესწავლებინა. თანდათან წარმართული სამსხვერპლოების ნაცვლად ხალხმა ეკლესიების აშენებას მიჰყო ხელი.

ამ დროს იმპერიას ღვთისმოშიში იმპერატორი კონსტანტინე დიდი განაგებდა, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ქრისტიანობის განვითარებას მთელ იმპერიაში და მათ შორის წმინდა პართენიოსის ეპარქიაშიც. წმინდა მამასთან მოჰყავდათ უამრავი ავადმყოფი და წმინდანიც უკმაყოფილოს არავის უშვებდა.

ერთხელ წმინდანთან მიიყვანეს ავადმყოფი, რომელმაც თვითონაც კი არ იცოდა, რა სჭირდა. მხოლოდ წმინდა მამამ დაადგინა მისი ავადმყოფობის ზუსტი მიზეზი — დემონს ჰყავდა შეპყრობილი და სხვას არავის შეეძლო მისი დახმარება. როცა წმინდა პართენიოსთან მიიყვანეს, მწინდანმა ხმა არ გასცა, მშვიდად და უხმოდ შეხვდა, რამაც გააცოფა ბოროტი სული, მაგრამ მოჩვენებითი თავმდაბლობით მიუგო: „ჩვენ სურვილი გვქონდა, ამხელა გზა გამოვიარეთ, რათა მოგსალმებოდით და თქვენთვის მოგვესმინა, თქვენ კი პასუხის ღირსადაც არ გვაგდებთ, საერთოდ არაფერს გვეუბნები“. წმინდანმა უპასუხა: „აჰა, ხომ მნახე“. მაშინ მიუგო დემონმა კაცის პირით: „გნახეთ კიდეც და მივხვდით კიდეც, ვინ ხარ“. უპასუხა წმინდანმა: „თუ მიხვდით, ვინც ვარ, მაშინ გიბრძანებ, ახლავე დატოვო ღვთის ქმნილება, რომელშიც სახლობ!“. ბოროტმა კი უპასუხა: „ძალიან დიდი დროა, ამ ადამიანში ვცხოვრობ, ჯერ კიდევ ბავშვობის წლებიდან. ვერავინ მიხვდა, რომ მე ვსახლობდი მასში, შენს მეტი, თუმცა სხვაგან წასასვლელი არ მაქვს, აქედან სად წავიდე“.

მაშინ მიუგო წმინდანმა: „მე მყავს ადამიანი, რომელშიც შეგიძლია შეხვიდე და იცხოვრო, თუ შენ გინდა“. მაშინვე დატოვა დემონმა ეს ადამიანი და მიუგო წმინდანს, აღასრულე დანაპირები, ხომ დამპირდი, რომ სხვა ადამიანში ცხოვრების შესაძლებლობას მომცემდიო. გააღო პირი წმინდა პართენიოსმა და უთხრა ბოროტს, მოდი და ჩემთან იცხოვრეო. დემონი გავარდა ყვირილით: „ვაი, მე უბედურს, მარტო შენი დანახვის მეშინია, რომ გხედავ და შენში ცხოვრებას როგორ გავბედავ!“. ამის შემდეგ გამოჯანმრთელდა ადამიანი და გათავისუფლდა სამუდამოდ, რისთვისაც მადლობდა წმინდა მამას.

იყო ასეთი შემთხვევა, როცა ახალაშენებული ტაძრისთვის ლამაზად გამოთლილი ტრაპეზის ქვა ესაჭიროებოდათ, რომელიც იყო ძალიან მძიმეც და თანაც შორიდან მოსატანი, ამიტომ ხარებით უნდა მოეტანათ. კაცთმოძულე და კეთილისმოძულე დემონმა განიზრახა, ამ კეთილი საქმისთვის ხელი შეეშალა. შევიდა პირუტყვში და დაადფრთხო ისინი. დამფრთხალმა პირუტყვმა გადმოაგდო ძირს ევტიხიანოს, რომელიც მართავდა პირუტყვს და ვეღარაფერი უშველეს, თრევისგან ნაწლავები სულ გარეთ გადმოსცვივდა.

აცნობეს ეს სამწუხარო ამბავი წმინდა პართენიოსს, რომელიც მშვიდად და აუღელვებლად შეხვდა ამ ყოველივეს, ისე, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს. მიუგო დემონს: „ნუ ხარობ ამ შენს ბოროტებაზე, დემონო ყოვლადცბიერო, არც ღვთის საქმის კეთებას შეგიძლია ხელი შეუშალო, კეთილისმოძულევ“. ეს თქვა, მაშინვე მუხლი მოიყარა და ცრემლმორეულმა შესთხოვა უფალს: „უფალო იესო ქრისტე, რომელიც განაწესებ სიცოცხლესაც და სიკვდილსაც, შეგვედრე, რათა გააქარწყლო დემონის ბოროტი ზრახვა და სიცოცხლე დაუბრუნო გარდაცვლილს. ვიცით, ხარ ყოველივეს სიცოცხლეც და აღდგომაც და იქმ, რაიცა გნებავს, მეუფეო ყოვლადძლიერო“. რაჟამს დაასრულა ვედრება, მაშინვე სრულიად უვნებელი წამოდგა ევტიხიანოსი, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს. მოიტანეს გათლილი ქვა და დაადგეს წმინდა ტრაპეზს დემონთა გულის გასახეთქად.

ეს და არა მარტო ეს სასწაული — ექიმებთან ავადმყოფები აღარ დაჰყავდათ, რადგან წმინდა პართენიოსი ყოველგვარი წამლის და ხანგრძლივი მკურნალობის გარეშე ერთი სიტყვით და ლოცვით კურნავდა. არაერთი დიდებული ან მათი ოჯახის წევრი განიკურნა წმინდა მამის ლოცვით. უფრო მეტიც, მემატიანე აღნიშნავს, რომ ექიმებისთვის მიუღებელი იყო წმინდანი, რადგან უსაქმოდ დარჩნენ მისი სასწაულმოქმედების გადამკიდე. სამაგიეროდ, უზომოდ შეიყვარეს ავადმყოფებმა და მათი ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა.

საქვეყნოდ გახდა ცნობილი წმინდანის სასწაულები. ღმერთმა თავმდაბლობის და სარწმუნოების გამო მიჰმადლა კიდევ წინასწარჭვრეტის უნარი. მიკონი იყო მღვდლის შვილი, რომელიც შეპყრობილი ჰყავდა არაწმინდა სულს. ერთხელაც მშობლებმა მიიყვანეს

Cyan Magenta Yellow Black

„ღვთის სასჯელის გარეშე ჩვენი გამოსწორება არ მოხდება“

ბედისწერის არსებობის ბევრს სჯერა. ეს ცრურწმენა ადამიანთა ცხოვრებაში სხვადასხვა აუხსნელი და თითქოს ალოგიკური მოვლენების არსებობამ წარმოშვა. სინამდვილეში კი აუხსნელი მოვლენები არ არსებობს, ყველა ფაქტს თავისი მიზეზი აქვს. ადამიანს უფალმა თავისუფალი ნება მისცა კეთილისა და ბოროტის ასარჩევად, ამავდროულად მიუთითა, თუ რა იქნებოდა შედეგი რომელიმეს არჩევისას. შესაბამისად, არ არსებობს ბედისწერა. ადამიანი წარმატებას თუ სასჯელს თავისუფალი ნებით მინიჭებული არჩევანის შედეგად იღებს. ამ თემაზე გვესაუბრება იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **მამა გიორგი** (სხირტლაძე).

— მამაო, რატომ მოგვეცა ადამიანებს თავისუფალი ნება, როგორ უნდა გამოვიყენოთ ის?

— ეკლესიური გაგებით, ადამიანს გააჩნია თავისუფალი ნება და ხშირად ის არის საკუთარ მოქმედებაზე, თავის ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებზე პასუხისმგებელი. მარტო ზეციურ დაშვებაზე ან გარეშე ფაქტორებზე კი არ არის დამოკიდებული, როგორი იქნება ჩვენი ყოფა, არამედ მასზეც, როგორ არჩევანს გავაკეთებთ: სწორს თუ მცდარს, საითკენ გადავიხრებით, ცოდვილი თუ ღვთისნიერი ქცევისკენ, შესაბამისად, დავისჯებით თუ არა ამის გამო. საკუთარი ცხოვრების წარმართვის სადავეები ჩვენს ხელშიც არის მოქცეული, რადგან გაგვაჩნია თავისუფალი ნება, ნებისყოფა და თავად განვსაზღვრავთ, როგორ გამოვიყენებთ ამ ღვთივბოძებულ უნარს.

— ხალხში ფესვგამდგარია შეხედულება ბედისწერის გარდაუვალობის შესახებ, რომელიც თავისუფალი ნების არსებობას ეჭვქვეშ აყენებს.

— დიახ, ხალხში გავრცელებულია აზრი ბედისწერის შესახებ. ამბობენ, მოინდომე, რაც გსურს, გამოიჩინე ნებისყოფის სიმტკიცე, გააკეთე, რაც გინდა, დიდად მაინც ვერაფერს შეცვლი, ზემოთ უკვე თავიდანვე იციან, როგორ წარიმართება შენი ცხოვრება, როდის ავად გახდები, ცოდვების ჭაობში ჩაეფლობი თუ ღვთისნიერად იცხოვრებ, რა პროფესიას აირჩევ, ახალგაზრდა წახვალ იმქვეყნად, ტრაგიკულად აღესრულები თუ არა.... ასეთი მსჯელობა, ერთი შეხედვით, გასაგები და ლოგიკურია. თითქოს რაც ზეცაში სურთ, ის იქნება, ჩვენ განა რა შეგვიძლია, ვის რას შევაცვლევინებთ... ამგვარი შეხედულებები კაცობრიობის ისტორიაში მუდამ იყო გავრცელებული. თითქოს ამქვეყნად არაფრის შეცვლა შეგვიძლია, ყველაფერი, რაც ჩვენს ცხოვრებაში ხდება, თავიდანვე არის განსაზღვრული და ისიც კი დაბადებამდე არის ცნობილი, სამოთხეში მოხვდები თუ ჯოჯოხეთში. არცთუ იშვიათად გაიგონებ, რომ ბედისწერას ვერ წაუხვალ. ალბათ ცხოვრების რაღაც წუთებში მორწმუნესაც გაჰკრავს ასეთი აზრი. ჩვენს არსებობაზე დაკვირვება კი ნათლად მიუთითებს, თუ რამდენი რამ არის დამოკიდებული საკუთარი ნებისყოფის, თავისუფალი ნების გამოვლინებაზე.

ცოდვა არავის შერჩენია, ადრე თუ გვიან ყველას მოეკითხება, ბევრისთვის ეს ცხოვრების დაუწერელი კანონია, მათ შორის რელიგიისგან შორს მდგომი ხალხისთვისაც. ამ კანონის შემჩნევა, გაცნობიერება საკუთარ და გარშემომყოფთა ყოფაზე დაკვირვებითაც შეგიძლია. რომც არ მოინდომო, ამაზე ცხოვრება მაინც მიგანიშნებს. საკმარისად ხშირად ყველას დაუნახავს, გაუგონია, თუ როგორ ისჯებიან ძმიმე ცოდვებისთვის. ცოდვების ჩადენა ხომ ადამიანზეა დამოკიდებული. მეზობლის კარი ღია რომ დაინახო, შეხვიდე და გაქურდო, შემდეგ კი ეს ბედისწერას გადააბრალო, თავიდანვე ასე მეწერაო, ყველა სასაცილოდ აგიგდებს და შენც არასერიოზულად ჩათვლი ასეთ ახსნას. თუ ღრმად არა აქვს მავნე ჩვევას ფესვები გამდგარი, განსაკუთრებით, როცა პირველად ჩადიან საძრახის საქციელს, ჩვეულებრივ დიდ შინაგან ბრძოლაში არიან. სინდისი ქენჯნით, ეშინიათ, რცხვენიათ, ყოყმანობენ, გადადგან თუ არა ეს ნაბიჯი, მაგრამ ზოგჯერ ვერ ერევიან საკუთარ თავს და უზნეობას ჩადიან. ამ დროს ნათლად ჩანს, რომ ჩვენზე, ჩვენს ნებისყოფაზეა დამოკიდებული, როგორ მოვიქცევით, დავეცემით თუ არა ცოდვით, შესაბამისად, დავისჯებით თუ არა ამის გამო,

→74

„ცოდვას მომნესხვეული, მეტად მიმზიდველი ძაღა აქვს, თავისკენ გიბიძგებს, მაგრამ შენზეა დამოკიდებული, სძღევ თუ არა მას. ამ დროს დიდი ბრძოლა შეიმჩნევა ადამიანის სხეულში და ჩვენს ნებისყოფაზე, თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული, რით დამთავრდება ეს ბრძოლა".

ბევრ ადამიანს ეგონა, ეს ბოროტი ადამიანი ეს ვარ, ეს ბოროტი ადამიანი ეს ვარ, ეს ბოროტი ადამიანი ეს ვარ

■ მამა გიორგი

მოგვეკითხება თუ არა პასუხი.

დიდი წმიდა მამა იოანე ოქროპირი წერს: „თუ ცუდს და კარგს ბედი აყალიბებს, რატომ არიგებ და აძლევ რჩევებს ბავშვებს? ყველაფერი ხომ უსარგებლო და ამაოა? თუ ბედი აქცევს კაცს ღარიბად ან მდიდრად, ნუ გზავნი შვილს სასწავლებლად, ნუ აძლევ ფულს, ნუ ცდილობ, გამდიდრდე და საქმე ბედს მიანდე. მაგრამ ამას ვერ ბედავ... რატომ სჯი, თუ ცუდი იმიტომაა, რომ ასეა შექმნილი — ცოდვა ხომ მისგან არ მოდის, არამედ ბედისგან, რომელმაც უბიძგა მას. რატომ აქებ ადამიანს სიკარგისთვის? ეს ხომ მისი სათნოება არ არის, ბედისწერისაა! აბა, რისთვის ვაქებთ ვინმეს? რისთვის ვკიცხავთ? რისთვის ვწყევლით, რისთვის ვაამებთ? ხედავ, რა უაზრობამდე მიგვიყვანა ბედზე ლაპარაკმა?“.

— რა შემთხვევაში ისჯება ღვთის მიერ ადამიანი?

— თუ ოდნავ დაკვირვებული თვალი გაქვს, კარგად შეიმჩნევა ერთი მეტად მნიშვნელოვანი კანონზომიერება: მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ცოდვით დაცემასა და უფლის სასჯელს შორის. ღმერთი მკაცრად სჯის თავის საყვარელ შვილებს და რომ არა ეს, მაშინ ჩვენი სულიერი ზრდა, გამოსწორება არ მოხდება. ადამიანი, სანამ ამა თუ იმ ცოდვის ჩადენის შემდეგ არ იგრძნობს ზეციური დასჯის მომენტს, არასწორი საქციელისთვის, ფიქრებისთვის კარგად არ მოხვდება, ისე არ გამოსწორდება.

გამოსწორებამდე კი თითქმის ყოველთვის შეიგრძნობა შინაგანი ბრძოლის სიმძაფრე. ცოდვას მომნუსხველი, მეტად მიმზიდველი ძალა აქვს, თავისკენ გიბიძგებს, მაგრამ შენზეა დამოკიდებული, სძლევ თუ არა მას. ამ დროს დიდი ბრძოლა შეიმჩნევა ადამიანის არსებაში და ჩვენს ნებისყოფაზე, თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული, რით დამთავრდება ეს პაექრობა.

როგორ გინდა, ვნებებს, ცდუნებებს ებრძოლო, თუ არა ნებისყოფის დიდი დაძაბვით. მძიმეა სულიერი ცხოვრება. მმარხველს იზიდავს ნუგბარი, აკრძალული გემრიელი კერძები, მაგრამ თავი უნდა შეიკავო და არ დაარღვიო ეკლესიური წესი. მეტად სასტიკი, რთულია მრუშობის ვნებასთან ბრძოლა. განა ადვილია, თვალი არ გააყოლო ლამაზ ქალს, განდევნო გონებიდან ცოდვილი წარმოდგენები, ფიქრები, როცა გსიამოვნებს, გიზიდავს ისინი და დემონურ სიტკბოებას განგაცდევინებს. მრისხანების შემოტევისას ძნელია თავი შეიკავო, წყობიდან არ გამოხვიდე, ხმას არ აუწიო, შეურაცხმყოფელი სიტყვები არ უთხრა სხვას...

თავისუფალი ნების, ნებისყოფის გამოვლინება ცვალებადია და იგი შეიძლება შევადაროთ თოთო ბავშვს, რომელსაც მოვლა სჭირდება. თუ რომელიღაც ვნებას, საცდურს აჰყევი, შემოუშვი გონებაში ცოდვილი ფიქრები, წარმოდგენები და არ განდევნე ისინი თანდათანობით, ბრძოლა მათთან უფრო და უფრო ძნელი გახდება და ბოლოს შეუძლებელიც კი. თუ ერთხელ გამოხვედი წყობიდან, გაღიზიანდი, წარმოთქვი მრისხანე სიტყვები, მეორედ ამას უფრო ადვილად შეძლებ და პირიქით — თუ ერთხელ მოერიე თავს, ნებისყოფის სიმტკიცე გამოიჩინე, მერე უფრო გაგიადვილდება იმავე განსაცდელის შემთხვევაში ღირსეულად მოქცევა.

— ბოროტი გამუდმებით გვებრძვის და, რა თქმა უნდა, უპირველესად ებრძვის ჩვენი თავისუფალი ნების საკეთისკენ სწრაფვას, ითას მახეს გაყოგებს, რომ არჩევანი ბოროტის სასარგებლოდ გავაკეთოთ. როგორ შეეებრძოლოთ ამ ძალას?

— ეკლესიური სწავლებით, ბოროტ ძალას ნებელობით განცდებზე ზემოქმედების საშუალება აქვს და ხშირად ეს გამოიხატება იმით, რომ ადამიანს ენერგია ერთმევა, სურვილი უქრება, ვითომდა სამომავლოდ დებს მისთვის მნიშვნელოვან საქმეთა განხორციელებას. ამგვარი სურათი განსაკუთრებით კარგად ეკლესიური წესების შესრულებისას იკვეთება. არცთუ იშვიათად გაიგონებ: „მინდა, აღსარება ვთქვა და ვერ ვახერხებ. რომ დავაპირებ, მაშინვე რაღაც მიზეზი გამომიჩნდება და მომავლისთვის ვდებ“. მიზეზს კი რა გამოლევს. ან კიდევ: „თითქოს ხელს არაფერი მიშლის, მაგრამ მიჭირს, ვაიძულო თავი მღვდელთან მისასვლელად, სურვილი მაქვს და ვერ ვაკეთებ“.

ლოცვა ყოველთვის შეიძლება, სადაც უნდა იყო და როცა გინდა, რა წინააღმდეგობაა?! მაგრამ ზოგჯერ ამისთვის დიდი ძალისხმევის გამოჩენაა საჭირო. ვისაც გარკვეული სულიერების გამოცდილება აქვს, შეუმჩნევია, რომ მძიმე წუთებში, სასოწარკვეთილების, უიმედობის შემოტევისას, ნერვიულობისას, გაღიზიანებისას ლოცვის დაწყება მეტად შეუმსუბუქებს მდგომარეობას, მაგრამ მაინც მეტად უჭირს, თავს ამის გაკეთება აიძულოს, ხშირად კი დაგვიანებით ან საერთოდ ვერ ახერხებს ამას. არცთუ იშვიათად შინაგანი პროტესტის განცდაც კი შემოდის ზეციური სამყაროს მიმართ: მე თუ ასე ცუდად ვარ, ეს იმის შედეგია, რომ საჭირო დახმარებას ვერ ვგრძნობ ზემოდან. ილოცე და ამით ისევ წადი იმ ძალისკენ, ვინც მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ გაქცევს!

ზოგჯერ უნდათ, ეზიარონ ან ახლობელს გააკეთებინონ ეს, თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ბოლო მომენტში ეზარებათ ან სურვილი უქრებათ. მაგალითად, როცა სნეული ახლობლის ზიარება სურთ და მოძღვარს უნდა დაუკავშირდნენ ამისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად იციან, რამდენად მნიშვნელოვანია ეს ავადმყოფისთვის, საოცარი სურვილი უჩნდებათ, არ დახვდეთ მღვდელი, ვერ იპოვონ ის. სამწუხაროდ, ამ აუხსნელ შინაგან სწრაფვას ემორჩილებიან, საჭირო ძალისხმევას არ იჩენენ და ის ადამიანიც უზიარებლად მიდის ამქვეყნიდან.

„თუ ეთხეე გამოხვედი წყობიდან, ნახმოთქვი მრისხანე სიტყვები, მეოხეე ამას უფრო ადვილად შეძლებ და პირიქით — თუ ეთხეე მოეერიე თავს, გამოიჩინე ნებისყოფის სიმტკიცე, მეხე უფრო გაგიადვილდება იმავე განსაცდელის შემთხვევაში ღირსეულად მოქცევა“.

მართლმადიდებლური თვალსაზრისით, შეიძლება ადამიანთა ორი სახე გამოიყოს დემონური ზემოქმედების მიხედვით: შეპყრობილობის და ეშმაკეულობის მდგომარეობა. შეპყრობილი თითოეული ჩვენგანი ხდება, როდესაც ვნებებს, ცოდვებს გასაქანს ვაძლევთ. ამ დროს ბოროტისეულ ვნებას ვემორჩილებით და ვშორდებით უფალს. მაგალითად, წყობიდან გამოსვლისას, როცა მრისხანებაში ვვარდებით, ხშირად კარგად ჩანს, თუ როგორ ბატონდება ჩვენს არსებაში უცხო, სხვისი ნება. გრძნობ, რომ ღიზიანდები, გინდა, თავი შეიკავო, ცდილობ, მაგრამ რაღაც ძალა გიჩიჩხინებს, გახსენებს, როგორ გაგაბრაზეს, რა ცუდად მოგექცნენ, როგორი სიტყვები გაკადრეს, უყურადღებობა გამოიჩინეს... მიზეზი ბევრია, ეს ყველაფერი გონებაში გიტივტივდება, ვეღარ ახერხებ სიმშვიდის შენარჩუნებას და წყობიდან გამოდიხარ. თითქოს საკუთარი ნება აღარ არსებობს და უცხო ზემოქმედებას ნებდები.

მეორე მდგომარეობა გაცილებით მძიმეა. მძიმე ცოდვების, დიდი სიამაყის თუ სხვა მიზეზის გამო, უფლის დაშვებით, ბოროტი ძალა შედის ადამიანის სხეულში, ამ დროს იგი დემონური ზემოქმედების შედეგად კარგავს ცნობიერებას, ისტერიკაში ვარდება, განსაკუთრებით სიწმინდეებთან (ხატთან, ჯვართან, საზიარებელ ბარძიმთან) ახლოს ყოფნისას, მკრეხელურ, უზნეო საქციელს ჩადის, ბილწსიტყვაობს, ილანძღება, ცხოველურ ხმებს გამოსცემს, სხვა ადამიანის ხმით ლაპარაკობს. ასეთ დროს სრული მორჩილებაა ეშმაკისეული ნების. შემდეგ თავად რცხვენიათ ამის, მეტად განიცდიან, მაგრამ უძლურნი არიან, წინააღმდეგობა გაუწიონ ბოროტს. მოციქული პავლე ამბობს: „ასეთი კაცნი გადაეცეს სატანას ხორცის დასაღუპავად, რათა სული გადარჩეს ჩვენი უფლის იესოს დღეს“ (1 კორ. 5,5).

— ამას სამედიცინო ენაზე სულიერ აშლილობას უწოდებენ.

— ფსიქიატრიიდან სხვადასხვა ფსიქიკური აშლილობაა ცნობილი. მაგალითად, გვხვდება დაავადება აპრაქსია, რომლის დროსაც ადამიანი ნებისმიერი მოქმედების შესრულების უნარს კარგავს. თუ შესცივდა, ღილებს შეიკრავს, მაგრამ თავს ძალა რომ დაატანოს და იგივე გააკეთოს სხვისი თხოვნით, როცა ამის საჭიროება არ არის, ვერაფრით მოახერხებს. გამოიყენებს დანა-ჩანგალს სუფრასთან, მაგრამ სხვა სიტუაციაში რომ მოსთხოვო, საკვების მიღების გარეშე გვიჩვენოს მათი ხმარების წესი, ვერ შეძლებს.

არის დაავადება აბულია, როცა უჭირთ გადაწყვეტილების მიღება, ხან ერთ მხარეს იხრებიან, ხან მეორეს, მოჰყავთ არგუმენტები ამა თუ იმ მიმართულებით, მაგრამ საბოლოო დასკვნას მაინც ვერ აკეთებენ. ყოყმანი გადაწყვეტილების მიღებისას მეტნაკლებად ყველას ახასიათებს, მაგრამ აბულიის დროს ეს ავადმყოფურ ხასიათს იღებს, ვერაფრით ახერხებენ არჩევანის გაკეთებას. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ თუ სხვა ფსიქიკურ აშლილობათა დროს საკმარისად მძლავრობს ბოროტი.

— აზრი, რომ ხდომა ფოთოლიც არ ეარდება ღვთის ნების გარეშე, რამდენად ეთანხმება შეხედულებას, რომ ადამიანს თავისუფალი ნება აქვს?

— თითქოსდა საღი აზრი იგრძნობა იმ დაშვებაში, რომ ყველაფერი, რაც ხდება, ზემოდანაა და ადამიანს არაფრის შეცვლა შეუძლია. მაგრამ უფალმა იცის თითოეულის წარსული, აწმყო და მომავალი. შეუძლებელია, ღმერთმა რამე არ იცოდეს და ამით თითქოს ყველაფერი გასაგებია. ჩვენს ცხოვრებაზე დაკვირვება სრულიად ნათლად მიუთითებს, თუ რამდენი რამ არის ადამიანზე დამოკიდებული, კერძოდ კი, მისი თავისუფალი ნების გამოვლინებაზე. თუ საღად შეაფასებ ამ ყველაფერს, მიხვდები, რომ ჩვენი ჭკუა არამხოლოდ იმაში ვლინდება, ჩავწვდეთ ღვთის არსებობას და სათნოდ ვიცხოვროთ, არამედ იმაშიც, რომ გავიგოთ, არ ვართ მარიონეტები და ზეციურ სამყაროში სურთ, ეს კარგად შევიგრძნოთ.

✓ **მანანა ნოდია**

Cyan Magenta Yellow Black

ექვთიმე კერესელიძე – ოქროს მჭედელი და თვალ-მარგალიტის დამლაგებელი!

წმინდანი, ჰომელმაც ქართული საგალობლები გადაარჩინა

ექვთიმე კერესელიძე

2003 წლის 18 აგვისტოს ქართველ წმინდანთა დასს კიდევ ერთი მოღვაწე შეუერთდა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა ქართული საეკლესიო საგალობლების გადარჩენისთვის განეული ღვაწლისთვის იღუმენი ექვთიმე კერესელიძე წმინდანად შერაცხა და წმინდა ექვთიმე აღმსარებელი უწოდა. მისი ხსენების დღედ 2 თებერვალი (ძველი სტილით 20 იანვარი) დადგინდა.

ამ დღეს საქართველოს ბევრ ეკლესიაში აღნიშნავენ, მაგრამ კიკეთის ტაძარში 2 თებერვალს გამორჩეულად ხვდებიან, რადგან ეკლესია როგორც ექვთიმე ღვთისკაცის (თაყაიშვილის), ასევე ორი ეკვდერის — წმინდა ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძე) და წმინდა დიმიტრის (ყიფიანი) სახელს ატარებს. ყოველ წელს ეს დღე საზეიმოდ აღინიშნება და მასში საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრის თანამშრომელი ლუარსაბ ტოგონიძეც მონაწილეობს. სწორედ მან გამოიკვლია და შეისწავლა ექვთიმე კერესელიძის ცხოვრება და მოღვაწეობა, ისე როგორც სხვა არაერთი წმინდანისა.

იღუმენი ექვთიმე (ესტატე) კერესელიძე დაიბადა 1865 წელს რაჭაში, სოფელ სადმელში, სოლომონ და მართა კერესელიძეების კეთილმორწმუნე ოჯახში. მან სადმელის სამრევლო სასწავლებელი დაამთავრა და ქუთაისში გაემგზავრა, შემდეგ კი — თბილისში. 15 წლის ესტატე თბილისში ერთ-ერთი სასტუმროს მზარეულის თანაშემწედ მუშაობდა. იქ გაიცნო ილია ჭავჭავაძის ხაზინადარი და მოურავი მაქსიმე შარაძე. მან ესტატესა და სხვა მორწმუნე ახალგაზრდებთან ერთად თბილისში უფასო „საღამრთო წიგნთ-საკითხავი“ დააარსა, რომლის მიზანიც მოსახლეობაში მართლმადიდებელი სარწმუნოების განმტკიცება და ძველი ქართული საეკლესიო გალობის შესწავლა-გავრცელება იყო.

მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან მაქსიმე შარაძემ და ესტატე კერესელიძემ ილია ჭავჭავაძის შუამდგომლობით სტამბა შეიძინეს და საღმრთო წიგნების ბეჭდვა-გავრცელებას შეუდგნენ. გაზეთი „ივერია“ მათ სტამბაში იბეჭდებოდა. ესტატესა და მაქსიმეს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ბეთანიის, ზედაზნის, თბილისის ფერისცვალებისა და შიომღვიმის მონასტრების ბერებთან. აგრეთვე მიმოწერა ჰქონდათ ათონის წმინდა მთაზე ქართველთა სავანის ბერებთან. მათგან ივერთა მონასტრის წიგნთსაცავიდან გადმოწერილ წმინდანთა ცხოვრებასა და ქადაგებებს იღებდნენ, ბეჭდავდნენ და ხალხში უფასოდ ავრცელებდნენ. მათ სტამბას „ბერების სტამბას“ უწოდებდნენ.

1891 წელს მაქსიმემ და ესტატემ მელქისედეკ ნაკაშიძის მეშვეობით ცნობილი მომღერალი და მუსიკოსი ფილიმონ ქორიძე გაიცნეს, რომელმაც მათ ევროპული სანოტო დამწერლობა შეასწავლა. ესტატეს განსაკუთრებული ნიჭი და ლამაზი კალიგრაფია აღმოაჩნდა, ამიტომ ფილიმონ ქორიძე საგალობელთა სანოტო ხელნაწერების გადათეთრებას მას ანდობდა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას სავალალო შედეგები მოჰყვა: იძარცვებოდა და ნადგურდებოდა ეკლესიის უძველესი და ფასდაუდებელი საუნჯე. ქართული საეკლესიო გალობაც გარდაუვალი საფრთხის წინაშე დადგა. წმინდა მღვდელთმთავარ გაბრიელის თაოსნობით 1884 წელს ქუთაისში დაარსებულმა ქართული გალობის აღდგენის კომიტეტმა ძველი ქართული გალობის მცოდნე სასულიერო პირები და ერისკაცნი შეკრიბა. ფილიმონ ქორიძემ მცოდნეთა მიერ გადმოცემული ათასობით საგალობელი გადაიტანა ნოტებზე. სამწუხაროდ, მათი დაბეჭდვა და გავრცელება ვერ მოხერხდა. მაქსიმე შარაძემ და ესტატე კერესელიძემ გადაწყვიტეს, ისინი თავიანთი ხარჯით დაებეჭდათ და გაბრიელ ეპისკოპოსის თანხმობით საქმესაც შეუდგნენ. მალე გამოიცა კიდეც ძველი ქართული საეკლესიო გალობის 6 კრებული.

1907 წელს მაქსიმე შარაძე გარდაიცვალა. ესტატე კერესელიძისთვის ეს უდიდესი დანაკარგი იყო. თანამოაზრის გარეშე დარჩენილს სტამბისა და მისი ქონების გაყოფას სთხოვდნენ. საუბედუროდ, ამ ქონების ჩამონათვალში უძვირფასესი ხელნაწერებიც შედიოდა. მას რამდენიმე ხელნაწერი კრებული ჩამოართვეს. ესტატე დარდისგან ავად გახდა. ამას დაემატა ყველა მესტამბისთვის დამახასიათებელი ფილტვების სისუსტე და რაჭიდან ჩამოსულ ძმისშვილებს რომ არ ეშველათ, ვერ გადარჩებოდა.

როგორც კი გამოჯანმრთელდა, მაშინვე ხელნაწერების მოსაძიებლად გაეშურა. აღმოჩნდა, რომ სანოტო კრებულები საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების წიგნთსაცავში მოხვედრილიყო, რომლის ხელმძღვანელი იმხანად ექვთიმე თაყაიშვილი იყო. როცა ისინი ერთმანეთს შეხვდნენ, ესტატემ ასეთი სიტყვები უთხრა: „ყველა ეს წიგნი და საგალობელი ფილიმონ ქორიძის დაწერილია, ესენი კიდევ მოუთავებელია, ჯერ კიდევ ბევრი ხარჯი და შრომა სჭირდება, რომ მოთავდეს, და სწორედ როცა მოთავდება, ყველასთვის დიდად სასიამოვნო და სასარგებლო იქნება!.. ამისთვის ვზრუნავ, ვშრომობ და რაც აკლია, ვაწერინებ სამ ხმაზე გამშვენებით. მე ჩემს შეძლებასა და ფულს მაგ კეთილი საქმისათვის არა ვზოგავ და სხვის შეწევნასა და დახმარებას არავის ვსთხოვ“.

მალე ესტატე კერესელიძემ ჟურნალ „შინაური საქმეებს“ რედაქტორის, სვიმონ მჭედლიძის (შემდგომში მღვდელმონამე) დახმარებით სტამბა და ხელნაწერები ქუთაისში გადაიტანა. სამწუხაროდ, არსებული მძიმე ვითარების გამო მათი თანამშრომლობა არ შედგა. ქუთაისში ესტატემ კვლავ სცადა სანოტო კრებულების დაბეჭდვა, მაგრამ გაიძარცვა ყუთები, სადაც დაბეჭდილი ფურცლები ინახებოდა და დამწუხრებულმა მხოლოდ რამდენიმე მათგანს მიაგნო ქუთაისის ბაზარში ხორცის გამყიდველთან.

ამ ამბიდან მალე დიდი მოღვაწე ფილიმონ ქორიძე გარდაიცვალა. მთელი 30 წლის ნაშრომი — ათეულობით ხელნაწერი ექვთიმეს პასუხისმგებლობის ქვეშ დარჩა. მხოლოდ მან იცოდა ამ საგანძურის რეალური ფასი. ესტატემ საბოლოოდ აირჩია მონაზვნობის გზა, რისთვისაც სიყრმიდანვე ემზადებოდა. 1912 წელს ის მორჩილად აკურთხეს გელათის მონასტერში, ხოლო ამავე წლის 23 დეკემბერს ბერად აღკვეცა იღუმენმა ანთიმოზმა. 1913 წლის მაისიდან კი იეროდიაკონი იყო.

ამ დროიდან დაიწყო ყველაზე დაძაბული მოღვაწეობა მამა ექვთიმესი. მან გადაწყვიტა, ფილიმონ ქორიძის ნოტებზე გადატანილი საგალობლები მოეწესრიგებინა და ტიპიკონის მიხედვით გაეწყო. ამისათვის მრავლად შეიძინა სანოტო ფურცლები და უმძიმეს და უდიდეს საქმეს შეუდგა — ხელნაწერი ნოტების მოწესრიგებასა და გადათეთრებას. მამა ექვთიმე 4 წლის განმავლობაში მთავარდიაკვნად ემსახურებოდა მონასტრის კრებულს. იგი ერთადერთი დიაკონი იყო მონასტერში და მსახურება თითქმის ყოველდღე უხდებოდა. საკვირველია, როგორ ახერხებდა ამ ორი ურთულესი მოვალეობის შესრულებას. 1917 წელს მამა ექვთიმე იმერეთის ეპისკოპოს გიორგის მიერ ხელდასხმულ იქნა მღვდელ-მონაზვნად.

ბოლშევიკური ხელისუფლების მოსვლისთანავე მამა ექვთიმე დააპატიმრეს, როგორც ახალი წყობისთვის არასაიმედო პირი, მაგრამ ბრალდების არქონის გამო რამდენიმე თვეში გაათავისუფლეს. დაიწყო დევნისა და შევიწროების წლები. მღვდელ-მონაზონი ექვთიმე მაინც აგრძელებდა კრებულებზე მუშაობას, რაც თანამოძმეებშიც კი გაკვირვებას იწვევდა. წმინდანი მათ მიუგებდა: „მე ამაში ვპოულობ დიდ სიმდიდრეს, ეს ოქრო-ვერცხლზე და თვალ-მარგალიტზე უძვირფასესი საუკუნო საუნჯეა! მე არ წარმომიდგენია, როგორც მუქთა საქმე; არა, არამედ მე წარმოდგენილი მაქვს ჩემი თავი, როგორც ოქროს მჭედელი და თვალ-მარგალიტის დამლაგებელი! მე ხანდახან გაკვირვებაში მოვდივარ: ვინ მოუშვა ჩემამდე ეს ძვირფასი სიმდიდრე, რომ მე ულირსი ამას ხელს ვურევ!“.

1923 წელს გელათის მონასტერი გააუქმეს. შეძრწუნებულმა მამა ექვთიმემ იმის შიშით, რომ საგალობელთა ხელნაწერები არ განადგურებულიყო, 40-მდე უზარმაზარი კრებული ქუთაისში საიმედო ოჯახში გადამალა, იქიდან კი მცხეთაში ჩაიტანა. საოცარია ის ფაქტი, თუ როგორ მოახერხა მარტოდმარტომ ერთი ურემი ხელნაწერის გადატანა ქუთაისიდან მცხეთაში. თბილისი-ქუთაისის გზაზე იმ პერიოდში სრულიად უმიზეზოდ ათასობით ადამიანი მოკლეს.

მღვდელ-მონაზონი ექვთიმე სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში განაწესეს, სადაც საგულდაგულოდ გადამალა სასწაულებრივად გადარჩენილი ხელნაწერები. 1929 წლიდან კი ზედაზნის მონასტერში იყო. იქ აიტანა ქართული საგალობლების ხელნაწერები და დიდ რკინის ყუთებში საიმედოდ დაცული მინაში დაფლა, რადგან ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი მონასტრის აკლება.

ამ პერიოდში თბილისის მუზეუმის „მეტეხის“ თანამშრომელი დავით დავითაშვილი, რომელიც ფარული ქრისტიანი იყო, ძველი ქართული საგალობლებით დაინტერესდა. შეიტყო, რომ ხელნაწერები ზედაზნის მონასტერში იღუმენ ექვთიმესთან ინახებოდა და მასთან გაეშურა. მამა ექვთიმე თავიდან დაეჭვებით შეხვდა უცხო ადამიანს, ხოლო როდესაც მასში გულწრფელი სიხარული დაინახა, მიენდო და თბილისში წამოჰყვა. შეიქმნა კომისია ისტორიკოსებისა და მუსიკოსების შემადგენლობით, რომელმაც ამ ხელნაწერების განსაკუთრებული ფასეულობა და დიდი ისტორიული მნიშვნელობა დაადასტურა.

მამა ექვთიმემ 1935 წლის ნოემბერში სახელმწიფო მუზეუმს გადასცა 34 სანოტო კრებული. ყველა ეს საგალობელი ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატე ცინცაძემ მამა ექვთიმეს გაწეული ღვაწლისთვის მადლობა გადაუხადა და სთხოვა, სახარებისა და სამოციქულოს კილოში კითხვის ნიმუშები ნოტებზე გადაეტანა. მან ეს თხოვნა მაშინვე შეასრულა.

მამა ექვთიმემ სიცოცხლის უკანასკნელი პერიოდი ზედაზნის მონასტერში გაატარა. მასზე სამთავროს დედათა მონასტრის მონაზვნები ზრუნავდნენ. 1944 წლის ზამთარში მასთან ასულ დედებს მამა ექვთიმე ლოგინად ჩავარდნილი დახვდათ. ცოტა ხანში წმინდანმა მშვიდობით მიაბარა სული უფალს. ის ზედაზნის მონასტრის ეზოში, საკურთხეველთან ახლოს დაკრძალეს.

ასე აღესრულა ჩვენი დროის უდიდესი მოსაგრე. მამა ექვთიმეს მდიდარი ბიბლიოთეკის ნაწილი სამთავროს მონასტერში გადაიტანეს. იქ ახლაც ინახება მისი რამდენიმე ხელნაწერი. სამწუხაროდ, წმინდანის პირადი არქივი, რომელიც ძმისშვილის ოჯახში ინახებოდა, დაუდევრობით განადგურდა.

✓ თეონა ჯინჭარაშვილი

Cyan Magenta Yellow Black

ლაბირინთი

გაიკვლიეთ გზა ლამბინთში



გაფერადეთ



Cyan Magenta Yellow Black

მაკარონი კომბოსტოთი და ქათმის ფილეთი

მასალა:
ქათმის ფილე — 300 გ
ბროკოლი — 200 გ
ყვავილოვანი კომბოსტო — 200 გ
პარმეზანი — 100 გ
პომიდორი — 250 გ
ხახვი — 1 თავი
მაკარონი — 200 გ
მარილი, პილპილი, ზეთი — გემოვნებით

მომზადება: ხახვი რგოლებად დაჭერით, ქათმის ფილე — კუბიკებად, ბროკოლი და ყვავილოვანი კომბოსტო დაანაწევრეთ. პომიდორი გარეცხეთ და ოთხად გაჭერით.

ტაფაში ზეთი გააცხელეთ და ხახვი მოშუშეთ, შემდეგ დაუმატეთ ქათმის ფილე და 10-15 წუთი დაბალ ცეცხლზე შუშეთ. დაუმატეთ ბროკოლი, ყვავილოვანი კომბოსტო, შეაზავეთ მარილით, პილპილით, ჩაუმატეთ პომიდორი და 5 წუთი კიდევ შუშეთ.

მაკარონი მარილწყალში მოხარშეთ, შემდეგ ცხაურზე დაწრიტეთ და ბოსტნეულს და ფილეს შეურიეთ. ყველი გახეხეთ და კერძს სუფრაზე მიტანის წინ ზემოდან მოაყარეთ.

სუპ-პიუჩე პომიდვრითა და წიწაკით

მასალა:
პომიდორი — 5-6 ცალი
ბულგარული წიწაკა — 4 ცალი
წითელი ხახვი — 2 თავი
ნიორი — 3 კბილი
პიტნა — 3 ძირი
ზეითუნის ზეთი — 4 ს.კ.
მარილი, პილპილი — გემოვნებით
ბოსტნეულის ბულიონისთვის:
სტაფილო — 2 ცალი
ნიახური — 2 ძირი
ხახვი — 1 თავი
ნიორი — 2 კბილი
ბაჰარი — 2-3 მარცვალი
დაფნის ფოთოლი — 1 ცალი
კამა და ოხრახუში — გემოვნებით

მომზადება: ბოსტნეული გარეცხეთ. პომიდორი ოთხად გაჭერით, ხახვი და ბულგარული წიწაკა კუბიკებად დაჭერით. ჩაყარეთ ღრმა ტაფაში, დაასხით ზეითუნის ზეთი, ჩააჭყლიტეთ ნიორი, ჩაყარეთ პიტნის ფოთლები, შეაზავეთ მარილითა და პილპილით. ტაფა 190 გრადუსამდე გახურებულ ღუმელში შედგით და 40 წუთი გააჩერეთ.

ბოსტნეულის ბულიონის მოსამზადებლად ქვაბში წყალი ჩაასხით, ჩადეთ კუბიკებად დაჭრილი სტაფილო და წვრილად დაჭრილი ნიახური, ოთხად გაჭრილი ხახვი, დანაყილი ნიორი, ბაჰარი და დაფნის ფოთოლი. როცა ბულიონი წამოდუღდება, შეაზავეთ მარილით და საშუალო ცეცხლზე 20-30 წუთი აადუღეთ.

ღუმელიდან პომიდვრიანი ტაფა გადმოიღეთ, შიგთავსი ცოტა შეაგრილეთ, შემდეგ გადაიტანეთ ბულიონიან ქვაბში (შეგიძლიათ, 150 მლ ბულიონზე 1 ს.კ. შაქარი ჩაუმატოთ), მოურიეთ და ეს ყველაფერი ბლენდერში გადაიტანეთ. აქციეთ ერთგვაროვან მასად, შეაზავეთ მარილით, პილპილით. სუფრასთან მიტანის წინ შეათბეთ, გაანაწილეთ მათლაფებში, მორთეთ აკეპილი რეჰანითა და ოხრახუშით.

ყველის სუპი

მასალა:
ქათმის ფილე — 500 გ
მდნარი ყველი — 400 გ
ბრინჯი — 150 გ
კარტოფილი — 400 გ
სტაფილო — 150 გ
ხახვი — 150 გ
მარილი, მწვანილი, პილპილი — გემოვნებით

მომზადება: ფილეს 3 ლ წყალი დაასხით, ჩააყარეთ მარილი, პილპილი და 20 წუთი ხარშეთ. როცა ფილე მოიხარშება, ქვაბიდან ამოიღეთ. მდუღარე ბულიონში ბრინჯი ჩაყარეთ და 10 წუთი ხარშეთ.

ხახვი აკეპეთ, სტაფილო გახეხეთ, კარტოფილი გათალეთ და კუბიკებად დაჭერით. მოხარშული ფილე პატარა ნაჭრებად დაჭერით. ბულიონში ჩაყარეთ კარტოფილი, დაუმატეთ ხახვი და სტაფილო, ხარშეთ 5-7 წუთი. შემდეგ ჩაუმატეთ ფილე და ხარშეთ მანამ, სანამ კარტოფილი მზად არ იქნება. ბოლოს ჩაუმატეთ მდნარი ყველი და ცეცხლიდან გადმოდგით. სუფრასთან მიტანის წინ კერძს აკეპილი მწვანილი მოაყარეთ.

ანდალუსიური გასპაჩო

მასალა:
პომიდორი — 2 კგ
მწვანე წიწაკა — 100 გ
კიტრი — 125 გ
ზეითუნის ზეთი — 200 გ
ცივი წყალი — 200 გ
ნიორი — 3 კბილი
ძმარი — 75 მლ
გამხმარი პური — 75 გ
მარილი — 1 ს.კ.

მომზადება: ინგრედიენტები ბლენდერში ჩაყარეთ და გათქვიფეთ. ეს მასა 24 საათი გააჩერეთ. მიირთვით წვრილად დაჭრილი ბოსტნეულით და გახუხული პურით. შეგიძლიათ წვნიანში ყინულებიც ჩაყაროთ.

ღორის ხორცი ვაშლით

მასალა:
ღორის რბილი ხორცი — 500 გ
ვაშლი — 200 გ
მდოგვი, მარილი, პილპილი — გემოვნებით

მომზადება: ვაშლი კუბიკებად დაჭერით. ღორის ხორცი მარილით, პილპილითა და მდოგვით შეაზავეთ, დადეთ ფოლგაზე, ზემოდან ვაშლი მოაწყვეთ და ფოლგას თავი მოუკარით.

ღუმელი 180-200 გრადუსამდე გაახურეთ, ფორმაში ფოლგაში გახვეული ხორცი ჩადეთ, შედეთ ღუმელში და 1-1,5 საათი გამოაცხვეთ.

სუფრასთან მიტანის წინ ფოლგიდან ამოიღეთ და ულუფებად დაჭერით.

Cyan Magenta Yellow Black

ხელსაქმე

გულსაბნევი ფეტრისგან

ასეთი ყვავილების დამზადება მარტივია, თან ცოტა დროს მოითხოვს. ისინი შეიძლება გამოვიყენოთ გულსაბნევად, თმის სამაგრად, სამაჯურზე დასამაგრებლად...

ყვავილის დასამზადებლად დაგვჭირდება: ფეტრის, მაუდის, ტვიდის ან სხვა ნებისმიერი, შედარებით სქელი ქსოვილი, აბრეშუმის ან მულინის ძაფი ამოსაქარგად, ერთი ცალი ღილი ან მძივი, გულსაბნევის ლითონის სამაგრი, მაკრატელი, ნემსი და ძაფი.

გამოვჭრათ სამი სხვადასხვა ზომის და ერთიც განსხვავებული ფერის და ფორმის ყვავილის ძირი (1-ლი ფოტო).

ერთნაირი ყვავილის ფორმები აბრეშუმის ან მულინის ძაფით მოვაქარგოთ ისე, როგორც მე-3 ფოტოზეა მითითებული.

ყვავილის ძირზე ლითონის გულსაბნევი მივაკეროთ.

დავადოთ ძირზე მოქარგული ყვავილები და დავაკეროთ ერთმანეთს, პარალელურად დავაკეროთ ყვავილის გულიც — ღილი ან მძივი.

სულ ესაა.

აბა, თქვენ იცით!

✓ ლელა ცუცქირიძე

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

№ 1

1	4	8	3	9	2	7	5	6
6	9	7	8	5	1	4	2	3
3	5	2	4	6	7	9	1	8
8	3	1	7	2	4	6	9	5
4	2	5	9	1	6	8	3	7
9	7	6	5	3	8	1	4	2
5	6	4	1	7	3	2	8	9
7	8	9	2	4	5	3	6	1
2	1	3	6	8	9	5	7	4

№ 2

5	6	3	4	7	2	9	8	1
8	1	2	3	9	5	7	4	6
7	9	4	6	1	8	2	3	5
6	3	5	2	8	4	1	9	7
9	8	1	7	3	6	5	2	4
2	4	7	9	5	1	3	6	8
1	2	8	5	4	9	6	7	3
3	5	9	8	6	7	4	1	2
4	7	6	1	2	3	8	5	9

❖ მენესი ერთიანი ეგვიპტის პირველი ფარაონი და მისი დედაქალაქის, მემფისის აღმშენებელი იყო.

❖ ძველ ეგვიპტელებს ავსტრალიასთან კონტრაქტი ჰქონდათ გაფორმებული. მუმიფიცირებისათვის საჭირო ბალზამების შემადგენლობაში შედიოდა იმ ევკალიპტის ზეთი, რომელიც მხოლოდ ავსტრალიის ჩრ.აღმ. ნაწილში ხარობდა.

❖ პირველი პირამიდა ფარაონ ჯოსერს ეკუთვნის.

❖ მსოფლიოში უდიდესი ხეოფსის პირამიდა 2 300 000 ლოდისაგან შედგება და თითოეული 2,5 ტონას იწონის.

❖ ეგვიპტური იეროგლიფები პირველად 1822 წელს 32 წლის მეცნიერმა, ფილოსოფოსმა ჟან ფრანსუა შამპოლიონმა გაშიფრა.

❖ 1 სმ სისქის ობობას ქსელი ამავე სისქის ფოლადზე 50-ჯერ მტკიცეა.

❖ ძველ ეგვიპტეში ხანძრის დროს, უპირველეს ყოვლისა, კატები გამოჰყავდათ, შუა საუკუნეების ევროპაში კი ცეცხლში უპირველესად კატებს ყრიდნენ.

ეს იცოდით?

❖ დედამიწაზე მხოლოდ 2 არსებაა ისეთი, რომელსაც შეუძლია, თავის უკან მიბრუნების გარეშე ყველაფერი დაინახოს, რაც მის უკან ხდება. ესენი არიან კურდღელი და თუთიყუში.

❖ 1 შხამიან ბაყაყს შხამი 2 200 კაცის მოსაკლავად ეყოფა.

❖ პანდას საყვარელი საჭმელი ბამბუკია.

❖ დელფინის ტვინი 1,5 კილოგრამს იწონის.

❖ მტაცებელი მცენარეების დაახლოებით 450 სახეობაა ცნობილი.

❖ ისლანდიაში რესტორანში ხელის ქირის მიცემა დიდ შეურაცხყოფად ითვლება.

❖ ასტროფობია უამინდობის შიშია.

❖ მელანოფობია შავი ფერისადმი შიშია.

❖ პლანეტა სატურნს 62 თანამგზავრი ჰყავს.

❖ ჯარისკაცები ნაპოლეონს შენობით მიმართავდნენ.

❖ პირველი რუსული სახელმწიფოს ჩამოყალიბება ვიკინგებს უკავშირდება.

Cyan Magenta Yellow Black

2013 წლის ყველაზე გემოვნებიანი ქალები — სკანდალი ბრიტანეთში

■ სარა ჯესიკა პარკერი

■ ბლეიკ ლაივლი

■ რიტა ორა

■ ქიმ კარდაშიანი

■ ქეიტ მიდლტონი

როგორც ამბობენ, ინგლისელებს განსაკუთრებული გემოვნება აქვთ, ამიტომ მათ მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. გემოვნებიანობისა და მოდურობის ნიშნით შეფასებული ვარსკვლავების რეიტინგი წელს ლამის სკანდალის მიზეზი გახდა. აღმოჩნდა, რომ ინგლისელები ყველაზე კარგად ჩაცმულ ვარსკვლავებად თვლიან არა ინგლისელ ვიქტორია ბექჰემს ან სტელა მაკარტნის, არამედ ამერიკელ ბლეიკ ლაივლს, ხოლო ბრიტანეთის ყველაზე პოპულარული ჰერცოგინია კეიტი მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდა.

ინგლისელების მიერ შერჩეულ ქალებში მოხვდნენ სარა ჯესიკა პარკერი, ჯენიფერ ლოურენსი, ბიონსე და რიანა. ყველაზე მოულოდნელი კი ამ სიაში კიმ კარდაშიანის გამოჩენა იყო, რომელიც დახვეწილი გემოვნებით ნამდვილად არ გამოირჩევა.

„ფრანგული ოსკარის“ ფავორიტები

■ მარიონ კოტიარი

■ შარლოტა გინსბურგი

■ ოლგა კურილენკო

■ კევინ კოსტნერი მეუღლესთან ერთად

ვარიზში სეზარით დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა, რომელსაც ფრანგულ ოსკარსაც უწოდებენ. წელს სეზარი ბევრ ევროპელ და ამერიკელ მსახიობს გადაეცა. ცერემონიალის ტრიუმფატორი მიქაელ ჰანეკეს ფილმი „სიყვარული“ აღმოჩნდა. 38-ე სეზარზე საუკეთესო მსახიობ ქალად ემანუელ რივა დასახელდა, ხოლო მსახიობ მამაკაცად — ჟან ლუი ტრენტინიანი.

ცერემონიალზე ბრწყინავდა მარიონ კოტიარი, რომელიც სახლში პრიზის გარეშე წავიდა. სეზარის წითელ ხალიჩაზე განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს ოლგა კურილენკომ, ბერენის ბეჟომ და შარლოტა გინსბურგმა.

საუკეთესო უცხოურ ფილმად ბენ აფლეკის „ოპერაცია არგო“ დასახელდა. სეზარის ტრიუმფატორი ფილმი „სიყვარული“ გახდა, რომელიც ოსკარის ცერემონიალზე საუკეთესო უცხოურ ფილმად აღიარეს.

და კიდევ ერთი, კინოში შეტანილი წვლილისთვის ჰოლივუდის ვარსკვლავი კევინ კოსტნერი დაჯილდოვეს.

მარკ ენტონის 21 წლის მილიონერთან რომანი აქვს

ჟოპვარსკვლავ ჯენიფერ ლოპესის ყოფილი ქმარი, 44 წლის მომღერალი მარკ ენტონი, მარტოობით ნამდვილად არ იტანჯება. მას რომანი აქვს 21 წლის ქლოი გრინთან, რომლის მამაც მსოფლიოში პოპულარული მაღაზიების ქსელის „ტოპ შოპის“ მეპატრონეა.

შეყვარებულები თავიანთ გრძნობებს ქუჩაშიც აღარ მალავენ. როგორც ამბობენ, ისინი დაქორწინებასაც გეგმავენ. ეს განსაკუთრებით მარკ ენტონის სურს, რომელმაც ჯენიფერთან განშორების შემდეგ ფინანსურად წელში გამართვა ვერ შეძლო. მილიონერთან ქორწინება კი მისთვის ახალი სიცოცხლის ტოლფასი იქნება. როგორც ამბობენ, ქლოის მარკმა რომანტიკული სიმღერებიც შეაყვარა.



ჯენიფერ ლოურენსი მარიხუანას მოწევაში გამოიჭირეს

მსკაროსანი მსახიობი ჯენიფერ ლოურენსი სულ ცოტა ხნის წინ ოსკარის ცერემონიალზე ბრწყინავდა, ახლა კი სკანდალის ეპიცენტრშია. პაპარაცებმა ოსკარის მიღებიდან რამდენიმე დღეში მსახიობს ფოტო გადაუღეს, სადაც ის მარიხუანას ეწევა.

ჰოლივუდის ვარსკვლავმა კარიერაში მიღწეული წარმატების აღსანიშნავად სახლში წვეულება მოაწყო, სადაც მხოლოდ გოგოები იყვნენ — სვამდენ წითელ ღვინოს და მარიხუანას ეწეოდნენ. მოგვიანებით გართობამ ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ მეზობლებმა სახლის დაცვას აქტიური ქმედებისკენ მოუწოდეს. პაპარაცები კი რისი პაპარაცები არიან, საჭირო დროს საჭირო ადგილზე არ აღმოჩენილიყვნენ.

— ვიცი, რომ მარიხუანა ნამდვილად ცუდია და ის არავინ უნდა გამოიყენოს. მე ჯანსაღი ცხოვრების მოყვარული ვარ, — დაწერა მსახიობმა საკუთარ გვერდზე მეორე დღეს.

ბენ აფლეკმა შვილის გამო პაპარაცები სცემა

მსკაროსანი რეჟისორი ბენ აფლეკი ბოლო დროს განსაკუთრებულად პოპულარული გახდა. მას უკვე პაპარაცების მთელი არმია დასდევს. რეჟისორი, რომელიც აქამდე ჩრდილში ცხოვრებას იყო მიჩვეული, ახლა აშკარად დაბნეულია.

ცოტა ხნის წინ ბენი თავის 4 წლის გოგონასთან ერთად სეირნობდა. როგორც კი დაინახა, რომ რამდენიმე ფოტორეპორტიორი მისდევდა, სთხოვა, თავი დაენებებინათ. პაპარაცები კი გოგონას სახელს ხმამაღლა გაიძახოდნენ, რათა ბავშვს მათკენ მიეხედა. ასეთმა სიტუაციამ სერაფინა ძალიან შეაშინა და ატირდა. როგორც ჩანს, ქალიშვილის ცრემლებმა ბენ აფლეკი მდგომარეობიდან გამოიყვანა და ფოტორეპორტიორებს გაეკიდა. ერთ-ერთმა მათგანმა მისი მუშტიც იწვნია. აფლეკი ამბობს, რომ არავისთვის დაურტყამს, უბრალოდ შვილის უსაფრთხოებას იცავდა.

— დღევანდელი მსოფლიო ისტერიკაშია. პოპულარობის ერთი პიკი 10 წლის წინ გადავიტანე, ამჟამად მეორე ეტაპია, მაგრამ ახლა მე უკვე სამი შვილი მყავს და მათ დავიცავ საჯარო ინტერესებისგან, — დაწერა მსახიობმა თავის სოციალურ ქსელში.

ეკა:
„ნუკას
მეგობრებს
ავუკრძალე,
ჩემთვის
დეიდა
დაეძახათ“

ნუკა:
„ეკა
ჩემგან
განსხვავებით
უფრო
მიმტევებელია“

რა ალუთქვა ეკა კვალიაშვილმა 20 წლის წინ ახალდაბადებულ ქალიშვილს